ზ. შველიძე

ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი გრძოლის ისტორიიდან

(XIX საუკუნის 60-იანი წლები და 70-იანი წლების დამდეგი)

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1971

ნაშრომში მოცემულია ხალხოსნობის რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის, ხალხოსანთა რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელობისა და ხალხოსნობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის „შემკვიდრეობითი“ კავშირის საკითხის შეფასება ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის შესაბამისად. დახასიათებულია რეფორმისშემდგომ რუსეთსა და ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობისათვის შექმნილი სოციალურ-ეკონომიური პირობები; მითითებულია ქართული და ამიერკავკასიის ხალხოსნური მოძრაობის სპეციფიკურ ნიშნებზე, განხილულია 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგის რუსეთის რევოლუციურ წრეებსა და სტუდენტთა გამოსელებში ამიერკავკასიელთა მონაწილეობის ფაქტები და ამიერკავკასიაში შექმნილი ფარული წრეების საქმიანობა.

შესავალი

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში შემავალ ამიერკავკასიელ მშრომელებს რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესანიშნავი ისტორია აქვთ.

ქართველი და მთელი ამიერკავკასიის ხალხებისათვის გარდატეხის ეტაპად იქცა XIX საუკუნის პირველი ნახევარი. ჯერ საქართველოს, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანისა და სომხეთის შეერთებამ რუსეთთან, რაც თვით ცხოვრებით ნაკარნახევი პროგრესული აქტი იყო, ამიერკავკასიელი ხალხები ფიზიკური განადგურების საფრთხისაგან იხსნა, ბოლო მოეღო უცხოელ დამპყრობელთა ბარბაროსულ შემოსევებს, რომლებიც ასეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა.

მეფის რუსეთი, მართალია, ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა, ცარიზმი შეუბრალებლად თელავდა არარუს ხალხებს, ატარებდა მათი ძალდატანებითი გარუსების მკაცრ პოლიტიკას, მაგრამ რუსეთის მშრომელებთან დაკავშირებას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველგვარი ჩაგვრისაგან ამიერკავკასიის ხალხთა მომავალი განთავისუფლებისათვის.

ქართველ და ამიერკავკასიელ ხალხთა მოწინავე შვილები ყოველთვის მადლიერების გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი მოძმე რუსი ხალხისადმი, რომელმაც არა ერთხელ დაღვარა სისხლი თურქი და ირანელი მოძალადეებისაგან ქართველ და სხვა ამიერკავკასიელ ხალხთა დასაცავად. ისინი მუდამ სიყვარულით იხსენიებდნენ რუსეთს და რუს ხალხს.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, გაოავდა რბევა და აკლება... დადგა ახალი ხანა, ხანა უშიშარი ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარცმისათვის ჯვარცმულ საქართველოში»[1].

რუსი ხალხისადმი ამიერკავკასიის ხალხთა გულითადი სიყვარულია ჩაქსოვილი სომეხი ხალხის დიდი მწერლის ხაჩატურ აბოვიანის სიტყვებში: „რუსი ადამიანის სახელი ჩვენთვის ისეთივე წმიდათაწმიდა უნდა იყოს, როგორც მისი სისხლი, რომელიც დაიღვარა ჩვენი განთავისუფლებისათვის“ ხოლო აზერბაიჯანელი ხალხის სასახელო შვილი მ. ფ. ახუნდოვი ჰასან ბეგ ზარდაბისადმი გაგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში, დიდად აფასებდა რა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ამიერკავკასიის შესვლას, წერდა: „მადლიერი უნდა ვიყოთ თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთის სახელმწიფოს მფარველობის წყალობით, ჩვენ თავი დავაღწიეთ მტაცებელი ურდოების მხრივ უსაზღვრო და გაუთავებელ ძარცვა-გლეჯასა და თავდასხმებს, რასაც ადგილი ჰქონდა წარსულში. ბოლოს კი ისევ რუსეთის დახმარებით მოვიპოვეთ მშვიდობა და სიწყნარე“[2].

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხები დღენიადაგ განიცდიდნენ რუსეთის არა მარტო ეკონომიური ძალების, არამედ მოწინავე განმათავისუფლებელი იდეების გავლენას.

რუსეთის პროგრესული მოღვაწენი ყოველთვის მხარს უჭერდნენ და ექომაგებოდნენ თავისუფლებისმოყვარე ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლას სოციალური და ეროვნული თა-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1927, გვ. 273.

2 Присоединение Азербайджана к России и его прогрессивные последствия, Баку, 1955, стр. 51.

ვისუფლების მოპოვებისათვის. აშკარად იგრძნობოდა, რომ ამიერკავკასიის მშრომელები მარტო არ იყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. მათ მტკიცე მოკავშირე ჰყავდათ რუსი ხალხისა და მისი მოწინავე შვილების სახით.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მოწინავე შვილები არასოდეს ყოფილან ნაციონალურ ჩარჩოში ჩაკეტილები. ისინი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ რუსი რევოლუციონერების მიერ გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. თავის მხრივ, რუსი რევოლუციონერების პირად მაგალითსა და განმათავისუფლებელ იდეებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის შიგნით მასობრივ-რევოლუციურ მოძრაობათა დაწყება-გაფართოების თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რევოლუციონერები მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე რუს რევოლუციონერებთან ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებდნენ.

ქართველი და ამიერკავკასიელი სოციალ-დემოკრატების ლენინური ორგანო გაზეთი „ბრძოლა“ თავის სარედაქციო სტატიაში, რომელიც ი. ბ. სტალინის მიერ იყო დაწერილი, როცა XX საუკუნის გარიჟრაჟზე ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის კავშირურთიერთობის საკითხს ეხებოდა, წერდა: „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“[1].

საარქივო, პუბლიცისტური და მემუარული ხასიათის მასალების შესწავლა, აგრეთვე სპეციალური ლიტერატურის გაცნობა იმის სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ ი. ბ. სტალინის აღნიშნული სიტყვები სავსებით გავავრცელოთ საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა იმ საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოძრაობაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის II ნახევარში.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 6.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რაზნოჩინელი რევოლუციონერების მიერ 60—80-იან წლებში გაჩაღებული განმათავისუფლებელი მოძრაობა მართლაც ხელიხელგადახვეული იყო მთელი რუსეთის ხალხოსნურ მოძრაობასთან.

რუსული მოწინავე საზოგადოებრივი აზროვნების ზემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებში განმათავისუფლებელი იდეების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის. გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე ამის შესახებ წერდა: „ჩვენი მამულის ბედი და მომავალი მტკიცედ გადასკვნილია რუსეთის მდგომარეობაზე, და რუსეთის საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის იღბალზე"[1]. ილია ჭავჭავაძე კი ასე ახასიათებდა რუსეთის მოწინავე იდეების მნიშვნელობას: „თვითეული ჩვენგანი რუსეთის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმიანობისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია"[2].

მოსკოვში მოღვაწე სომეხ ხალხოსანთა ჯგუფის — „პატრიოტთა კავშირის" არალეგალური ორგანო ჟურნალი „აზატუციან ავეტაბერი" („თავისუფლების მოამბე") 1884 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ისტორიულმა ვითარებამ ისე მჭიდროდ დააკავშირა ჩვენი ხალხის ერთი ნაწილის ცხოვრება რუსეთის ხალხის ცხოვრებასთან, რომ ამ უკანასკნელის ყოველი რეაქციული თუ პროგრესული მოძრაობა უშუალო გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაზე"[3].

---

1 ჟურნ. „კრებული", 1873, № 5—6, გვ. 355.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 8, თბ., 1928, გვ. 286.

3 А. М. Егязарян, Социально-экономическое развитие Закавказья и эволюция армянского народничества, Ереван, 1958, стр. 38

მართლაც, რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან ცარიზმის დამხობამდე განვლილ მთელ ისტორიულ პერიოდში რუსეთში ადგილი არ ჰქონია მეტ-ნაკლებად სერიოზული ხასიათის ისეთ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებებს, მასობრივსა და საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოძრაობას, რომელთაც არ გამოხმაურებოდნენ ქართველი და საერთოდ ამიერკავკასიის ხალხები.

რუსეთში თავადაზნაურულ რევოლუციონერთა მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში ნათლად შეიმჩნეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება. ამ მხრივ ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატიის პროგრესულ ნაწილზე დადებით გავლენას ახდენდნენ მეფის ხელისუფლების მიერ კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტები. ამის ნათელი დადასტურებაა 1832 წლის ცნობილი შეთქმულება, რომლის მიზანს ცარიზმის უღლისაგან საქართველოს განთავისუფლება შეადგენდა.

მიუხედავად ამისა, რუსი დეკაბრისტების მოძრაობას ჩვენში ვერ გამოუჩნდნენ მეტად თუ ნაკლებად თვალსაჩინო იდეური და ორგანიზაციული მიმდევრები, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ქართველი ფეოდალური არისტოკრატია ამ პერიოდისათვის ეროვნული პრობლემებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე სოციალურით. მართალია, XIX საუკუნის 40—50-იან წლებში ქართველი მშრომელების ანტიფეოდალური ბრძოლა სერიოზულად გაფართოვდა, მაგრამ იმ პერიოდში ყმა გლეხებისათვის უცხო იყო ყოველგვარი რევოლუციური იდეოლოგია და მითუმეტეს დეკაბრისტთა იდეოლოგია, რომელმაც თვით რუსეთის მშრომელ მასებზეც ვერ მოახდინა გავლენა.

სულ სხვა სურათს ჰქონდა ადგილი რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის პერიოდში. ამჯერად რუსეთთან ერთად ამიერკავკასიაშიც გაიშალა მოწინავე საზოგადოების ბრძოლა სოციალურ-ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი და ამიერკავკასიელი მშრომელი მასების განთავისუფლებისათვის. აქაურმა მოწინავე ინტელიგენციამ, რომელიც აღზრდილი იყო რუსი რაზნოჩინე-

ლი რევოლუციონერების — გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბაკუნინის, ლავროვისა და სხვათა იდეებზე, სერიოზული წვლილი შეიტანა რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიაში გაჩაღებული რევოლუციური ბრძოლის საერთო საქმეში.

თავი I

რუსეთისა და ამიერკავკასიის რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა

1. რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში რეფორმისშემდგომი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლის საკითხი

XIX საუკუნის II ნახევრის ამიერკავკასიაში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის სწორი მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია რუსული რევოლუციური დემოკრატიზმის თეორიული საფუძვლებისა და მისი პრაქტიკულ-რევოლუციური ბრძოლის ისტორიის სრული სიღრმით შესწავლის გარეშე.

ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, პირველ რიგში გავეცნოთ რუსულ ისტორიოგრაფიაში რაზნოჩინული მოძრაობის შესწავლის მდგომარეობას და მის ფონზე წარმოვადგინოთ ამ მხრივ ამიერკავკასიაში არსებული ვითარების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სურათი.

როდესაც საუბარს ვიწყებთ რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერულ შესწავლაზე, პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმ უდიდეს როლს, რომელიც ამ მხრივ შეასრულეს გ. ვ. პლეხანოვის, განსაკუთრებით კი ვ. ი. ლენინის ნაშრომებმა.

პლეხანოვის იმ შრომებში, რომლებიც მიეკუთვნება 80—90-იან წლებს, თავმოყრილი და გაანალიზებულია მდიდარი მასალა რუსეთის საზოგადოებრივი მოძრაობის შესახებ

პლეხანოვმა მოგვცა ბ. გ. ბელინსკის, ა. ი. გერცენის, ნ. გ. ჩერნიშევსკის ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ღრმა მეცნიერული ახსნა. მიუხედავად „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ რიგი შეცდომებისა, რომლებმაც განაპირობეს შემდგომ ამ ჯგუფის მოღვაწეთა ჩამოცილება რევოლუციური მარქსიზმისაგან, პლეხანოვისა და მისი თანამებრძოლების ნაშრომებს 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის მარქსისტული პოზიციებიდან შესწავლის თვალსაზრისით.

90-იან წლებში უდიდესი მოვლენა იყო რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე ახალგაზრდა ვ. ი. ლენინის გამოსვლა.

ვ. ი. ლენინმა თავის პირველ ნაშრომებშივე, ერთი მხრივ, მკაცრად ამხილა ხალხოსნების თეორიულ შეხედულებათა უტოპიურობა, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითა, რომ იმ ისტორიულ ვითარებაში ამ თეორიებმა მაინც შეძლეს მოწინავე რევოლუციური როლის შესრულება.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს ხალხოსნობის ისტორიის მეცნიერული პირუთვნელობით დამუშავების საქმეს. ვ. ი. ლენინმა თავის ადრეულ ნაშრომებში „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ (1894 წ.), „გიმნაზიის მეურნეობანი და გამასწორებელი გიმნაზიები“ (1895 წ.), „ნაროდნიკული პროექტორების მარგალიტები“, „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ (1897 წ.) მოგვცა ხალხოსნობის ამომწურავი კრიტიკა და ისტორიულ ასპექტში მისი შესწავლის ბრწყინვალე მაგალითი.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად დაასაბუთა, რომ ხალხოსნების ევოლუცია რევოლუციურობიდან ლიბერალიზმისაკენ დაკავშირებული იყო იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიურ პროცესებთან, რომლებიც სოფლად მოხდა.

ხალხოსნურმა მოძრაობამ, რომელმაც მოიცვა რეფორმისშემდგომი დროის რუსეთი, მაშინვე მიიქცია რუსი და ევროპელი მკვლევრების ყურადღება. ცარიზმისა და ქვეყნად გაბა-

ტონებული სოციალურ-ეკონომიური უსამართლობის წინააღ-
მდეგ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის თავგანწირულ-
ბრძოლის ისტორიის შესწავლას მეცხრამეტე საუკუნის მეო-
რე ნახევარშივე მოჰკიდეს ხელი პროგრესულად მოაზროვნე
მკვლევრებმა. მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც რევოლუციო-
ნერ-ხალხოსნებსა და ცარიზმს შორის სამკვდრო-სასიცოცხ-
ლო ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, შეუძლებელი იყო ამ
მიმართულებით რუსეთში ფართო კვლევითი მუშაობის
გაშლა.

რუსული ხალხოსნობის ისტორიის ასე თუ ისე სრულყო-
ფილად შესწავლას ხელს უშლიდა ის მდგომარეობა, რომ
მკვლევართათვის მიუწვდომელი იყო ჟანდარმერია-პოლიცი-
ისა და სასამართლო-პროკურატურის არქივებში დაცული
რევოლუციონერთა საქმიანობის ამსახველი მასალები.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუ-
სეთში გაჩაღებული მასობრივი და საზოგადოებრივ-რევოლუ-
ციური ბრძოლის შესახებ მაინც გროვდებოდა მასალები. ბევ-
რი საინტერესო მასალა ქვეყნდებოდა რუსულ თავისუფალ
პრესაში („კოლოკოლი", „ნაროდნაია რასპრავა", „ვპერიოდ",
„ნაბატ", „ზემლია ი ვოლია", „ნაროდნაია ვოლია", „რაბოტ-
ნიკ" და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ გერცენის „კოლოკოლმა" და ლავ-
როვის „ვპერიოდმა" თავიანთ ფურცლებზე გააშუქეს 60—
70-იან წლებში საქართველოსა და ამიერკავკასიაში მომხდა-
რი მასობრივი ბრძოლის ამბები. 1865 წელს „კოლოკოლ-
ში" გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის სტატიები — „გლეხ-
თა განთავისუფლება საქართველოში" და „ივნისის დღეე-
ბი თბილისში", ხოლო პ. ლავროვის „ვპერიოდმა" სტა-
ტიების მთელი სერია მიუძღვნა 1876 წელს სამეგრელოსა და
სვანეთში მომხდარ გლეხთა აჯანყებებს. „ვპერიოდი" განაზო-
გადებს რა სამეგრელოსა და სვანეთში ხელისუფლების მიერ
ჩატარებულ სისხლიან ანგარიშსწორებათა ფაქტებს, მათ
ცარიზმის ბარბაროსობის დამახასიათებელ მოვლენებად
თვლის. „ვპერიოდი" წერდა, რომ ცარიზმის ბარბაროსობას
სვანეთში ბადალი არ მოეძებნებოდა თვით თურქეთშიც კი.

რუსეთში რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის შესწაელი-

სათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვთ ჩერნიშევსკის „სოვრემენნიკსა“ და პისარევის „რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილ სტატიებსა და წერილებს. მართალია, 60-იანი წლების შუა პერიოდისათვის რუსეთის რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენციის ამ საპროგრამო ჟურნალებს შორის გარკვეული უთანხმოება ჩამოვარდა, რომლის მიზეზი ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციური იდეებიდან ნიჰილიზმისაკენ პისარევის გადახრა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებული უსამართლო წყობილების შეცვლის მოთხოვნას ორივენი ემხრობოდნენ. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო სულისკვეთების გაღვივებისათვის. ამიტომ ამ ჟურნალებში გამოქვეყნებულ თეორიულ და სხვა ხასიათის სტატიებს გვერდს ვერ აუვლის რუს რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარი.

60—70-იან წლებში რუს რევოლუციონერთა მიმართ შემდგარი სასამართლო პროცესების ირგვლივ მრავალი საყურადღებო მასალა იბეჭდებოდა ოფიციალურ გამოცემებში („რუსკი ინვალიდი“, „სენატსკიე ვედომოსტი“, „სევერნაია ბჩელა“, „პრავიტელსტვენნიე ვესტნიკი“). აქ გამოქვეყნებულია სასამართლოს განაჩენები და სხვა ოფიციალური დოკუმენტები იშუტინელთა, ნეჩაეველთა, „50-თა“, „193-თა“ და სხვა პროცესებისა და საერთოდ რეფორმისშემდეგდროინდელი რუსეთის რევოლუციონერ-რაზნოჩინელთა ცხოვრებაში მომხდარი თვალსაჩინო მოვლენების შესახებ.

რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თეორიისა და ტაქტიკის შესწავლისას მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, შელგუნოვის, პისარევის, ბაკუნინის, ლავროვის, ტკაჩევის და სხვათა შრომებს, პროკლამაციებს, პოლიტიკურ წერილებსა და სტატიებს. მათი მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე შეუძლებელია რუსული რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ბუნების მეცნიერული ახსნა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა რუსეთში აღმავლობას განიცდიდა, გამოჩნდა პირველი სპეციალური ნაშრომები, გა-

მოკვლევები, მემუარები; ავტორები შეძლებისდაგვარად ახდენენ რუს ხალხოსანთა მოძრაობის ანალიზს და გვაწვდიან მეტად მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას.

1881 წელს ჟენევაში დაიბეჭდა რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის ი. დობროვოლსკის „სოციალისტ ნაროდნიკებისადმი“ მიძღვნილი ნაშრომი „დასასრულის დასაწყისი“.

მიუხედავად იმისა, რომ ი. დობროვოლსკის ამ ნაშრომს ნათლად ატყვია სახელმწიფოს საკითხში მ. ბაკუნინის ანარქისტული თვალსაზრისის გავლენა, რაც მკითხველისაგან კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს, იგი მაინც ძვირფასი ლიტერატურული წყაროა. ეს არის ცოცხალი მასალის საფუძველზე საინტერესოდ დაწერილი წიგნი, სადაც წამოყენებულია რიგი საყურადღებო მოსაზრებები. ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს იმ რევოლუციონერ-ხალხოსნებს, რომლებიც ვერ ხედავდნენ პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ აქვე უშვებს შეცდომას, როდესაც პოლიტიკურ ბრძოლას მხოლოდ „საუკეთესო ადამიანების“ — ინტელიგენციის — საქმედ მიიჩნევს, ხალხის მასების როლს კი გამორიცხავს.

1883 წელს ჟენევაში დაიბეჭდა კრებული, რომელშიც შევიდა ჟურნალ „ნაბატში“ 1875—1876 წლებში გამოქვეყნებული პ. ტკაჩევის სტატიები: „ნაბატის“ პროგრამა“, „ხალხი და რევოლუცია“, „ორგანიზაცია“ და სხვ. ამ სტატიებში თანამიმდევრულადაა ჩამოყალიბებული პ. ტკაჩევის შეხედულებანი შეთქმულთა ვიწრო წრის მიერ რუსეთში ხელისუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობის შესახებ. „რევოლუციონერთა ამოცანა არის, — ასკვნის პ. ტკაჩევი, — ძალდატანებით დაესხას თავს არსებულ პოლიტიკურ ხელისუფლებას ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით“[1].

1867 წლის 6 დეკემბერს პეტერბურგში ყაზანის ტაძართან მომხდარი ცნობილი დემონსტრაციისა და მუშებს შორის ხალხოსნების მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო მასალებია ბ. ვ. პლეხანოვის მოგონებებში, რომელიც პირველად 1892 წელს გამოვიდა ცალკე ბროშურად.

---

[1] П. Ткачев, Ораторы — бунтовщики, Женева, 1883, стр. 16.

თუ რა მნიშვნელობა ენიჭება „ობშჩინას“ რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაში, ამ საკითხს მიეძღვნა გ. საზონოვისა და ვ. ვორონცოვის ნაშრომები, რომლებიც 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიბეჭდა. გ. საზონოვი „ობშჩინის“ შეფასების საკითხში სლავოფილურ პოზიციებზე დგას. მისი თვალსაზრისით, ობშჩინა რუსეთის სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია, მისი სიძლიერისა და სიმტკიცის წყაროა. საზონოვის სიტყვით, „თემმა ხალხი აღზარდა ნამდვილ ქრისტიანულ საწყისებზე, შთაბერა მას ის უდიდესი პრინციპები, რომელსაც დასავლეთი ევროპა ასეთი შურით უცქერის“[1].

ვ. პ. ვორონცოვიც აიდეალებს „ობშჩინას“. მისი მტკიცებით, რუსეთისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ მან დიდხანს შემოინახა მიწათმოქმედების ობშჩინური წესი, როგორც „კოლექტიური შემოქმედების“ წყარო. ამიტომ „არავითარ შემთხვევაში არ უნდა განშორდეს რუსეთი თავის ეკონომიურ წყობას (ობშჩინურ წყობას — ზ. შ.), რომელიც უზრუნველყოფს მშრომელების დამოუკიდებელ მდგომარეობას წარმოებაში“[2].

რეფორმისშემდეგდროინდელი რუსეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარებისა და რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის სისტემატური შესწავლის თვალსაზრისით სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ნ. მიხაილოვის წინასიტყვაობით 1894 წელს გ. ელისეევის თხზულებათა კრებულის გამოსვლას. მასში შეევიდა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ისეთი მნიშვნელოვანი სტატიები, როგორიცაა „სოციალური საკითხის თეორია“, „პლუტოკრატია და მისი საფუძვლები“, „საგლეხო რეფორმა“, „შინაური მიმოხილვა“.

XIX საუკუნის რუსეთში არსებული საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და, კერძოდ, რაზნოჩინელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიის მეცნიერული დამუშავებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა

---

[1] Г. П. Сазонов, Быть или не быть общине? СПБ. 1894, стр. 86.
[2] В. П. Воронцов, Наши направления. М., 1956, стр. 143.

ვ. ბერვი-ფლეროვსკის, ვ. ბურცევის, ბ. ბაზილევსკის და სხვათა მიერ გამოცემულ ნაშრომებს.

ვ. ბერვი-ფლეროვსკის ნაშრომში საყურადღებო ცნობებია მოცემული 60-იანი წლების დამდეგს პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებისა და ხელისუფლების მიერ სტუდენტთა წინააღმდეგ მიღებული მკაცრი ღონისძიებების შესახებ. აგრეთვე ციმბირის ინტელიგენციის მოძრაობის, კარაკოზოვის გასროლის, „ხალხში გასვლისა“ და სხვა საინტერესო ამბებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 60—80-იან წლებში.

ვ. ბურცევის მიერ გამოცემულ კრებულში „ასი წლის განმავლობაში“ საინტერესო მასალებია 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული პროკლამაციების. 1862—63 წწ. ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლიას“, ნ. გ. ჩერნიშევსკის მოღვაწეობის, კარაკოზოვის გასროლის, ნეჩაეველთა ორგანიზაციის, ჟურნალების — „ვპერიოდის“, „ნაბატის“, 70-იანი წლების ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლიას“, „ნაროდნაია ვოლიას“, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დაწყების შესახებ და ა. შ. აქვე მოტანილია წერილები გერცენისა და ოგარიოვის „კოლოკოლიდან“, აგრეთვე „ველიკოროსის“, „მოლოდაია როსიას“ და სხვ. პროკლამაციების ტექსტები.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ვ. ბურცევის წიგნში გამოქვეყნებული ე. წ. „სენატის ჩანაწერები ნ. გ. ჩერნიშევსკის საქმის ირგვლივ“. აქ ბევრი მნიშვნელოვანი ცნობაა ჩერნიშევსკის ურთიერთობაზე გერცენთან, ოგარიოვთან და საერთოდ „კოლოკოლის“ გარშემო შემოკრებილ რუს ემიგრანტ-რევოლუციონერებთან. აქვე მოტანილია სრული ტექსტი „მოსკოველთა“ ორგანიზაციის აქტიური წევრის, სოფიო ბარდინას სიტყვისა, რომელიც მან „50-თა“ ცნობილ პროცესზე წარმოთქვა.

ვ. ბურცევის მიერ გაკეთებული ანალიზები და დასკვნები ჩვენთვის მიუღებელია. იგი აღნიშნულ ნაშრომში, აგრეთვე სხვა ბროშურებში ტერორის მნიშვნელობის, ინტელიგენციის როლისა და სხვა საკითხებში აშკარად იცავს ესერულ შეხედულებებს, მაგრამ მის შრომებში დაცულ ფაქტობრივ მასალას მარქსისტულ-ლენინური იდეებით შეიარაღებული მკვლევრისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ისტო-

რიული მოვლენების თავდაპირველი სახით წარმოდგენის თვალსაზრისით.

უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო 1901 და 1904 წლებში ბ. ბაზილევსკის მიერ შეკრებილი მასალების ორტომეულის გამოსვლა. პირველ ტომში საყურადღებო ცნობებია, არა მარტო რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის შესახებ საერთოდ, არამედ ამ მოძრაობაში ამიერკავკასიელი ახალგაზრდების — ვარლამ ჩერქეზიშვილის, ჯავად იშხანოვის, ამიდ ჰაჯიბეგოვის, იაკობ სარმენტოვის და სხვათა მონაწილეობაზეც.

მეორე ტომში შესული მასალებიდან აღსანიშნავია დოკუმენტები „50-თა პროცესის“ შესახებ, კერძოდ გ. ზდანოვიჩის, პ. ალექსეევის, ს. ბარდინას და ს. აგაპოვის სიტყვების ტექსტები.

ვინაიდან ბაზილევსკის ეს „კრებულები“ ოფიციალურ პრესაში დაბეჭდილი მასალებისაგან შედგება, მასში ვერ შეხვდებით რევოლუციონერთა ჩვენებებს, მიწერ-მოწერას, ბრალდების ნივთიერ მტკიცებას და ა. შ., რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ამა თუ იმ ორგანიზაციის ისტორიისა და მათი წევრების მსოფლმხედველობის სრულყოფილი გაგება-შესწავლა.

პირველი მონოგრაფია, რომელიც მიეძღვნა რუსეთში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიას, გერმანელ პროფესორ ალფონს ტუნს ეკუთვნოდა. იგი პირველად 1883 წელს გამოვიდა გერმანულ ენაზე, ხოლო შემდეგ ითარგმნა პოლონურ და რუსულ ენებზე. ამ წიგნის პირველი ორი რუსული გამოცემა (1893 და 1903 წელს) საზღვარგარეთ დაიბეჭდა, ხოლო მომდევნო 5 გამოცემა რუსეთში (1906, 1918, 1920, 1923 და 1924 წლებში).

პროფესორ ტუნის ნაშრომში რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორია გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგით მთავრდება, კერძოდ, „ჩორნი პერედელის“ ირგვლივ მსჯელობით. მაგრამ რუსულ გამოცემებში, ავტორის სიცოცხლეშივე, დამატების სახით შეტანილია დ. კოლცოვის სტატია „მოგონება 80-იან წლებზე“, აგრეთვე ი. სტეფანოვიჩის მოგონება ჩიგირინის შეთქმულების შესახებ.

პროფ. ა. ტუნს ერთნაირი სიღრმით არ აქვს გაშუქებული 50—70-იან წლებში რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ყველა საკითხი. ზოგიერთ მომენტზე ავტორის თხრობა მეტად სქემატურია. ეს იმით აიხსნება, რომ იგი ეყრდნობოდა მხოლოდ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ მასალებს, აგრეთვე ზოგიერთი რუსი რევოლუციონერის პირად მოგონებებს, რაც შეეხება საარქივო დოკუმენტებს, ისინი მკვლევრისათვის, რა თქმა უნდა, მიუწვდომელი იყო.

მიუხედავად ამისა, პროფ. ა. ტუნი რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის რიგ მომენტებს კარგად აშუქებს. ავტორი საკითხებს თანამიმდევრულად ალაგებს, ზოგჯერ მეტად საყურადღებო მოსაზრებებსაც აყენებს. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის რევოლუციური მოძრაობის რაზნოჩინულ პერიოდს ნ. გ. ჩერნიშევსკით იწყებს[1]. ავტორი გერცენს და ჩერნიშევსკის სავსებით სამართლიანად მიიჩნევს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის დამწყებებად. ეს, რა თქმა უნდა, მართებული დებულებაა, მაგრამ ა. ტუნის მიერ რაზნოჩინული მოძრაობის პერიოდის დასაწყისად 1855 წლის მიჩნევა არ არის სწორი. რაზნოჩინული მოძრაობა, როგორც ცნობილია, 1861 წლის საგლეხო რეფორმის პირდაპირ შედეგს წარმოადგენდა.

ამრიგად, პროფ. ა. ტუნმა პირველმა სცადა რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის ყამირის გატეხა. მან პირველმა გადადგა სერიოზული ნაბიჯი ამ მოძრაობის ისტორიის თანამიმდევრულად და ერთ მთლიანობაში დამუშავების თვალსაზრისით. ამაში მდგომარეობს პროფ. ა. ტუნის თვალსაჩინო დამსახურება, რასაც საბჭოთა ისტორიოგრაფია სათანადოდ აფასებს კიდეც.

ა. ტუნის აღნიშნულმა ნაშრომმა, რომელშიც ლიბერალური აზრები იყო გამოთქმული რუს ხალხოსანთა ბრძოლის შესახებ, ძლიერი რეაქცია გამოიწვია რუსეთის მმართველ წრეებში. ალექსანდრე III-ის ხელისუფლებამ გადაწყვიტა რუსი ხალხოსნების მოღვაწეობაზე თვითონ შეექმნა ისეთი მონო-

---

[1] А. Туп, История революционных движений в России, М., 1924. стр. 6.

გრაფია, რომელიც თავისი კონსერვატორული შინაარსით ერთგვარი პასუხი იქნებოდა ა. ტუნის ნაშრომზე. ასეთი ოფიციალური ნარკვევის შედგენა ჯერ დაევალა ს. ტატიშჩევს, 1883 წლის დამლევიდან კი ეს საქმე ნ. გოლიცინმა გააგრძელა. 1887 წელს მან გამოაქვეყნა ოფიციალური ნარკვევი, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების საქმიანობაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ნ. გოლიცინი რუს ხალხოსნებზე მსჯელობს ოფიციალური სულისკვეთებით. იგი ყოველმხრივ ამცირებს ხალხოსანთა ბრძოლის მნიშვნელობას, ხოტბას ასხამს რუსეთის მთავრობის ღონისძიებებს.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე ს. ტატიშჩევმაც გამოაქვეყნა ორტომიანი ვრცელი ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია იმპერატორ ალექსანდრე II-ის ცხოვრება და მოღვაწეობა. რეფორმისშემდგომი პერიოდის მოვლენები შესულია მეორე ტომში.

რუსეთის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად ს. ტატიშჩევი ვრცლად ჩერდება ე. წ. „კრამოლაზე", ანუ, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ რუსი რევოლუციონერების ბრძოლის საკითხებზე. ს. ტატიშჩევის ეს ნაშრომი თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია დამცველობითი სულისკვეთებით.

ამრიგად, XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის დამუშავების საკითხი ძირითადად შემოიფარგლებოდა ოფიციალურ პრესაში გაფანტული მასალების შეგროვება-სისტემატიზაციითა და ცალკეულ რევოლუციონერთა მოგონებების გამოცემით.

ამ პერიოდში გაუწუქებელი რჩებოდა ხალხოსნური მოძრაობის მეტად მნიშვნელოვანი მომენტები. მაგრამ ამ მხრივ რაც გაკეთდა, ისიც შორს იდგა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის მარქსისტული გაგებისაგან.

❷

1905—1907 წლების რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, რუსეთის მშრომელი მასების მძლავრი დაწოლის შედე-

გად, ცარიზმი იძულებული გახდა მკაცრ რეპრესიებთან ერთად მოქნილი პოლიტიკის გატარების გზასაც დასდგომოდა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავდა დაექსაქსა რევოლუციური ძალები, მოედუნებინა მათი ყურადღება. მიუხედავად ამისა, ოქტომბრის მანიფესტმა, რომლითაც ფორმალურად იყო აღიარებული სიტყვის, კრებების, ბეჭდვის, საზოგადოებებისა და კავშირების შექმნის თავისუფლება, პიროვნების ხელშეუხებლობა ერთგვარად გამოაცოცხლა ქვეყნად დემოკრატიული და ლიბერალური ძალები. ხალხოსნური მოძრაობის ყოფილმა მონაწილეებმა გააჩაღეს საგამომცემლო საქმიანობა, დაარსდა სტამბა-გამომცემლობები პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, დონის-როსტოვში, ციმბირში და ა. შ. დაიწყეს ძველი რევოლუციონერი ხალხოსნების — პოლიტკატორღელების მოგონებათა გამოცემა. მოგონებები იბეჭდებოდა როგორც ცალკე წიგნებად, ასევე პერიოდულ გამოცემებში.

ამ პერიოდის მრავალრიცხოვან მემუარულ მასალას ჰქონდა ერთი საერთო უარყოფითი მხარე — მასში გაიდეალებული იყო რევოლუციონერ-ხალხოსანთა, კერძოდ, ნაროდოვოლელთა ბრძოლის ტაქტიკა.

რევოლუციონერ-ხალხოსანთა მოგონებებისა და სხვა მასალების შეგროვება-გამოქვეყნების საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა ჟურნალმა „ბილოემ“. ამ ჟურნალმა 1906 წელს პეტერბურგში იწყო გამოსვლა ვ. ბოგუჩარსკისა და პ. შჩეგოლოვის რედაქციითა და ვ. ბურცევის თანამონაწილეობით. 1906—1907 წლებში „ბილოეს“ 22 ნომერი გამოვიდა.

„ბილოე“ ნაროდოვოლელთა მოღვაწეობას ერთობ აიდეალებდა. მიუხედავად ამისა, მან შემოგვინახა დიდძალი ფაქტობრივი მასალა ნაროდოვოლელთა მოღვაწეობის მთელ რიგ მნიშვნელოვან პრობლემებზე. სანიმუშოდ შეიძლება მივუთითოთ რამდენიმე მაგალითზე. როგორც თვით რევოლუციონერებისათვის, ასევე „ნაროდნაია ვოლიას“ ისტორიის მკვლევრებისათვის დიდხანს გაურკვეველი იყო 1882—83 წლებში მომხდარ მასობრივ დაპატიმრებათა მიზეზები. პოლიცია რა-

ღაც სასწაულებრივად ახერხებდა ყველაზე შენიღბულ რევოლუციონერთა შეპყრობას. რევოლუციონერებიდან არავის ეჭვი არ ეპარებოდა „ნაროდნაია ვოლიას“ საძხედრო-რევოლუციური წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ს. დეგაევის გამცემლობაში. რევოლუციონერთა წრეში იგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებში შინაურ კაცად ითვლებოდა. სინამდვილეში დეგაევი პოლიციის ფარული აგენტი იყო. ბევრი გაძოჩენილი ნაროდოვოლელი შეიწირა მსხვერპლად მისმა გამცემლობამ. დეგაევის სახელთანაა დაკავშირებული ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა თბილისის ნაროდოვოლური წრის ჩავარდნაცის რევოლუციონერები, რომლებმაც ადრევე შეიტყვეს დეგაევის გამცემლობის ამბავი, საპყრობილეებსა და კატორღებში იტანჯებოდნენ.

„ბილოეს“ 1906 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა დეგაევის ერთ-ერთი მსხვერპლის, „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ანა პრიბილევა-კორბას მოგონება — „სერგეი პეტრეს ძე დეგაევი“. იძავე ჟურნალში დაიბეჭდა სტატია სათაურით — „დეგაევშჩინა“ (მასალები და დოკუმენტები). ცოტა გვიან დაიბეჭდა დეგაევის დის ნ. პ. მაკლეცოვას პირადი მოგონება — „სუდეიკინი და დეგაევი“. მართალია, იგი ანა პრიბილევა-კორბას მოსაზრების საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ დეგაევის ღალატის შესახებ მისი ოჯახის სხვა წევრებმა არაფერი იცოდნენ, მაგრამ თვით ფაქტი დეგაევსა და პეტერბურგის საიდუმლო პოლიციის უფროსს — პოდპოლკოვნიკ სუდეიკინს შორის საიდუმლო კავშირის არსებობაზე დადასტურებული აქვს[1].

„ბილოეს“ ფურცლებზე აღნიშნული მოგონებებისა და დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ძირითადად გაირკვა 80-იანი წლების დამდეგისათვის „ნაროდნაია ვოლიას“ შიგნით მომხდარი მასობრივი ჩავარდნების ნამდვილი მიზეზი.

ასევე ბურუსით იყო მოცული „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელ კომიტეტსა და ნებაყოფლობით პოლიციურ ორგანიზაცია „სვიაშჩენნაია დრუჟინას“ შორის 1882 წლის

---

[1] „ბილოე“, 1906, № 8.

მოლაპარაკების შინაარსი. მოლაპარაკება წარმოებდა რეფორმების ჩატარების, ტერორის შეწყვეტის, ჩერნიშევსკის განთავისუფლებისა და სხვა საკითხებზე. ამ მოლაპარაკებაში აქტიური როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხოსნური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნიკო ნიკოლაძემ. მაგრამ რევოლუციონერთა წინაშე მისი ეს დამსახურება თითქმის მიჩქმალული იყო.

ამ ბუნდოვან საკითხს შუქი მოჰფინეს ჟურნალ „ბილოეს" 1906 წლის 4,9 და 10 ნომრებში გამოქვეყნებულმა მოგონებებმა და დოკუმენტებმა, რომელთა შორის აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძის მოგონება „ჩერნიშევსკის განთავისუფლება", ვ. დებაგორია-მოკრიევიჩის მოგონება „ნაროდნაია ვოლიას" აღმასრულებელ კომიტეტსა და „სვიაშჩენნაია დრუჟინას" შორის მოლაპარაკებაზე, აგრეთვე ნ. ნიკოლაძის შენიშვნებით გამოქვეყნებული კ. ბოროზდინის ჩანაწერები „სვიაშჩენნაია დრუჟინა" და „ნაროდნაია ვოლია". ეს ჩანაწერები ნათელ წარმოდგენას იძლევა „სვიაშჩენნაია დრუჟინას" შავრაზმული საქმიანობის შესახებ, ამასთანავე, მასში მოტანილია არა ერთი საინტერესო ცნობა, რომლებიც თვალსაჩინოდ ამდიდრებენ ნ. ნიკოლაძის რევოლუციურ ბიოგრაფიას.

რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაზე მოზუშავე მკვლევრისათვის დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ნეჩაევისა და ნეჩაეველთა შესახებ „ბილოეს" 1906 და 1907 წლებში გამოქვეყნებულ ისეთ მასალებს, როგორიცაა როლლი არბორეს მოგონება „სერგეი გენადის ძე ნეჩაევი", „ს. გ. ნეჩაევის დაპატიმრება ციურიხში", სტარიკის — „ს. გ. ნეჩაევი ალექსანდრეს რაველინში 1873—1883 წწ".

70-იანი წლების დამდეგს რევოლუციური წრეების „ხალხში გასვლის", „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური საზოგადოების", 70-იანი წლების ორგანიზაცია „ზემლია ი ვოლიას" ისტორიის, ამიერკავკასიელი ახალგაზრდების რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისა და სხვა საკითხების შესახებ მდიდარ მასალებს შეიცავენ იმავე 1906 წელს „ბილოეში" გამოქვეყნებული ს. სინეგუბის, სტა-

რიკის, ი. ჯაბადარის, ო. ლიუბატოვიჩის, ი. მანუჩაროვის, მ. პოპოვის, ა. ლუკაშევიჩის და სხვათა მოგონებები.

ჟურნალ „ბილოეს“ ფურცლებზე დაიბეჭდა ნ. რუსანოვის საინტერესო სტატია, რომელიც წარმოადგენს ხალხოსნური მოძრაობის იდეური საფუძვლების მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდას. ამ სტატიის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში „რუსეთის პირველი რევოლუციური ინტელიგენციის გაბატონებული მსოფლმხედველობა ხალხოსნობა იყო“. ამ თვალსაჩინო მოძრაობის დაწყებას, ავტორის სიტყვით, ნიადაგი შეუქმნა საგლეხო რეფორმის შემდგომდროინდელმა სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ, კერძოდ, გლეხთა გაღატაკებამ და მშრომელებში მღელვარების გაძლიერებამ. შემდეგ ნ. რუსანოვი მიმოიხილავს ხალხოსნობის შიგნით არსებულ მიმდინარეობებს და ჩერდება ლავრიზმის, აგრეთვე ბაკუნიზმის ანუ „ბუნტარობის“ ახსნაზე. მის ყურადღებას იპყრობს ხალხოსნების წარმოდგენა სასოფლო „ობშჩინასა“ და ტერორზე. ავტორი ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს ხალხოსანთა თვალსაზრისი ამ მხრივ.

რუსანოვი თავისი თეორიული მსჯელობის დროს დგას მცდარ, ანტიმარქსისტულ პოზიციებზე. მისი აზრით, რუსული ხალხოსნობა წარმოადგენს ისეთივე რევოლუციურ მოძღვრებას, როგორიცაა „მარქსის მოძღვრება“ და ამდენად მისი საფუძვლებიც თითქოს „ისტორიული მატერიალიზმია“; რუსანოვის სიტყვით, ხალხოსნობა, ისე როგორც მარქსიზმი, „წარმოადგენს პროდუქტს მთელი უახლოესი ისტორიული სოციალისტური თვალსაზრისისას“[1].

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა მკვლევარმა მიხეილ კონსტანტინეს ძე ლემკემ. 60—80-იანი წლების რევოლუციონერების შესახებ მან ოფიციალური წყაროებიდან, აგრეთვე პირადი არქივებიდან ამოღებული ბევრი საინტერესო მასალა გამოაქვეყნა. 1906—1907 წლებში თითქმის არ გამოსულა ჟურნალ „ბილოეს“ ისეთი ნომერი, რომელშიც მ. ლემკეს არ გამოექვეყნე-

---

[1] „ბილოე“, 1907, № 9.

ბინოს ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტები და სხვა სახის მასალა სათანადო შენიშვნებითა და ვრცელი მეცნიერული ახსნა-განმარტებებით. რა თქმა უნდა, მ. ლემკეს თეორიული მსჯელობა შორდება მარქსისტულ თვალსაზრისს, მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტობრივ მასალას უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

1908 წელს გამოქვეყნდა მ. ლემკეს საყურადღებო ნაშრომი, რომელიც 60-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის საკითხებს ეხება. მას დამატების სახით ერთვის ავტორის მიერ კომენტირებული, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალები 60-იანი წლების დამდეგის სტუდენტთა მღელვარებების, ემიგრაციასა და რუსეთში მყოფ რევოლუციონერებს შორის მიმოწერის შესახებ და ა. შ.

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ოფიციალურმა ისტორიულ-ლიტერატურულმა ჟურნალმა „ისტორიჩესკი ვესტნიკმაც“ დაიწყო მოგონებების გამოქვეყნება. თუმცა „ბილოესთან“ მისი შედარება არ შეიძლება. „ისტორიჩესკი ვესტნიკი“ წერდა მორიდებულად, თითქოს ხარკს უხდიდა რაზნოჩინელ-რევოლუციონერთა მოძრაობის ისტორიას. მიუხედავად ამისა, მის ფურცლებზე მაინც პოვა ადგილი ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა მოგონებამ. ამ მხრივ აღსანიშნავია ი. ხუდიაკოვის, ნ. ფირსოვის (რუსკინი), ა. ხარლამოვის, ა. რემბელინსკის მოგონებები 60-იანი წლების სტუდენტთა მღელვარებების, რევოლუციური პროკლამაციების, ჩერნიშევსკის და ლავროვის რევოლუციური მოღვაწეობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

რუსეთის რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის დამუშავებისათვის სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალ „რუსკაია მისლში“ ვ. ბოგუჩარსკის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიების სერიას და მანამდე უცნობ დოკუმენტებს, რომლებიც ნაროდოვოლელთა ბრძოლას ეხება, საერთო სათაურით: „80-იანი წლების პოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან“.

1906 წელს დონის როსტოვში გამოიცა ვ. ბოგუჩარსკის თვალსაჩინო ნაშრომი „70-იანი წლების რევოლუციური ჟურ-

ნალისტიკა". მასში ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა დალაგებული არალეგარული რევოლუციური გამოცემების „ნაჩალოს", „ზემლია ი ვოლიას", „ლისტოკ ზემლი ი ვოლის" ნომრები, აგრეთვე 1878 წელს გამოსული „ლეტუჩი ლისტის" ერთი ნომერი. ასეთივე ხასიათის ნაშრომია 1907 წელს გამოქვეყნებული კრებული „სახელმწიფო დანაშაულებანი რუსეთში XIX საუკუნეში", რომელშიც ავტორმა შეიტანა 70-იანი წლების დასასრულისა და 80-იანი წლების დასაწყისის რევოლუციური ორგანიზაციის „ნაროდნაია ვოლიას" მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული არალეგარული გაზეთების, პროკლამაციების, მოწოდებების გადარჩენილი ტექსტები და სხვა პერიოდული გამოცემები.

1906 წელს გამოვიდა ვ. ბოგუჩარსკის დასახელებული კრებულის ახალი გამოცემა. ამჯერად ვ. ბოგუჩარსკის ორტომეულს მიემატა მესამე ტომიც, რომელშიც შევიდა „193-თა" პროცესის სხდომის ოქმები და საბრალდებულო დასკვნა, აგრეთვე განაჩენის ტექსტი და სხვა საინტერესო მასალა, რომლებიც პირველ ორ ტომში არ ყოფილა შეტანილი.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის მომდევნო წლებში გამოვიდა ბურჟუაზიული მიმართულების ისტორიკოსების ა. კორნილოვის, ბ. გლინსკისა და სხვ. ნაშრომები

ა. კორნილოვის „რუსეთის ისტორიის კურსის" მეორე და მესამე ტომებში გადმოცემულია რუსეთის რევოლუციურ-ხალხისნური მოძრაობის მოკლე ისტორია. მასში, როგორც განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომში, ძირითადად მოცემულია ზოგადი დასკვნები და მსჯელობანი. იგი ღარიბია ფაქტობრივი მასალებით, არაფერია ნათქვამი ამიერკავკასიელ ხალხოსან-რევოლუციონერთა შესახებ.

რაც შეეხება ბ. გლინსკის ორტომეულს „რუსეთის ისტორიის რევოლუციური პერიოდის შესახებ", მასში მეტი რაოდენობით ვხვდებით ცნობებს 60—70-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ქართველი და სომეხი ახალგაზრდების მონაწილეობაზე.

რევოლუციამდელ რუსეთში მოღვაწე ისტორიკოსებიდან მხოლოდ მ. პოკროვსკიმ მოჰკიდა ხელი ხალხისნობის ისტორიის მარქსისტული პოზიციებიდან შესწავლის საქმეს.

ვ. ი. ლენინის უშუალო მხარდაჭერით მ. პოკროვსკიმ პირველმა დაიწყო რუსეთის ისტორიის მარქსისტული დამუშავება და აქტიური ბრძოლა გააჩაღა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ.

1914 წელს გამოვიდა მე-5 ტომი მ. პოკროვსკის ნაშრომისა „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან", რომლის მე-9 და მე-10 წიგნები მიძღვნილი იყო მე-19 საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობისადმი. რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის რიგი პრობლემების ახსნა, რომელსაც პოკროვსკი იძლევა, ძირფესვიანად განსხვავდებოდა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ისტორიკოსების კონცეფციისაგან. მასში ფაქტობრივი მასალები გააზრებული იყო მარქსიზმის პოზიციებიდან. მეფის „ოხრანკამ" ხელისუფლებისათვის საშიშ მოვლენად მიიჩნია მ. პოკროვსკის ნაშრომის გამოსვლა. მოსკოვის სასამართლო პალატამ დაადგინა მე-5 ტომის მე-9 და მე-10 წიგნების მოსპობა. ეს გადაწყვეტილება 1914 წლის 11 იანვარს დაამტკიცა მოსკოვის სასამართლო პალატის სენატმა.

წიგნში მოტანილი მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალების სწორი გაანალიზების საფუძველზე პოკროვსკი ააშკარავებდა რუსეთის ცარიზმის უხეშ დესპოტიზმს. როგორც სენატის აღნიშნულ გადაწყვეტილებაში იყო ნათქვამი, მ. პოკროვსკის ნაშრომში ნათლად იგრძნობოდა „უხეში უპატივცემლობა უმაღლესი ხელისუფლების მიმართ". მისი შრომებისათვის დამახასიათებელი იყო „რევოლუციონერებისადმი თანაგრძნობა და მოწოდება ტერორისაკენ (იგულისხმება რევოლუციური ბრძოლა — ზ. შ.) რუსეთში არსებული წესწყობილების დასამხობად"[1].

ამრიგად რევოლუციამდელი რუსეთის ისტორიოგრაფიაში ხალხსნობის ირგვლივ გამოსული ლიტერატურის მიმოხილვა შეიძლება ასე შევაჯამოთ:

მე-19 საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველი ათეული წლებისათვის, როდესაც რუსეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო

---

[1] ჟურნ. „კრასნი არხივ", 1932, № 3, გვ. 28—29, 31.

ქვეყნის შესვლა იმპერიალიზმის ეპოქაში, უაღრესად გამწვავდა სოციალური წინააღმდეგობანი, რაც ნათლად გამოვლინდა რევოლუციამდელ რუსეთში მომხდარ ცნობილ კლასობრივ შეჯახებებში. ამ ვითარებაში უაღრესად გაძლიერდა ინტერესი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო პრობლემებისადმი, მათ შორის ხალხოსნური მოძრაობისადმი.

ის ლიტერატურა, რომელიც ხალხოსნობაზე გამოქვეყნდა რევოლუციამდელ რუსეთში, შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ.

პირველ ჯგუფს ვაკუთვნებთ იმ ნაშრომებს, რომელთა ავტორები თვითონ იყვნენ ხალხოსნური მოძრაობის შეტ-ნაკლებად აქტიური მონაწილენი (ნ. იადრინცევი, ი. დობროვოლსკი, ე. ბურცევი, ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკი, მ. ბაკუნინი, პ. ლავროვი, პ. ტკაჩევი, ვ. ვორონცოვი, ვ. ბერვი-ფლეროვსკი, გ. საზონოვი, ვ. ვორონცოვი და სხვ.) ესენი, ცხადია, დადებითად აფასებდნენ და ხშირ შემთხვევაში აიდეალებდნენ კიდეც რუსი ხალხოსნების ბრძოლის ისტორიას.

მეორე ჯგუფში შეგვყავს ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების მკვლევრები: ა. ტუნი, მ. ლემკე, ვ. ბოგუჩარსკი (ბ. ბაზილევსკი), ა. კორნილოვი, ბ. გლინსკი და სხვ. მათ თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით რუსული ხალხოსნობის შესახებ არსებული მასალების შეკრება-სისტემატიზაციისა და ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის თანამიმდევრობით გადმოცემის საქმეში. თუმცა თავიანთი კლასობრივი შეზღუდულობის გამო მათ ვერ მოგვცეს და არც შეეძლოთ მოეცათ რუსული ხალხოსნობის სწორი მეცნიერული შეფასება.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნებიან დამცველობითი მიმართულების ისტორიკოსები — ნ. გოლიცინი, ს. ტატიშჩევი, ა. გეორგიევსკი და სხვ. ისინი იცავდნენ თვითმპყრობელობისა და უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესებს, გულდაგულ ჩქმალავდნენ და ჩირქს სცხებდნენ ხალხოსნების გმირულ ბრძოლას. ამასთან, ხოტბას ასხამდნენ და ყოველმხრივ ამართლებდნენ ხელისუფლების მიერ რევოლუციონერთა წინააღმდეგ გატარებულ მკაცრ ღონისძიებებს.

მეოთხე ჯგუფში მ. პოკროვსკის ნაშრომები შედის. მ. პოკროვსკიმ პირველმა სცადა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან რეფორმისშემდგომი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გაშუქება, რაც რუსული ისტორიოგრაფიის წინაშე პოკროვსკის დიდი დამსახურება იყო.

2. საბჭოთა ისტორიოგრაფია ხალხოსნობის შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას. რევოლუციამ შექმნა ყოველგვარი პირობა ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების სწრაფი განვითარებისათვის. ფართოდ გაეხსნა გზა მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას.

რევოლუციამ ხელმისაწვდომი გახადა საარქივო ფონდები, რომლებშიც დაცული იყო მასალები რუსეთის ხალხთა მოწინავე შვილების რევოლუციური ბრძოლის შესახებ, იწყო გამოსვლა სპეციალურმა კრებულებმა და ჟურნალებმა, რომლებშიც სისტემატურად ქვეყნდებოდა მანამდე უცნობი საარქივო დოკუმენტები, იბეჭდებოდა ძველი რევოლუციონერების მოგონებები, ჩანაწერები, ნარკვევები, სტატიები და ა. შ.

ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერით 1921 წლიდან გამოსვლა დაიწყო ყოფილი პოლიტიკური კატორღელებისა და გადასახლებულთა ჯგუფის პერიოდულმა გამოცემამ „კატორგა ი სსილკა“. მასში სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მონაწილეთა პირადი მიმოწერები და სხვა სახის მასალები.

რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარს, უაღრესად თვალსაჩინო მასალების პოვნა შეუძლია გამოჩენილი რაზნოჩინელი რევოლუციონერების ფ. კონის, ა. შესტერის, ვ. ფიგნერის, ლ. დეიჩის, ა. იაკიმოვას, ა. პრიბილევის, ს. ლიონის და სხვა ხალხოსანთა მოგონებებში, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა „კატორგა ი სსილკას“ ფურცლებზე. იქვე დაიბეჭდა ბ. კოზმი-

ნის, ვ. ბოჩკაროვის და სხვათა სტატიები, საარქივო დოკუმენტები, რევოლუციონერების ბიოგრაფიები.

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჟურნალ „კრასნი არხივში“ გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებს.

„კრასნი არხივში“ დაბეჭდილი მასალები მრავალფეროვანია. ისინი მოიცავენ 60—80-იანი წლების რევოლუციონერი დემოკრატების, ლიბერალური ხალხოსნებისა და სხვა მოღვაწეთა ცხოვრება-საქმიანობას. „კრასნი არხივის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რევოლუციონერთა პირადი წერილები და სხვა დოკუმენტები საყურადღებო ცნობებს შეიცავენ „193-თა“ პროცესის მონაწილეთა მუშაობის, „ზემლია ი ვოლიას“, „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის ისტორიის, ხალხოსანი მიშკინის მიერ ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების ცდისა და სხვა საკითხების შესახებ.

1924—1926 წლებში გამოდიოდა „ისტორიკო-რევოლუციონნი სბორნიკი“, რომელიც აგრეთვე ხშირად ბეჭდავდა სტატიებს, მოგონებებსა და სხვა სახის მასალებს რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ცალკეული მონაკვეთების შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია ო. აპტეკმანის ნარკვევი-მოგონება. ავტორი მიუთითებს 60—70-იანი წლების ხალხოსნებს შორის იდეურობისა და პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობაში ერთიანობის არსებობაზე, ვრცლად ეხება სტუდენტთა მღელვარებებს, 70-იანი წლების „ზემლია ი ვოლიას“ მოღვაწეობას და ა. შ.

აღნიშნული კრებული სერიოზულ ყურადღებას უთმობდა აგრეთვე რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შორის რევოლუციონერი ხალხოსნების მოღვაწეობის, მუშათა პირველი მოძრაობების, ხალხოსნების რიგებიდან გამოსული პირველი მარქსისტების საქმიანობისა და სხვა საკითხების გაშუქებას.

რუსეთის ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იმ მდიდარ მასალებს, მოგონებებს, სტატიებსა და ა. შ., რომლებიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალებში: „პროლეტარსკაია რევოლუცია“, „ბორბა კლასოვ“, „ისტორიკ-მარქსისტ“, „ლიტერატურნოე ნასლედსტვო“ და სხვ.

აღსანიშნავია „ისტორიკ-მარქსისტში“ გამოქვეყნებული ვ. ნევსკის სტატია 70-იანი წლების მუშათა მოძრაობისა და მასთან რევოლუციონერი ხალხოსნების კავშირის შესახებ; ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხალხოსნები, მართალია, გლეხობას თვლიდნენ რევოლუციის ძირითად მამოძრავებელ ძალად, მაგრამ არ უარყოფდნენ მუშათა კლასის მნიშვნელობასაც. მათი რევოლუციური აგიტაცია ფაბრიკა-ქარხნებსაც სწვდებოდა.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი მამამთავრის ნ. გ. ჩერნიშევსკის შესახებ „ისტორიკ-მარქსისტმა“ საყურადღებო მასალები და სტატიები გამოაქვეყნა 1928 წელს, მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდო „ლიტერატურნოე ნასლედსტვომ“ 60-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას. მან გამოაქვეყნა გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვა რევოლუციონერთა წერილები, საარქივო მასალები და სხვა დოკუმენტები.

მართალია, ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ წლებში პერიოდულ ორგანოებში სერიოზული ხასიათი ჰქონდა ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესახებ სხვადასხვა ხასიათის მასალების ბეჭდვას, მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო საკმარისი ხალხოსნობის საფუძვლიანი შესწავლისათვის. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე ფართოდ გაიშალა საგამომცემლო მუშაობა. იბეჭდებოდა 60—80-იანი წლების რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მონაწილეთა მ. ანტონოვიჩის, ო. აპტეკმანის, ვ. ბუხის, ე. დებაგორია-მოკრიევიჩის, ლ. დეიჩის, ფ. კონის, პ. კროპოტკინის, გ. ლოპატინის, ნ. მოროზოვის, ა. პრიბილევის, ა. პრიბილევა-კორბას, ლ. პანტელეევის, ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკის, ვ. ფიგნერის, ნ. ჩარუშინის, ს. შვეცოვის და სხვათა ვრცელი მოგონებანი; აგრეთვე სახელმწიფო არქივსაცავებსა და პირად არქივებში დაცული დოკუმენტების კრებულები, სასამართლო პროცესების მასალები და სხვა პირველწყაროები, რომელთა

გამოუყენებლად რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლა შეუძლებელია.

რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1928—1931 წლებში სპეციალური სამტომეული კრებულის გამოცემას. იგი გამოვიდა „ნაროდნაია ვოლიას“ 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. ძველი რევოლუციონერების — ა. იაკიმოვა-დიკოვსკაიას, მ. ფლორენკოს, ი. პოპოვის, ნ. რავიტნიკოვის და ვ. ლეონოვიჩ-ანგარსკის რედაქტორობითა და სხვა ყოფილი ნაროდოვოლელების უშუალო მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ „კრებულში“ გამოქვეყნებული მოგონებების ავტორები არ კმაყოფილდებიან მოვლენების უბრალო აღწერით, არამედ სათანადო ანალიზს უკეთებენ და ზოგჯერ კრიტიკულადაც უდგებიან იმ წრეების საქმიანობას, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. მოროზოვის, ა. პრიბილევა-კორბას, ნ. ივანოვსკაიას, ვ. ლებედევის, ნ. კოგან-ბერშტეინის, ლ. ზალკინდის და სხვათა მოგონებები.

მართალია, ყოფილი რევოლუციონერ-ხალხოსნების პირადი მოგონებების გამოცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შეუძლებელია არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება: მემუარული ლიტერატურის ავტორები უმრავლეს შემთხვევაში აიდეალებდნენ ხალხოსნებისა და, კერძოდ, ნაროდოვოლელების მოღვაწეობას.

ამ მოგონებებს წითელ ზოლად გასდევს პოლიტიკური ბრძოლის საკითხში ნაროდოვოლური შეხედულების აღიარება ერთადერთ სწორ შეხედულებად. ამით ისინი ამცირებდნენ პროლეტარიატისა და მისი მეცნიერული მოძღვრების— მარქსიზმის მნიშვნელობას მასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის საქმეში.

20—30-იან წლებში მასალების დაგროვებასთან ერთად ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა გაჩაღდა რუსული ხალხოსნობის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მარქსისტ-ისტორიკოსთა მთელი თაობა. მათ, სხვა საკითხების გაშუქებასთან ერთად, სერიოზულად მოჰკიდეს ხელი რუსული ხალხოსნობის მეცნიერულ დამუშავებასაც. მ. ოლმინსკი, ვ. ნევსკი, ვ. ვოროვსკი,

ემ. იაროსლავსკი, მ. პოკროვსკი, მ. ნეჩკინა, ბ. კოზმინი და სხვ. ეყრდნობოდნენ რა ხალხოსნობის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემულ სახელმძღვანელო დებულებებს, სწორი მეცნიერული თვალსაზრისით აშუქებდნენ ხალხოსნური მოძრაობის ისტორიას.

აღნიშნულ ისტორიკოსთა ნაშრომებში ლენინური თვალსაზრისით იყო გაგებული ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატთა ხალხოსნური მსოფლმხედველობა. მათი აზრით, ნ. გ. ჩერნიშევსკი, როგორც გლეხური რევოლუციის იდეოლოგი, გავლენას ახდენდა არა მარტო 60-იანი წლების ახალგაზრდათა რევოლუციურ ჯგუფზე, არამედ იგი იყო საერთოდ ხალხოსნური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომ „ხალხოსნური მოძრაობის მთელმა პერიოდმა ჩერნიშევსკის უდიდესი იდეური გავლენის ქვეშ ჩაიარა“[1].

20—30-იანი წლების დამდეგის ისტორიკოსები, გამოდიოდნენ რა ლენინური მითითებებიდან, თვლიდნენ, რომ ჩერნიშევსკის მოძღვრება გლეხური რევოლუციის შესახებ, იმ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც რუსეთში ჯერ კიდევ არ არსებობდა შეტ-ნაკლებად თვალსაჩინო მუშათა მოძრაობა, უაღრესად რევოლუციური მოძღვრება იყო. სწორედ ამიტომ ჩერნიშევსკის რევოლუციურმა-ხალხოსნურმა იდეებმა, „რომლებიც ეპოქის მოთხოვნილებებს შეესაბამებოდნენ, რუსეთში ჯერ კიდევ მარქსიზმის განმტკიცებამდე დაიპყრეს ახალგაზრდობის გონება“[2]. ისინი მიუთითებდნენ, რომ ხალხოსნები არა მარტო გლეხებში ეწეოდნენ პროპაგანდისტულ საქმიანობას, არამედ რევოლუციურ იდეებს ავრცელებდნენ ჯარის ნაწილებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, ფაბრიკა-ქარხნების მუშებში. მათი შეხედულებით, ხალხოსნურმა იდეებმა ჩაგრული კლასის ყველა კატეგორიაში პოვა ნოყიერი ნიადაგი. მ. ოლმინსკის სიტყვით, ხალხოსნების მსოფლმხედველობისა და რევოლუციურ-პრაქტიკული საქმიანობის „დაღი გარკვეულად ამჩნევია იმ ეპოქის მთელს პოლიტიკურ აზროვნებას“.

---

[1] См. Ярославский, Чернышевский Николай Гаврилович, М., 1928, стр. 35.

[2] „Правда“, 1928, № 265.

20—30-იანი წლების პირველი ნახევრის ისტორიკოსები იდგნენ რა ლენინურ დებულებებზე ხალხოსნური თეორიების პროგრესულობის საკითხში, არც იმას ივიწყებდნენ, რომ ვ. ი. ლენინი დაუხდობლად აკრიტიკებდა ხალხოსნური მსოფლმხედველობის უარყოფით მხარეებს. ისინი თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ ხალხოსნობის შესწავლას ყველა მისი დადებითი და უარყოფითი მხარის გათვალისწინებით. ამის შესახებ მ. ოლმინსკი წერდა: „პატივი უნდა ვცეთ 70-იანი წლების ხალხოსნური მოძრაობის მოღვაწეებს, უნდა ვაღიაროთ მათი უდიდესი დამსახურება რუსეთის დემოკრატიის წინაშე, მაგრამ ჩვენ ცუდ სამსახურს გავუწევთ ხალხოსნების ისტორიული როლის შეფასებას, თუ არ დავინახავთ უარყოფით მხარეებსა და შეცდომებს მათს პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში"[1].

20—30-იანი წლების პირველი ნახევრის მარქსისტ-ისტორიკოსთა აზრით, ძირფესვიანად ცდებოდა ის, ვინც პრინციპულ დაპირისპირებას ხედავდა 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა თეორიულ შეხედულებებს შორის. მათი თვალსაზრისით, ამ პერიოდის მოღვაწეები რევოლუციონერთა ერთ თაობას წარმოადგენდნენ. მათი შეხედულებების საერთო შინაარსი გლეხური რევოლუციის იდეა იყო. აკადემიკოს მ. პოკროვსკის აზრით, 60—70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობა განხილულ უნდა იქნეს როგორც ერთი მთლიანი მიმდინარეობა.

მ. პოკროვსკი, ვ. ნევსკი, მ. ოლმინსკი და 20—30-იანი წლების პირველი ნახევრის სხვა ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ რუსი მარქსისტები იყვნენ არა მარტო 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატთა, არამედ რევოლუციონერ-ხალხოსანთა მემკვიდრენიც. ვ. ნევსკი წერდა: „60—70-იანი წლების რევოლუციონერთა მიერ დატოვებული საუკეთესო, სამდვილად რევოლუციური იდეალებისა და ტრადიციების ერთგული დამცველნი სწორედ კომუნისტი-ბოლშევიკები იყვნენ"[2].

1928 წელს ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადების 100 წლისთავ-

---

[1] М. Ольминский, Статьи о Щедрине, М., 1930, стр. 4.

[1] ჟურნ. „ლიტერატურნოე ნასლედსტვო", 1932, გვ. 75.

თან დაკავშირებით გამოცემულ იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული თეზისები. ამ თეზისებმა თვალსაჩინო გარკვეულობა შეიტანეს ნ. გ. ჩერნიშევსკის, როგორც რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის დამწყების, მეცნიერულად შეფასების საქმეში. დიდი ისტორიული მოვლენა იყო აგრეთვე „ნაროდნაია ვოლიასადმი" მიძღვნილი 1930 წლის საკავშირო კონფერენცია. დისკუსიის მსვლელობაში უკუგდებულ იქნა ხალხოსანთა როგორც შეუფასებლობის, ასევე გაიდეალების ცდები, რასაც მანამდე ჰქონდა ადგილი ზოგიერთი ისტორიკოსის ნაშრომში. კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი ხალხოსნობის ისტორიის მეცნიერული დამუშავების შემდგომი გაფართოებისათვის[1].

ამ ღონისძიებების გატარებით დაისახა ფართო პერსპექტივები რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ახალი ძალით გაშლისათვის.

მაგრამ ხალხოსნობის ისტორიის ობიექტურობით შესწავლა 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ფაქტიურად შეწყდა.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ახალი პერიოდი დაიწყო. ფართო ხასიათი მიიღო ხალხოსნობის შესახებ მამხილებლური ნაშრომების გამოსვლამ. ლენინის მითითებათა საწინააღმდეგოდ, მკვლევრებმა იწყეს ხალხოსნობის რევოლუციურ დამსახურებათა მიჩქმალვა. ლენინის მიერ ლიბერალური ხალხოსნობის რეაქციული თეორიის კრიტიკა მკვლევრებმა ხელაღებით გაავრცელეს რევოლუციურ ხალხოსნობაზეც, რასაც შედეგად მოჰყვა ფაქტებისა და მოვლენების ისტორიულ ასპექტში შესწავლის ლენინური პრინციპების დარღვევა. მეცნიერული კვლევის მაგივრად სუბიექტივიზმი და დოგმატიზმი მკვიდრდება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ხალხოსნების შესახებ გამოსული ნაშრომების კრიტიკას, რადგანაც მათზე ბევრი დაიწერა, აღინიშნა თეორიულ კონფერენციებსა და დისკუსიებზე და, რაც მთავარია, მაშინდელ ავტორთა უმრავლესობა დღეს უკვე აღარ იცავს ძველ მოსაზრებებს. მათზე ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში მივუთი-

---

[1] ჟურნ. „ვოპროსი ისტორიი", 1960, № 2, გვ. 211.

თებთ, როდესაც ჩვენი პოზიტიური აზრების გადმოცემა ამის საჭიროებას მოითხოვს.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან არსებითი შემობრუნება მოხდა ხალხოსნობის ისტორიული დამსახურების ობიექტურად შესწავლის თვალსაზრისით. ცენტრალურმა პერიოდულმა გამოცემებმა თავიანთ ფურცლებზე ვრცლად დაუთმეს ადგილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის, მათ შორის ხალხოსნობის ისტორიის, ლენინურ მითითებათა მიხედვით გაშუქებას. ამ მხრივ უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის მოვლენა იყო ი. პოლევოის, კ. კუზნეცოვის, რ. კონიუშნაიას და სხვ. თეორიული სტატიები, აგრეთვე სადისკუსიოდ გამოქვეყნდა მ. კოზმინის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები.

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის დამუშავებასთან დაკავშირებით ღრმა თეორიული მნიშვნელობის საკითხები იქნა დაყენებული პ. ტკაჩენკოს, ნ. პირუმოვას, ვ. ალტმანის და სხვა ავტორების სტატიებში, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა.

ეს სტატიები, რომლებიც ავტორთა მიერ გამოვლინებულ ახალ მასალებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით დაიწერა, საშუალებას გვაძლევენ ახლებურად და სწორად გავაშუქოთ 60—70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის არაერთი საკვანძო საკითხი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში რუსული რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლასთან ერთად გამოცოცხლდა მუშაობა ყოფილი რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესასწავლადაც მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან.

როდესაც საუბარია იმ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე, რომელიც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაიშალა 50-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ცენტრალური ჟურნალების ფურცლებზე გაშლილ დისკუსიას, რომელიც 1959 წლის ოქტომბერში ხალხოსნობის შესახებ მოსკოვში ჩატარებული საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ი. პოლევოის მოხსენება „კ. მარქსი, ფ. ენგელსი და რევოლუციური ხალხოსნობა“ და მ. სედოვის „ვ. ი. ლენინი რევოლუციური ხალხოსნობის შესახებ“. მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის გამოჩენილმა საბჭოთა მკვლევრებმა შ. ლევინმა, ი. კოვალჩენკომ, ბ. იტენბერგმა, ი. ლინკოვმა, ვ. ტვარდოვსკაიამ, ე. ვილენსკაიამ, ე. ოლხოვსკიმ, ს. ვოლკმა და სხვ. მოსკოვის კონფერენციამ მისცა „შემოქმედებითი იმპულსი ისტორიკოსებს, რომლებიც სწავლობენ რევოლუციურ ხალხოსნობას“[1].

მოსკოვში ჩატარებული აღნიშნული საკავშირო კონფერენციის გამოძახილი იყო 1962 წლის ივნისში ქ. ნალჩიკში მოწვეული სამეცნიერო კონფერენცია. იგი მიეძღვნა რუსეთსა და კავკასიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი საზოგადოებრივი მოძრაობის საკითხებს. კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს სპეციალურად ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევრებმა ბ. იტენბერგმა, ე. ვილენსკაიამ, ვ. ტვარდოვსკაიამ, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა მეცნიერებმა. ნალჩიკის სამეცნიერო კონფერენციამ დიდი როლი შეასრულა ნაციონალურ რაიონებში ხალხოსნობის ისტორიის სწორი მეცნიერული შესწავლის საქმეში.

იმავე ხანებში „ვოპროსი ლიტერატურის“, „ვოპროსი ისტორიის“ და სხვა ჟურნალების ფურცლებზე ფართოდ გაიშალა დისკუსია, რომელიც დაიწყო პ. ტკაჩენკოსა და ბ. კოზმინის სტატიების გამოქვეყნებით. ეს დისკუსია ფაქტიურად ახლაც გრძელდება.

ხალხოსნობის ირგვლივ ჩატარებულმა სამეცნიერო კონფერენციებმა და დისკუსიამ უდიდესი შედეგი გამოიღეს რევოლუციონერ-ხალხოსანთა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის მეცნიერული ობიექტურობით შეფასების თვალსაზრისით, გამოაშკარავებულ იქნა „ძირფესვიანად მცდარი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, თითქოს რევოლუციური იყო ხალხოსნობის პრაქტიკული მოღვაწეობა და არა თეორია. „მემკვიდრეობის“ შესახებ ლენინური მოძღვრების ანალიზმა

---

[1] „ვოპროსი ისტორიი“, 1960, № 2, გვ. 217—218.

და ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლამ ნათელი გახადა, რომ რევოლუციური ხალხოსნობის თეორია, რომელიც ასახავდა ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლას, თავის დროზე პროგრესული და რევოლუციური იყო"[1].

სამეცნიერო კონფერენციებმა და დისკუსიებმა დასახეს ახალი პერსპექტივები როგორც რუსული, ისე ამიერკავკასიის რაზნოჩინულ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შემდგომი მეცნიერული ობიექტურობით შესწავლის საქმეში.

* * *

ხალხოსნური მოძრაობის მეცნიერული შესწავლის მიზნით ჩვენს ქვეყანაში გაშლილი მუშაობის პარალელურად, უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთელმა ისტორიკოსებმაც თვალსაჩინოდ გაამახვილეს ყურადღება რუსული ხალხოსნობისა და რუსეთში მარქსიზმის გავრცელების საკვანძო საკითხებზე. ამ მხრივ სათანადო მუშაობას ეწევიან პოლონელი, იტალიელი, დასავლეთგერმანელი, ინგლისელი, ამერიკელი, უნგრელი და სხვა ისტორიკოსები.

დასავლელი მკვლევრებიდან თავიანთი არაობიექტურობითა და ანტიმეცნიერული მიდგომით გამოირჩევიან ამერიკელი, ინგლისელი და დასავლეთგერმანელი ისტორიკოსები — დ. შაპირო, რ. პაიპსი, ფ. სტეპუნი, ე. ლამბერტი, ა. უილიამსი, ი. ბერლინი, ვ. პიროჟკოვა, გ. კოულა, ჰ. კონი და სხვ. ისინი, ერთი მხრივ, ცდილობენ მიჩქმალონ რუსული რევოლუციური ხალხოსნობის გამოჩენილ იდეოლოგთა შეურიგებლობა ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, შეგნებულად ამცირებენ ხალხოსნობის, კერძოდ, ლიბერალური ხალხოსნობის დოქტრინებზე მარქსიზმის გამარჯვების მნიშვნელობას. ასე მაგალითად, რიჩარდ პაიპსი თავის ნაშრომებში ცდილობს „დაასაბუთოს". თითქოს, ფ. ენგელსი მკაცრად აკრიტიკებდა პლეხანოვს ხალ-

---

1 Советская историческая наука от XX к XXII съезду КПСС, М., 1962 г., стр. 262—263.

ხოსნობის წინააღმდეგ დაუნდობლად გალაშქრების გამო[1]. რ. პაიპსის ასეთი „მტკიცების“ მიზანია დაამციროს რუსი მარქსისტების, კერძოდ, გ. ვ. პლეხანოვისა და „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრთა მიერ ხალხოსნური დოქტრინების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა და ამით ძირი გამოუთხაროს საყოველთაო აღიარებულ დებულებას იმის შესახებ, რომ რუსეთში მარქსიზმი განმტკიცდა 80—90-იანი წლების ხალხოსანთა თეორიული დოქტრინების განადგურების შედეგად.

რევოლუციურ რუსეთში იდეური ბრძოლის სურათს გულდაგულ ამახინჯებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ლექტორი ალენ უილიამსი. იგი ეძებს იმის მიზეზებს, თუ რატომ გაიმარჯვა რუსეთში მარქსიზმმა 90-იანი წლების ხალხოსნებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ა. უილიამსი, ისე როგორც ბევრი სხვა დასავლელი ისტორიკოსი, ცდილობს დაამციროს ხალხოსნების იდეალისტურ დოქტრინებზე მარქსიზმის გამარჯვების მნიშვნელობა. იგი დუმს ვ. ი. ლენინის „უდიდეს დამსახურებაზე ხალხოსნობის იდეურ განადგურებაში და ლენინის სახელსაც კი სხვათა შორის იხსენიებს“[2].

რაც შეეხება დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიკოსებს, ჰ. კონს, ი. ბერლინს, ვ. პიროჟკოვას, ე. ლამბერტს, ფ. სტეპუნს, გ. კოულას და სხვ., რომლებიც თავიანთ ნაშრომებში სპეციალურად ეხებიან რა რუსული ხალხოსნობის ერთ-ერთი იდეოლოგის ა. გერცენის მსოფლმხედველობას, გულდაგულ აფუჩეჩებენ მის რევოლუციურ-დემოკრატობას და მას ახასიათებენ როგორც წმინდა წყლის ლიბერალს. ისინი ყველანი ხელს აწერენ ა. გერცენის ასეთ უხამს დახასიათებას: „გერცენი მტერია არა მარტო თვითმპყრობელობის, არამედ რევოლუციური კომუნიზმისაც“[3].

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესასწავლად სერიოზულ მუშაობას ეწევიან იტალიელი ისტორიკოსები — ფრანკო ვენტური, ჯულიანო პროკაჩი, ჯუ-

---

1 Журн. «История СССР», 1962, № 4, стр. 210—214.
2 «История СССР», 1962, № 1, стр. 201.
3 «История СССР», 1962, № 4, стр. 205.

ზეპე ბერტი და სხვ. ამათგან სპეციალურად რუსული ხალხოსნობის ისტორიაზე მუშაობს ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი ფ. ვენტური.

საბჭოთა და იტალიელი ისტორიკოსების ერთობლივ კონფერენციაზე მოსკოვში 1964 წლის 12—14 ოქტომბერს, აგრეთვე აკადემიკოს ნ. მ. დრუჟინინთან ღია მიწერ-მოწერაში, რომელიც წინ უსწრებდა ამ კონფერენციას, ფრანკო ვენტურიმ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება საერთოდ XIX საუკუნის რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და, კერძოდ, ხალხოსნობის შესახებ.

პროფ. ფ. ვენტური უდავოდ მართალია, როდესაც აღიარებს, რომ გერცენმა და ჩერნიშევსკიმ შექმნეს იდეები იმ ინტელიგენციისათვის, რომლის ლოზუნგადაც იქცა დევიზი — „ზემლია ი ვოლია"; ნაწილობრივ მისაღებია ფ. ვენტურის მოსაზრება ხალხოსნობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის მემკვიდრეობითი კავშირის არსებობის შესახებ. „ხალხოსნური მოძრაობის შესწავლისას, — წერს ფ. ვენტური, — მე სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მასში იყო 1917 წლის რევოლუციის ფესვები"[1].

ასეთი მეტ-ნაკლებად სწორი მოსაზრებების გვერდით ფ. ვენტური აყენებს მარქსისტი ისტორიკოსისათვის მიუღებელ აზრებს. ჯერ ერთი, იგი ხალხოსნური „მემკვიდრეობის" შეფასებისას ლაპარაკობს ზოგადად ხალხოსნობაზე და მისგან არ გამოყოფს ლიბერალურ ხალხოსნობას, მეორეც, იგი ვერ ხედავს განსხვავებას ხალხოსნებსა და რუს რევოლუციონერ-მარქსისტებს შორის. „მაშინ (XIX ს. II ნახევარში — ზ. შ.),— წერს ვენტური, — ჩამოყალიბდა იდეური წანამძღვრები, შეიქმნა იგივე ფსიქოლოგია, აღიზარდნენ იგივე ტიპები ადამიანებისა, რომლებმაც განსაზღვრეს ამ წლის (იგულისხმება 1917 წელი — ზ. შ.) გადატრიალება"[2].

ფ. ვენტურის თვალსაზრისში ხალხოსნური იდეოლოგიის შეფასების საკითხზე არის სხვა პრინციპული ხასიათის სადავო საკითხებიც. როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად.

---

1 «История СССР», 1964, № 5, стр. 192.

2 იქვე, გვ. 192—193.

ნ. მ. დრუჟინინი, იტალიელი მეცნიერი სწორი გზიდან უხვევს, როდესაც გერცენის, ჩერნიშევსკისა და 70-იანი წლების რევოლუციონერი ხალხოსნების შეხედულებათა ძირითად კრედოდ მიიჩნევს მათ მისწრაფებას პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისაკენ, ხოლო ეკონომიურ და სოციალურ საკითხებს გვერდს უვლის. აკრიტიკებს რა ფ. ვენტურის ამ თვალსაზრისს, აკად. ნ. მ. დრუჟინინი მიუთითებს. რომ სწორედ სოციალურ-ეკონომიური საკითხების და არა პოლიტიკური საკითხის წინ წამოწევაში უნდა დავინახოთ მემკვიდრეობითი კავშირის არსებობა რეფორმისშემდგომი რუსეთის რევოლუციურ მიმდინარეობათა შორის. „XIX—XX საუკუნეების რევოლუციურ მიმდინარეობებს შორის არსებული ღრმა სხვადასხვაობის მიუხედავად, — წერს აკად. ნ. მ. დრუჟინინი, — ამ პერიოდში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა მოწინავე ადამიანისათვის დამახასიათებელი იყო სოციალური რევოლუციის დაყენება პოლიტიკური თავისუფლების იდეის წინ“[1].

რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი პოლონელმა ისტორიკოსებმა. უკანასკნელ წლებში გამოვიდა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორის ლუდვიგ ბაზილევის, ამავე უნივერსიტეტის მას წავლებლის მარია ვავრიკოვას, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ლეონ ბაუმჰარტენისა და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც განხილულია რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპის თვალსაჩინო პრობლემები.

ლ. ბაზილევის წიგნში „რუსული ხალხოსნობის მოღვაწეობა 1878—1881 წლებში“ ლაპარაკია 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა ურთიერთობაზე, ხალხოსნური მოძრაობის ჩასახვის, ხალხოსნობის პერიოდიზაციისა და სხვა საყურადღებო საკითხებზე.

ლ. ბაზილევს გაუმართლებლად მიაჩნია 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა დაპირისპირება, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ისტორიკოსის შრომებში. ლ. ბაზილევი

---

[1] «История СССР», 1963, № 4, стр. 196—197.

მართალია, როდესაც ხაზგასმით ასაბუთებს რევოლუციური დემოკრატიზმისა და რევოლუციური ხალხოსნობის იდეურ-ერთიანობას.

ლ. ბაზილევის წიგნში გვერდი აქვს ავლილი რაზნოჩინული მოძრაობის პერიოდში რუს და პოლონელ რევოლუციონერებს შორის იდეურ-ორგანიზაციული კავშირურთიერთობის ფაქტებს. ავტორი არ ჩერდება რუსული ხალხოსნობის მნიშვნელობაზე პოლონეთში რევოლუციური მოძრაობის გაშლის საქმეში. სინამდვილეში კი, ცნობილია, რომ „რუსულმა ხალხოსნობამ თვალსაჩინო გავლენა მოახდინა პოლონეთის რევოლუციურ მოძრაობაზე. ამ გავლენის კვალს ნათლად ატარებს პოლონეთის პარტია „პროლეტარიატის" პროგრამა"[1].

ვარშავის უნივერსიტეტის ლექტორი მარია ვავრიკოვა თავის მონოგრაფიაში — „XIX საუკუნის 70-იანი წლების რევოლუციური ხალხოსნობა" ეთანხმება იმ საბჭოთა ისტორიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გერცენი და 50-იანი წლების რევოლუციონერი დემოკრატები თავიანთი შეხედულებით ხალხოსნები იყვნენო.

მ. ვავრიკოვას, მართალია, მოაქვს მრავალი მასალა 70-იან წლებში პოლონელი და რუსი რევოლუციონერების კავშირურთიერთობის შესახებ, მაგრამ აქედან არ გამოაქვს მართებული დასკვნები. არც ის აღიარებს პოლონეთის რევოლუციურ მოძრაობაზე რუსული ხალხოსნობის იდეურ-ორგანიზაციულ გავლენას. მ. ვავრიკოვას არ სურს დაინახოს, რომ „პოლონეთის სოციალისტურ მოძრაობაზე ძლიერი იყო ხალხოსნობის გავლენა. პოლონეთის სოციალისტური მოძრაობის ფუძემდებელთა დიდი უმრავლესობა სწორედ რუსული ხალხოსნური წრეებიდან იყვნენ გამოსულნი. ხოლო პოლონურ ენაზე თარგმნილ პროპაგანდისტული ხასიათის ბროშურებს ხალხოსნური ელფერი დაჰკრავდა. თვით მარქსიზმიც კი პირველმა პოლონელმა სოციალისტებმა შეისწავლეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" რუსული თარგმანის მიხედვით"[2].

---

1 «История СССР», 1963, № 2.

2 «История СССР», 1964, № 5, стр. 206.

რაც შეეხება პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს ლეონ ბაუმ-ჰარტენს, რუსი ხალხსნების ბრძოლის ისტორიისადმი მიძღვნილ თავის ნაშრომში „მეოცნებენი და მეფის მკვლელნი“, ლ. ბაზილევისა და მ. ვავრიკოვასაგან განსხვავებით, ხალხსნური მოძრაობის პერიოდის დასაწყისად მიიჩნევს 1860-იანი წლების მეორე ნახევარს, ხოლო დაცემად 80-იანი წლების შუა პერიოდს[1].

ლ. ბაუმჰარტენი, მართალია, ახლოს დგას ხალხსნური მოძრაობის დასაწყისი პერიოდის სწორ გაგებასთან, როცა ხალხსნობის სათავეებს 60-იან წლებში ხედავს, მაგრამ მიუღებელია მისი გადახვევა რაზნოჩინული მოძრაობის პერიოდის შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული ფარგლებიდან (1861—1895 წლები).

ერთი სიტყვით, ხალხსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლისა და „მემკვიდრეობის“ საკითხის გარკვევის საქმეში საბჭოთა ისტორიკოსების მიერ უკანასკნელ წლებში გაშლილმა ნაყოფიერმა კვლევითმა მუშაობამ სერიოზულად გააძლიერა საზღვარგარეთელი ისტორიკოსების დაინტერესება ამ მიმართულებით. მართალია, დასავლეთის ბურჟუაზიული რეაქციონერი ისტორიკოსები ამახინჯებენ რევოლუციურ რუსეთში იდეური ბრძოლის ისტორიას, მაგრამ თვით ფაქტი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიით მათი დაინტერესებისა მაინც საყურადღებო მოვლენაა.

ამრიგად, რევოლუციურ-ხალხსნური მოძრაობა, როგორც უდიდესი მოვლენა ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი რუსი და არარუსი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, ყოველთვის იპყრობდა რევოლუციამდელი და საბჭოთა მკვლევრების ყურადღებას. ხალხსნობის შესწავლისას რუსულმა ისტორიულმა მეცნიერებამ, ჩვენი აზრით, დღემდე ხუთი პერიოდი განვლო.

პ ი რ ვ ე ლ ი პ ე რ ი ო დ ი დაახლოებით მოიცავდა დროის მონაკვეთს მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედი-

---

[1] «История СССР», 1962, № 1, стр. 211.

დან 1905—1907 წლების რევოლუციის აღმავლობამდე, კერძოდ, ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვამდე.

ამ პერიოდში ძირითადად მიმდინარეობდა შეკრება იმ მასალებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს დაბეჭდილი იყო ოფიციალურ პერიოდულ გამოცემებში. გარდა ამისა, ქვეყნდებოდა რევოლუციურ-ხალხსნურ მოძრაობაში მონაწილეთა მოგონებებიც. მთელი ეს მუშაობა ძირითადად საზღვარგარეთ მიმდინარეობდა. ამ პერიოდში იგრძნობოდა პირველწყაროების სიმცირე, რამაც სათანადო დაღი დაასვა მაშინდელი ისტორიკოსების (ტუნი, ბოგუჩარსკი) ნაშრომებს. ამავე პერიოდში გამოვიდა პლეხანოვისა და „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ წევრთა მარქსისტული შრომები, რომლებშიც მოცემული იყო რუსი ხალხსნების თეორიული და პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის მეცნიერულად შეფასების პირველი ცდა. 90-იან წლებშივე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ვ. ი. ლენინი. ვ. ი. ლენინმა პირველსავე ნაშრომებში ჩამოაყალიბა რუსული ხალხსნობის შეფასების შესახებ ფუძემდებლური დებულებები, მაგრამ ისინი არ გავრცელებულან მაშინდელ ისტორიოგრაფიაში, რომელიც მთლიანად თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული იყო.

მ ე ო რ ე პ ე რ ი ო დ ი მოიცავს 1905—1917 წლებს პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობიდან დაწყებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე. ამ წლებში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული რევოლუციურ-ხალხსნური ორგანიზაციების არალეგალურ არქივებში შემორჩენილი მასალებისა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული რევოლუციური ჟურნალ-გაზეთების შეკრებისა და ცალკე კრებულებად გამოცემისათვის. გადასახლებებიდან დაბრუნებული რევოლუციონერების პირადი მოგონებები დაიბეჭდა როგორც „ბილოესა“ და სხვა ჟურნალების ფურცლებზე, ასევე ცალკე წიგნებად. ამავე ხანებში გამოდის დიდძალი ფაქტობრივი მასალის შემცველი ნაშრომები ,ბურჟუაზიული ისტორიკოსებისა. ხალხსნური მოძრაობის ისტორიის მარქსისტულ-ლენინურად გაშუქების პირველ ცდას წარმოადგენდა ისტორიკოს მ. ნ. პოკროვსკის შრომები.

მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ ს ვაკუთვნებთ დროის მონაკვეთს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან 30-იანი წლების ნახევრამდე. ამ პერიოდში ისტორიკოსებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ჟანდარმერია-პოლიციის არქივები. გაჩაღდა მანამდე არნახული მუშაობა საარქივო, მემუარული და სხვა სახის მასალათა შეკრება-სისტემატიზაციისა და გამოქვეყნებისათვის. ამავე ხანებში ქვეყნდება მარქსისტი ისტორიკოსების (ოლმინსკი, პოკროვსკი, ვოროვსკი, იაროსლავსკი, ნეჩკინა, დრუჟინინი და სხვ.) ნაშრომები. მიუხედავად ნაროდოვოლელთა ბრძოლის გაიდეალების ზოგიერთი შეცთომისა, ამ პერიოდის ისტორიკოსთა ნაშრომებში ძირითადად სწორად შუქდებოდა 60—80-იანი წლების რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის თეორიული და ისტორიული საფუძვლები.

მ ე ო თ ხ ე ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი პ ე რ ი ო დ ი დაიწყო დაახლოებით 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან და გაგრძელდა 50-იანი წლების დამლევამდე. ამ პერიოდში ფეხი მოიკიდა ისტორიულ პიროვნებათა მნიშვნელობის ცალმხრივად გაშუქების პრაქტიკამ. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის დამუშავების საქმე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის თემაზე შექმნილ ნაშრომებში არ იყო დასმული რევოლუციონერ-ხალხოსანთა თეორიული შეხედულებებისა და პრაქტიკული რევოლუციური ბრძოლის პროგრესულობის საკითხი.

მ ე ხ უ თ ე პ ე რ ი ო დ ი იწყება 50-იანი წლების მიწურულიდან, როდესაც ფართო დისკუსიები დაიწყო ხალხოსნური მოძრაობის ირგვლივ. აქედან მოყოლებული რუსული ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული სიღრმით შესასწავლად ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა ჩაღდება. დიდი და საინტერესო პრობლემები წამოიჭრა საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე. „იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს კომუნიზმისაკენ კაცობრიობის მოძრაობის კანონზომიერი პროცესი,

საჭიროა შევისწავლოთ საზოგადოების განვითარების ისტორიის ყველა ეტაპი"[1].

ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრია გასაკეთებელი ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში.

სანამ ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, რეფორმისშემდგომ გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში დღეისათვის არსებული მდგომარეობის განხილვაზე გადავიდოდეთ, მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია გავაანალიზოთ რუსეთში პროლეტარული პარტიის წინამორბედთა ანუ „მემკვიდრეობის" შესახებ ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული ფუძემდებლური დებულებები.

---

[1] Советская историческая наука от XX к XXII съезду КПСС, М., 1962, стр. 34.

თავი II

მარქსიზმ-ლენინიზმი რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპის შესახებ

1. საკითხის დაყენება

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის საკითხებისადმი. კარლ მარქსს და ფრიდრიხ ენგელსს მეფის რუსეთი საერთო ევროპული რეაქციის ბურჯად მიაჩნდათ, ამიტომ იყო, რომ ისინი დიდად უჭერდნენ მხარს რუსეთის მოწინავე ძალების ბრძოლას საძულველი წესწყობილების წინააღმდეგ. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მარქსი და ენგელსი მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ ანენკოვთან, დანიელსონთან, ვერა ზასულიჩთან, ლოპატინთან, ლავროვთან, კოვალევსკისთან, საზონოვთან, პლეხანოვთან და მრავალ სხვა გამოჩენილ რუს რევოლუციონერთან.

ისტორიულმა არქივებმა შემოგვინახეს მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებისა და გამოჩენილ რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა წერილები, რომლებშიც მოცემულია მეფის რუსეთის შინაური მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საფუძვლიანი მიმოხილვა.

რუსი პოლიტიკური მოღვაწენი ხშირად თხოვდნენ მარქსს და ენგელსს, განემარტათ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის

რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარშემო წამოჭრილი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები. მარქსისა და ენგელსის საპასუხო წერილებში, აგრეთვე სხვა სტატიებში, რომლებიც მათ რუსეთის რევოლუციური ბრძოლის პრობლემებს მიუძღვნეს, მეტად მნიშვნელოვანი ფუძემდებლური დებულებებია მოცემული. ეს დებულებები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ რეფორმისშემდგომ რუსეთსა და ამიერკავკასიაში გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე მომუშავე მკვლევარს.

მარქსი და ენგელსი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების პრაქტიკული ბრძოლისა და მათი თეორიული შეხედულებების საფუძველთა გაანალიზებას. მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს შესანიშნავი მითითებანი რუსეთში გლეხური რევოლუციის გამარჯვების საკითხზე, სასოფლო თემის — „ობშჩინის“ მნიშვნელობაზე და ა. შ. ისინი დიდად აფასებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების თავდადებულ ბრძოლას, ამასთან, კრიტიკულად იხილავდნენ მათი ეკონომიური და პოლიტიკური კონცეფციის უტოპიურობას.

რუსული რევოლუციური დემოკრატიზმისა და რევოლუციური ხალხოსნობის მეცნიერულ შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო გ. ვ. პლეხანოვმა. საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ხალხოსნობის შესახებ დაწერილმა მისმა ნაშრომებმა. გ. ვ. პლეხანოვმა ჯერ კიდევ 1890—1892 წლებში დაწერა 4 სტატია ნ. გ. ჩერნიშევსკიზე, რომლებიც ჟურნალ „სოციალ-დემოკრატში“ გამოაქვეყნა. 1894 წელს ეს სტატიები ცალკე წიგნად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე. ვ. ი. ლენინმა ამ სტატიებს კარგი შეფასება მისცა.

პლეხანოვის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან მოგვცა ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ შეხედულებათა საფუძვლიანი ანალიზი. ამასთან, მიუთითა 70-იანი წლების რევოლუციონერთა მიერ ამ შეხედულებათა აღიარების ფაქტზე.

1910 წელს პლეხანოვმა ცალკე მონოგრაფია გამოაქვეყნა სათაურით: „ნ. გ. ჩერნიშევსკი“. ამ ნაშრომში, წინა სტატი-

ებთან შედარებით, დაშვებული იყო რიგი შეცდომები, რაც ავტორის მენშევიკური შეხედულებების ნაყოფს წარმოადგენდა. მასში ნათლად იგრძნობოდა ავტორის გადახვევა ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან. ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებებსა და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას პლეხანოვი იხილავდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისაგან მოწყვეტილად, რის შედეგადაც ბოლომდე ვერ ახსნა 60—70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის იდეური არსი და ისტორიული მნიშვნელობა.

ვ. ვ. პლეხანოვის აღნიშნულ და სხვა ნაშრომებში, რომლებიც რუსული ხალხოსნობის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის ახსნას ეხებოდნენ, მოცემულია რუსეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში ხალხოსნობისათვის სათანადო ადგილის მიკუთვნების ცდა, მაგრამ „მემკვიდრეობაში“ ხალხოსნობის, კერძოდ კი რევოლუციური ხალხოსნობის, ადგილის განსაზღვრა ავტორმა ვერ შეძლო.

ამ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება წილად ხვდა ვ. ი. ლენინს. მან პირველმა მოგვცა რევოლუციური ხალხოსნობის, როგორც პროლეტარული პარტიის წინამორბედთა, მეცნიერული შეფასება; დაასაბუთა იმ ისტორიული ვითარებისათვის ხალხოსანთა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების პროგრესულობა და მიუთითა სოციალ-დემოკრატიასთან და თვით „ბოლშევიზმთანაც“ კი მის კავშირურთიერთობაზე. ვ. ი. ლენინმა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაზე მომუშავე მკვლევართა გადაუდებელ ამოცანად სწორედ ხალხოსნობასა და „ბოლშევიზმს“ შორის კავშირის არსებობის დადგენა მიიჩნია. ვ. ი. ლენინი 1912 წელს დაწერილ ცნობილ ნაშრომში — „ორი უტოპია“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ცხადია, რომ მარქსისტებმა მზრუნველობით უნდა გამოყონ ნაროდნიკული უტოპიების ჩენჩოდან გლეხთა მასების გულწრფელი, გაბედული, მებრძოლი დემოკრატიზმის საღი და ძვირფასი ბირთვი.

... გასული საუკუნის 80-იან წლების ლიტერატურაში შეიძლება ნახოთ ამ ძვირფასი დემოკრატიული ბირთვის გამოყოფის სისტემატურად გატარებული მისწრაფება. ოდესმე ისტორიკოსები სისტემატურად შეისწავლიან ამ მისწრაფებას

და გამოიკვლევენ მის კავშირს იმასთან, რამაც „ბოლშევიზმის» სახელწოდება მიიღო XX საუკუნის პირველ ათეულ წელიწადში“[1].

ვ. ი. ლენინის ეს მითითება ზრდის იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ისტორიკოსებს ეკისრებათ რუსეთში საერთოდ რაზნოჩინული განმათავისუფლებელი მოძრაობის, კერძოდ კი პროლეტარული პარტიის წინამორბედთა ანუ „მემკვიდრეობის“ საკითხის შესწავლის საქმეში.

ვ. ი. ლენინი ყველა საზოგადოებრივი მოვლენის, მათ შორის რევოლუციური ხალხსნობის შეფასებას ისტორიზმის პრინციპით უდგებოდა. ამის შედეგად მან მოგვცა რევოლუციური ხალხსნობის შინაგანი ევოლუციის ობიექტური მიზეზების მეცნიერული ახსნა. ლენინმა გვიჩვენა ის უფსკრული, რომელიც რევოლუციურ ხალხსნობას ლიბერალურისაგან მიჯნავდა, ამასთან გამოარკვია საერთოდ ხალხსნობის გადაგვარების მიზეზები. მიუთითა, რომ ხალხსნობის ასეთი ევოლუცია სავსებით ბუნებრივი და გარდუვალი იყო, რადგანაც მათი დოქტრინების საფუძველს გლეხური მეურნეობის განსაკუთრებული წყობა წარმოადგენდა. ცხოვრების სინამდვილესთან შეხებისთანავე კი ეს საფუძველი გაქარწყლდა და გლეხური სოციალიზმიდან მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ-რადიკალურ-დემოკრატიული წარმოდგენაღა დარჩაო.

რეფორმისშემდგომი რუსეთის ცენტრალურ და განაპირა რაიონებში, მათ შორის ამიერკავკასიაში გაშლილი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სურათის მეცნიერული ობიექტურობით გადმოცემა შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლურ დებულებებზე დაუყრდნობლად.

2. „მემკვიდრეობის“ საკითხი ლენინის ნაშრომებში

ბოლშევიკური პარტიის შექმნა-განმტკიცებისათვის ბრძოლის პერიოდში დაწერილ ვ. ი. ლენინის ნაშრომებში უაღრესად თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი „მემკვიდრეობას“.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ, ტ. 18, გვ. 431—432.

მემკვიდრეობის საკითხს ეხება ვ. ი. ლენინი თავის ისეთ გენიალურ შრომებში, როგორიცაა: „რანი არიან ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ?“, „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ (1894), „ნაროდნიკული პროექტორების მარგალიტები“ (1897), „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“ (1899), „რა ვაკეთოთ“? (1902), „მონაროდნიკე ბურჟუაზია და განიავებული ნაროდნიკობა“ (1903), „წვრილბურჟუაზიული და მეცნიერული სოციალიზმი“ (1905), „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“ (1907), „ვეხის შესახებ“ (1909), „იუბილეს გამო“, „საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“ (1911), „გერცენის ხსოვნას“, „ორი უტოპია“, „დემოკრატია და ნაროდნიკობა ჩინეთში“ (1912), „ნაროდნიკობის შესახებ“ (1913), „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“ (1914) და სხვ. რაც შეეხება ნაშრომს „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს“?, რომელიც 1897 წლის დამლევს დაიწერა, ხოლო 1898 წელს ლეგალურად დაიბეჭდა ვლადიმერ ილინის ხელმოწერით, სპეციალურად „მემკვიდრეობის“ საკითხისადმია მიძღვნილი.

ვ. ი. ლენინი ამ ნაშრომებში „მემკვიდრეობას“ აფასებს ძირითადად იმის მიხედვით, თუ რამდენად მოამზადეს იდეურ-რევოლუციური ნიადაგი განმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპის დასაწყებად მეორე ეტაპის წარმომადგენლებმა. ერთი სიტყვით, „მემკვიდრეობის“ შესახებ ლენინურ მოძღვრებაში მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ მოღვაწეობდნენ რუსეთში მარქსიზმამდელ პერიოდში, არამედ ის, თუ რა გააკეთეს ამ მოღვაწეებმა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობის იდეურ-რევოლუციური მომწიფებისათვის. სწორედ ეს არის იმის მთავარი საზომი, თუ ვინ შეიძლება იქნეს შეყვანილი სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა თაობაში.

„მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს“ ა რ ს ი. ვ. ი. ლენინი „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლებად მიიჩნევს რადიკალურ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც წარმოშვა 1861 წლის საგლეხო რეფორმის შედეგად შექმნილმა სოციალურ-ეკონომიურმა

ვითარებამ და რომელიც საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ანუ რაზნოჩინულ პერიოდში (1861—1895 წწ.). ესენი იყვნენ: ბატონყმობის დაცემის ეპოქის რევოლუციონერები ანუ იგივე რევოლუციონერი დემოკრატები, განმანათლებლები, 70-იანი წლების რევოლუციონერთა „ბრწყინვალე პლეადა", ნაროდოვოლელები, ე. ი. საერთოდ რაზნოჩინელები „ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას" გმირებით დამთავრებული"[1].

ამ თაობის რევოლუციონერთა საერთო იდეურ საფუძველს წარმოადგენდა გერცენისა და ჩერნიშევსკის მიერ შემუშავებული „რუსული გლეხური სოციალიზმის თეორია". ეს იყო რევოლუციურ-ხალხოსნური (ნაროდნიკული) თეორია, რომელსაც ძირითადად იზიარებდა ყველა, როგორც ბატონყმობისდაცემისდროინდელი რევოლუციონერები, ისე რევოლუციონერ-ხალხოსანთა ყველა თაობის წარმომადგენლები. სწორედ ამიტომ ამბობს ლენინი, რომ რეფორმისშემდგომ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა იყო. ვ. ი. ლენინი ტერმინ „ნაროდნიკობას" ფაქტიურად „რაზნოჩინობის" სინონიმად თვლის. „ბატონყმობის გადავარდნამ, — წერს ვ. ი. ლენინი,— წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისაც. რაზნოჩინეცის თვალსაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა"[2].

ვ. ი. ლენინი 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებსა და რევოლუციონერ-ხალხოსნებს რაზნოჩინელთა ერთ თაობად მიიჩნევს. მათი თვალსაზრისის საერთო იდეურ საფუძვლად გლეხური დემოკრატიზმი მიაჩნია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს მათ შეხედულებებს შორის სრული იდენტურობის აღიარების საფუძველს. ამაზე მიუთითებს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

თუნდაც ის ცნობილი ფაქტი, რომ 70-იანი წლების რევოლუციონერთა მსოფლმხედველობაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ბაკუნინის ანარქისტულ-იდეალისტურ თვალსაზრისს, რაც გარკვეულად უკანგადადგმული ნაბიჯი იყო ჩერნიშევსკის მატერიალისტურ შეხედულებასთან შედარებით. მაგრამ, თავის მხრივ, არც ეს გარემოება იძლევა იმის საფუძველს, რომ 60-იანი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა თაობები ერთმანეთს დავუპირისპიროთ და პრინციპულად განსხვავებული იდეების მატარებლებად გამოვაცხადოთ. „მემკვიდრეობის" შეფასებისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომა ვ. ი. ლენინის ფუძემდებლურ მითითებათა უგულებელყოფა იქნებოდა.

ვ. ი. ლენინის ყველა ნაშრომში, რომლებშიც საუბარია სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებზე, „მემკვიდრეობის" მატარებლებად მიჩნეული არიან არა მარტო რევოლუციონერი დემოკრატები, არამედ 60-იან და 70-იან წლებში გლეხური რევოლუციის მომხრენიც. ნაშრომში „რა ვაკეთოთ"[9] ვ. ი. ლენინი, ახასიათებს რა რევოლუციურ მოძრაობაში მოწინავე თეორიის მნიშვნელობას, სამაგალითოდ მიუთითებს 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა ერთიან შეხედულებებზე. „მ ო წ ი ნ ა ვ ე მ ებ რ ძ ო ლ ი ს რ ო ლ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა,—წერს ვ. ი. ლენინი,—შ ე უ ძ ლ ი ა მ ხ ო ლ ო დ ი ს ე თ პ ა რ ტ ი ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ო წ ი ნ ა ვ ე თ ე ო რ ი ი თ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ს. ხ ო ლ ო რ ა ო დ ე ნ ა დ მ ე მ ა ი ნ ც კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ რ ო მ წ ა რ მ ო ი დ გ ი ნ ო ს მ კ ი თ ხ ვ ე ლ მ ა, თ უ რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ე ს, მ ო ი გ ო ნ ო ს.... გ ე რ ც ე ნ ი, ბ ე ლ ი ნ ს კ ი, ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი დ ა 70-ი ა ნ ი წ ლ ებ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე პ ლ ე ა დ ა"[1]. იქვე ლაპარაკია პროლეტარული პარტიის წინაშე მდგომი ძნელი ამოცანებისა და მათი გადაჭრის შესაძლებლობათა შესახებ, რაც შეუძლია მხოლოდ მტკიცედ ორგანიზებულ პარტიას, მისი წევრების გამბედაობას. ამის მაგალითად ასახელებს 70-იანი წლების რევოლუციონერ-ხალხოსანთა თავდადებასა და ენერგიულობას, რითაც მათ საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. „ისტორიამ, — წერს ვ. ი. ლენინი, — ახლა ჩვენს წინაშე დააყენა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 461—462.

უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია ...ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე... აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა. და ჩვენც უფლება გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მოვიპოვებთ ამ საპატიო სახელწოდებას, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა წინამორბედებმა, 70-იანი წლების რევოლუციონერებმა დაიმსახურეს, თუკი შევძლებთ ჩვენი ათასჯერ უფრო ფართო და ღრმა მოძრაობის აღფრთოვანებას ასეთივე თავდადებული გამბედაობითა და ენერგიით"[1].

ვ. ი. ლენინი მსჯელობს რევოლუციონერ-ხალხოსნებზე, როგორც „მემკვიდრეობის" წარმომადგენლებზე, არა მარტო იმის მიხედვით, რომ ხალხოსნებმა მოგვცეს გმირული ბრძოლისა და მტკიცე ორგანიზების მაგალითი, არამედ იმითაც, რომ ამ ბრძოლაში ისინი ეყრდნობოდნენ ხალხის მასებს, კერძოდ კი გლეხობას. სწორედ მასებზე დაყრდნობა იყო ის საერთო, რომელიც ჰქონდათ ხალხოსნობასა და მარქსიზმს. ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ ნაშრომში „ვეხის შესახებ" ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ნაროდნიკობასა და მარქსიზმს საერთო აქვთ, — ეს არის მათ მიერ დემოკრატიის დაცვა მასებისადმი მიმართვის გზით"[2].

„მემკვიდრეობის" საკითხი ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს"? ზემოაღნიშნული მსჯელობის შემდეგ თითქოს გარკვეულად უნდა იქნეს მიჩნეული „მემკვიდრეობის" შესახებ ლენინური თვალსაზრისი. აღარ უნდა იყოს სადავო ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატიის წინამორბედები რუსეთში იყვნენ ბატონყმობისდაცემისდროინდელი რევოლუციონერები და რევოლუციონერი ხალხოსნები. მიუხედავად ამისა, ამ ნათელი საკითხის ირგვლივ მაინც აქვს ადგილი სერიოზულ გაუგებრობას. ასეთი ვითარება დღემდე გრძელდება. ამის მიზეზია

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 465—466.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 151—152.

ვ. ი. ლენინის ნაშრომში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს“? მოცემული რიგი თეორიული დებულებებისა და დასკვნების სათანადო სიღრმით შეუსწავლელობა.

ვ. ი. ლენინი იძულებული იყო ლეგალურად დაბეჭდილ ამ ნაშრომში, ცენზურის თვალის ასახვევად ეზოპეს ენით ემსჯელა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რევოლუციური დემოკრატიზმი და რევოლუციური ხალხოსნობა. ეს ტერმინები ერთხელაც არაა მოხსენებული ამ საკმაოდ ვრცელ ნაშრომში. ასევე თავს იკავებს ვ. ი. ლენინი რუსი მარქსისტების დასახელებისაგან და მათ „რუს მოწაფეებს“ უწოდებს. 60—70-იანი წლების „მემკვიდრეობაზე“ ლაპარაკისას მხოლოდ საერთოდ განმანათლებლობასა და, კერძოდ, მის წარმომადგენელს სკალდინს ასახელებს. ამასთანავე, მკაცრად აკრიტიკებს „თანამედროვე ნაროდნიკობას“ და ამბობს: მას არაფერი აქვს საერთო „მემკვიდრეობასთანო“. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია გაუგებრობა და საერთოდ ხალხოსნობის გამორიცხვა „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლებიდან. 30-იანი წლების შუა პერიოდიდან გამოსულ პოლიტიკურ და ისტორიულ ლიტერატურაში ხალხოსნობა (მათ შორის რევოლუციურიც) არათუ სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად, არამედ მის დაუძინებელ მტრად იქნა გამოცხადებული.

ეს გარემოება მოითხოვს ვ. ი. ლენინის ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს“? — წამოყენებული აზრების მეტი სიღრმით გაგებას. სწორედ ამაზეა მითითებული ხალხოსნობის შესახებ უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ გამოკვლევებსა და სამეცნიერო სტატიებში. ამ საკითხს საკმაო ადგილი დაუთმო სკკპ ცკ-ის ორგანომ. ჟურნალმა „კომუნისტმა“[1].

მართლაც, ვ. ი. ლენინის ნაშრომი — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს“?, მისი უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ გამხდარა მეცნიერული შესწავლის ისეთ ობიექტად, როგორც მისი სხვა ნაშრომები: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „რა ვაკეთოთ?“, „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი მარქსიზმში“

---

[1] „კომუნისტი“, 1966, № 16, გვ. 82—91.

და სხვ. ვ. ი. ლენინის აღნიშნულ ნაშრომზე ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა ცალკე გამოკვლევა, სამეცნიერო სტატია თუ პოპულარული ბროშურა, თუმცა ამის საჭიროება ყოველთვის იგრძნობოდა.

ვ. ი. ლენინის ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს"? წამოყენებული „მემკვიდრეობის" საკითხის პოლიტიკურად სწორად გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ სიტუაციის გარკვევას, რომელშიაც იგი დაიწერა და დაიბეჭდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ნაშრომი დაიწერა 1897 წელს, ხოლო გამოქვეყნდა ლეგალურად 1898 წელს.

ეს იყო პერიოდი, როდესაც ლენინი ამზადებდა ნიადაგს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის. ამ დროს მარქსიზმის ყველაზე დაუძინებელი მტრები ლიბერალური ხალხოსნები იყვნენ. 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა „ქადაგება ერთბაშად სოციალისტური გადატრიალების" შესახებ მათ შეცვალეს ცარიზმთან მორიგების ილუზიებით. 90-იანი წლების ხალხოსნებს სავსებით გაწყვეტილი ჰქონდათ „მემკვიდრეობითი" კავშირი რევოლუციონერ-ხალხოსნებთან და არავითარ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდნენ. ვ. ი. ლენინის სამართლიანი დასკვნით, „70-იანი წლების რ უ ს უ ლ ი გლეხური სოციალიზმი, რომელიც თავისუფლებას „აბუჩად იგდებდა" მისი ბურჟუაზიულობისათვის, ებრძოდა „ნათელშუბლიან ლიბერალებს", 90-იანი წლებისათვის „სრულიად გაიხრწნა და წარმოიშვა ის უხამსი მეშჩანური ლიბერალიზმი, რომელიც „გამამხნევებელ შთაბეჭდილებებს" ხედავს გლეხური მეურნეობის პროგრესულ მიმდინარეობაში და ივიწყებს იმას, რომ მას თან სდევს (და განაპირობებს) გლეხობის მასობრივი ექსპროპრიაცია"[1].

90-იანი წლების ხალხოსნების მიერ ლიბერალური იდეების ქადაგებას დაბნეულობა და არევ-დარევა შეჰქონდა მუშათა მოძრაობაში. ლიბერალური ხალხოსნები კიდევ იმიტომ უფრო იყვნენ საშიშნი, რომ მათ თავი მოჰქონდათ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინა თაობიდან მომდინა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 204.

რე „დემოკრატიული ძაფის“ გამგრძელებლად, ხოლო მარქ-სისტებს („რუს მოწაფეებს“) აბრალებდნენ კავშირის გაწ-ყვეტას „რუსი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის საუკეთე-სო ტრადიციებთან“[1].

ასეთ ვითარებაში უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ლიბერალური ხალხოსნების, ხალხის ამ ყალბი „მეგობრების“, ნამდვილი სახის გამოაშკარავებას. სა-ჭირო იყო მეცნიერულად იმის დასაბუთება, რომ ლიბერა-ლურმა ხალხოსნებმა უღალატეს გლეხური რევოლუციის საქ-მეს და ყოველგვარი მემკვიდრეობითი კავშირი გაწყვიტეს 60—70-იანი წლების რევოლუციონერებთან, რომ 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა ნამდვილი „მემკვიდრენი“ იყვნენ არა 90-იანი წლების ხალხოსნები, არამედ „რუსი მო-წაფეები“.

სწორედ ეს საპატიო ამოცანა შეასრულა ვ. ი. ლენინის ნაშრომმა „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“. მასში მკაცრად იყო გაკრიტიკებული ცარიზმისათვის საძულველი „ნაროდნიკობა“. ამიტომ ცენზურამ მისი ლეგალურად და-ბეჭდვის დასტური მისცა.

საქმე იმაში იყო, რომ ალექსანდრე II-ის მოკვლითა და ალექსანდრე III-ზე თავდასხმით შეშინებულ ცარიზმს თავის ყველაზე სახიფათო მტრად მიაჩნდა რევოლუციონერი ხალ-ხოსნები, კერძოდ კი ნაროდოვოლელები. ამიტომ შემწყნარებ-ლობას იჩენდა იმ ავტორების მიმართ, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში ხალხოსნებს ებრძოდნენ. ცარიზმის მოხელეები, რა თქმა უნდა, თავიანთ გამარჯვებად ჩათვლიდნენ ალექსან-დრე ულიანოვის ძმის გალაშქრებას „ნაროდნიკობის“ წინა-აღმდეგ.

ვ. ი. ლენინმა მოხერხებულად გამოიყენა ასეთი ხელსაყ-რელი სიტუაცია და ლეგალურად გამოცემულ დასახელებულ ნაშრომში, საერთოდ „ნაროდნიკობის“ კრიტიკის ქვეშ, ერ-თი მხრივ, მოგვცა რევოლუციურ-ხალხოსნური „მემკვიდრეო-ბის“ გენიალური შეფასება, მეორე მხრივ კი ბოლომდე ამხი-ლა მარქსიზმის დაუძინებელი მტრის ლიბერალური ხალხოს-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 667.

ნობის იდეური დაცემულობა, რითაც ცარიზმის „ოხრანკის“ თვალწინ მოამზადა ნიადაგი გაბატონებული კლასების მესაფლავის — პროლეტარიატის ხელმძღვანელი პარტიის შექმნისათვის.

მაგრამ ვ. ი. ლენინი, მკაცრად ამხელს რა „ნაროდნიკებს“ და ქებით იხსენიებს 60—70-იანი წლების „მემკვიდრეობას“, არაფერს ამბობს რევოლუციონერ-ხალხოსნებსა და მათ ბელადზე ნ. გ. ჩერნიშევსკიზე, როგორც „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლებზე. მართალია, XIX ს. ბოლოს სკვორცოვ-სტეპანოვისათვის გაგზავნილ წერილში ამბობს „მემკვიდრეობის“ ტიპურ წარმომადგენლად ჩერნიშევსკი მიმაჩნიაო, მაგრამ რევოლუციურ ხალხოსნებს არც აქ ასახელებს. ამ გარემოებამ გამოიწვია გაურკვევლობა მკითხველთა ერთ ნაწილში. ისინი ვ. ი. ლენინის ნაშრომზე „რა მემკვიდრეობაზე ვამბობ› უარს?“ — მსჯელობისას რატომღაც არ ითვალისწინებდნენ მის სხვა შრომებში მოცემულ ფუძემდებლურ დებულებებს 70-იანი წლების ხალხოსნების სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებად აღიარების შესახებ. არ ითვალისწინებდნენ აგრეთვე იმასაც, რომ ამავე ნაშრომში ვ. ი. ლენინი „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლებად მიიჩნევს არა მარტო 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატებს, არამედ 70-იანი წლების ხალხოსნებსაც. ყველაფერმა ამან საქმე მიიყვანა, ერთი მხრივ. რევოლუციონერი ხალხოსნების საერთო „მემკვიდრეობასა“ და, კერძოდ, რევოლუციონერ-დემოკრატებთან დაპირისპირებამდე, მაშასადამე, „მემკვიდრეობიდან“ რევოლუციონერი ხალხოსნების ამოგდებამდე, ხოლო, მეორე მხრივ, რევოლუციური დემოკრატიზმისა და განმანათლებლობის გაიგივებამდე. ეს უკანასკნელი გარემოება კი, თავის მხრივ, იმან გამოიწვია, რომ ვ. ი. ლენინი, კონსპირაციის გამო, „მემკვიდრეობაზე“ მსჯელობისას მის წარმომადგენლად მხოლოდ ბურჟუა-განმანათლებელ სკალდინს ასახელებს.

„მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა“ და „ნ ა რ ო დ ნ ი კ ო ბ ა“ ნ ა შ რ ო მ შ ი — „რ ა მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა ზ ე ვ ა მ ბ ო ბ თ უ ა რ ს?“. ხალხოსნობის შესახებ ვ. ი. ლენინის სხვა დებულებათა ფონზე, ამ ნაშრომის საფუძვლიანი შესწავლა გვარწმუნებს, რომ ლენინი მასში ერთმანეთს უპირისპირებს „მემკვიდ-

რეობასა“ და ლიბერალურ ხალხოსნობას და არა „მემკვიდ-
რეობასა“ და რევოლუციურ ხალხოსნობას.

ამ ნაშრომში საგანგებოდ არ არის ერთმანეთისაგან გამო-
ყოფილი ლიბერალური და რევოლუციური ხალხოსნობა.
ლენინი ძირითადად ხმარობს განმაზოგადებელ ტერმინ „ნა-
როდნიკობას“ და აკრიტიკებს მას როგორც „მემკვიდრეობას-
თან“ დემოკრატიული ძაფის გამწყვეტს. მაგრამ ლენინის
მტკიცებიდან ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაში სრულებით
არა გვაქვს საქმე „მემკვიდრეობისა“ და რევოლუციური ხალ-
ხოსნობის ურთიერთდაპირისპირებასთან. ამაზე მიუთითებს
თუნდაც ის ფაქტი, რომ ნაშრომში, როდესაც ლაპარაკი-
„მემკვიდრეობაზე“, მის წარმომადგენლებად მიჩნეული
არიან „60—70-იანი წლების“ მოღვაწენი[1]. განა ვინ შეიძლება
ვიგულისხმოთ 70-იანი წლების „მემკვიდრეობაში“, თუ არა
რევოლუციონერ-ხალხოსანთა „ბრწყინვალე პლეადა“?,
ლენინის სტატიაში „ნაროდნიკობის შესახებ“ ხომ გარკვე-
ვითაა ნათქვამი „ქმედითი ნაროდნიკობის აყვავება იყო 70-
იანი წლების რევოლუციონერების „სიარული ხალხში“ (გლე-
ხობაში)“[2].

ვ. ი. ლენინი „მემკვიდრეობის“ მოწინააღმდეგე „ნაროდ-
ნიკობაში“ სინამდვილეში გულისხმობს ლიბერალურ ხალ-
ხოსნებს და არა რევოლუციურს. ამას მოწმობს ის ფაქტი,
რომ ამ ნაშრომში ერთმანეთისაგან ცალ-ცალკეა ნახმარი ტერ
მინები: „ნაროდნიკობა“ ანუ „თანამედროვე ნაროდნიკობა“
და „მემკვიდრეობა“. ამასთან, მათ ვ. ი. ლენინი ერთმანეთი-
სადმი იდეურ-რევოლუციურად დაპირისპირებულ თაობებად
წარმოგვიდგენს. „ნაროდნიკობაში“ ან „თანამედროვე ნაროდ-
ნიკობაში“ რომ მხოლოდ 90-იანი წლების ლიბერალური ხალ-
ხოსნები იგულისხმებიან, ეს გარკვევით ჩანს იმავე ნაშრომში
„რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ ლენინის მიერ გაკეთე-
ბული ერთი საყურადღებო შენიშვნიდანაც. აქ იგი პარალელს
ავლებს „მემკვიდრეობის წარმომადგენელთა“ და „თანამედ-
როვე ეპოქის ნაროდნიკთა შორის“[3]. იგივე აზრი გამოსჭვივის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 611.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 637.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 628.

ნაშრომის იმ ნაწილშიც, სადაც ზოგადად ახასიათებს „ნაროდ-ნიკობას“, მიუთითებს მის ცნობილ სამ ნიშანზე („1. კაპიტალიზმის აღიარება რუსეთში დაცემულობად, რეგრესად. . . . 2. აღიარება საერთოდ რუსეთის ეკონომიური წყობის თვითმყოფობისა და კერძოდ გლეხის თვითმყოფობისა მისი თემით, არტელით და სხვა. . . . 3. უგულებელყოფა ჩვენი ქვეყნის „ინტელიგენციისა“ და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან“) და წერს: „ხსენებული ნიშნები საერთო აქვთ ნაროდნიკობის სულ სხვადასხვა წარმომადგენლებს დაწყებული... ბ-ნ იუზოვით და გათავებული ბ-ნ მიხაილოვსკით“[1]. ლენინის მიერ აქ ჩამოთვლილი ხალხოსნები ლიბერალური ხალხოსნები არიან. მაშასადამე, ამ ნაშრომში მოცემული გამანადგურებელი კრიტიკა „ნაროდნიკობისა“ ეხება ლიბერალურ ხალხოსნებს და არა რევოლუციურ ხალხოსნებს, რომლებიც „მემკვიდრეობას“ შეადგენდნენ.

ნაშრომის დასასრულს ვ. ი. ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ ჩვენი მიზანი იყო ლიბერალური ხალხოსნობის ნამდვილი სახის ჩვენებაო. „ჩვენი სტატიის ამოცანაა, — წერს ლენინი,— გავაბათილოთ ლიბერალურ-ნაროდნიკულ პრესაში გავრცელებული ჭორები, თითქოს „რუსი მოწაფეები“ უარჰყოფენ „მემკვიდრეობას“, კავშირს სწყვეტენ რუსი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის საუკეთესო ტრადიციებთან“[2].

რაც შეეხება რევოლუციური ხალხოსნობის დამახასიათებელ ნიშნებს, ისინი ჩამოთვლილია ლენინის სხვა ნაშრომში, კერძოდ, 1905 წელს გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი“. ამასთან, ვ. ი. ლენინი ჩამოთვლის არა სამ, არამედ 4 ნიშანს. ამ ნაშრომში ვ. ი. ლენინი თავს ესხმის და მკაცრად

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 639—640.

[2] იქვე, გვ. 667.

ამხელს რა ესერებს, რომლებიც თავს ასაღებდნენ „ძველი ნაროდნიკობის“ საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლებად, აღნიშნავს, რომ „სოციალ-რევოლუციონერების მთელ ორიგინალურ ავლადიდებას წარმოადგენს“ ძველი ნაროდნიკობა არა თავისი პროგრესული შინაარსით, არამედ „განახლებული, ახალმოდური ევროპული ოპორტუნიზმით (რევიზიონიზმი, ბერნშტეინელობა, მარქსის კრიტიკა)“. მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი გახადოს ესერების ეს „ახალმოდური ოპორტუნიზმი“, ლენინი სპეციალურად ჩერდება „ძველ ნაროდნიკობაზე“ ანუ რევოლუციურ ხალხოსნობაზე. მას ახასიათებს უაღრესად დადებითად და მიუთითებს მისთვის დამახასიათებელ ნიშანზე. „ნაროდნიკობა, — წერს ვ. ი. ლენინი, — რაოდენადმე მთლიანი და თანამიმდევარი მოძღვრება იყო. იგი უარყოფდა კაპიტალიზმის ბატონობას რუსეთში“ (პირველი ნიშანი). „უარყოფდა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა, როგორც მთელი პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლთა როლს“ (მეორე ნიშანი); უარყოფდა პოლიტიკური რევოლუციისა და ბურჟუაზიული პოლიტიკური თავისუფლების მნიშვნელობას“ (მესამე ნიშანი); „ქადაგებდა ერთბაშად სოციალისტურ გადატრიალებას, წარმოშობილს გლეხური თემიდან მისი წვრილი სოფლის მეურნეობით“[1]. (ხაზი ჩვენია — ზ. შ.).

როგორც ვხედავთ, რევოლუციური ხალხოსნობის, ისე როგორც რევოლუციური დემოკრატიზმის, აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს „ერთბაშად სოციალისტური გადატრიალების ქადაგება“. სწორედ ეს ნიშანი იყო არსებითი ნიშანი, რომელიც რევოლუციურ ხალხოსნობას თვისებრივად განასხვავებდა ლიბერალურისაგან.

ერთი სიტყვით, ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ — ილაშქრებდა „თანამედროვე“ ანუ ლიბერალური ხალხოსნობის წინააღმდეგ. მის საპირისპიროდ კი ყოველმხრივ დადებითად ახასიათებდა „მემკვიდრეობას“, რომლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლადაც 70-იანი წლების რევოლუციურ ხალხოსნობას თვლიდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 539.

რევოლუციურ-დემოკრატიული და განმანათლებლური „მემკვიდრეობა“.

ვ. ი. ლენინის ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ — ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია „მემკვიდრეობაში“ რევოლუციური დემოკრატიზმისა და განმანათლებლობის ადგილის გარკვევა. აქ დაწვრილებითაა განხილული 60—70-იანი წლების „მემკვიდრეობა“, რომლის წარმომადგენლადაც ბურჟუა-განმანათლებელი სკალდინია დასახელებული. ლენინი არ ასახელებს „მემკვიდრეობის“ სხვა წარმომადგენლების, მათ შორის არც რევოლუციურ-დემოკრატთა გვარებს.

სკალდინის შეხედულებათა ირგვლივ მსჯელობასთან დაკავშირებით, ლენინი გვაძლევს განმანათლებლობის, როგორც იდეოლოგიის კლასიკურ განმარტებას და მიუთითებს ვანმანათლებლობისათვის დამახასიათებელ ცნობილ სამ ობიექტურ ნიშანზე: 1) მხურვალე მტრობა ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი. 2) მხურვალედ დაცვა საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპიზაციისა და 3) ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა ინტერესების დაცვა. თუ მკითხველი ყურადღებას არ მიაქცევს იქვე გაკეთებულ შენიშვნას, სადაც ლენინი ამბობს, რომ, ლაპარაკობს რა სკალდინზე, გარკვეული მიზეზების გამო შეგნებულად არ ახსენებს „მემკვიდრეობის სხვა, უფრო ტიპურ ტონის მქონე“ წარმომადგენელს[1], შეიძლება იფიქროს, რომ ლენინს მხოლოდ განმანათლებლები მიაჩნდეს „მემკვიდრეობად“.

ვ. ი. ლენინის აღნიშნულ ნაშრომში „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლად მიჩნეულია არა მარტო განმანათლებლობა, არამედ რევოლუციური დემოკრატიზმი (70-იანი წლების ხალხოსნებთან ერთად). ამაზე გარკვევითაა ნათქვამი 1899 წლის 26 იანვრით დათარიღებულ მის ცნობილ წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „მემკვიდრეობა სხვა ადამიანებისაგან რომ უნდა მივიღოთ — ეს უდავოა. ჩემის აზრით, ჩემი დამცველი (მოწინააღმდეგეთა შესაძლებელი თავდასხმათაგან) იქნება შენიშვნა . . სადაც მე მხედველობაში სწორედ ჩერ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 627.

ნიშევსკი მყავდა და პარალელისათვის მისი აღების უხერხულობის მიზეზებს ვასაბუთებდი“[1].

ვ. ი. ლენინის ამ განმარტებიდან გამოჰქონდათ უმართებულო დასკვნა, თითქოს განმანათლებლისათვის დამახასიათებელი სამი ნიშნის ქვეშ, რომლებიც აღნიშნულ ნაშრომებშია ჩამოთვლილი, უნდა ვიგულისხმოთ სწორედ ნ. გ. ჩერნიშევსკი და არა სკალდინიო. ხოლო რამდენადაც ვ. ი. ლენინის სხვა ნაშრომებში ნ. გ. ჩერნიშევსკი დახასიათებულია როგორც ისეთი რევოლუციონერი დემოკრატი, რომლის „თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სიო დასტრიალებს“, ამდენად განმანათლებლობაც მის მსგავს რევოლუციურ მიმდინარეობად მიიჩნიეს და მისი ნიშნებიც რევოლუციური დემოკრატიზმის საზომად აღიარეს. ამის შედეგად ყველა ის ლიტერატურული მოღვაწე, ვისზეც ვრცელდებოდა განმანათლებლის ცნობილი სამი ნიშანი, რევოლუციონერ-დემოკრატად გამოაცხადეს.

რა თქმა უნდა, ლენინის მიერ მითითებული განმანათლებლობის სამივე ნიშანი ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერი დემოკრატებისთვისაც იყო დამახასიათებელი, მაგრამ ესენი არ იფარგლებოდნენ ამ სამი ნიშნით და უფრო მარცხნივ იხრებოდნენ. ლენინი გვასწავლის, რომ კლასიკური სამი ნიშნით შემოფარგლული განმანათლებელი ვერ ხედავდა „კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობებს“, ოცნებობდა ხალხის კეთილდღეობაზე „ბატონყმობის გადმონაშთების ლიკვიდაციისა“ და ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების გზით. ამასთან ვერ ამჩნევდა „იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“ და მას სავსებით გულწრფელად სწამდა „საყოველთაო კეთილდღეობა“[2]. ცხადია, ეს ყველაფერი კარგი და პროგრესულია. მიუხედავად ამისა, ნ. გ. ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლი რევოლუციონერები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ასეთი გულწრფელობით. ვ. ი. ლენინი თავის სხვა ნაშრომებში მიუთითებს, რომ ჩერნიშევსკი არა მარტო ხედავდა ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობებს, არამედ, ბურჟუა-გან-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 690—691.

[2] იქვე, გვ. 628.

მანათლებელი სკალდინისაგან განსხვავებით, „კაპიტალიზმის შესანიშნავი ღრმა კრიტიკოსი იყო, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა“[1]. ჩერნიშევსკი უბრალოდ კი არ ოცნებობდა ხალხის კეთილდღეობაზე, არამედ „ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლების“ მიუხედავად, გადაჭრით ატარებდა „გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“[2]. სწორედ „გლეხთა რევოლუციის იდეა“ იყო ის განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც რევოლუციონერ-დემოკრატებს (რევოლუციონერ-ხალხოსნებთან ერთად) ხდიდა „მემკვიდრეობის“ ძირითად წარმომადგენლებად და განასხვავებდა განმანათლებლებისაგან.

ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ მიხედვით „მემკვიდრეობაში“ განმანათლებლობისა და რევოლუციური დემოკრატიზმის ადგილი სავსებით ნათლად ვერ გაირკვევა, თუ ხაზგასმით არ გამახვილდა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მასში ტერმინი „მემკვიდრეობა“ ორი სხვადასხვა გაგებითაა წარმოდგენილი: 1) „საერთო „საგანმანათლებლო ხასიათის“ მემკვიდრეობა და 2) „უფრო ტიპიური ტონის წარმომადგენლის“ მემკვიდრეობა[3]. პირველი სახის „მემკვიდრეობის“ ტიპურ წარმომადგენლად ლენინი ასახელებს ბურჟუა-განმანათლებელ სკალდინს, ხოლო მეორე სახის „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლად ჩერნიშევსკის[4]. ამასთან, ვ. ი. ლენინს „მემკვიდრეობის“ ეს ორი წარმომადგენელი არ მიაჩნია ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ თაობებად.

ვ. ი. ლენინის დასახელებულ ნაშრომში ვრცლადაა განხილული „საერთო „საგანმანათლებლო ხასიათის“ მემკვიდრეობა. ცენზურა იძლეოდა ბურჟუა-განმანათლებელ სკალდინზე მსჯელობის საშუალებას. ლენინის სიტყვით, განმანათლებელთა ამ კატეგორიაში შედიოდნენ „დასავლეთევროპელი განმანათლებლები“ და სკალდინის მსგავსი რუსი განმანათლებლები, ანუ „60-იანი წლების ლიტერატურის წარმომად-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 129—130.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 626—627.

[4] იქვე, გვ. 690—691.

გენელთა უმრავლესობა"[1]. ლენინის თქმით, ესენი არიან ბურჟუა-განმანათლებლები, რომლებიც აშკარად დგანან დემოკრატიულ პოზიციებზე. მათ გულწრფელად სურთ ბატონყმობის გაუქმება და მისი გადმონაშთების მოსპობა, აგრეთვე სხვა დემოკრატიული ღონისძიებების გატარება. ლენინის დახასიათებით, განმანათლებლები, მართალია, არ არიან რევოლუციონერები, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ რეაქციულობას. პირიქით, იმ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ხდებოდა ბატონყმობის შეცვლა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობით — კაპიტალიზმით, ბურჟუაზიული განმანათლებლები უაღრესად პროგრესულ როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „როდესაც 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებლები სწერდნენ, — გვასწავლის ლენინი, — ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაში იყვნენ, ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ; პირიქით, დასავლეთ ევროპაშიც და რუსეთშიც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელად სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ჯერ არც შეეძლოთ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა"[2].

ვ. ი. ლენინი, 60—70-იანი წლების რევოლუციონერებთან ერთად, სწორედ ასეთი „გულწრფელობისა" და უანგარობისათვის მიიჩნევდა „მემკვიდრეობის" წარმომადგენლებად 60-იანი წლების განმანათლებლებსაც. ლენინის ეს ფუძემდებლური მითითება სავსებით ვრცელდება არა მარტო რუს, არამედ სხვა ეროვნების განმანათლებლებზედაც.

როგორც აღნიშნული იყო, გარდა „საერთო საგანმანათლებლო ხასიათის" მემკვიდრეობისა, ლენინის ნაშრომის შენიშვნაში მოხსენებულია მემკვიდრეობის „უფრო ტიპიური ტონის მქონე წარმომადგენელი". ასეთი „მემკვიდრეობის"

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 626.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.

წარმომადგენლებად ლენინი გულისხმობდა რევოლუციონერ-დემოკრატებს, კერძოდ კი ნ. გ. ჩერნიშევსკის[1].

ვ. ი. ლენინის ამ მითითების დავიწყება და „უფრო ტიპიური ტონის მქონე“ მემკვიდრეობის ანუ ჩერნიშევსკისებური რევოლუციური დემოკრატიზმის არევა „საერთო საგანმანათლებლო ხასიათის“ მემკვიდრეობაში, ანუ ზემოხსენებული სამი ნიშნით შემოფარგლულ ბურჟუაზიულ განმანათლებლობაში, მიუტევებელი შეცდომაა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განმანათლებლობის, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის, გაიგივება „მემკვიდრეობის“ „უფრო ტიპიური ტონის მქონე“ წარმომადგენლის — ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიულ მსოფლმხედველობასთან. თუმცა არც ისაა მართებული, რომ მათ შორის ჩინური კედელი აღიმართოს. ტიპური განმანათლებლისათვის უცხოა ჩერნიშევსკის მიერ დამუშავებული „გლეხური რევოლუციის“ თეორია. რაც შეეხება ტიპურ რევოლუციონერ-დემოკრატს, იგი „გლეხური რევოლუციის“ მოხდენის თაოსანია, რუსეთში არსებული ექსპლოატატორული წყობილების რევოლუციური გზით დამხობის მომხრეა, ამასთან განმანათლებელიცაა. ასეთები იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა „ბრწყინვალე პლეადის“ წარმომადგენლები.

მაშასადამე, ყველა განმანათლებელი არ შეიძლება იყოს რევოლუციონერი დემოკრატი. რაც შეეხება რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ 60—70-იანი წლების მოღვაწეებს, ისინი განმანათლებლებიც არიან. ამ გარემოებას მივყავართ იმის აუცილებელ აღიარებამდე, რომ რევოლუციური დემოკრატიზმი და განმანათლებლობა არ წარმოადგენენ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ მიმდინარეობებს. პირიქით, იმ ისტორიულ ვითარებაში ისინი ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ, განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი თაობის — რაზნოჩინელობის ფარგლებში თავსდებოდნენ და ორივენი შედიოდნენ „მემკვიდრეობაში“. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 691.

შეფასებისას წინა პლანზე 60—70-იანი წლების რევოლუციონერები უნდა იქნენ წამოწეულნი, რადგანაც ᲗᲐᲗ სწორედ რევოლუციური ნათესაობა აკავშირებდათ სოციალ-დემოკრატიასთან.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის ფუძემდებლური დებულებების მიხედვით „მემკვიდრეობაში“ უნდა ვიგულისხმოთ რეფორმის შემდგომი რუსეთის განმათავისუფლებელი ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ — რაზნოჩინელობა, რომლის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ხალხოსნობა იყო. „მემკვიდრეობის“ ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ ბატონყმობისდაცემისდროინდელი რევოლუციონერები და რევოლუციონერი ხალხოსნები, რომელთა საერთო იდეური საფუძველი ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ დასრულებული სახით ჩამოყალიბებული „რუსული გლეხური სოციალიზმის თეორია“ იყო. ამათ გარდა, „მემკვიდრეობაში“ ვარკვეული მოსაზრებით განმანათლებლობაც შედიოდა.

„მემკვიდრეობის“ წარმომადგენელმა რევოლუციონერთა თაობებმა ორ-ნახევარ ათეულ წელზე მეტხანს იმოღვაწეს და რუსი და რუსეთის ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში პროგრესული როლი შეასრულეს.

საერთო თეორიული საფუძვლის მიუხედავად, „მემკვიდრეობა“, როგორც იდეურ-რევოლუციური მიმდინარეობა, თავისი არსებობის მანძილზე მაინც არ იყო სავსებით ერთგვაროვანი და თანამიმდევრული მიმდინარეობა. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ახალი სოციალურ-ეკონომიური ძალების გავლენით, „მემკვიდრეობის“ წარმომადგენლები იცვლიდნენ ფორმებს, ბრძოლის ტაქტიკას, იძენდნენ სხვადასხვა ახალ ნიშანს.

„მემკვიდრეობაში“ შემავალ თაობათა მოძრაობას ყოველთვის ახასიათებდა შინაგანი იდეური წინააღმდეგობანი და ახალი თეორიული შინაარსის ძიება. სწორედ მწვავე დისკუსიების მსვლელობაში ცდილობდნენ 60—70-იანი და 80-იანი წლების დამდეგის რევოლუციონერები მოენახათ რევოლუციური მოქმედების სწორი გზა. ამ თაობის რევოლუციონერებს ყოველთვის ამოძრავებდათ ქვეყნად არსებული სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის მოსპობის იდეა. ამის მისაღწევად ისინი ოცნებით კი არ იფარგლებოდ-

ნენ, არამედ ეძებდნენ რეალურ გზებსა და საშუალებებს. რევოლუციონერმა ხალხოსნებმა გამონახეს ხალხის ფართო მასაზე — გლეხობაზე დაყრდნობით სოციალური რევოლუციის მოხდენის გზა, რითაც სავსებით დამსახურებულად მოიპოვეს სოციალ-დემოკრატიის წინამორბედების ანუ „მემკვიდრეობის“ საპატიო სახელი.

3. რევოლუციური ხალხოსნობისა და სოციალ-დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი

რევოლუციური ხალხოსნობისა და სოციალ-დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა პრინციპული თეორიული საკითხია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე ზოგიერთი ჩვენი მოსაზრებაც გამოვთქვათ.

საქმე ეხება იმის გამორკვევას, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხ ა ლ ხ ო ს ნ ო ბ ი ს მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ი ყ ო თ უ ა რ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი პ ა რ ტ ი ი ს შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა დ ა უ ძ ი ნ ე ბ ე ლ ი მ ტ ე რ ი. 30—40-იან წლებში გამოსული ნაშრომების დიდ ნაწილში რ ო გ ო რ ც რუსეთის, ისე ამიერკავკასიის ხალხოსნური მოძღვრება მარქსიზმის დ ა უ ძ ი ნ ე ბ ე ლ მ ტ რ ა დ ა ა გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ უ ლ ი. თუ ხალხოსნობაზე ვიმსჯელებთ მ ხ ო ლ ო დ ლიბერალური ხალხოსნობის მიხედვით, მაშინ სადავო არაფერია, მაგრამ, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დაუძინებელ მტრად აცხადებენ რევოლუციურ ხალხოსნობასაც და მხედველობიდან უშვებენ იმ საერთოსა და საზიაროს, რომელიც არსებობდა რევოლუციური ხალხოსნობისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისთა შორის, ეს, ცხადია, შეცდომაა.

30—40-იანი წლების ლიტერატურაში, რომელიც რეფორმის შემდგომი პერიოდის რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას ეხება, ხალხოსნური მოძრაობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შეფასების შესახებ გამოთქმული საერთო აზრი შეიძლება ასეთნაირად ჩამოყალიბდეს:

ხალხოსნები ვერ ამჩნევდნენ რუსეთში პროლეტარიატის ისტორიულ როლს და საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ გარდამქმნელ ძალად გლეხობას თვლიდნენ. ამიტომ ხალხოსნობა ისტორიულად ჩამორჩენილი, პროგრესულობას მოკლებული, პროლეტარული პარტიის იდეოლოგიისადმი უაღრესად მტრული დოქტრინა იყო.

ჩვენი აზრით, საერთოდ ხალხოსნობის შესახებ ასე ხელაღებით მსჯელობა უმართებულოა და საკითხის შეფასებისადმი არაისტორიულად მიდგომის შედეგია.

ჯერ ერთი, საერთოდ ხალხოსნების შეხედულებებს ერთი საზომით ვერ მიუდგები. ვ. ი. ლენინი გარკვევით მიუთითებს რევოლუციური და ლიბერალური ხალხოსნების თვალსაზრისთა შორის პრინციპულ განსხვავებაზე. რევოლუციური ხალხოსნების გლეხური სოციალიზმის თეორია იმ ისტორიული ვითარებისათვის პროგრესულს წარმოადგენდა, ხოლო ლიბერალური ხალხოსნების თეორია რეაქციულს. ამიტომაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 60—70-იანი წლების ხალხოსნები რუსეთში სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი იყვნენ, ლიბერალური ხალხოსნები კი მისი დაუძინებელი მტრები.

მეორეც, ხალხოსნობის შესახებ მსჯელობისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თავისებურებანი იმ ისტორიული ეპოქებისა, რომლებშიც მოღვაწეობა უხდებოდათ როგორც რევოლუციონერ, ისე ლიბერალურ ხალხოსნებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარქსიზმში ძირითადია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და რომ პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვება შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მჭიდრო რევოლუციური კავშირის გზით. ექსპლოატატორებზე მშრომელთა სრული გამარჯვების გარანტია არის მოწინავე თეორიით შეიარაღებული პროლეტარიატის ჰეგემონობა რევოლუციაში. მაშასადამე, გლეხობაზე ორიენტაციის აღება და პროლეტარიატის როლის უარყოფა მარქსიზმისათვის მიუღებელია. ვინც ამას აკეთებს, იგი მარქსიზმის მოწინააღმდეგეა. სწორედ ასეთები იყვნენ ლიბერალური ხალხოსნები.

80-იანი წლების მეორე ნახევრისა და 90-იანი წლების ლი-

ბერალურ ხალხოსანთა თეორიის რეაქციულობა არა მარტო იმაში გამოიხატა, რომ მასში ადგილი ვერ პოვა რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური როლის აღიარებამ, არამედ იმაშიც, რომ მან სავსებით შეაქცია ზურგი 60—70-იანი წლების რევოლუციონერ-ხალხოსანთა თეორიულ მონაპოვარს — მოძღვრებას გლეხთა რევოლუციის შესახებ.

სწორედ ამ ძირითად გარემოებას ივიწყებენ ისინი, ვინც საერთოდ ხალხოსნობის შეხედულებებს ერთი საზომით ზომავენ. ეს იმის შედეგია, რომ ისინი რევოლუციური და ლიბერალური ხალხოსნობის შეფასებას არ უდგებიან ისტორიული თვალსაზრისით.

მარქსიზმ-ლენინიზმი მკაცრად ილაშქრებს ისტორიული მოვლენების შეფასებისას მოდერნიზაციის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებს, რომ ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა არ უნდა ფასდებოდეს თანამედროვე კრიტერიუმის მიხედვით. 1897 წელს ლიბერალური ხალხოსნობის ეკონომიური რომანტიზმის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის პერიოდში დაწერილ ნაშრომში ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ნაროდნიკებმა (რევოლუციურმა — ზ. შ.), მართალია, ვერ გაიგეს „რომანტიზმის დამახასიათებელი თვალსაზრისი კაპიტალიზმზე“, ვერ მოგვცეს „კაპიტალიზმის მეცნიერული ანალიზი“, მაგრამ თუ ამ საკითხს ისტორიულ ასპექტში შევაფასებთ, მაშინ არ შეიძლება რევოლუციონერ-ნაროდნიკებს ამაში „ბრალი დავდოთ“, რადგანაც „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“[1].

ხალხოსნობასთან დამოკიდებულებაში ისტორიზმის ასეთი პრინციპების დაცვა ჰქონდა მხედველობაში ფრიდრიხ ენგელსსაც, როდესაც რუს რევოლუციონერ-ემიგრანტ ა. ვოდენთან საუბარში, ეხებოდა რა რევოლუციონერ-ხალხოსნებთან რუსი მარქსისტების დამოკიდებულებას, ამბობდა, რომ, იგი (ენგელსი — ზ. შ.) არ იწონებდა „რევოლუციონერ-ხალ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 216—217.

ხოსნებთან კონფლიქტის გამწვავებას“, თუკი ამას „უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვდა“[1].

30—40-იან წლებში გამოსულ მთელ რიგ ისტორიულ ნაშრომებში კი, როდესაც საქმე ეხება ხალხოსნების მსოფლმხედველობასთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების საკითხს, არ არის გათვალისწინებული ისტორიული ეპოქის თავისებურებანი. რევოლუციური და ლიბერალური ხალხოსნები, როგორც სხვადასხვა ისტორიული საფეხურის მოღვაწენი, აქ არ არიან გამოყოფილი ერთმანეთისაგან.

80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების ხალხოსნების მიერ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების უარყოფა, პროლეტარიატის რევოლუციური როლის იგნორირება, რევოლუციური გადატრიალების მოთხოვნაზე ხელის აღება, სამიწათმოქმედო თემის კომუნისტურ ბუნებაზე მსჯელობა და მარქსიზმის წინააღმდეგ გალაშქრება უკიდურესად რეაქციული ხასიათის თეორიული გამოხდომა იყო. გალიბერალებულ ხალხოსნებს არ სურდათ დაენახათ, რომ XIX საუკუნის დამლევისათვის რუსი გლეხობა არ წარმოადგენდა სოციალისტური ბუნების მატარებელ ძალას, რომ რევოლუციის ჰეგემონად ახლა გამოდიოდა რუსეთის პროლეტარიატი. მას უნდა გაეყოლიებინა მშრომელი გლეხობა რევოლუციის მოსახდენად.

რაც შეეხება რევოლუციური ხალხოსნობის თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას, XIX საუკუნის ბოლოსათვის იგი უკვე დამთავრებული იყო. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა მივუდგეთ რევოლუციურ ხალხოსნობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის ურთიერთობის შეფასებას. მართალია, რევოლუციონერი ხალხოსნების თეორიული შეხედულებები, კერძოდ კი ოცნება გლეხთა რევოლუციის გზით რუსეთში „ობშჩინური“ სოციალიზმის დამყარებაზე, უტოპია იყო და მას არაფერი ჰქონდა საერთო მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებასთან, მაგრამ რევოლუციონერ-ხალხოსანთა ეს შეხედულება არ შეჯახებია მარქსიზმს, რადგანაც 60—70-იანი წლების რუსეთში არც რევოლუციურად დარაზმული პროლეტა-

---

[1] ჟურნ. „ლეტოპის მარქსიზმი“, 1927, № 4, გვ. 94.

რიატი იყო და არც მარქსისტული მოძღვრება. რევოლუციური ხალხოსნობის აღნიშნული თეორია იყო მაშინ ერთადერთი მოწინავე რევოლუციური თეორია.

როდესაც რევოლუციური ხალხოსნობისა და სოციალ-დემოკრატიის თეორიულ შეხედულებებს ვიხილავთ, როგორც სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე მებრძოლი მ'მრომელი მასების იდეოლოგიებს, მათ შორის განსხვავებასთან ერთად აუცილებლად დავინახავთ იმ საერთოსაც, რომელიც განსაზღვრავდა იდეურ მემკვიდრეობას რევოლუციურ ხალხოსნობასა და სოციალ-დემოკრატიას შორის.

60—70-იანი წლების რევოლუციონერი ხალხოსნები უბრალოდ კი არ ოცნებობდნენ სოციალიზმზე, არამედ სოციალიზმის მოპოვების მთავარ პირობად მიიჩნევდნენ რუსეთში არსებული სოციალურ-ეკონომიური უსამართლობის მოსპობას გლეხთა მასობრივი რევოლუციის გზით. სწორედ მასებზე ორიენტაციის აღება იყო ის საერთო ნიშანი, რომელიც ახასიათებდა როგორც რევოლუციონერი ხალხოსნების, ისე სოციალ-დემოკრატიის თეორიებს. როგორც ზევითაც მივუთითეთ, ვ. ი. ლენინი 1909 წელს დაწერილ სტატიაში „ვეხის შესახებ" ამასთან დაკავშირებით წერდა: „ის, რაც ნაროდნიკობასა და მარქსიზმს საერთო აქვთ, — ეს არის მათ მიერ დემოკრატიის დაცვა მასებისადმი მიმართვის გზით"[1].

რევოლუციურ ხალხოსნობასა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას საერთო ჰქონდათ აგრეთვე თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შეგნება საერთაშორისო განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. რევოლუციონერი ხალხოსნების შეხედულებებზე ამ მხრივ უდიდესი გავლენა მოახდინეს ევროპის რევოლუციების გამოცდილებებმა და პირველი ინტერნაციონალის იდეებმა. „რუსეთის რევოლუციური აზრის მოწინავე წარმომადგენლებს, — ვკითხულობთ ამის შესახებ სკკპ ისტორიის პირველ ტომში, — მარქსიზმის გაგებისა და ათვისების საქმეში ხელს უშლიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განუვითარებლობა. მაგრამ ევროპის პროლეტარიატის ბრძოლის მაგალითმა და გაკვეთილებმა 1848 წლის ივლი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 151—152.

სის აჯანყებიდან პარიზის კომუნამდე, პირველი ინტერნაციონალის იდეებმა და მოწოდებებმა უდიდესი როლი შეასრულეს რუსი რევოლუციონერების დემოკრატიული შეხედულებებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ჩამოყალიბებაში. ისინი მწვავედ გრძნობდნენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას — რუსეთი გაეთავისუფლებინათ თვითმპყრობელობისაგან"[1], რომელიც ყირიმის ომში დამარცხების შემდეგაც კვლავ რჩებოდა „გაერთიანებული ევროპული დესპოტიზმის ხერხემლად"[2].

რევოლუციური ხალხოსნობის მოძღვრება რომ არ არის სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიის მტერი, ამას ადასტურებს მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულება ხალხოსნური თეორიის ისეთი საკვანძო საკითხისადმი, როგორიცაა გლეხთა რევოლუციის გზით და სასოფლო თემზე დაყრდნობით კომუნისტურ საზოგადოებაში რუსეთის გადასვლის შესაძლებლობის საკითხი.

შუასაუკუნეობრივი რუსული სასოფლო თემი ვერ გამოდგებოდა სოციალიზმზე გადასვლის საფუძვლად. ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინმა და რუსმა მარქსისტებმა დაუნდობლად გაილაშქრეს „ობშჩინურ" სოციალიზმზე ლიბერალურ ხალხოსანთა ოცნების წინააღმდეგ. რაც შეეხება 60—70-იანი წლების ხალხოსნებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი არა მხოლოდ ოცნებობდნენ ობშჩინურ სოციალიზმზე, არამედ მის მოსაპოვებლად აუცილებლად მიაჩნდათ გლეხთა რევოლუცია. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებიც პრინციპში არ უარყოფდნენ რუსეთში მიწათმფლობელობის პირველყოფილი „ობშჩინური" წესის, მიწათმფლობელობის უმაღლეს, კომუნისტურ ფორმაზე გადასვლის შესაძლებლობას. მაგრამ, ხალხოსნებისაგან განსხვავებით, ამის გარანტიად მარტო რუსეთის გლეხთა რევოლუცია კი არ მიაჩნდათ, არამედ რუსეთის გლეხური და ევროპის პროლეტარული რევოლუციების მიერ ერთმანეთის შევსება. ამის შესახებ კ. მარქსი და ფ. ენგელსი

---

1. История Коммунистической Партии Советского Союза, т. I, 1962, стр. 90.

2 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 19, стр. 146.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში 1882 წელს წერდნენ: „შეძლებს რუსული თემი — ეს მართალია, უკვე ძალიან დარღვეული ფორმა პირველყოფილი კოლექტიური მიწათმფლობელობისა — უშუალოდ გადავიდეს მიწათმფლობელობის უმაღლეს, კომუნისტურ ფორმაზე? თუ, პირიქით, მან ჯერ უნდა გაიაროს იგივე რღვევის პროცესი, რომელიც ახასიათებს დასავლეთის ისტორიულ განვითარებას?

ერთადერთი, დღეს შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: თუ რუსეთის რევოლუცია გახდება სიგნალი პროლეტარული რევოლუციისა დასავლეთში, ისე რომ ორივე ერთმანეთს შეავსებს, მაშინ დღევანდელი რუსეთის მიწის საკუთრება შეიძლება გადაიქცეს კომუნისტური განვითარების გამომავალ წერტილად“[1].

11 წლის შემდეგაც, 1893 წელს, რუსი ხალხოსნის ნ. დანიელსონისადმი გაგზავნილ წერილში ფ. ენგელსი კვლავ იმეორებს ადრე მარქსთან ერთად გამოთქმულ იმავე მოსაზრებას: „თუ ეკონომიური გადატრიალება რუსეთში, — წერს ფ. ენგელსი, — ემთხვევა ეკონომიური სისტემის გადატრიალებას დასავლეთში, ისე რომ ისინი ავსებენ ერთმანეთს, მაშინ თანამედროვე რუსეთის მიწათმფლობელობა შეიძლება იქცეს ახალი საზოგადოებრივი განვითარების ამომავალ წერტილად“[2].

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი დასავლეთში პროლეტარული რევოლუციის დაწყების ბიძგად რუსეთში გლეხთა რევოლუციის გაჩაღებას თვლიდნენ, ე. ი. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები არ გამორიცხავდნენ პირველად გლეხთა რევოლუციის რუსეთში დაწყების შესაძლებლობას. 60—70-იანი წლების რუსი ხალხოსნების თეორიულ შეხედულებებსა და პრაქტიკულ საქმიანობას სწორედ ჩერნიშევსკის მიერ შემუშავებული გლეხთა რევოლუციის იდეა ასაზრდოებდა. მაშასადამე, როდესაც

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მიწერ-მოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან, თბილისი, 1955, გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 221.

ვლაპარაკობთ რევოლუციური ხალხოსნებისა და სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ მათ ზოგი რამ საერთო ჰქონდათ გლეხთა რევოლუციისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისშიც.

აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი სავსებით შესაძლებლად მიიჩნევდა რევოლუციურ ხალხოსანთა აგრარული პროგრამის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში შეტანას სათანადო ცვლილებების შემდეგ. 1899 წელს დაწერილ ნაშრომში — „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი" — ვ. ი. ლენინი, ერთი მხრივ, გადაჭრით მოითხოვდა გამიჯვნას ლიბერალურ-ხალხოსნური მისწრაფებებისაგან. რაც სოფლად კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვაში გამოიხატებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდა სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში ხალხოსნობის რევოლუციური შინაარსის შესვლის აუცილებლობას. „რამდენადაც ნაროდნიკობა, — წერს ვ. ი. ლენინი, — რევოლუციური იყო, ე. ი. ილაშქრებდა წოდებრივ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ხალხის მასების ექსპლოატაციისა და ჩაგვრის იმ ბარბაროსული ფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს სახელმწიფო მხარს უჭერდა, იმდენად ეს რევოლუციური შინაარსი უნდა შესულიყო, სათანადო ცვლილებებით, როგორც შემადგენელი ელემენტი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამამი"[1].

ამრიგად, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები რევოლუციური ხალხოსნობის ზოგიერთ საპროგრამო დებულებას არ მიიჩნევდნენ სავსებით მიუღებლად სოციალ-დემოკრატიისათვის. ვ. ი. ლენინი მკაცრად ილაშქრებდა რა ლიბერალური ხალხოსნების, ხალხის ამ ყალბი მეგობრების წინააღმდეგ, ამასთან, დიდი სიმპათიით ეპყრობოდა რევოლუციურ ხალხოსნობას, რომლის შინაარსსაც გლეხთა რევოლუციური დემოკრატიზმი შეადგენდა. ლენინი მიუთითებდა, რომ რევოლუციური ხალხოსნობა თავის დროზე ყველაზე მასობრივი რევოლუციური კლასის — გლეხობის იდეოლოგიას წარმოადგენდა. მას „ქმედითი ნაროდნიკობის" ანუ რევოლუციური ხალხოსნობის ერთადერთ რეალურ შინაარსად „გლეხთა დე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 302—303.

მოკრატია“ მიაჩნდა[1]. გლეხობა კი, როგორც ვიცით, პროგრესული რევოლუციური ძალაა, იგი პროლეტარიატის მოკავშირეა რევოლუციაში, მაშასადამე, მარქსიზმის გავრცელებამდე რუსეთში არსებული გლეხთა რევოლუციური იდეოლოგიაც პროგრესულ იდეოლოგიას წარმოადგენდა. როგორც სამართლიანად აღინიშნა ხალხოსნობის შესახებ საკავშირო კონფერენციაზე, ლენინისა და საერთოდ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება რევოლუციურ ხალხოსნობასთან ესაა პროლეტარიატის რევოლუციური იდეოლოგიის დამოკიდებულება გლეხური რევოლუციის იდეოლოგიასთან.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული მოსაზრება არ შეიძლება გავრცელდეს 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების ლიბერალური ხალხოსნობის იდეოლოგიაზე. ლიბერალურმა ხალხოსნებმა თავიანთი თეორიული შეხედულებებიდან საერთოდ ამოიღეს რევოლუციური გადატრიალების მოთხოვნა. მათ ლაქუცი დაიწყეს ცარიზმის წინაშე და მშრომელთა „გაბედნიერებას“ მეფის მიერ გამოცემული რეფორმებით ფიქრობდნენ. მათ არ სურდათ დაენახათ საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოსული ახალი რევოლუციური კლასი — რუსეთის პროლეტარიატი. ამიტომ ლიბერალური ხალხოსნები რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიის — მარქსიზმის დაუძინებელ მტრებად იქცნენ. მათ ყოველგვარი მემკვიდრეობითი კავშირი გაწყვიტეს 60—70-იანი წლების რევოლუციურ ხალხოსნობასთანაც.

აღსანიშნავია, რომ რევოლუციონერი ხალხოსნების საუკეთესო ნაწილმა (პლეხანოვი, ზასულიჩი და სხვ.), როგორც კი დაინახა რუსეთში ახალი რევოლუციური ძალა — პროლეტარიატი, მაშინვე გადაინაცვლა მარქსიზმის პოზიციებზე. რევოლუციური ხალხოსნობის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმაც თავიანთი რევოლუციური ტრადიციების გამგრძელებლად რუსი სოციალ-დემოკრატები მიიჩნიეს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ აკად. ნ. მ. დრუჟინინის მიერ იტალიელ პროფესორ ფრანკო ვენტურისადმი გაგზავნილ წერილში მოტანილ შემდეგ საყურადღებო ფაქტზე:

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18. გვ. 637—638.

„როდესაც პოლიტკატორღელთა საზოგადოების ერთ-ერთი საჯარო დისკუსიის დროს, — ვკითხულობთ აკად. ნ. მ. დრუჟინინის წერილში, — ესერების ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი მიუბრუნდა უკვე მოხუცებულ ვერა ნიკოლოზის ასულ ფიგნერს და უთხრა: „თქვენ ჩვენთან ხართო“, ფიგნერმა ყველას გასაგონად და ხმამაღლა უპასუხა: „თქვენ ცდებით! მე რომ შემეძლოს დავუბრუნდე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას, თქვენთან კი არა ბოლშევიკებთან ვიქნებოდი“[1].

რევოლუციური ხალხისნობისა და სოციალ-დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განხილვა ჩვენ გვინდა შევაჯამოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის პირველ ტომში ჩაწერილი შემდეგი საგულისხმო სიტყვებით: „ხალხში და ხალხისათვის მუშაობის მისწრაფება. ბატონყმობისა და მეფის აბსოლუტიზმისადმი შეურიგებელი და უკომპრომისო მტრობა — აი, მსხვერპლითა და სისხლით დაღდასმული იდეური მონაპოვარი, რომელიც მემკვიდრეობით შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“[2].

ასე გვაქვს წარმოდგენილი რუსული რევოლუციური ხალხისნური მოძრაობის თეორიულ ასპექტში შეფასება. ხოლო რამდენადაც რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, ნიკო ნიკოლაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ნიადაგ გავლენას ახდენდა“ საქართველოსა და ამიერკავკასიის „ბედ-იღბალზე“, რის შედეგადაც საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის განვითარების თვალსაზრისით რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, იმდენად რუსული ხალხისნობის შეფასებაც, რომელიც აქ მოვახდინეთ, საესებით გავრცელდება ამიერკავკასიის რევოლუციონერ-ხალხისნებზეც.

---

1 «История СССР», 1963, № 4, стр. 184.

2 История Коммунистической Партии Советского Союза, т. I, 1962, стр. 90.

თავი III

რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ამიერკავკასიაში

1. ხალხოსნური მოძრაობის თავისებურებანი ამიერკავკასიაში

ხალხოსნური მოძრაობა ამიერკავკასიის ყველა კუთხეში ერთნაირი ძალით არ გაშლილა. ზოგ ქალაქსა და გუბერნიაში ის სუსტი იყო, ზოგან ძლიერი. ყველაზე აქტიური ხალხოსნური წრეები მაინც თბილისში არსებობდა და ხალხოსნურმა მოძრაობამაც, ცხადია, აქ უფრო ფართო გაქანება მიიღო. ჩვენი აზრით, ეს განაპირობა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა.

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი აღარ წარმოადგენდნენ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს საკუთარი პოლიტიკური ცენტრებით. მთელი ამიერკავკასია 5 გუბერნიად დაიყო (თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტოპოლის). კავკასიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრი თბილისი იყო. თბილისის მოსახლეობა ძირითადად ქართველების, აგრეთვე სომხებისა და აზერბაიჯანელებისაგან შედგებოდა. აქვე იბეჭდებოდა პერიოდული გამოცემები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მაშასადამე, ამ ხალხების ინტელიგენციაც უმთავრესად თბილისში იყო თავმოყრილი.

ამიტომ სწორედ თბილისში იქმნებოდა მთელი რიგი ისეთი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი წრეები, რომლებიც ფაქტიურად ამიერკავკასიელ ახალგაზრდათა წრეებს წარმოადგენდნენ, რადგანაც ამ წრეებში არა მარტო ქართველები, არამედ სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც იყვნენ გაერთიანებულნი.

ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობა 60-იან წლებში დაიწყო. საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხალხოსნობა ძირითადად ერთსა და იმავე იდეურ პოზიციებზე იდგა, მაგრამ მას სამივე ამ ქვეყანაში მაინც ახასიათებდა ზოგიერთი თავისებურება.

რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილე ახალგაზრდათა რაოდენობით აზერბაიჯანს ბოლო ადგილი ეკავა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ 60—70-იან წლებში აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ცოტანი სწავლობდნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში. როგორც ცნობილია, პირველი აზერბაიჯანელი ინტელიგენტი, რომელმაც უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო, გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი და რევოლუციონერი ჰასანბეგ ზარდაბი გახლდათ. მან კი „მხოლოდ 1865 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება“[1].

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა სიმცირე აზერბაიჯანში ბარბაროსული ირან-თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის მძიმე შედეგებით უნდა ავხსნათ. ეს შედეგები იყო მუსლიმანური რელიგიის კარჩაკეტილობა, ფანატიზმი, გაუნათლებლობა, რომლებიც მუსლიმან ბავშვებს ძლიერ დაბრკოლებას უქმნიდნენ რუსულ მართლმადიდებლურ სასწავლებლებში სასწავლებლად შესვლის გზაზე. აზერბაიჯანელთათვის ეროვნული სკოლების გახსნაზე კი ცარიზმი არ ზრუნავდა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მუსლიმანური რელიგიის კარჩაკეტილობა 60—70-იან წლებში დიდ სიძნე-

---

1 Гасан Бек Зардяби, Избранные статьи и письма, т. II, Баку, 1962, стр. 7.

ლეებს უქმნიდა რუს და სხვა ეროვნების რევოლუციონერ-პროპაგანდისტებს აზერბაიჯანელ გლეხობაში სათანადო რევოლუციურ-ხალხსნური საქმიანობის გაშლის გზაზეც. XIX საუკუნის დამლევისათვის ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზის დამთავრებისა და აზერბაიჯანში ნავთის მრეწველობის გაფართოების შემდეგ, ბაქოში, მართალია, იზრდება რუსეთის სასწავლებლებში აღზრდილი ადგილობრივი ინტელიგენციის რაოდენობა, მაგრამ მაშინ ხალხსნობა უკვე გალიბერალების გზაზე იდგა. ბაქოს ახალგაზრდა პროლეტარიატი იწყებდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, ამიტომ ხალხსნობის იდეების გავრცელებაზე ახლა ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს აზერბაიჯანში რევოლუციურ-ხალხსნური მოძრაობა არ ყოფილიყოს. აზერბაიჯანის მოწინავე ინტელიგენციამ თავის დროზე შეიმუშავა რევოლუციურ-ხალხსნური იდეოლოგია, გასწია მისი პროპაგანდა აზერბაიჯანის მოწინავე საზოგადოებრიობაში, შექმნა ფარული წრეები და ა. შ.

რაც შეეხება სომხურ ინტელიგენციას, მის მოწინავე ნაწილში 60-იანი წლების დამდეგიდანვე მოიკიდა ფეხი რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. სომეხ ახალგაზრდობაში ახალი იდეების პროპაგანდის დაწყება დაკავშირებულია გამოჩენილი სომეხი რევოლუციონერის მიქაელ ხალბანდიანის სახელთან.

მიქაელ ნალბანდიანი სომეხი ხალხსნების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ფუძემდებელია, თუმცა ამის შესახებ არსად არაფერი არ არის ნათქვამი. მართალია, მიქაელ ნალბანდიანი რუსი და ამიერკავკასიელი მკვლევრების მიერ სამართლიანად მიჩნეულია რევოლუციონერ-დემოკრატად, მაგრამ სომხური ხალხსნობის ფუძემდებლად იგი არაა აღიარებული. ისეთ ავტორიტეტულ ნაშრომებშიც კი, როგორიცაა „მსოფლიო ისტორია“ და „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, საერთოდ არაფერია ნათქვამი მ. ნალბანდიანის, როგორც რევოლუციონერი ხალხსნის, შესახებ, თუმცა მას ნ. გ. ჩერნიშევსკის მსგავს რევოლუციონერ-დემოკრატად მიიჩნევენ[1].

---

[1] Всемирная История, т. 6, М., 1959, стр. 108.

გასული საუკუნის 70—80-იან წლებში არსებული სომეხი ახალგაზრდების ფარული წრეები უკანასკნელ პერიოდამდე ნაციონალისტური ხასიათის წრეებად იყო გამოცხადებული[1].

რაც შეეხება სომხურ ნაროდოვოლურ ორგანიზაცია -- „გნჩაკს“, მას ხელაღებით თვლიან წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიად. 80—90-იანი წლების დამდეგის „გნჩაკის“ მნიშვნელობას აფასებდნენ შემდეგში ჩამოყალიბებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისგავსად და არა იმის მიხედვით, თუ რა მოგვცა მან ახალი „თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“[2].

რა თქმა უნდა, რეფორმისშემდგომი წლების სომხური ფარული წრეები ატარებდნენ ნაციონალისტურ ელფერს, მაგრამ ისინი იბრძოდნენ დასავლეთ სომხეთის განთავისუფლებისათვის თურქეთის უღლისაგან. რუსეთის მიმართ კი არასოდეს ყოფილან განწყობილი ნაციონალისტურად. პირიქით, ისინი დასავლეთ სომხეთის განთავისუფლებაში მთელ იმედებს რუსეთის სახელმწიფოსა და რუს ხალხზე ამყარებდნენ.

სოციალური პრობლემის გადაჭრის საკითხში რეფორმისშემდეგდროინდელი წლების სომხური რევოლუციური წრეები მტკიცედ იდგნენ რუს რევოლუციონერებთან ერთობლივი ბრძოლის პოზიციებზე. ცარიზმის მოხელეები სომეხ ახალგაზრდებს დევნიდნენ არა მარტო როგორც ნაციონალისტებს, არამედ როგორც სოციალისტებსაც. ბუნებრივია, რომ სომეხი რაზნოჩინელები მშრომელთა სოციალურ განთავისუფლებასთან ერთად ცარიზმის კოლონიური უღლისაგან სომეხი ხალხის განთავისუფლებასაც ფიქრობდნენ. მათი მოქმედების მეთოდები რუს რაზნოჩინელ-რევოლუციონერთა ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ სომხეთის რევოლუციონერები იცავდნენ რა სოციალური ჩაგვრისაგან სომეხი მშრომელების განთავისუფლების იდეას, ამასთან, ქართველი ხალხოსნების მსგავსად, ისინიც სოციალური რევოლუციის გამარჯვებაში ხედავდნენ ცარიზმის კოლონიური უღლისაგან სომეხი ხალხის განთავისუფლების გზას.

---

[1] История Армянского народа, Ереван, 1956, стр. 558.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.

[illegible] კი მი-
[illegible]ავად იბრძოდა თურქე-
[illegible]ეთ სომხეთის განთავისუფლებისათ-
[illegible], მტკიცედ იდგა გერცენის, ჩერნიშევსკის, ბაკუ-
ნინისა და სხვათა რევოლუციურ-ხალხოსნურ პოზიციებზე. იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა რუსეთის ფეოდალურ-ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების მშრომელთა ხსნისათვის. ნ. გ. ჩერნიშევსკის მსგავსად მიქაელ ნალბანდიანიც სწორედ ამიტომ დაასამარეს ცოცხლად ცარიზმის საპყრობილეში.

როგორც უკვე ვთქვით, ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო საქართველოში. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავისი შეხედულებებითა და პრაქტიკულ-რევოლუციური ბრძოლის ხასიათით ძირითადად რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების პოზიციაზე იდგა. ძირითადადო იმიტომ ვამბობთ, რომ ქართველი ხალხოსნობა რუსული ხალხოსნობის ზუსტ ასლს როდი წარმოადგენდა. მას გააჩნდა რიგი თავისებურებანი, რაც ქვეყანაში შექმნილი სოციალურ ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული. მოკლედ შევჩერდებით ქართული ხალხოსნური მოძრაობის როგორც განსაკუთრებულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ხალხოსნობასთან მის საერთო თავისებურებებზე.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სომხური ხალხოსნობის მსგავსად ქართულ ხალხოსნობაშიც თვალსაჩინო ადგილი ეკავა ეროვნულ საკითხს. თუმცა ამ მხრივ მათ შორის განსხვავება მაინც იყო. ასე მაგალითად, ეროვნულ საკითხში სომეხი ხალხოსნების უახლოეს მიზანს თურქეთის უღლისაგან დასავლეთ სომხეთის განთავისუფლება შეადგენდა. მიზნის მისაღწევად ისინი საჭიროდ თვლიდნენ დასავლეთ სომხეთში ეროვნული ძალების კონსოლიდაციას, ხოლო იქ სოციალური უთანასწორობის მოსპობა მათი საბრძოლო პროგრამის მეორე რიგის ამოცანა იყო. რაც შეეხება ქართულ ხალხოსნობას, მას არ აწუხებდა ქვეყნის რომელიმე ნაწილის უცხო დამპყრობლებისაგან განთავისუფლების საკითხი. ამიტომ მათ საბრძოლო პროგრამაში არ იგრძნობოდა მსგავსი გაორება.

ქართველი ხალხოსნების პროგრამაში მხოლოდ ცარი
კოლონიური უღლის მოცილების საკითხი იდგა, მაგრამ
დენადაც ამ მიზნის მიღწევა ქართველ ხალხს საკუთარი ძალ-
ბით არ შეეძლო, ამიტომ ისინი უპირველეს ამოცანად თვლ-
დნენ რუსეთის იმპერიაში „სოციალური გადატრიალების-
მოხდენას. ქართველი ხალხოსნების შეხედულებით, მხოლოდ
რუსეთის „სოციალური რევოლუცია" მოუტანდა თავისუფ-
ლებას რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერს და მათ შო-
რის ქართველებსაც. გამოდიოდნენ რა ეროვნულ საკითხში
ასეთი თვალსაზრისიდან, ქართველი რევოლუციონერი ხალ-
ხოსნები, ნ. ნიკოლაძის, ი. ჯაბადარის, ე. იოსელიანის, მ. ყი-
ფიანის, ა. ფურცელაძისა და სხვათა სახით, მთელი თავიანთ-
მოღვაწეობის მანძილზე მტკიცედ იცავდნენ ინტერნაციონა-
ლურ ხაზს. ისინი ყოველგვარი სეპარატიზმის სასტიკი წინა-
ღმდეგი იყვნენ.

ეროვნული საკითხისადმი მიდგომაში ქართველი და სხვა
ამიერკავკასიელი ხალხოსნები გაცილებით თანამიმდევრული
ხედულებისანი იყვნენ, ვიდრე 70-იანი წლების რუსი ხალ-
ხოსნები. როგორც ცნობილია, რუს ხალხოსნებს ბუნდოვანი
მოდგენა ჰქონდათ სოციალური რევოლუციის გამარჯვე-
შემთხვევაში ჩაგრული ხალხის ეროვნულ მოწყობაზე.
ეს გარკვევით მიუთითებდნენ კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი.
ეთებდა რა 70-იანი წლების გამოჩენილ რუს რევოლუ-
ერებთან, კერძოდ, გ. ლოპატინთან, კარლ მარქსის და-
ებულებას, ვ. ი. ლენინი წერდა: „მარქსს ჩვეულებად
თავისი ნაცნობი სოციალისტების „კბილის გა-
როგორც თვით ამბობდა ხოლმე, რათა მათი შეგ-
ა და რწმენის სიმტკიცე შეემოწმებინა. ლოპატინის
შემდეგ მარქსი ახალგაზრდა რუს სოციალისტს მე-
ებით იხსენიებს ენგელსისადმი მიმართულ 1870
ლისის წერილში, მაგრამ ამასთანავე დასძენს:
პუნქტი: პ ო ლ ო ნ ე თ ი. ამ პუნქტის შესახებ
ესებით ისევე ლაპარაკობს, როგორც ინგლისე-
, ძველი სკოლის ინგლისელი ჩარტისტი — ირ-

ს, რომელიც მჩაგვრელ ერს ეკუთვნის, მარქსი

ეკითხება ჩაგრულ ერისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ და მყისვე ამხელს გაბატონებული ერების (ინგლისელებისა და რუსების) სოციალისტთა ს ა ე რ თ ო ნაკლს: მათ არ ესმით თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი დაბეჩავებული ერების მიმართ. ისინი ღეჭავენ „დიდმპყრობელი" ბურჟუაზიისაგან გადმოღებულ ცრურწმენებს"[1].

ქართული ხალხოსნური მოძრაობის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე შემდეგი გარემოება: გლეხობაში აჯანყების გაღვივების საქმეში პრაქტიკულად მათ მეტის გაკეთება შეძლეს, ვიდრე რუსმა ხალხოსნებმა. შეიარაღებული აჯანყების მოსახდენად რუსი ხალხოსნების საქმიანობიდან ყველაზე თვალსაჩინო გახლდათ ჩიგირინის შეთქმულება, რომელიც ისე ჩავარდა, რომ აჯანყებამდე არც მისულა. ამასთან, ფარული შეიარაღებული რაზმების შექმნის ნამდვილი მიზანი გლეხობისათვის არც კი იყო ცნობილი.

ქართველი ხალხოსნების აგიტაციამ და ორგანიზებულმა მოქმედებამ ამ მხრივ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. მან მნიშვნელოვნად დააჩქარა 1876 წელს სამეგრელოში გლეხთა აჯანყების დაწყება. სამეგრელოს გლეხობა შეუგნებლად კი არ მოქმედებდა, არამედ შეგნებულად იბრძოდა სოციალური მჩაგვრელებისა და ცარიზმის ადმინისტრაციული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქართული ხალხოსნობის მორიგი თავისებურება, რომელიც საერთო იყო სომეხი ხალხოსნებისთვისაც, იმაში მდგომარეობდა, რომ მათ თვალსაზრისსა და პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობას ყოველთვის ეტყობოდა „პოლიტიკურობა". მათთვის თვით 60-იან წლებშიც კი არ იყო უცხო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვა. ვფიქრობთ, რომ ქართველი და სომეხი რევოლუციონერი ხალხოსნების ასეთი გატაცება პოლიტიკით საქართველოსა და სომხეთში ეროვნული საკითხის სიმწვავით უნდა აიხსნას.

ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის საერთო თავისებურებაა ისიც, რომ 70-იანი წლების ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რევოლუციონერები არასოდეს ყოფილან

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 534—535.

არც წმინდა წყლის „ლავრისტები“, ანუ „მშვიდობიანი პროპაგანდისტები“ და არც აშკარა „ბაკუნისტები“, ანუ „ბუნტარები“. ისინი გლეხობაში ეწეოდნენ რევოლუციურ პროპაგანდას, ამზადებდნენ მათ აჯანყებისათვის, მაგრამ არაორგანიზებული, დაქსაქსული „აჯანყების“ წინააღმდეგი იყვნენ. ეს აშკარად დასტურდება თუნდაც იმ განკარგულებიდან, რომელიც კავკასიის ხალხოსნური ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა მ. ყიფიანმა მისცა პროპაგანდისტ აფაქიძეს, რომ შეეჩერებინა სამეგრელოში დაწყებული გლეხთა აჯანყება „იმპერიაში საერთო აჯანყების გაჩაღებამდე და მხოლოდ მაშინ გამოსულიყვნენ, როდესაც ცენტრიდან მიიღებდნენ მითითებას“[1].

ამასვე მოწმობს „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში“ ი. ჯაბადარის, გ. ზდანოვიჩის, ს. კარტაშიანის, მ. ჩიკოიძის, დები თუმანიანების, ა. გამყრელიძისა და სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მთელი პრაქტიკული საქმიანობა. ისინი განუხრელად ატარებდნენ იმპერიაში ერთიანი რევოლუციის მოხდენის ხაზს.

ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხოსნების იდეოლოგიის გაცნობა და მათი პრაქტიკული მუშაობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ისინი ბოლომდე იცავდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ-ხალხოსნურ იდეურ ხაზს. ჯერ კიდევ 70-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც რუს ხალხოსნებს შორის „ბაკუნისტურ“ მიდრეკილებას ძლიერ ფართო გასაქანი ჰქონდა, ამიერკავკასიის შიგნით მომუშავე ხალხოსნები პირადად ბაკუნინისა და მისი ანარქისტული თეორიის მიმართ აშკარად ამჟღავნებდნენ ანტიპათიურ განწყობილებას. ამის ნათელი ილუსტრაციაა მ. ბაკუნინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკ-ში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის შინაარსი. იგი დაიბეჭდა 1876 წლის 28 ივნისის ნომერში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც საქართველოსა და თითქმის მთელი კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედებდა ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაცია ეგ-

---

1 თვითმპყრობელობა და რევოლუცია. დოკუმენტები. თბილისი, 1930, გვ. 47.

ნატე იოსელიანის, მიხეილ ყიფიანისა და ისიდორე ქიქოძის ხელმძღვანელობით.

ნეკროლოგი ხელმოუწერელია. მკვლევრების ერთი ნაწილი (მაგ., პროფ. ლ. გორგილაძე) ფიქრობს, რომ იგი ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის, მეორე ნაწილი, კერძოდ, ნ. ნიკოლაძის თხზულებათა სრული კრებულის გამომცემლები არ იზიარებენ ამ მოსაზრებას და ამიტომ აღნიშნული ნეკროლოგი არც შეუტანიათ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა იმ ტომში, რომელშიც ამ პერიოდის მისი თხზულებებია თავმოყრილი.

ჩვენი ვარაუდითაც „ტიფლისსკი ვესტნიკში" გამოქვეყნებული ნეკროლოგის ავტორი ნ. ნიკოლაძე უნდა იყოს. ეს ისეთი უბრალო ნეკროლოგი კი არაა, რომელშიც მიცვალებულის შესახებ მხოლოდ ბიოგრაფიული ცნობებია მოტანილი, არამედ წარმოადგენს ბაკუნინის თეორიული შეხედულებების მეცნიერულ ანალიზს, რამდენადაც ამის საშუალებას საგაზეთო წერილი იძლევა (სულ სამი სარდაფი უჭირავს)[1].

ნეკროლოგის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი ღრმად განათლებული პიროვნებაა. იგი იცნობს მარქსს, შელინგს, პრუდონს, აგრეთვე რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზრს. იგი სიმპათიურადაა განწყობილი კარლ მარქსისადმი. მას „მუშათა საერთაშორისო ასოციაციის მთავარ ბელადს" უწოდებს და მიუთითებს, რომ მარქსი „სავსებით მართალი იყო, როდესაც ასაბუთებდა ასოციაციის მიმართ ფედერაციული პრინციპის ვულგარობასო". ავტორი აკრიტიკებს მ. ბაკუნინის რევოლუციურ შეხედულებებს, მის პრინციპებს რევოლუციური აგიტაციის გაწევის შესახებ და ა. შ. ერთი სიტყვით, ავტორს არ მოსწონს ის დანამატები, რომლებიც ბაკუნინმა შეიტანა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პროგრამაში.

მ. ბაკუნინის შეხედულებათა ასეთი მკაცრი გაკრიტიკება შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც იცავდა ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ თვალსაზრისს და იცნობდა მარქსისა და პირველი ინტერნაციონალის საქმიანობას. ასეთი პი-

---

1 ვაზ. „ტიფლისსკი ვესტნიკ", 1876, № 143.

როვნება კი იმ პერიოდის საქართველოში სწორედ ნიკო ნიკოლაძე იყო.

იმისდა მიუხედავად, სწორია თუ არა მოსაზრება დასახელებული ნეკროლოგის ავტორად ნ. ნიკოლაძის მიჩნევის შესახებ, ერთი რამ მაინც უდავოდ მიგვაჩნია: ნეკროლოგის ავტორი არ იზიარებს „ბაკუნისტურ“ თვალსაზრისს, მაშასადამე, წინააღმდეგია იმ დამატებებისაც, რომლებიც ბაკუნინმა შეიტანა ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკაში. ამიერკავკასიელი ხალხოსნების თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ნეკროლოგის ავტორის შეხედულებას ისინი ძირითადად ყველანი იზიარებდნენ.

ქართველი და საერთოდ ამიერკავკასიელი რევოლუციონერი ხალხოსნების თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მათ პროგრამაში სასოფლო თემისადმი თაყვანისცემა არასოდეს ასულა რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების თაყვანისცემის დონემდე. თუმცაღა სასოფლო თემი ქართველ და ამიერკავკასიელ ხალხოსნებსაც მიაჩნდათ მომავალი საზოგადოებრიკი ცხოვრების სანიმუშო ინსტიტუტად. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქაური ხალხოსნობის იდეოლოგები ნ. ნიკოლაძე, ან. ფურცელაძე, მ. ნალბანდიანი და სხვ. სათანადო პროპაგანდას უწევდნენ რუსულ „ობშჩინას“.

ამიერკავკასიის რევოლუციონერი ხალხოსნების მსოფლმხედველობაში სასოფლო თემის ადგილი დაიკავა „სასოფლო ასოციაციების“, „ამხანაგობების“, „სასოფლო ბანკების“ და სხვა კოლექტიურ დაწესებულებათა დაარსების იდეამ.

მართალია, „საზოგადო პურის მაღაზიების“, „ასოციაციების“, „ამხანაგობების“ და ა. შ. პროპაგანდას რუსი ხალხოსნებიც ეწეოდნენ, მაგრამ არა 60—70-იან, არამედ 80—90-იან წლებში, როდესაც ისინი უკვე ლიბერალიზმის გზას ადგნენ. ეს გამოწვეული იყო „ობშჩინის“ სასწაულმოქმედი როლის შესახებ ხალხოსნების შეხედულებათა გაკოტრებით.

ქართველმა ხალხოსნებმა 60-იან წლებშივე დაიწყეს „სასოფლო ასოციაციების“, „საზოგადო პურის საწყობების“, „საწარმოო“ და „სამომხმარებლო“ ამხანაგობებისა და სხვ. დაარსების პროპაგანდა, ამასთან მას თავიდანვე რევოლუცი-

ური შინაარსი მისცეს. ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნების საქმიანობაში აღნიშნული ამხანაგობების პროპაგანდამ სასოფლო თემის — „ობშჩინის“ პროპაგანდის ადგილი დაიკავა, რაც ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხოსნების თეორიული შეხედულებებისა და პრაქტიკული საქმიანობის კიდევ ერთი თავისებურებაა.

რუსულ ხალხოსნობასთან შედარებით, ამიერკავკასიელ ხალხოსნებს ორიგინალური პოზიცია ეკავათ კაპიტალიზმისადმი დამოკიდებულების საკითხშიც.

ამიერკავკასიელი ხალხოსნები არ გამოდიოდნენ ქვეყნის ბურჟუაზიული გზით წინსვლის წინააღმდეგ. მათ მიაჩნდათ, რომ კაპიტალისტური საწარმოების განვითარება, არათუ გააუარესებდა, არამედ გააუმჯობესებდა კიდეც გლეხთა მდგომარეობას. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ გლეხი არ ჩავარდნოდა კაპიტალისტს კლანჭებში. მათი აზრით, გლეხებსა და კაპიტალისტებს შორის ურთიერთობა ძირითადად აღებმიცემობით, გაცვლა-გამოცვლის ოპერაციებით უნდა შემოფარგლულიყო. კაპიტალისტს, როგორც კი ნედლი მასალა და სხვა პროდუქტები დასჭირდებოდა, გლეხი მიჰყიდდა, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საჭირო პროდუქციას კაპიტალისტისაგან შეიძენდა. ამით თითქოს გლეხის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. ამასთან, ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხოსნები აფრთხილებდნენ გლეხებს, რომ კაპიტალისტებთან ურთიერთობაში შორს არ შეეტოპათ, ყოველმხრივ მორიდებოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმასა და გაპროლეტარებას.

ქართველ და ამიერკავკასიელ ხალხოსნებს თავისებური პოზიცია ეკავათ ტერორისადმი დამოკიდებულების საკითხშიც.

მართალია, მათ პროგრამაში ტერორისადმი მიდრეკილებაც იგრძნობოდა, მაგრამ ისე ძლიერად არა, როგორც რუს ხალხოსნებთან. გარდა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ჩუდეცკის მოკვლისა, ამიერკავკასიელ ხალხოსნებს სხვა ტერორისტული აქტი არ ჩაუდენიათ. ტერორის ტაქტიკისადმი ამიერკავკასიელი ხალხოსნების არააქტიური დამოკიდებულება იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი თავიანთ

თავს რუსი ნაროდოვოლელების რეზერვად თვლიდნენ და მხოლოდ რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ ჯარის ნაწილებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, აგროვებდნენ ფულს „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის საჭიროებისათვის და ა. შ. ამით ისინი ნიადაგს ამზადებდნენ, რათა რუსეთში რევოლუციის დაწყების შემთხვევაში არ დაეყოვნებინათ გამოსვლა. მართალია, „გნჩაკისტებს“ შექმნილი ჰქონდათ ტერორისტული ჯგუფები, მაგრამ ისინი მხოლოდ დასავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე იგზავნებოდნენ თურქეთის დესპოტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობისა და მისი თავისებურებების შესახებ საუბრისას, არ გამოვდივართ ხალხოსნური მოძრაობის გავრცელების ტერორისტული პრინციპებიდან. ე. ი. როდესაც ვლაპარაკობთ ქართველებზე, სომხებსა და აზერბაიჯანელებზე, მხედველობაში გვყავს არა მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტოპოლის გუბერნიებში მომუშავე რევოლუციონერები, არამედ ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ მყოფნიც.

საქმე იმაშია, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი სომხების, დიდი ნაწილი, რაც ამ ხალხის ისტორიული ძნელბედითობით იყო გამოწვეული, ცხოვრობდა არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც. ჩვენი აზრით, ყველა ის სომეხი, ქართველი თუ აზერბაიჯანელი ახალგაზრდა, რომელიც რუსეთში ან საზღვარგარეთ ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას, პირველ რიგში თავისი ერის ინტერესებს ემსახურებოდა. ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ მათი მოღვაწეობა ამიერკავკასიის შიგნით მიმდინარე რევოლუციური ბრძოლის ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო.

2. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის შეფასება ამიერკავკასიის ისტორიოგრაფიაში

ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის შესახებ გამოქვეყნებული ძირითადი ლიტერატურის გაცნობას მივყავართ

იმ დასკვნამდე, რომ ამ მოძრაობის შესწავლისას ჩვენს ისტორიოგრაფიას დღემდე ოთხი პერიოდი აქვს გავლილი.

პირველ პერიოდად უნდა მივიჩნიოთ მთელი რევოლუციამდელი ხანა, როდესაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში საერთოდ ზერელედ ეკიდებოდნენ ხალხსნური მოძრაობის საკითხის შესწავლას. მაშინდელი ლიტერატორები და ისტორიკოსები ან სავსებით უვლიდნენ გვერდს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხოსანთა მოღვაწეობის ისტორიის შესწავლას, ანდა თუკი სადმე მაინც ახსენებდნენ აქაურ ხალხოსნებს, მათ დაცინვით „რუსის უკუდო რევოლუციონერებს", „ტეტიათა მოტრფიალეებს" უწოდებდნენ. თანაც ანტიპატრიოტობაში სდებდნენ ბრალს.

ახლა რაც შეეხება რევოლუციის შემდეგ წლებში ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის დამუშავების პერიოდიზაციას. იგი სამ პერიოდს მოიცავს და ძირითადად ემთხვევა რუსეთის ისტორიოგრაფიაში არსებულ ვითარებას. თავისებურება მხოლოდ იმაშია, რომ 30—40-იან წლებში ამიერკავკასიაში უფრო ძლიერი იყო ხალხოსნობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ვიდრე რუსეთში; თითქმის სავსებით იქნა ამოღებული ხალხოსნობა ქართველი და ამიერკავკასიის სხვა ხალხების საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან.

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის პირველი შეფასება მოგვცა რომანოზ ფანცხავამ (ხომლელი) წერილების სერიაში, რომელიც 1893 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში" საერთო სათაურით — „ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა".

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სხვა საკითხებთან ერთად — ფანცხავა სპეციალურად შეჩერდა ქართველ ხალხოსნებზე, ანუ მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტეტიათა მოტრფიალეებზე".

რ. ფანცხავას ამ წერილების სერიისათვის დამახასიათებელია ხალხოსნობის გადაჭარბებული კრიტიკა და პოლემიკის მკაცრი ტონი. ავტორი ვერ გვაძლევს საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვას, ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნების იდეური საფუძვლების მეცნიერულ შეფასებას. უფრო მეტიც, იგი ვერ არჩევს ერთმანეთისაგან რევოლუციურ და

ლიბერალურ ხალხოსნობას. რ. ფანცხავა ხალხოსნობის თეორიული ფესვების ობიექტური ანალიზის მაგივრად საკითხს სუბიექტურად უდგება. იგი ამცირებს ქართველი ხალხოსნების ღვაწლს, მათ დაცინვით უწოდებს „უმეცარ ხალხს“, რომელთაც თითქოს არავითარი ცოდნა და განათლება არ ჰქონდათ მიღებული. ფანცხავა აიგივებს ქართველ რევოლუციონერ-ხალხოსნებს ლიბერალებთან და ასკვნის: „ტეტიათა მოტრფიალეებს“ ლიბერალებთან შედარებით „ახალი არა უთქვამთ რა“[1].

მიუხედავად მთელი რიგი მცდარი დებულებებისა, რ. ფანცხავას წერილების სერიის გამოსვლა თავის დროზე დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში. რ. ფანცხავა პირველი პუბლიცისტი მკვლევარი გახლდათ, რომელმაც არა მარტო შენიშნა საქართველოში ხალხოსნური მიმდინარეობის არსებობა, არამედ შეძლებისდაგვარად მისი შეფასებაც მოგვცა.

რევოლუციამდელ პერიოდში გამოვიდა აგრეთვე პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილის ნაშრომი „ქართული სიტყვიერების ისტორია“, რომელშიც სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ხალხოსანი მწერლების — ა. ფურცელაძის, ე. გაბაშვილის, ნ. ლომოურის, ს. მგალობლიშვილის და სხვ. შემოქმედების განხილვას. მკვლევარი სამართლიანად შენიშნავს, რომ ხალხოსანი მწერლები განიცდიდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი რევოლუციონერების გავლენას. მაგალითად, ა. ფურცელაძის შესახებ წერს, რომ მისი მოთხრობები დაწერილია „ჩერნიშევსკის რომანის და პისარევის წერილების ზეგავლენით და ჩაგონებით“[2]. ნიკო ლომოურის შემოქმედებაზე „იქონიეს გავლენა რუსის მწერლებმა ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა, რეშეტნიკოვმა, გლებ უსპენსკიმ“ და ა. შ.[3]. მაგრამ ა. ხახანაშვილი არაფერს ამბობს საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის, არსებო-

---

[1] გაზ. „კვალი“, 1893, № 20.

[2] ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1911, გვ. 179.

[3] იქვე, გვ. 197.

ბის შესახებ, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ იგი არ ისახავდა მიზნად საქართველოსა და ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის დაწერას. როგორც ა. ხახანაშვილი თავისი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ავტორის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ „მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის გაეადვილებინა — ახალის დროის ლიტერატურის მოძრაობის გაცნობა“[1].

ქართული სოციალური აზრის ისტორიის შესწავლას გარკვეული ამაგი დასდო არჩილ ჯორჯაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ფედერალისტი ა. ჯორჯაძის კონცეფცია საბჭოთა მკვლევრებისათვის მიუღებელია, მის მიერ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ შეკრებილი და წარმოდგენილი მასალები დღემდე ინარჩუნებენ მეცნიერულ ღირებულებას.

ა. ჯორჯაძე ხალხოსნური მოძრაობისადმი ნიჰილისტურად არის განწყობილი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ მას არ მოსწონდა ხალხოსნების მიერ სოციალური პრობლემის წინ წამოწევა ეროვნულ საკითხთან შედარებით.

საქართველოში „საზოგადოებრივი ცხოვრების“ პერიოდიზაციას როცა ახდენს, ა. ჯორჯაძეს სავსებით გამოტოვებული აქვს ხალხოსნური მიმდინარეობა[2]. მართალია, თავის მეხუთე წიგნში ა. ჯორჯაძე გაკვრით აღნიშნავს რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში ი. ჯაბადარის, მ. ჩიკოიძის, გ. ზდანოვიჩისა და სხვ. მონაწილეობის ფაქტს, მაგრამ იქვე შენიშნავს, ამ ფაქტს დიდი ღირებულება არ აქვსო[3].

რევოლუციამდე გამოქვეყნდა აგრეთვე ერთ-ერთი პირველი სომეხი მარქსისტის ს. არკომედის (გ. კარაჯიანის) მოგონება. გ. პლეხანოვთან, ფ. მახარაძესთან და სხვებთან ერთად ს. არკომედი ეკუთვნის იმ გამოჩენილ მარქსისტებს, რომლებმაც რევოლუციური ნათლობა ხალხოსნურ წრეებში მიიღეს. ს. არკომედის ამ მოგონებაში საყურადღებო ცნობებია მოტანილი 80-იან წლებში საზღვარგარეთ მომუშავე სომეხ ხალხოსნებზე.

---

[1] ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, 1911, გვ. 3.

[2] ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი 2, გვ. 77.

[3] ა. ჯორჯაძე, თხზ., წიგნი 5, გვ. 200—201.

ქართველი და ამიერკავკასიელი რაზნოჩინელი ახალგაზრ-დების რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვან ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს რევოლუციამდე გამოცემული გამოჩენილი რუსი ხალხოსნების ს. სტეპნიაკ-კრავჩინსკის, ო. აპტეკმანის და სხვათა მოგონებები. ამ მოგონებებში საყურადღებო მასალებია მოცემული რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებში ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ[1].

ამიერკავკასიელ რაზნოჩინელ-რევოლუციონერთა მოღვაწეობის ისტორიის შესწავლის საქმეში სერიოზული მუშაობა აქვთ ჩატარებული მეფის რუსეთის ოფიციალურ ისტორიკოსებს ნ. გოლიცინს, ბ. გლინსკის, ა. გეორგიევსკისა და სხვ. რუსი რაზნოჩინელების მოძრაობის საერთო ფონზე ისინი იძლევიან ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდობის რევოლუციური საქმიანობის სურათსაც. მართალია, მათი თვალსაზრისი ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მათ ნაშრომებში დაცულ ფაქტობრივ მასალას მარქსისტი მკვლევრისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

გოლიცინის, გლინსკის, გეორგიევსკისა და სხვა ისტორიკოსთა ნაშრომებში ლაპარაკია მ. ნალბანდიანის ურთიერთობაზე რუს რევოლუციონერ-ემიგრანტთა საზღვარგარეთულ ცენტრთან, 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებში ამიერკავკასიელთა მონაწილეობაზე, საზოგადოება „უღელის“ წევრებისა და საზღვარგარეთ მომუშავე სხვა კავკასიელი რევოლუციონერების საქმიანობაზე, „მოსკოვის“ ორგანიზაციის მუშაობასა და სტუდენტთა მღელვარებებში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მონაწილეობაზე და ა. შ.

ამრიგად, რევოლუციამდელ წლებში ადგილი არ ჰქონია ამიერკავკასიელ რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სპეციალურ მონოგრაფიულ გაშუქებას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ შეიქმნა ყველა პირობა რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალ-

[1] О. В. Аптекман, Из истории революционного народничества. Ростов Н/Д, 1906, стр. 200.

ხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის. პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების მემუარებში, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მრავლად იბეჭდებოდა, ბევრი საინტერესო ცნობა გამოჩნდა რუსი ინტელიგენციის რევოლუციურ წრეებში ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ.

20—30-იანი წლების დამდეგს ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რაზნოჩინელ რევოლუციონერთა მოღვაწეობის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის.

ამ მხრივ ფრიად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ქართველმა ისტორიკოსებმა პროფ. ს. ხუნდაძემ, გრ. გიორგაძემ და სხვ.

ს. ხუნდაძე იყო პირველი ქართველი მარქსისტი ისტორიკოსი, რომელმაც თავის მეცნიერულ გამოკვლევებში სპეციალურად დაუთმო ადგილი ხალხოსნობის ისტორიას. 20—30-იან წლებში მან რამდენიმე მონოგრაფია გამოაქვეყნა საქართველოში საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან. მათ შორის ორტომიანი ნაშრომი მიუძღვნა საქართველოში უტოპიური სოციალიზმის ისტორიის შესწავლას.

პროფ. ს. ხუნდაძის შრომები უდიდესი შენაძენი იყო ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის. ისინი მომავალშიც არ დაკარგავენ თავიანთ მეცნიერულ მნიშვნელობას.

იმ ნაკლოვან მხარეებზე, რომლებიც ს. ხუნდაძის ნაშრომებს გააჩნია, ჩვენ აღარ შევჩერდებით. მათ შესახებ (განსაკუთრებით დასების თეორიის საკითხებზე) ბევრი ითქვა უკანასკნელ წლებში ქართველ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულ შრომებში. გვინდა მხოლოდ შევჩერდეთ ს. ხუნდაძის იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მას ეკუთვნის საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის საკითხის სწორად დაყენების საქმეში. ს. ხუნდაძის ეს ღვაწლი მივიწყებულ იქნა 30-იანი წლების შემდგომ პერიოდში.

ს. ხუნდაძეს სწორად ესმოდა ლენინური მითითებები „მემკვიდრეობის“ შეფასების საკითხზე. იგი ძირითადად მართალი იყო, როდესაც საქართველოში 60—90-იანი წლების დამდეგის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის

პერიოდი უტოპიური სოციალიზმის ხანად აღიარა, ხოლო ქართველი მარქსისტები რევოლუციონერ-ხალხოსანთა მემკვიდრეებად მიიჩნია. მისი აზრით, „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა 60-იანი წლებიდან არ იქნება სრული, თუ ამ ისტორიიდან ამოვშლით იმ ნაკადს, რომელიც ნაროდნიკული და სოციალისტური მიმდინარეობის სახით შემომდინარეობდა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში... 90-იანი წლების ქართული მარქსიზმი ისტორიულად და ლოდიკურად მოჰყვა 70—80-იანი წლების ქართველ ნაროდნიკების ნაყოფიერ რევოლუციურ მუშაობას მუშა-ხელოსნებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში. ისე, როგორც რუსეთში 80-იან წლებში, ჩვენშიც მარქსიზმი 90-იან წლებში ნაროდნიკ სოციალისტების მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე აღმოცენდა. ეს ისტორიული ფაქტია“[1].

ს. ხუნდაძეს სწორი მოსაზრება აქვს წამოყენებული 1876 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყების გაჩაღებაში ქართველი ხალხოსნების ხელმძღვანელი როლის შესახებ. ჩვენმა ნაროდნიკულმა „ინტელიგენციამ, — წერს იგი, — რევოლუციონური ვალი მოიხადა ხალხის წინაშე: შეიჭრა ხალხში და ამცნო მას სოციალისტური იდეები. უფრო მეტი, მან რევოლუციონური ორგანიზაციები მოაწყო და პირველი „სანიმუშო“ აჯანყებაც მოახდინა სამეგრელოში“[2].

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ს. ხუნდაძის ნაშრომებში ძირითადად 80—90-იანი წლების ქართველ ხალხოსანთა პუბლიცისტიკისა და ლიტერატურის მიმოხილვაა მოცემული. რაც შეეხება 60—70-იანი წლების რევოლუციურ ხალხოსნობას და რუსეთის ორგანიზაციებში მომუშავე ქართველი ახალგაზრდების მოღვაწეობას, ეს საკითხები მათში ძალიან მოკლედ არის წარმოდგენილი.

ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარმა გრ. გიორგაძემაც სერიოზული ამაგი დასდო

---

1 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი, 1927, ტ. I, გვ. 6.

2 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1927, გვ. 35—36.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას. 1928 წელს გამოცემულ ვრცელ მონოგრაფიაში — „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე“ მან მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის წარმოშობის საკითხს. გრ. გიორგაძე ქართული ხალხოსნობის სათავეებს სამართლიანად ხედავს რუსეთში. მისი აზრით, ქართველი ხალხოსნური ინტელიგენცია „აღზრდილი იყო რუსეთის გლეხთა გამათავისუფლებელი მოღვაწეების ნაშრომებზე“.

ქართველმა რადიკალურმა ინტელიგენციამ, — განაგრძნობს იგი, — საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაინახა, რომ მისი „პირველი საქმე იყო გლეხობასთან დაახლოვება, მისი გონების გაღვიძება, თვითმოქმედების გზაზე გამოყვანა და საქართველოს მომავალზე ზრუნვა“[1].

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლას გრ. გიორგაძემ უდიდესი ღვაწლი დასდო იმითაც, რომ 1930 წელს გამოსცა საარქივო დოკუმენტების კრებული, რომელშიც დიდძალი ფაქტობრივი მასალა შევიდა ამიერკავკასიელ ხალხოსნებზე. წიგნის წინასიტყვაობასა და სათანადო შენიშვნებში გრ. გიორგაძე დადებით შეფასებას აძლევს საქართველოსა და ამიერკავკასიაში მომუშავე რევოლუციონერი ხალხოსნების საქმიანობას. „დაკვირვებული მკითხველი, — წერს იგი დოკუმენტთა კრებულის წინასიტყვაობაში, — აქ დაინახავს, თუ როგორ ვითარდებოდა მე-70 წლებიდან რევოლუციონური მოძრაობა, ვინ უდგენ სათავეში რევოლუციონურ მოძრაობას, როგორი თავგამოდებით და განწირვით იბრძოდა ჯერ მცირე ჯგუფი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, სოციალურ და პოლიტიკურ უსამართლობის წინააღმდეგ, როგორ ებმის ამ ბრძოლაში მუშათა მასები და როგორ იჭრება ეს მოძრაობა გლეხობაში“[2].

---

1 გრ. გიორგაძე. საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე, თბ., 1928, გვ. 191, 401—418.

2 თვითმპყრობელობა და რევოლუცია. დოკუმენტები. თბ., 1930, გვ. 4.

საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ნაროდნაია ვოლიას“ 50 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გამოსულ სტატიების კრებულს, რომელშიც შევიდა ვ. სვეტლოვას სტატია თბილისის სამხედრო ნაროდოვოლური წრის შესახებ. ასევე საყურადღებო მოვლენა იყო 1930 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „კლასთა ბრძოლის ისტორია ამიერკავკასიაში“ დაბეჭდილი მკვლევარ ა. სნეგირევას წერილი.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩვენს ისტორიოგრაფიაში შექმნილი არანორმალური ვითარების გამო, რაც გამოწვეული იყო ბერიას ანტიმარქსისტული წიგნაკის გამოსვლით, ფაქტიურად შეწყდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. მართალია, გამოჩენილი ქართველი და ამიერკავკასიელი მკვლევრები ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, პ. გუგუშვილი, მ. ზანდუკელი, ა. კიკვიძე, ლ. გორგილაძე, ლ. ებანოიძე, ვ. შადური, ტ. ხუნდაძე, ი. კაჭარავა, ვ. ბახტაძე, ს. გულანიანი, ც. აღაიანი, მ. კასუმოვი, გ. ჰუსეინოვი, ა. იოანესიანი და სხვ. ასე თუ ისე ახერხებდნენ ამიერკავკასიელ რაზნოჩინელთა მოღვაწეობის ცალკეული საკითხების გაშუქებას, მაგრამ იძულებული იყვნენ ხარკი გაეღოთ ხალხოსნობის შეფასების ირგვლივ იმ პერიოდში გაბატონებული მამხილებლური თვალსაზრისისათვის. აღნიშნული მკვლევრები იმდენად ჩერდებოდნენ ქართველ და ამიერკავკასიელ რაზნოჩინელებზე, რამდენადაც ამას მათი ძირითადი საკვლევი თემის დამუშავება მოითხოვდა.

ლ. გორგილაძის მიერ 1947 წელს დაბეჭდილი სტატიის — „ნაროდნიკობა საქართველოში“ და ჩვენს მიერ 1951 წელს დაცული საკანდიდატო დისერტაციის გარდა, მესამე პერიოდში არ გამოსულა სპეციალური მონოგრაფია ქართველი და ამიერკავკასიელი რაზნოჩინელების რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიის შესახებ.

მართალია, ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში 70-იანი წლების ქართული ხალხოსნობის ისტორიაზე უამრავი ახალი საარქივო მასალა გამოვაქვეყნეთ, მაგრამ საერთო ვითარების გავლენით ამ მასალების ანალიზისადმი სუბიექტური მიდგო-

მისა და ხალხოსნობის შეფასების საკითხში მამხილებლური თვალსაზრისისაგან, რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვიყავით დაზღვეული.

1951 წელს დაიბეჭდა პროფ. ტ. ხუნდაძის საყურადღებო ნაშრომი, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოში სახალხო განათლების ისტორია. თავისი ძირითადი საკვლევი პრობლემის გვერდით ავტორი ჩერდება ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ საკითხზეც. ამ მხრივ აღსანიშნავია ნაშრომის მეოთხე თავის მესამე პარაგრაფი — „ივანოვის ბიბლიოთეკა და თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ახალგაზრდობა 1870-იან წლებში". ავტორი ამ ნაშრომში პირველად აქვეყნებს „ივანოვის ბიბლიოთეკის" ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის პ. წულუკიძის მოგონებას, რომელიც 1936 წელს პირადად ჩაუწერია. აქვე ავტორი ლაპარაკობს 70-იანი წლების ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობაზე რუსული ხალხოსნური იდეების გავლენის შესახებ[1].

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ტ. ხუნდაძის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „70-იანი წლების დასაწყისში... ეს-ეს იყო რუსეთში მუშავდებოდა ნაროდნიკობის თეორია და პრაქტიკა"[2]. როგორც ეს ამჟამად აღიარებულია, რუსული ხალხოსნობის იდეური ფორმირება 60-იანი წლების დამდეგისათვის ხდება და ამ პერიოდიდანვე იწყება მათი პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობაც.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისადმი მიძღვნილ სხვა ლიტერატურის მიმოხილვას აღარ შევუდგებით. საქმე იმაშია, რომ მკვლევრები მაშინ წერდნენ არა მას, რაც ნამდვილად სწამდათ, არამედ რასაც თავზე ახვევდნენ. მხოლოდ წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილებზე, როდესაც ამას ჩვენი პოზიტიური აზრების გადმოცემის საჭიროება მოითხოვს, კვლავ დავუბრუნდებით აღნიშნული პერიოდის ზოგიერთ ლიტერატურულ წყაროს.

---

1 ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 230.

2 ტ. ხუნდაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.

50-იანი წლების დასასრულიდან შემობრუნების ხანა დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპის მეცნიერული შესწავლის მხრივაც.

ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ ვ. ი. ლენინის მითითებათა მიხედვით შესდგომოდნენ რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის შეფასებას.

ამიერკავკასიაში რაზნოჩინელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დამუშავების საქმეში ლენინური კურსის აღდგენას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 1959 წელს გამოსულმა შრომამ — „ნარკვევები სსრ კავშირის ხალხთა ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან". „ნარკვევების" მეორე ტომში სპეციალურადაა განხილული ამიერკავკასიის ხალხთა მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ისტორია. მართალია, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხალხოსნური მოძრაობის საკითხი აღნიშნულ ტომში ძლიერ მკრთალადაა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვთ „ნარკვევებში" გამოთქმულ მოსაზრებებს ამიერკავკასიაში „გლეხური დემოკრატიზმის" ანუ „რევოლუციური დემოკრატიზმის" არსებობის შესახებ. ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის, მათ შორის ამიერკავკასიელ რაზნოჩინელთა ისტორიის, ობიექტურად შესწავლის საქმეში მკვლევრებს დიდ დახმარებას გაუწევს 1967 წელს გამოქვეყნებული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის „ნარკვევები". ამ ნაშრომის პირველ თავში ყურადღება გამახვილებულია რეფორმისშემდგომ ამიერკავკასიაში დაწყებული რაზნოჩინული მოძრაობის საკითხებზე, რასაც სერიოზული დახმარების გაწევა შეუძლია დაინტერესებული მკვლევრებისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოში საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლას ამიერკავკასიელმა ისტორიკოსებმა, ეკონომისტებმა, ფილოსოფოსებმა არა ერთი ნაშრომი მიუძღვნეს.

ქართველ განმანათლებელთა ანუ თერგდალეულთა მოღვა-

წეობას სპეციალურად სწავლობდნენ კ. მეძველია, პ. რატიანი, ვ. სიფრაშვილი. 60-იან წლებში გამოვიდა მათი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც საგანგებოდაა განხილული ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი თერგდალეულების მსოფლმხედველობა. ამასთან, ისინი დიდ ადგილს უთმობენ ი. ჭავჭავაძეზე რუსი რევოლუციონერი დემოკრატების, კერძოდ, ჩერნიშევსკის იდეურ-ორგანიზაციული გავლენის საკითხის გარკვევას. სამივე ავტორი აღიარებს ი. ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი თერგდალეულების მსოფლმხედველობაზე ნ. გ. ჩერნიშევსკის გავლენას, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, თვით ილიამ აღიარა თუ არა ჩერნიშევსკის და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატების რევოლუციურ-ხალხოსნური მსოფლმხედველობა. ამ საკითხისათვის ნათელის მოფენას კი პრინციპული მნიშვნელობა აქვს; თუ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ჩერნიშევსკის იდეურ გავლენას განიცდიდა, გადაჭრით მივიჩნევთ ჩერნიშევსკის მსგავს რევოლუციონერ-დემოკრატად, მაშინ იგი რევოლუციონერ-ხალხოსნად უნდა ვაღიაროთ. დასახელებულ მკვლევრებს ამ საკითხზე გარკვეული პასუხი არ აქვთ გაცემული.

1954 და 1959 წლებში გამოვიდა პროფ. ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორიის (XIX საუკუნე)" პირველი და მეორე ტომი. ამ ტომებში ქართველი ხალხის ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად გარკვეული ადგილი უკავია ქართული ხალხოსნობის გაშუქებასაც. ავტორი ამ საკითხის განხილვისას ძირითადად ეყრდნობა ჟანდარმთა შტაბსკაპიტნის ქრისტეფოროვის მოხსენებას, რომელიც თავის დროზე შედგენილ იქნა კავკასიის სოციალ-რევოლუციური (ხალხოსნური) ორგანიზაციის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით. სხვა საარქივო მასალა ავტორს გამოყენებული არ აქვს. ამის შედეგად საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორია ა. კიკვიძის ტომებში სრულყოფილი სახით ვერაა წარმოდგენილი.

1956 წელს მესამედ გამოიცა პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომი „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში". კვლევის ძირითად პრობლემასთან ერთად ავტორი ეხება საქართველოში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძ-

რაობის საკითხებსაც. პ. გუგუშვილი დადებითად აფასებს ქართველი ხალხოსნების ბრძოლას, ხოლო მათ მიერ შექმნილ ფარულ ორგანიზაციას სამართლიანად თვლის პირველ პოლიტიკურ პარტიად კავკასიაში[1]. თუმცა საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის ისტორია სრულყოფილი სახით არც პ. გუგუშვილს აქვს წარმოდგენილი. ეს გასაგებიცაა, რადგან ხალხოსნობის ისტორიის შესწავლა მისი კვლევის ძირითადი თემა არ გახლავთ.

ქართული ხალხოსნობის საკითხებს ეხება პროფ. გ. მეგრელიშვილი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ორი ტომისაგან შედგება. მონოგრაფიის ცალკე თავში ავტორი სპეციალურად იხილავს ქართველი ხალხოსნების საზოგადოებრივ-ეკონომიურ შეხედულებებს. მისი აზრით, რევოლუციონერი ხალხოსნების „პოლიტიკურ-ეკონომიური პროგრამის ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ ისინი იბრძოდნენ არა ინტელიგენციის „ამქრული“ ინტერესებისათვის, არამედ გლეხთა ინტერესებისათვის“, რომ ქართველი ხალხოსნები „გლეხურ რევოლუციურ-დემოკრატიას შეადგენდნენ“. ავტორი ასკვნის, რომ ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნების აგრარული პროგრამის ანალიზიდან ნათლად ჩანს ამ პროგრამის „კლასობრივი შინაარსი“ — „საყოველთაო გლეხური რევოლუციის მოწყობის გზით... საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნისაკენ“ მისწრაფება. გ. მეგრელიშვილი სამართლიანად ილაშქრებს იმ ავტორთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩრდილს აყენებენ ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნების ეკონომიური პროგრამის მნიშვნელობას და მიუთითებს, რომ ქართველი რევოლუციონერი ხალხოსნების ეკონომიური პროგრამა „რადიკალური, რევოლუციურ-დემოკრატიული იყო, ხოლო მათი მოძრაობა რევოლუციურ-პროგრესული“[2].

1960 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა პროფ. ვ. ბახტაძის „ნარკვევები ქართველ სამოციანელთა საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებების ისტორიიდან“, რომელშიც ავ-

---

1 პ. გუგუშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

2 Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, Тб., 1961, стр. 415—416.

ტორი ქართული ხალხოსნობის „იდეურ და ორგანიზაციულ“ სათავეებს სავსებით მართებულად რუსეთის ხალხოსნობაში ხედავდა. „ქართველი ხალხოსნები, — წერს იგი, — რუსეთის რევოლუციური ხალხოსნობის გამოჩენილი მოღვაწენი იყვნენ“. მაგრამ სწორი არ უნდა იყოს ავტორის პოზიცია ნ. გ. ჩერნიშევსკის შეფასების საკითხში. მას უხეშ შეცდომად მიაჩნია ნ. გ. ჩერნიშევსკის გამოცხადება ხალხოსნობის იდეოლოგად[1].

1962—1963 წლებში ეკონომისტებმა ე. ჩადუნელმა და მ. სიხარულიძემ დაიცვეს დისერტაციები ჟურნალ „იმედისა“ და გაზეთ „შრომის“ საზოგადოებრივ-ეკონომიური შეხედულებების შესახებ. მკვლევრები რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის მნიშვნელობის შეფასების საკითხში სწორ მეცნიერულ პოზიციებზე დგანან. ე. ჩადუნელი და მ. სიხარულიძე ისტორიულ ასპექტში იხილავენ „იმედისა“ და „შრომის“ ეკონომიურ შეხედულებებს და გადაჭრით აღიარებენ, რომ ეს ჟურნალი და გაზეთი რევოლუციურ-ხალხოსნური მიმართულების პერიოდულ გამოცემებს წარმოადგენენო.

დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო აწ განსვენებული აკად. ნ. ბერძენიშვილის თეზისების გამოცემა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საკითხებზე. საქართველოს ისტორიის სხვა კარდინალურ საკითხებთან ერთად „თეზისებში“ გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი რეფორმისშემდგომი პერიოდის საქართველოში გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის იმ პრობლემებზე, რომელთა შეფასება ქართველ ისტორიკოსთა მკაცრი მეცნიერული პოლემიკის საგანს წარმოადგენდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის „თეზისებში“ მოცემულია აღნიშნულ საკითხებზე წარმოებული დისკუსიის ერთგვარი შეჯამება.

აკად. ნ. ბერძენიშვილის „თეზისებში“ წამოყენებული დებულებები ამაგრებენ რიგი მკვლევრების მიერ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულ და დასაბუთებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე და

---

1 В. Бахтадзе, Из истории общественно-экономических взглядов грузинских шестидесятников, Тб., 1954, стр. 191—192.

მისი ჯგუფი („თერგდალეულები“) თავიანთი სოციალურ-ეკონომიური შეხედულებებით აღმავალი ბურჟუაზიული ეპოქის ქართველი განმანათლებლები იყვნენ, ხოლო პოლიტიკური მრწამსით რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს დაუძინებელი მტრები და ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლნი. ისინი ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გაჩაღებისაკენ კი არ მოუწოდებდნენ ქართველ მშრომელებს, არამედ მოითხოვდნენ ეროვნული ძალების კონსოლიდაციას, რომელიც აუცილებელ პირობად მიაჩნდათ „ხალხთა საპყრობილედან“ ქართველი ერის გამოხსნისათვის. „თერგდალეულთა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — მოუწოდა ქართველ დემოკრატიულ წრეებს, დაეგმო წარსულისადმი პირმიქცეულობა, საბრძოლო სარბიელად მას ერის აწმყო და მომავალი დაუსახა...

ამავე დროს თერგდალეულთა ბელადმა დიდი რეალისტი მხატვრის კალმით დახატა ბატონყმური საქართველოს კლასობრივი ურთიერთობის სურათები, პირველმა აღნიშნა და განმარტა „ჩატეხილი ხიდის“ სოციალური ფაქტი და ამ ხიდის ჩატეხის დროც სწორად განსაზღვრა.

მაგრამ თერგდალეულებმა, იმ დროს საქართველოს სპეციფიკურ პირობებში, ვერ დასახეს *რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად შეთანხმების ქადაგება თავს იდეს.*

ამის შემდეგ თერგდალეულთ, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვნენ რევოლუციურ-დემოკრატთა პოზიციებზე, ე. ი. იმ პოზიციებზე, რომლის ერთადერთი სწორი შემდგომი განვითარება იქნებოდა მარქსიზმი, ანუ რევოლუციური კლასთა ბრძოლის აღიარება საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთ გზად“[1].

თეზისებში მოცემულია აგრეთვე საქართველოს პირობებში მარქსიზმის წინამორბედთა განსაზღვრაც. აკად. ნ. ბერძენიშვილი, მართალია, აქ არ ახსენებს რევოლუციონერ-ხალ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი (თეზისები), თბ., 1964, გვ. 9—10.

ხოსნებს, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მარქსიზმის წინამორბედნი რევოლუციონერი დემოკრატები იყვნენო. საბჭოთა ისტორიული მეცნიერება კი აღიარებს, რომ რევოლუციონერი დემოკრატები და რევოლუციონერი ხალხოსნები ძირითადად ერთიან რევოლუციურ მიმდინარეობას შეადგენენ. მათი თეორიის საერთო საფუძველი იყო მოძღვრება „რუსული გლეხური სოციალიზმის შესახებ". მაშასადამე, მითითებული თეზისების მიხედვითაც ნათელია, რომ ჩვენში მარქსიზმის წინამორბედნი პირველ რიგში იყვნენ აქაური რევოლუციონერი დემოკრატები ანუ რევოლუციონერი ხალხოსნები.

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს რა მარქსიზმის წინამორბედებად რევოლუციონერ-დემოკრატებს, არც თერგდალეულებს გამორიცხავს „მემკვიდრეობიდან". რა თქმა უნდა, ეს ეხება ადრინდელ, ანუ 60-იანი წლების თერგდალეულებს და არა გვიანდელი, ე. ი. 80—90-იანი წლებისას. „გვიანდელმა თერგდალეულებმა, — ვკითხულობთ მეშვიდე თეზისში, — ერის საერთო მოქმედების თეორია კიდევ უფრო წინ წამოწიეს, კლასთა თანამშრომლობა იქადაგეს". ერთი სიტყვით, თერგდალეულები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში შეიძლება ჩავთვალოთ მემკვიდრეობის წარმომადგენლებად, ბოლომდე „ვერ შერჩნენ მარქსიზმის წინამორბედთა პოზიციებს"[1].

აღსანიშნავია, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის „თეზისებში" ლაპარაკია ხალხოსნობის შეფასებაში კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინების აუცილებლობაზეც. ეს ჩანს მეშვიდე თეზისის ბოლო ნაწილიდან, სადაც ხაზგასმულია საქართველოს წარსულისადმი 80-იანი წლების ხალხოსანთა ნიჰილისტური დამოკიდებულების შესახებ. აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, იმ პერიოდში „შექმნილ იდეურ ატმოსფეროში", როდესაც ფეხი მოიკიდა „ისტორიის გაყალბებამ", „საქართველოს ისტორიული წარსულის უსაფუძვლო იდეალიზაციამ", როდესაც „უარყოფილ იქნა ისტორიულ წარსულში ქართული ბატონყმობის სისასტიკე" და შემუშავდა ე. წ

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული თეზისები, გვ. 10.

„მამულიშვილობის თეორია“, „კანონზომიერი მოჩანს ქართველი ხალხოსნების ნიჰილისტური პოზიცია საქართველოს წარსულის შეფასებაში. ეს იყო პროტესტი ისტორიის უსაფუძვლო შელამაზება-იდეალიზაციის წინააღმდეგ“[1] (ხაზი ჩვენია — ზ. შ.).

საქართველოს ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროფ. ი. ანთელავას წიგნს — „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან საქართველოში“, რომელიც 1967 წელს გამოსცა გამომცემლობა „განათლებამ“. ავტორი სათანადო სიღრმით მიმოიხილავს თერგდალეულებისა და ხალხოსნების სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა არსს. მეტად საყურადღებოა ავტორის მოსაზრებანი 80-იან წლებში ჩერნოპერედელური მიმდინარეობის არსებობის შესახებ.

პროფ. ი. ანთელავა ძირითადად მსჯელობს საერთოდ ხალხოსნობაზე და არ ახდენს ამ მოძრაობის შიგნით რევოლუციური და ლიბერალური მიმდინარეობების პრინციპულ ურთიერთდაპირისპირებას[2], ამასთან არ აღიარებს 60-იანი და 70-იანი წლების ქართველ რევოლუციურ მოღვაწეებს შორის იდეურ ერთიანობას. კერძოდ, იგი არ იზიარებს მოსაზრებას ნ. ნიკოლაძის ქართული რევოლუციური ხალხოსნობის ერთ-ერთ იდეოლოგად აღიარების შესახებ. აქედან გამომდინარე, მას საქართველოში „ხალხოსნური მოძრაობის წარმოშობის“ პერიოდად 70-იანი წლების დასაწყისი მიაჩნია[3].

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის შესწავლაზე ნაყოფიერად მუშაობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ნორაკიძე.

1967 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს „მაცნეს“ მეექვსე ნომერში მან გამოაქვეყნა ისტორიოგრაფიული სტატია: „ნაროდნიკობა და მისი ისტორიო-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული თეზისები, გვ. 10—11.

2 ი. ანთელავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

3 იქვე, გვ. 259.

გრაფია საქართველოში". ი. ნორაკიძის ეს სტატია პრეტენ-ზიული ხასიათისაა. ავტორი თითქმის თავის დამსახურებად თვლის უკანასკნელ წლებში ქართული ხალხოსნური მოძრაობის შეფასების ირგვლივ გამოთქმულ მართებულ მოსაზრებებს, ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მკვლევრის მიერ გაწეული შრომის მნიშვნელობას აზვიადებს, ხოლო ზოგიერთისას ამცირებს. თუმცა მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მაინც გარკვეული ღირებულება აქვს საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის ისტორიის მეცნიერულად შეფასებაში.

ი. ნორაკიძე ქართული ხალხოსნური მოძრაობის დასაწყისად 60-იან წლებს მიიჩნევს, რაც სავსებით სწორია, ხოლო ნიკო ნიკოლაძეს 60—70-იან წლებში ძირითადად ნაროდნიკობის რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ მოღვაწედ აცხადებს[1].

ი. ნორაკიძე ასევე მართალია, როდესაც აღნიშნავს, რომ გლეხური დემოკრატია ფართო ცნებაა და იგი ყოველთვის არ ნიშნავს რევოლუციურ დემოკრატიას; და რომ ცდებიან ის ქართველი ავტორები, რომლებიც გლეხურ დემოკრატიასა და რევოლუციურ დემოკრატიზმს აიგივებენ[2].

ქართული ხალხოსნური მოძრაობის შესახებ აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილი თვალსაზრისი ი. ნორაკიძემ განავითარა 1969 წელს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ დისერტაციაში. მართალია, ი. ნორაკიძის მიერ წამოყენებული რიგი მოსაზრებანი სადავოა, მაგრამ იგი ძირითადად სწორ პოზიციაზე დგას.

ქართული ხალხოსნური მოძრაობის ცალკეულ საკითხებს სხვადასხვა დროს თავიანთ ნაშრომებში 'მეეხნენ ლ. გორგილაძე, მ. გაფრინდაშვილი, ი. კაჭარავა, ნ. ტაბიძე, ე. ხოშტარია, ა. ბენდიანიშვილი, გ. აბზიანიძე, შ. მესხია, ვ. გუჩუა, დ. გამეზარდაშვილი, მ. ზანდუკელი, მ. ახობაძე, გ. მარგიანი, ვ. ვახანია, გ. თოდუა, ს. ბოცვაძე და სხვა ქართველი მკვლევრები. მაგრამ, რადგანაც ისინი ქართული რევოლუციურ-

[1] „მაცნე", 1967, № 6, გვ. 366.

[2] იქვე, გვ. 379.

ხალხოსნური მოძრაობის ისტორიას სპეციალურად არ სწავლობენ, მათ შრომებზე არ გავამახვილებთ ყურადღებას.

უკანასკნელ წლებში ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სომხეთსა და აზერბაიჯანში რეფორმისშემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა და ეკონომიურ-ფილოსოფიური აზროვნების მეცნიერული შესწავლისათვის.

სომხეთის საზოგადოებრივი მოძრაობის შესახებ უკანასკნელ წლებში გამოსული ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ს. არეშიანის შინაარსიანი გამოკვლევა. მასში სომხური პრესის ისტორია განხილულია რუსი და სომეხი ხალხების პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის ფონზე. სხვა საკითხებთან ერთად ავტორი გარკვეულ ადგილს უთმობს რუსეთის საზოგადოებრივ-რევოლუციურ მოძრაობაში სომეხი ახალგაზრდების მონაწილეობის ფაქტების გადმოცემასაც. იგი ეხება 60-იანი წლების გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან, მათ შორის „ლონდონელ პროპაგანდისტებთან", მიქაელ ნალბანდიანის ურთიერთობის საკითხს[1].

ს. არეშიანს უამრავი ახალი საარქივო მასალა მოაქვს, რის საფუძველზეც ადგენს 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ ამბებში მონაწილე ზოგიერთი სომეხი ახალგაზრდის ვინაობას. ამიერკავკასიელი მკვლევრებიდან ს. არეშიანი ერთი პირველთაგანი აღნიშნავს იმ იდეურ გავლენას, რომელიც ჰქონდა მ. ნალბანდიანს მოსკოვ-პეტერბურგში მოსწავლე სომეხ რევოლუციონერ ახალგაზრდობაზე. მოსკოვში ნ. ნალბანდიანი დაუახლოვდა სომეხ სტუდენტთა სათვისტომო საზოგადოებას და ყოველმხრივ ცდილობდა ეს სიახლოვე გამოეყენებინა „სტუდენტებს შორის განმანათლებლური და რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის". ასეთივე საქმიანობა გააგრძელა მან პეტერბურგში მოსწავლე სომეხ სტუდენტებს შორისაც. საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ს. არეშიანი ასკვნის, რომ პეტერბურგში არსებუ-

---

1 С. Г. Арешян, Армянская печать и царская цензура, Ереван, 1957, стр. 5—6.

ლი რთული პირობების მიუხედავად, მ. ნალბანდიანმა მალე დაიმსახურა აქაურ სათვისტომო საზოგადოებაში გაერთიანებული სომეხი ახალგაზრდების სიყვარული და პატივისცემა. მ. ნალბანდიანმა, ისე როგორც მოსკოვში, პეტერბურგშიც არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა. აქაური სომეხი სტუდენტები მ. ნალბანდიანის „სიტყვას იჯერებდნენ და მის ნახვას მოუთმენლად ელოდნენ"[1].

როგორც უკვე ვთქვით, არეშიანის მიერ ახალი საარქივო მასალების საფუძველზე დადგენილია 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე რამდენიმე სომეხი ახალგაზრდის ვინაობა (ძმები ოგანიანები, არშაკ ნახაპეტოვი და სხვ.). მაგრამ ამ მხრივ ყველაფერი გაკეთებული არაა. ეს ბუნებრივიცაა. შეუძლებელია რომელიმე მკვლევარს მოვთხოვოთ ჩვენი ქვეყნის არქივსაცავებში დაცული უმდიდრესი საარქივო მასალების მიგნება და გამომზეურება. ს. არეშიანის მუშაობაში არსებულ ხარვეზებს ერთგვარად ვავსებთ ჩვენ მიერ მიკვლეული ახალი მასალებით, რომლებსაც წინამდებარე ნაშრომში ვიყენებთ.

ბოლო წლებში გამოქვეყნდა სახელმძღვანელოები და სხვა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც სათანადო ადგილი აქვს დათმობილი სომხეთ-აზერბაიჯანის რევოლუციონერ-დემოკრატებისა და განმანათლებლების პრაქტიკული მოღვაწეობის ისტორიისა და იდეური საფუძვლების გაშუქებას.

ფრიად საყურადღებო ხასიათის მონოგრაფიები და მეცნიერული სტატიები მიუძღვნეს რეფორმისშემდეგდროინდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეულ საკვანძო საკითხებს ც. აღაიანმა, ა. არუთინიანმა, ვ. რშტუნიმ, ვ. პარსამიანმა, ხ. გულანიანმა, ა. მნაცაკანიანმა, მ. ისმაილოვმა, გ. გუსეინოვმა, ზ. იბრაგიმოვამ, ვ. ავეტისიანმა, ა. იოანესიანმა, მ. კასუმოვმა, ზ. გეიუშევმა, ჯ. ჯაფაროვმა, შ. მამედოვმა, მ. მელიქოვმა, მ. მუსტაფაევმა, ზ. მამედოვმა, ნ. მამედოვმა და სხვ.

სომეხი და აზერბაიჯანელი მკვლევრების ნაშრომებში ფარ-

---

1 ს. არეშიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 210—211.

თოდაა მიმოხილული მიქაელ ნალბანდიანის, მირზა ფათალი ახუნდოვის, ჰასან ბეგ ზარდაბის და სხვა მოღვაწეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ეკონომიური თვალსაზრისი, მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანში ხალხოსნური მოძრაობის შესახებ მათში თითქმის არაფერია ნათქვამი.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში სომეხი ხალხოსნობის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებების შესწავლისათვის ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩაატარა გამოჩენილმა სომეხმა ეკონომისტმა ა. ელიაზარიანმა.

ა. ელიაზარიანი თავის ნაშრომებში ამტკიცებს, რომ სომეხი რაზნოჩინელი ინტელიგენციის წრეები, რომლებიც 70—80-იან წლებში არსებობდნენ, არ შეიძლება მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი შინაარსის მატარებელ წრეებად მივიჩნიოთ, რადგანაც ისინი თავიანთ უპირველეს მიზნად მშრომელთა სოციალურ-ეკონომიურ განთავისუფლებას ისახავდნენ.

ა. ელიაზარიანი, აღნიშნული თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ ეთანხმება იმ მკვლევრებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ წრეების „ხალხოსნურ ჯგუფებად“ აღიარებას[1]. ა. ელიაზარიანი სწორ პოზიციაზე დგას სომხეთის სინამდვილეში „მემკვიდრეობის“ გაგების საკითხშიც. იგი სომხეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად ადგილობრივ ხალხოსნობას მიიჩნევს. მისი სიტყვით, რუსი ხალხოსნების ერთი ნაწილის (პლეხანოვი და სხვ.) მსგავსად, რიგმა სომეხმა ხალხოსნებმაც „მარქსიზმისაკენ განიცადეს ევოლუცია“[2].

ა. ელიაზარიანი აკრიტიკებს სომეხ ისტორიკოს ლეოს, რომელიც მ. ნალბანდიანს „ბაკუნისტად“ აცხადებს, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, თვითონ აღიარებს თუ არა მ. ნალბანდიანს სომხური რევოლუციური ხალხოსნობის ფუძემდებლად[3].

ამიერკავკასიაში ხალხოსნობის სოციალურ-ეკონომიური

---

[1] А. М. Егязарян, Социально-экономическое развитие Закавказья и эволюция армянского народничества, Ереван, 1958, стр. 40.

[2] იქვე, გვ. 43.

[3] იქვე, გვ. 8—9.

შინაარსის გარკვევისათვის საყურადღებო მნიშვნელობა აქვს განსვენებული პროფ. ვ. მოჩალოვის გამოკვლევას რეფორმისშემდეგდროინდელ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სასოფლო თემის — „ობშჩინის“ არსებობის შესახებ. მდიდარი ფაქტობრივი მასალის სწორი მეთოდოლოგიური გაანალიზების საფუძველზე ავტორი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ გასული საუკუნის 70—80-იანი წლებისათვის ამიერკავკასიის რიგ რაიონებში (განსაკუთრებით მთის ზონაში) ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო მიწათმფლობელობის თემური წესის სხვადასხვა ფორმა. ვ. მოჩალოვი მიუთითებს, რომ თემური მიწათმფლობელობა ბარის რაიონებშიც შეიმჩნეოდა (კახეთში, გორის მაზრაში და ა. შ.), თუმცა დასძენს, რომ იგი მხოლოდ „ფორმალურ ხასიათს ატარებდა“, რადგანაც ე. წ. სათემო მიწები ფაქტიურად მემკვიდრეობით გადადიოდაო[1].

აღსანიშნავია აგრეთვე შ. ლევინის, პ. ტკაჩენკოსა და სხვა რუსი მკვლევრების ის ნაშრომები, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გამოიცა. მათში სათანადო ადგილი ეთმობა რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებსა და სტუდენტთა მღელვარებებში ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდობის მონაწილეობის ფაქტებს; ძირითადად სწორადაა მოცემული აგრეთვე ხალხოსნობის მნიშვნელობის შეფასებაც.

---

1 ჟურნ. „ისტორიჩესკიე ზაპისკი“, ტ. 67, გვ. 159.

თავი IV

ამიერკავკასიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები

1. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში და მისი შედეგები

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეტაპის დაწყება განაპირობა იმ სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ, რომელიც შეიქმნა იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებსა და განაპირა რაიონებში ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის შედეგად. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ბატონყმობის გაუქმებამ წარმოშვა რაზნოჩინელი, რომლის „თვალსაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა"[1].

შეუძლებელია რუსეთსა და ამიერკავკასიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის არსის გაგება, თუ ნაჩვენები არ იქნა რუსეთში საგლეხო რეფორმის გატარებისა და მის შედეგად შექმნილი სოციალურ-ეკონომიური ვითარების თუნდაც ზოგადი სურათი.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების საკითხი რუსულ ისტორიოგრაფიაში საკმაო სიღრმითაა გაშუქებული. იგი არ

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

შეადგენს ჩვენი კვლევის ძირითად საგანს. ამ საკითხს მხოლოდ იმდენად გვინდა შევეხოთ, რამდენადაც ამას ჩვენი თემის დამუშავება მოითხოვს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში გაბატონებული საზოგადოებრივი ფორმაცია ფეოდალიზმი იყო, მაგრამ მის წიაღში მე-17 საუკუნიდან ჩასახული კაპიტალისტური მწარმოებლური ძალები ამ დროისათვის უკვე საკმაო სისწრაფით ვითარდებოდა, რაც აძლიერებდა წინააღმდეგობას გაბატონებულ ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობასა და მზარდ კაპიტალისტურ მწარმოებლურ ძალებს შორის.

მწარმოებლურ ძალთა ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის კანონი ფეოდალური წყობილების დანგრევასა და კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას აუცილებელს ხდიდა. მზარდი კაპიტალისტური ურთიერთობა თავისუფალ მუშახელს მოითხოვდა, ფეოდალურ რეჟიმს კი გლეხი მიჯაჭვული ჰყავდა მებატონის მიწაზე. ყმათა იძულებითი შრომა ნაკლებ ნაყოფიერი იყო. ეს აშკარად იგრძნობოდა როგორც კაპიტალისტურ საწარმოებში, ისე სოფლის მეურნეობაშიც.

ქვეყნის ეკონომიური განვითარება აიძულებდა მეფესა და მემამულეებს ეზრუნათ გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ცვლილებების შეტანისათვის. „რა ძალამ აიძულა ისინი (მებატონეები — ზ. ზ.), — წერს ვ. ი. ლენინი, — ხელი მოეკიდნათ რეფორმისათვის? ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს“[1].

ყირიმის ომში (1853—1856) ცარიზმის დამარცხებამ საბოლოოდ გამოააშკარავა ბატონყმური რეჟიმის სიდამპლე, მისი დრომოჭმულობა. ომმა თვით გაბატონებული წრეებიც დაარწმუნა ფეოდალური წყობილების უსუსურობაში. თვალსაჩინო გახდა ბატონყმური რუსეთის სისუსტე ბურჟუაზიულ ევროპასთან შედარებით.

ქვეყნის ეკონომიკაში ომით გამოწვეული სიძნელეები აუტანელ ტვირთად დააწვა ხალხის ფართო მასებს, რის შედე-

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.

გადაც გაძლიერდა გლეხთა გამოსვლები. ოფიციალური ცნობებით 1855—1860 წწ. რუსეთში ადგილი ჰქონდა გლეხთა მღელვარების 474 შემთხვევას, აქედან მარტო 1860 წელს 100-ზე მეტი მღელვარება მოხდა. ამასთანავე, გლეხთა გამოსვლები არა მარტო რიცხობრივად იზრდებოდა, არამედ სულ უფრო აქტიურ მიზნებს ისახავდა. იგი შეიარაღებული „ბუნტების“ სახეს იღებდა და თავის რიგებში ყმა გლეხთა სულ უფრო მეტ მასას აბამდა.

გლეხთა მოძრაობის გაფართოების კვალდაკვალ გაძლიერდა რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის გამოსვლა. ა. გერცენი, ნ. ოგარიოვი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, ნ. შელგუნოვი და სხვ. დაუნდობლად ილაშქრებდნენ ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ რევოლუციური გზით მის მოსპობას. გერცენის გაზეთი „კოლოკოლი“ საზღვარგარეთ, ხოლო ჩერნიშევსკის ჟურნალი „სოვრემენნიკი“ რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის საბრძოლო შტაბებად იქცნენ. რაზნოჩინელი ახალგაზრდობა უდიდესი აღტაცებითა და თავდადებით ემსახურებოდა რუს ხალხს. როგორც „კოლოკოლი“ წერდა, იგი მზად იყო დაუღალავად ეშრომა ხალხის ინტერესებისათვის, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვდა თავი დაედო „მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“[1].

შექმნილმა ვითარებამ, ბატონყმური რეჟიმის კრიზისის გამწვავებამ, გლეხთა გამოსვლების გაძლიერებამ, რევოლუციური ინტელიგენციის დაწოლამ და ა. შ. აიძულა რუსეთის ფეოდალური კლასის სიუზერენი, იმპერატორი ალექსანდრე მეორე, ეზრუნა ბატონყმური რეჟიმის შეცვლაზე.

1856 წლის 30 მარტს მოსკოვის საგენერალგუბერნატოროს თავადაზნაურობის წინამძღოლთა შეკრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში იმპერატორმა გარკვევით გაუსვა ხაზი იმ საშიშროებას, რომელიც ემუქრებოდა ქვეყანასა და გაბატონებულ კლასს მოსალოდნელი გლეხური რევოლუციისაგან. იგი იძულებული იყო თვალი გაესწორებინა სინამდვილისათვის და შეკრებილთა საყურადღებოდ განეცხადებინა: „მტრული

---

[1] გაზ. „კოლოკოლი“, 1861, ფურც. 107.

დამოკიდებულება გლეხებსა და მებატონეებს შორის სამწუხაროდ არსებობს. ამის შედეგად მებატონეებისადმი გლეხთა დაუმორჩილებლობის რამდენიმე შემთხვევა მოხდა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ამის გაკეთებამდე (ბატონყმობის გაუქმებამდე — ზ. ზ.). ადრე თუ გვიან აუცილებლად მივალთ. მე ვფიქრობ და თქვენც დამეთანხმებით, რომ უმჯობესია ეს გაკეთდეს ზევიდან, ვიდრე იგი ქვეევიდან მოხდებოდეს"[1].

1857 წლის 3 იანვარს არაოფიციალური კომიტეტის შექმნით მეფე და გაბატონებული კლასები ფაქტიურად შეუდგნენ ბატონყმობის გაუქმებისათვის სამზადისს. სათანადო პროექტის შემუშავება თითქმის 4 წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და 1861 წლის 19 თებერვალს დასრულდა ალექსანდრე II-ის მიერ მანიფესტსა და „დებულებაზე" ხელის მოწერით, რომლებიც საჯაროდ იმავე წლის 5 მარტს გამოცხადდა.

გლეხთა წარმომადგენლებს ბატონყმობის გაუქმების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მიუხედავად ამისა, რეფორმის მომზადებაზე მშრომელებმა გავლენა მაინც მოახდინეს. საქმე იმაში იყო, რომ გაბატონებული კლასების მიერ რეფორმის შემუშავება მიმდინარეობდა მშრომელთა რევოლუციური დაწოლის აღმავალ ვითარებაში. ვ. ი. ლენინის სიტყვით, 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დამდეგისათვის რუსეთში შექმნილი იყო რევოლუციური სიტუაცია, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ რევოლუციის მოხდენისათვის საჭირო ობიექტური პირობები არსებობდა. მაგრამ 1859—1861 წწ. რევოლუციური სიტუაცია არ გადაზრდილა რევოლუციაში, რადგანაც ობიექტურ პირობებთან ერთად, ჯერ კიდევ არ არსებობდა რევოლუციის მოხდენისათვის აუცილებელი სუბიექტური ფაქტორი, სახელდობრ, „რევოლუციური კ ლ ა ს ი ს რევოლუციური მასობრივი მოქმედების უნარი"[2].

მართალია, ხელისუფლებამ შეძლო რევოლუციის თავიდან აცილება და საგლეხო რეფორმის „ზევიდან" გატარება, მაგ-

---

[1] ჟურნ. „გოლოს მინუშეგო", 1916, № 5—6, გვ. 393.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 249.

რამ, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რეფორმა არ წარმოადგენდა მეფისა და მებატონეების მიერ გაღებულ წყალობას, არამედ იგი რევოლუციური სიტუაციის ნაყოფი იყო.

როგორც ცნობილია, 1861 წლის 19 თებერვლის „მანიფესტსა“ და „დებულებას“ გლეხობისათვის სასიკეთო არაფერი მოუტანია, იურიდიულად განთავისუფლებული ყმების მდგომარეობა ეკონომიური თვალსაზრისით არ გაუმჯობესებულა. „ნადელების“ შემცირების, გაძოსასყიდი ოპერაციების კომბინაციური გზითა და სხვა ეკონომიური მაქინაციებით მეფემ და მებატონეებმა გლეხობა სავსებით გაძარცვეს. ფრიდრიხ ენგელსის მოსწრებული თქმით, პირადი თავისუფლებისათვის გლეხებმა თავადაზნაურობას გადაუხადეს თავისი საუკეთესო მიწების ნაწილი, ის რაც დარჩა გლეხობას, საკმაოზე მეტი იყო იმისათვის, რომ შიმშილით მომკვდარიყო და საკმაოზე ცოტა — არსებობის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად მძარცველური ხასიათისა, 1861 წლის რეფორმა თავისი შინაარსით, როგორც ბურჟუაზიული რეფორმა, პროგრესული იყო. იგი გზას უხსნიდა ახალი წარმოებითი ურთიერთობის — კაპიტალიზმის განვითარებას. მართალია, რეფორმამ ვერ მიიყვანა ბოლომდე ბატონყმობის განადგურება — ქვეყნის ცხოვრებაში მრავლად დარჩა ბატონყმური ნაშთები, მაგრამ მან ყოფილი ყმა იურიდიულად თავისუფალ მოქალაქედ აქცია, საშუალება მისცა მას „თავისუფლად“ გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა. რეფორმამ ბატონყმობის ბორკილებისაგან გაათავისუფლა ახალი კაპიტალისტური საწარმოო ძალები და ბურჟუაზიული ცივილიზაცია, რაც იმ ისტორიულ ვითარებაში უაღრესად დადებით მოვლენას წარმოადგენდა.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ სოფლად კაპიტალიზმის განვითარება გლეხობის დიფერენციაციას იწვევდა. გაჩნდა ბურჟუაზიული ზედაფენა — კულაკობა, რომელიც რეფორმის შედეგად ეკონომიურად გაღატაკებულ გლეხთა მასების შეუბრალებელ ექსპლოატაციას შეუდგა. ვ. ი. ლენინის დახასიათებით, ბატონყმობის ძლიერი ნაშთების არსებობის გამო განთავისუფლებული ყმა გლეხები

ვერც ბურჟუაზიული თავისუფლებით სარგებლობდნენ მთლიანად. ისინი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდნენ—ერთი მხრივ, ყოფილი მებატონეებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიისაგან. რეფორმისშემდგომი რუსეთის კაპიტალიზმი, ამ ბობს ვ. ი. ლენინი, მასში შერწყმული მემამულური, ნახევრადფეოდალური პრივილეგიების უამრავი გადმონაშთით ფართო მასებისათვის „ყველაზე უფრო რეაქციული და ყველაზე უფრო მტანჯველი“ იყო[1].

რუსეთის რევოლუციურმა ინტელიგენციამ, რომლის მედროშეც ნ. გ. ჩერნიშევსკი გახლდათ, საგლეხო რეფორმის შემდეგ ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა მშრომელი ხალხის დასაცავად. „კოლოკოლმა“ და „სოვრემენნიკმა“ სახალხო აჯანყებისაკენ ანუ „ნაჯახისაკენ“ მოუწოდეს ხელისუფლების მიერ მოტყუებულ გლეხობას. რევოლუციური ინტელიგენციის რწმენით, მხოლოდ რევოლუციის გზით შეეძლო ხალხს „მიწისა და თავისუფლების“ მოპოვება.

1861 წლისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა გერცენისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრება, რომელიც თავის დროშად გამოაცხადა 60—80-იანი წლების რევოლუციურმა ახალგაზრდობამ. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, 1861 წლიდან რუსეთში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპი, რაც 1895 წლამდე გაგრძელდა. ამ თაობის ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ რუსი რევოლუციონერები — ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული[2]. გერცენისა და ჩერნიშევსკის შეხედულებით, მხოლოდ რუსულ თემს — „ობშჩინას“ შეეძლო გლეხების ხსნა ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან, მათთვის სოციალური თანასწორობისა და პოლიტიკური თავისუფლების მინიჭება. მაგრამ, მათი რწმენით, „ობშჩინას“ რომ შეესრულებინა თავისი ისტორიული მისია, ამისათვის საჭირო იყო მასობრივი რევოლუციის გზით გლეხთა განთავისუფლება სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის არტახებისაგან.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 446.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.

გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის მიერ წამოყენებული გლეხური რევოლუციის იდეა იყო ძირითადი კრედო, რომელიც ასაზრდოებდა 60—80-იანი წლების რევოლუციური ახალგაზრდობის შეხედულებებს.

2. საგლეხო რეფორმა ამიერკავკასიაში

ა) საკითხის ისტორიოგრაფიისათვის

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბატონყმობის გაუქმების ისტორიის შესწავლა ყოველთვის იქცევდა მკვლევართა ყურადღებას. ამ საკითხს მიეძღვნა რევოლუციამდელი და საბჭოთა ისტორიკოსების მრავალი გამოკვლევა, მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, გამოვიდა დოკუმენტთა კრებულები და ა. შ.

საქართველოს ყველა კუთხეში ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო საგლეხო რეფორმის გატარება, როცა უკვე გამოვიდა სათანადო მასალების შემცველი პირველი ნაშრომები რეფორმების შესახებ. ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ე. კონდრატენკოს რედაქციით გამოსული სტატისტიკური კრებული ამიერკავკასიის გუბერნიებში მიწათმფლობელობის სისტემასა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე. მასში თვალსაჩინო რაოდენობით შევიდა მასალები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების, აგრეთვე საერთოდ ამიერკავკასიის სამეურნეო ცხოვრებაში რეფორმის შემდეგ მომხდარი ცვლილებების შესახებ.

საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების საკითხებს სისტემატურად სწავლობდა პროფესორი ს. ავალიანი. ამ თემას მან მიუძღვნა ოთხტომიანი მონოგრაფია და ერთი სპეციალური ნარკვევი.

ს. ავალიანის გამოკვლევებში თავმოყრილი და გაანალიზებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა. ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც კი შეეხება ამიერკავკასიაში საგლეხო რე-

ფორმის გატარების ისტორიას, ს. ავალიანის ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის.

ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარების საკითხები განხილულია აგრეთვე ს. ესაძის, გ. ზერცალოვის, ო. სიომინის, გ. კუჩაევის და სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

აღნიშნული ავტორების ნაშრომებს აქვთ სერიოზული ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი რეფორმის შეფასების საკითხში ოფიციალურ პოზიციებზე დგანან. ისინი საქართველოსა და ამიერკავკასიაში გატარებულ საგლეხო რეფორმას დიდ ბედნიერებად თვლიდნენ[1].

ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმების ისტორიის ობიექტური დამუშავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი. გამოვიდა ახალი საარქივო დოკუმენტების კრებულები, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრეს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში თავის დროზე შესული მასალები.

დიდი მუშაობა ჩაატარეს ჩვენში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების ისტორიის, ცარიზმის აგრარული პოლიტიკისა და გლეხთა მოძრაობის საკითხების მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შესწავლისათვის გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერებმა პროფ. პ. გუგუშვილმა, პროფ. ვ. რშტუნმა, პროფ. ა. კიკვიძემ, პროფ. ც. პ. აღაიანმა, პროფ. შ. ჩხეტიამ, პროფ. გ. ხაჭაპურიძემ, პროფ. ი. ანთელავამ, ფ. მახარაძემ, პროფ. ვ. მოჩალოვმა, ისტ. მეცნ. დოქტორმა მ. ახობაძემ, პროფ. ა. ბენდიანიშვილმა და სხვ.

აღნიშნულმა მკვლევრებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაძლიეს ამიერკავკასიაში რეფორმის შესწავლის საკითხში ბურჟუაზიული თვალსაზრისი და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლურ მითითებებზე დაყრდნობით ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმების ისტორია ახლებურად გააშუქეს.

აღნიშნულ და სხვა გამოკვლევებში, აგრეთვე მასალათა კრებულების კომენტარებში, სტატიებში და ა. შ. ხაზგასმი-

---

1 Г. В. Зерцалов, Юбилей крестьянской реформы в Тифлисской губернии, Тифлис, 1914, стр. 17.

თაა აღნიშნული ის გარემობა, რომ ამიერკავკასიაში გატარებული საგლეხო რეფორმა ამ კუთხის სოციალურ-ეკონომიური განვითარების კანონზომიერ შედეგს წარმოადგენდა. საქართველოში რეფორმის გატარების ობიექტური მიზეზები და რეფორმის შედეგები იგივე იყო, რაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

ბ) საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის დაგვიანებით გატარების მიზეზები

1861 წლის საგლეხო რეფორმა იმთავითვე არ შეხებია რუსეთის იმპერიის ყველა განაპირა რაიონს. ლიტვაში, ბელორუსიასა და მარჯვენა ნაპირის უკრაინაში „დებულება" 1863 წელს გატარდა, ხოლო კავკასიის მთიანეთსა და ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმების საქმე თითქმის 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე გაგრძელდა. ეს განსაკუთრებით ითქმის სომხეთსა და აზერბაიჯანზე, სადაც ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, ერევნის გუბერნიის ტიულისტთა სოფლებში რეფორმის გატარება 1875 წლამდე, ხოლო ბაქოს გუბერნიის ყუბის მაზრაში 1877 წლამდე გაჭიანურდა.

ჩვენი აზრით, მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის დაგვიანებით გატარება აიხსნებოდა, ჯერ ერთი, ამიერკავკასიის პოლიტიკური მდგომარეობით და, მეორეც, ამიერკავკასიის ცალკეული კუთხეების სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებებით.

ამიერკავკასიის ტერიტორია დიდიხანია წარმოადგენდა რუსეთ-ირან-თურქეთს შორის პოლიტიკური დავისა და შეხლა-შემოხლის ასპარეზს. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის იმ ომების მიზეზი, რომლებიც XIX საუკუნის I ნახევარში მოხდა, უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასია იყო. ირანი და თურქეთი ვერ ურიგდებოდნენ საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დაკარგვას. ამიტომ ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ამიერკავკასიის მიწების დაბრუნებას. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში მეფის ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა და არ ჩქარობდა საგლეხო რეფორმის გატარებას, რათა

ამით არ გაეღიზიანებინა ვორონცოვის მოქნილი პოლიტიკის შედეგად უკვე მოთვინიერებული ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ფეოდალები. ცარიზმს კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიაში მისი კოლონიური პოლიტიკის დასაყრდენი ადგილობრივი გაბატონებული კლასები იყვნენ, ამიტომაც მათ მიმართ ზოგჯერ გაძლიერებულ მეურვეობასაც იჩენდა. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებისას ხელისუფლება აქაური ფეოდალების მიმართ განსაკუთრებულ დათმობაზე წავიდა: ყოველი სული ყმა გლეხის განთავისუფლებისათვის ქართველი მებატონე 25—50 მანეთით ჯილდოვდებოდა[1].

როგორც ცნობილია, მებატონეთა მიმართ ასეთი შეღავათები ხელისუფლებას ცენტრალური რუსეთის გუბერნიებში არ დაუშვია.

ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის დაგვიანებით გატარების მეორე და ძირითად მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ მხარის სხვადასხვა კუთხეში ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონე არსებობდა; სხვადასხვა იყო მიწათმფლობელობის ნორმები, გლეხთა კატეგორიები და მათი ვალდებულებანი, რაც მოითხოვდა საადგილმამულო ურთიერთობის წინასწარ სერიოზულ შესწავლას. თუ რამდენ სირ-; თულესთან იყო დაკავშირებული ამიერკავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, გლეხთა კატეგორიებისა და მათი ბატონყმური ვალდებულებების დადგენა, ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ხიზნების საკითხზე მომხდარი გაუგებრობა, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამიერკავკასიის გუბერნიებში მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული გლეხობისათვის მისაცემი „ნადელებისა“ და „ჩამონაჭრების“ განსაზღვრის საქმე. ქვეყნად არსებობდა მიწათმფლობელობის უამრავი ფორმა, ამიტომ „ნადელებისა“ და გლეხთა ვალდებულებების განსაზღვრისას ყველა კუთხისათვის ერთნაირი საზომით მიდგომა არ შეიძლებოდა. ავი-

---

1 П. А. Зайончковский, Отмена крепостного права в России, М., 1960, стр. 333.

ღოთ თუნდაც ცალკეულ გუბერნიებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში იყვნენ ისეთი მცირემიწიანი მემამულეები, რომელთაც გლეხისათვის არათუ „ნადელების“ მიცემის სურვილი ან შესაძლებლობა არ ჰქონდათ, არამედ თვითონ განიცდიდნენ მიწების ძლიერ სიმცირეს. ამიტომ ხაზინის, ეკლესიისა და თვით საკუთარი გლეხობის სარგებლობაში არსებული მიწებისაკენ ეჭირათ თვალი. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთს — აფხაზეთს, სვანეთს და სხვ., იქაური მიწათმფლობელობისა და გლეხთა ვალდებულებების საკითხი თითქმის შეუსწავლელი იყო. ასევე ითქმის სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართაც. სომხეთსა და აზერბაიჯანში გლეხობის უმრავლესობა უფლებრივ-იურიდიული თვალსაზრისით თავისუფალი იყო. ხანებს, ბეგებს, აღ-ლარებს, ტიულისტებს, მელიქებს და სხვა ფეოდალებს ფორმალურად უფლება არ ჰქონდათ გლეხი გაეყიდათ ან გაეჩუქებინათ. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულებითაც არ ამსუბუქებდა აქაურ გლეხთა მდგომარეობას. ისინი იძულებული იყვნენ მებატონეთა მიწების სარგებლობისათვის არა მარტო მძიმე ბეგარა-ვალდებულებანი ეხადათ, არამედ უფლებრივადაც მათზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

გასული საუკუნის 40—50-იან წლებში ხელისუფლებამ სომეხ და აზერბაიჯანელ მემამულეებს რუსი მებატონეების მსგავსად საბოლოოდ მისცა მიწათმფლობელ ფეოდალთა უფლებები. ამის შემდეგ ცარიზმი კიდევ უფრო ფრთხილად იქცეოდა და „ნადელებისა“ და გლეხთა ვალდებულებების განსაზღვრისას ცდილობდა არ შეელახა სომეხი და აზერბაიჯანელი მებატონეების ინტერესები. მაგრამ რეფორმის გატარების დაყოვნებაც აღარ შეიძლებოდა, რათა უფრო არ გაეღიზიანებინათ სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი მშრომელები, რომლებიც ხშირად ამჟღავნებდნენ არა მარტო ზოგად უკმაყოფილებას, არამედ შეიარაღებული აჯანყების სურვილებსაც.

როგორც ვხედავთ, კავკასიის ხელისუფლებას სერიოზული მუშაობა უნდა ჩაეტარებინა საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარებისათვის. ამას კი სათანადო დრო სჭირდებოდა.

ბატონყმობის გაუქმების მოლოდინში გლეხებიცა და მებატონეებიც ღელავდნენ. თუმცა მათი მღელვარების საფუძველი სხვადასხვა იყო. სახელდობრ: გლეხობა ოცნებობდა ბატონყმობის რაც შეიძლება მალე გაუქმებაზე, მემამულენი კი შიშით შესცქეროდნენ მომავალ რეფორმას, რადგანაც, პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეულთ, ვერ წარმოედგინათ ყმა გლეხობის გარეშე არსებობა.

ასე გვაქვს წარმოდგენილი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმების პროექტის დაგვიანებით მომზადების მიზეზები საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში.

ვ) საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ამიერკავკასიაში

კავკასიის ხელისუფლებას კიდეც რომ ჰქონოდა ქვეყნად ბატონყმური რეჟიმის შენარჩუნების სუბიექტური სურვილი, ამის განხორციელება აღარ შეეძლო. საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარების თავიდან აცილების შესაძლებლობა ობიექტურად გამორიცხული იყო. საქმე იმაშია, რომ რეფორმის წინ საქართველოშიც მოქმედებდნენ ის ობიექტური ძალები, რომლებმაც აიძულეს ცარიზმი და გაბატონებული კლასები გაეუქმებინათ ბატონყმობა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ეკონომიურ ძალთა განვითარება, გლეხთა მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, მოითხოვდა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ბორკილებისაგან მზარდი კაპიტალისტური მწარმოებლური ძალების განთავისუფლებას.

საგლეხო რეფორმის წინ ამიერკავკასიაში, როგორც ეს საბჭოთა ისტორიოგრაფიაშია აღიარებული, უკვე არსებობდა რევოლუციური სიტუაცია, რაც აიძულებდა ცარიზმსა და კავკასიის ხელისუფლებას ეზრუნა ამ კუთხეში ბატონყმობის ზემოდან გაუქმებაზე[1].

---

1 საქართველოში საგლეხო რეფორმის წინ შექმნილ რევოლუციურ სიტუაციაზე თვალსაჩინო კვლევით მუშაობას ეწევა ისტორიის მეცნიე-

ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის პროექტების მოსამზადებელი მუშაობის დაჩქარებაზე სერიოზული გავლენა იქონია მოწინავე განმათავისუფლებელ იდეებზე აღზრდილი ამიერკავკასიელი პროგრესული საზოგადოებრიობის ბრძოლამ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მთელი ამიერკავკასიის მოწინავე ინტელიგენციის მოძრაობის ცენტრს თბილისი წარმოადგენდა. აქ ისახებოდა და მწიფდებოდა განმათავისუფლებელი იდეები, რომლებიც შემდეგ ამიერკავკასიის სხვა ქალაქებსა და კუთხეებში ვრცელდებოდა.

60-იანი წლების დამდეგისათვის ამიერკავკასიაში მძლავრად გაისმა ბატონყმური ურთიერთობის მკაცრი კრიტიკა.

აქაური პროგრესული მოღვაწენი, აუტანელი ცენზურის მიუხედავად, თავიანთ ლიტერატურულ თხზულებებსა და პუბლიცისტურ წერილებში მაინც ახერხებდნენ პროტესტის გამოთქმას ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დანიელ ჭონქაძის რომანი „სურამის ციხე", რომლის პირველი ნაწილი ჟურნალ „ცისკრის" 1859 წლის მეთორმეტე ნომერში გამოქვეყნდა, ხოლო მეორე ნაწილი 1860 წლის პირველ ნომერში. ნაწარმოებში მოურიდებლადაა ასახული ბატონყმობის მთელი სისაძაგლე და გამოთქმულია აშკარა პროტესტი ამ საძულველი წესწყობილების წინააღმდეგ.

გლეხთა განთავისუფლება მოითხოვა პუბლიცისტმა ა. სავანელმა 1864 წელს „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თავის სტატიაში. იგი წერს: „დამამტკიცებელი ფაქტი ფიქრისა ხალხზე, არის განთავისუფლება გლეხკაცობისა მებატონეებისაგან... როგორც აუცილებელი საჭი-

---

რებათა დოქტორი მ. ახობაძე. ჯერ კიდევ 1953 წელს დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში „გლეხთა მოძრაობა საქართველოში ბატონყმობის გაუქმების წინ (1857—1864 წწ.)" მ. ახობაძემ დოკუმენტურად დააბუთა. პროფ. შ. ჩხეტიას მიერ ადრე წამოყენებული მოსაზრება რეფორმის წინ საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობის შესახებ, რაც შემდეგში განავითარა თავის სხვა ნაშრომებში. ამჟამად ამ მოსაზრებას საესებით იზიარებს საგლეხო რეფორმაზე მომუშავე ქართველ მკვლევართა უმრავლესობა.

როება დროებისა... რომლის ცვლილებით უნდა შევიდეთ ახალი ცხოვრების სფეროში"[1].

ბატონყმური რეჟიმის კრიტიკა ფართოდ გააჩაღეს ჟურნალ „საქართველოს მოამბის" ირგვლივ შემოკრებილმა 60-იანი წლების „თერგდალეულებმა": ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. წერეთელმა, პ. ნაკაშიძემ, დ. ყიფიანმა და აგრეთვე რევოლუციონერმა დემოკრატებმა — ნ. ნიკოლაძემ, ა. ფურცელაძემ და სხვ.

სომხეთში ფეოდალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ და პუბლიცისტმა სტეფანოს ნაზარიანმა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იზიარებდა ბატონყმობის მოსპობის რევოლუციურ იდეას და ზომიერ პოზიციებზე იდგა, რეაქციული ძალების წინააღმდეგ მის გამოსვლას იმ ისტორიულ ვითარებაში უაღრესად თვალსაჩინო და პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა[2].

ფეოდალურ ჩაგვრას წინ აღუდგნენ და მისი მოსპობა მოითხოვეს აზერბაიჯანელი ხალხის გამოჩენილმა შვილებმა კ. მ. ზაჰირმა, მ. ფ. ახუნდოვმა, ჰ. ბ. ზარდაბიმ და სხვ. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ბატონყმობის მოსპობით დაინტერესებული სოციალური ძალები მაშინდელ აზერბაიჯანში შედარებით სუსტი იყვნენ, რაც ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების დაბალი დონით უნდა აიხსნას. ეს გარემოება გარკვეულად ამცირებდა ქვეყნის მომავალ ბედ-იღბალზე ზრუნვასა და ცარიზმზე საზოგადოების დაწოლის ძალას.[3]

ერთი სიტყვით, რეფორმის მომზადების პერიოდში ამიერკავკასიაში გაჩაღებულმა გლეხთა მასობრივმა ანტიფეოდალურმა მოძრაობამ და მოწინავე ინტელიგენციის გამოსვლამ აიძულა ცარიზმი და კავკასიის ხელისუფლება შედგომოდნენ ამიერკავკასიაში გასატარებელი საგლეხო რეფორმის პროექტების შემუშავებას.

მეფის ხელისუფლება შეუდგა ამიერკავკასიაში ბატონყმობის ზემოდან გაუქმების სამზადისს.

---

1 ჟურნ. „ცისკარი", 1864, № 4, გვ. 207.

2 История Армянского народа, Ереван, 1956, стр. 95.

3 История Азербайджана, том 2, Баку, 1960, стр. 139.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით 1861 წელს გადაიდგა: იმპერატორ ალექსანდრე II-ის მითითებით 29 მარტს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სპეციალური ინსტრუქცია გაუგზავნა მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს კრუზენშტერნს. ინსტრუქციის თანახმად რეფორმის პროექტის მოსამზადებლად ამიერკავკასიაში, კერძოდ, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სამაზრო კომიტეტები იქმნებოდა.

ამიერკავკასიაში სამაზრო კომიტეტების შექმნა, ნაცვლად საგუბერნიო კომიტეტებისა, იმით უნდა აიხსნას, რომ მიწათმფლობელობის ფორმების მრავალფეროვნობის პირობებში ისინი უფრო იოლად გაართმევდნენ თავს არსებულ სიძნელეებს.

სამაზრო კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობდნენ თავადაზნაურების წრიდან არჩეული წარმომადგენლები. კომიტეტის თავმჯდომარეობა ევალებოდა მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს.

სამაზრო კომიტეტების მუშაობისათვის კონტროლის გასაწევად და მათ მიერ შემუშავებული თვალსაზრისის გათვალისწინებით ერთიანი პროექტის შესადგენად თბილისში შეიქმნა „ცენტრალური კომიტეტი". მის შემადგენლობაში შეიყვანეს თვით კრუზენშტერნი (თავმჯდომარე), „ტაინი სოვეტნიკი" ფადეევი, გენერალ-ლეიტენანტი ბაგრატიონ-მუხრანსკი, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი ორლოვსკი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი გრ. ორბელიანი, „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი" სტარიცკი, ამიერკავკასიის საზოგადოებრივი მრეწველობის უწყების მმართველი ბოგდანოვ-კალინსკი, „სტატსკი სოვეტნიკი" თუმანოვი, რომელსაც იმავე დროს კომიტეტის საქმეთა მმართველობაც დაევალა.

როგორც ვხედავთ, სამაზრო კომიტეტებისა და ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ჩაბმული არ ყოფილა არც ერთი წარმომადგენელი იმ კლასისა, რომელიც პირველ რიგში იყო დაინტერესებული ბატონყმობის მოსპობით. ბუნებრივია, რომ თავადაზნაურობა, რომლის ხელშიც მოექცა ბატონყმობის გაუქმების საქმე, არ იჩქარებდა ამ ღონისძიების გატარებას. როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ნიკოლაძე,

სამაზრო კომიტეტების დაარსებით გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების საკითხი მხოლოდ „კანცელარიების სამეუფოში“ იქნა გადატანილი.

ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი რეფორმის გატარებისადმი კონსერვატორულად იყო განწყობილი. მათ ვერ წარმოედგინათ ყმა გლეხის გარეშე არსებობა და არც ფარავდნენ თავიანთ ამ მოსაზრებას.

— გლეხთა განთავისუფლებაზე „თანხმობას ჩვენ ვერასოდეს ვერ ვაღიარებთ“, — განაცხადა სამაზრო კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე თავადმა სულხანიშვილმა[1]. ბატონყმობა რომ გაუქმდეს, — „ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიანო“ — წერდნენ გორის მაზრის მემამულეები[2]. — ყმა გლეხობის განთავისუფლებით დაღუპვა მოგველის, რადგანაც „ჩვენ შრომა არ შეგვიძლიან“, „გლეხი კაცი კი ამისათვის დაიბადა და გაიზარდაო“ — დაუფარავად ამბობდა პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეული ქართველი მებატონეების ტიპური წარმომადგენელი თავადი ციციშვილი[3].

ბატონყმობის გაუქმების საკითხში შედარებით ლიბერალური პოზიცია ეკავა ქართველი თავადაზნაურობის მეორე ნაწილს, რომლის მედროშეც თავადი დიმიტრი ყიფიანი იყო. ქართველ მებატონეთა ეს ჯგუფი თავიდანვე ნათლად გაერკვა მეფის მთავრობის ნამდვილ ზრახვებში, მიხვდა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება არასოდეს გაიმეტებდა სახელმწიფოს ბურჯს — თავადაზნაურობას და არ შელახავდა მის ინტერესებს. დიმიტრი ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს, როგორც ეს აღიარებულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, კარგად ესმოდათ, რომ ბატონყმური შენობა საკმაოდ დაუზარული და საძირკველმორღვეული იყო და ამიტომ მისი შენარჩუნება აღარ შეიძლებოდა. მოსალოდნელი იყო ამ შენობის დანგრევა და მასში გაბატონებული კლასის მოყოლა. დ. ყიფიანის სიტყვით, მთავრობა რომ ბატონყმობას

---

1 გაზ. „ივერია“, 1901, № 244.

2 კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, საქმე № 2943.

3 გაზ. „ივერია“, 1901, № 244.

აუქმებდა, ამით იგი ცდილობდა თვით მებატონეები ეხსნა მოსალოდნელი უბედურებისაგან.

დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც 1861 წლის აპრილში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საგუბერნიო ყრილობამ დაავალა რეფორმის პროექტის შედგენა, თავისი მოსაზრების გამოსავალ წერტილად მიიჩნია 19 თებერვლის დებულების დედააზრი მთელი მიწების მემამულეთა საკუთრებად აღიარების შესახებ. ამასთან, მას კარგად ესმოდა ისიც, რომ თუ გლეხს მიწა არ მიეცემოდა, იგი მემამულის კარმიდამოდან წავიდოდა, რაც თვით მემამულისათვის იქნებოდა საზიანო. ამის თავიდან ასაცილებლად დ. ყიფიანმა მოითხოვა მემამულეთა მიწებიდან გლეხებისათვის ნაკვეთების მიცემა მუდმივ სარგებლობაში. სამაგიეროდ გლეხს სათანადო გადასახადი უნდა ეძლია ყოფილი მებატონისათვის. გარდა ამისა, დ. ყიფიანის პროექტით, მებატონეს ფული უნდა მისცემოდა არა მარტო მიწისათვის, არამედ გლეხთა პირადი განთავისუფლებისთვისაც. როგორც გაზეთი „ივერია“ თავის დროზე წერდა, დიმიტრი ყიფიანის პროექტით თავადაზნაურობას სურდა „გლეხი მოიჯარადრედ გადაექცია“[1].

თავადაზნაურობის მესამე ნაწილი, რომელიც რიცხობრივად მცირე იყო, რადიკალურ პოზიციებზე იდგა. იგი ოპოზიციაში ედგა ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობას, როგორც კონსერვატორულ, ისე ლიბერალურ ნაწილს.

თავადაზნაურობის ამ რადიკალური ჯგუფის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი და განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე. იგი, როგორც ეს განმანათლებლებისათვის იყო დამახასიათებელი, მოითხოვდა ყმა გლეხობის მიწიანად განთავისუფლებას.

ოპოზიციური ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ქრისტეფორე მამაცაშვილის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ასეთ მოთხოვნას კონსერვატორული თავადაზნაურობა დიდად აღუშფოთებია, ხოლო ერთ მათგანს ილიას მოკვლაც კი განუზრახავს[3].

---

1 „ივერია“, 1901, № 244.

2 ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბილისი, 1907, გვ. 66.

1864 წლის შემოდგომისათვის ცენტრალურმა კომიტეტმა დაასრულა თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების პროექტის შედგენა. პროექტს საფუძვლად დაედო 19 თებერვლის მანიფესტისა და დებულების ძირითადი პრინციპები, მხოლოდ ერთი დამატებით: ქართველი მებატონეები გლეხთა პირადი განთავისუფლებისთვისაც ჯილდოვდებოდნენ.

1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა დებულებას თბილისის გუბერნიის გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ. იმავე წლის 8 ნოემბერს კი ბატონყმობის გაუქმება გამოუცხადეს თბილისში, გორში, თელავსა და სიღნაღში სპეციალურად შეკრებილ გლეხთა წარმომადგენლებს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმება უკვე გამოცხადებული იყო, საქართველოს სხვა კუთხეების თავადაზნაურობა კვლავ განაგრძობდა დავას გლეხთა განთავისუფლების საკითხზე. იქაური მებატონეები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად გაეფცქვნათ განთავისუფლებული ყმა გლეხები. ამასთან, ყოველგვარი ხრიკებით სურდათ ყმათა განთავისუფლების საქმის გაჭიანურება.

მაგრამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის გატარების შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო. ცარიზმს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბოლომდე მიეყვანა ამიერკავკასიაში ბატონყმური რეჟიმის გაუქმების საქმე, როგორც ადგილობრივი თავადაზნაურობისა და რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებისათვის სასარგებლო ღონისძიება. ხელისუფლებას მხოლოდ აღიზიანებდა აქაურ მემამულეთა სიბეცე და ჭირვეულობა.

1865 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა დაამტკიცა საგლეხო რეფორმის დებულება ქუთაისის გუბერნიისთვისაც, რაც იმავე წლის ნოემბერში გამოქვეყნდა ქუთაისში. სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ ბრძანებულება ხელმოწერილ იქნა 1866 წლის 1 დეკემბერს, ხოლო საჯაროდ გამოცხადდა 1867 წლის 19 თებერვალს. აფხაზეთისა და სამურზაყანოს გლეხობისათვის „დებულება“ დამტკიცდა 1870 წლის ნოემბერში. ყველაზე გვიან, 1871 წლის ნოემბერში კი საგლეხო რეფორმა სადადეშქელიანო სვანეთში გატარდა.

ამით დასრულდა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის საქმე, რაც თითქმის 7 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

❸

თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში კვლავ გრძელდებოდა საგლეხო რეფორმების გატარების პროცესი, კავკასიის ხელისუფლება შეუდგა აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის რეფორმების პროექტთა შემუშავებას.

აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ირანისა და თურქეთის ბატონობის ქვეშ. ამის შედეგად იქაურ ხალხებში თანდათან ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსი სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი. ამის გამო ხელისუფლებამ გადაწყვიტა ორივე ამ ქვეყნისათვის „დებულების“ ერთიანი პროექტის შემუშავება. მაგრამ საჭირო იყო გაბატონებულ კლასებში შემავალი გვარების, აგრეთვე მიწათმფლობელობის ნორმების საბოლოოდ დაზუსტება. ამ საკითხების გასარკვევად 1865 წელს შეიქმნა თბილისის, ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის „ბეგთა კომისიები“, რომლებსაც რუსი ჩინოვნიკები თავმჯდომარეობდნენ. „ბეგთა კომისიების“ მუშაობამ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია გაბატონებულ კლასებში. გაჩნდნენ თვითმარქვია ბეგები, რომლებიც ქრთამებს არ იშურებდნენ კომისიის წევრების მოსასყიდად. ამის შედეგად „ბევრი თვითმარქვია იქნა ჩარიცხული“ უმაღლესი წოდების შემადგენლობაში[1].

1867 წლისათვის თბილისისა და ერევნის გუბერნიების „ბეგთა კომისიებმა“ პირველებმა დაამთავრეს მუშაობა. მომდევნო წლებში დასრულდა ბაქოსა და ელიზავეტპოლის „ბეგთა კომისიების“ საქმიანობაც[2]. კომისიების გადაწყვეტი-

---

1 История Азербайджана, т. 2, Баку, 1960, стр. 145.

2 Ц. П. Агаян, Крестьянская реформа в Азербайджане, Баку, 1956, стр. 199—200.

ლება „უმაღლეს წოდებაში“ ბეგთა გვარების ჭეშმარიტების შესახებ, აგრეთვე სხვა მასალები გადაეცა „ცენტრალურ კომიტეტს“, რომელიც მაშინვე შეუდგა მათ შესწავლას.

1870 წლისათვის შემუშავებულ იქნა საგლეხო რეფორმის პროექტი სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის. კავკასიის კომიტეტმა, ხოლო შემდეგ საგლეხო საქმეების მთავარმა კომიტეტმა, თავის მხრივ, „დებულების“ ამ პროექტში ცვლილება-დამატებანი შეიტანეს. ამის შემდეგ პროექტი დაამტკიცა კავკასიის მეფისნაცვალმა, ხოლო 1870 წლის 14 მაისს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ მას ხელი მოაწერა.

მართალია, ამიერკავკასიის ზოგიერთ კუთხესა და მაზრაში ისევ გრძელდებოდა მუშაობა ბატონყმობის გასაუქმებლად, მაგრამ საქმე იქამდე იყო მიყვანილი, რომ დღეს თუ ხვალ რეფორმა იქაც გატარდებოდა. თბილისის, ქუთაისის, ელიზავეტოპოლის, ბაქოსა და ერევნის გუბერნიებში სათანადო დებულებების გამოცხადებით ფაქტიურად დასრულდა ამიერკავკასიაში ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების საკითხი.

●

ისე როგორც რუსეთში 1861 წლის 19 თებერვალს მიღებული დებულება და მანიფესტი, ამიერკავკასიაში 1864—1871 წლებში გატარებული საგლეხო რეფორმაც ბატონყმური ხასიათისა იყო. იგი არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, რადგანაც მებატონეთა მიერ იყო მომზადებული.

რუსეთის იმპერიაში გატარებული საგლეხო რეფორმებიდან ყველაზე მძარცველური, ყველაზე ყაჩაღური ამიერკავკასიაში გატარებული რეფორმა იყო. ბატონყმობის გაუქმება ამიერკავკასიაში ფეოდალებისათვის დიდად შეღავათიან პირობებში განხორციელდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა „განთავისუფლებული“ გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა. „გლეხთა განმათავისუფლებელი რეფორმა იმპერიაში არსად და არასოდეს გატარებულა მებატონეებისათვის ისე შე-

ღაჯრიან და გლეხობისათვის ისე შემზღუდველ პირობებში, როგორც აძას აძიერკავკასიაში ჰქონდა ადგილი"[1].

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გატარებულმა „დებულებებმა", მართალია, გლეხებს პირადი თავისუფლება მიახიკვეს, მაგრამ ისინი უმიწოდ დატოვეს. ამ „დებულებათა" ძალიდვით, მთელი მიწა მებატონეთა საკუთრებად იქნა აღიარებული. გლეხებს მუდმივ სარგებლობაში გადაეცათ რეფორმამდელ ოდენობასთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული მიწის „ნადელები". თუ რეფორმამდე ქართველი ყმა გლეხობის სარგებლობაში არსებული მიწების ოდენობა კომლზე საშუალოდ 5,9 დესეტინას შეადგენდა, რეფორმის შემდეგ იგი 3,9 დესეტინამდე იქნა შემცირებული[2].

სომხეთსა და აზერბაიჯანში გამოცხადებული „დებულებით" გლეხებისათვის მუდმივ სარგებლობაში მიცემული ნაკვეთების ოდენობა საქართველოსთან შედარებით მეტი იყო (სულზე საშუალოდ 5 დესეტინა). მიუხედავად ამისა, ეს გარემოება სრულებითაც არ ნიშნავდა სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხების უპირატეს მდგომარეობაში ყოფნებას. იქაური გლეხებისათვის მიცემული „ნადელების" დიდი ნაწილი უნაყოფო მიწებისაგან შედგებოდა, მორწყვის გარეშე ეს მიწები თითქმის მოუსავლიანი იყო. ისედაც სუსტად განვითარებული სარწყავი სისტემა კი „დებულებამ" მემამულეების ხელში დატოვა.

ერთი სიტყვით, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გატარებული რეფორმით გლეხები ფაქტიურად უმიწოდ იქნენ განთავისუფლებულნი. პროფ. ს. ავალიანის გამოანგარიშებით, ამიერკავკასიის ხუთივე გუბერნიის მთელი მიწების საერთო ოდენობიდან მემამულეებმა თვითონ დაიტოვეს 2 522 650 დესეტინა ვარგისი მიწა, გლეხებს კი მხოლოდ 871 377 დესეტინა მიწა მისცეს მუდმივ სარგებლობაში. ამასთან, ამ მიწებისათვის გლეხებს დიდძალი გადასახადები უნდა გაეღოთ და მძიმე ვალდებულებანი შეესრულებინათ მიწათმფლობელთა სასარგებლოდ.

---

[1] История Азербайджана, т. 2, Баку, 1960, стр. 149.

[2] ფ. მახარაძე, თხზ., ტ. 3, თბ., 1926, გვ. 35—36.

საქართველოში გატარებული დებულების მიხედვით, ყმობიდან განთავისუფლებულსა და „დროებით ვალდებულთა“ კატეგორიაში ჩარიცხულ გლეხს მიცემული მიწით სარგებლობისათვის შემდეგი ვალდებულებანი უნდა შეესრულებინა: სახნავ-სათესი მიწიდან და ვენახიდან ყოფილი მებატონისათვის უნდა გადაეხადა მოსავლის მეოთხედი ნაწილი, სათიბიდან — ნათიბის ერთი მესამედი, საკარმიდამო მიწისათვის ყოველ დღიურზე (2 დესეტინა) — 3 მანეთი და ა. ‘ მ. „დროებით ვალდებულ“ ქართველ გლეხებს მათ სარგებლობაში არსებული მიწა უნდა გამოესყიდათ. ამის შემდეგ ისინი მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადადიოდნენ. მაგრამ მიწის გამოსყიდვისათვის საჭირო იყო ფული და მებატონესთან შეთანხმება, რაც ართულებდა გამოსყიდვის პროცედურას. ამის გამო „დროებით ვალდებულთა“ კატეგორია საქართველოში თითქმის რევოლუციამდე არსებობდა.

საადგილმამულო მოწყობის თვალსაზრისით ყმა გლეხებზე უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ ე. წ. ხიზნები, ანუ მებატონეთა მიწებზე მცხოვრები პირადად თავისუფალი გლეხები. 1864—1865 წწ. „დებულება“ ხიზნებს მხოლოდ გაკვრით ახსენებდა (მუხლი 7). „დებულება“ მათ საფუძვლიანად არ შეხებიათ. არ მომხდარა ხიზნების გადაყვანა „დროებით ვალდებულთა“ კატეგორიაში. მებატონეს შეეძლო ხიზანი თვითნებურად აეყარა მამაპაპისეული მიწიდან და უსახლკაროდ დაეტოვებინა. ხიზნებსა და მებატონეებს შორის მიწის საკითხზე მწვავე ბრძოლა წარმოებდა, რაც თითქმის რევოლუციის გამარჯვებამდე მიმდინარეობდა.

ამრიგად, 1864—1871 წლების საგლეხო რეფორმების ზოგადი მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა გაბატონებული კლასების ინტერესთა დასაცავად. თავადაზნაურებს, ბეგებს, მელიქებს, აღალარებს, მულკადორებს და სხვ. არაფერი ჰქონდათ სასაყვედურო ბატონყმობის გაუქმების გამო, რადგან რეფორმას არ შეულახავს მათი ეკონომიური მდგომარეობა. რაც შეეხება ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ გლეხებს, გარდა პირადი თავისუფლებისა, არავითარი სიკეთე არ მიუღიათ. მებატონეები ფართოდ სარგებლობდნენ მათთვის მინიჭებული უფლებებით

და მომრიგებელი შუამავლების მიერ „გარიგების სიგელთა“ შედგენის დროს უსინდისოდ ძარცვავდნენ უპატრონოდ დარჩენილ გლეხობას.

ამიერკავკასიაში გატარებული საგლეხო რეფორმის ეკონომიური მნიშვნელობის დახასიათებისათვის ზედგამოჭრილია ვ. ი. ლენინის კლასიკური გამონათქვამი: „ყბადაღებული „განთავისუფლება“ იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“[1].

დ) საგლეხო რეფორმის შედეგები ამიერკავკასიაში

60—70-იან წლებში ამიერკავკასიაში გატარებული საგლეხო რეფორმა 1861 წლის „მანიფესტისა“ და „დებულების“ ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა. ამიტომ, ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით, ამ რეფორმის შედეგები ისეთივე იყო ამიერკავკასიისათვის, როგორც 1861 წლის რეფორმის შედეგები რუსეთის ცენტრალური რაიონებისათვის.

ისე როგორც რუსეთში, ამიერკავკასიაში განხორციელებული საგლეხო რეფორმაც, თავისი ბატონყმური ხასიათის მიუხედავად, დადებით მოვლენას წარმოადგენდა ამ მხარის შემდგომი განვითარებისათვის. საგლეხო რეფორმა ჩვენშიც ბურჟუაზიული შინაარსისა იყო.

რეფორმამ ყმა გლეხობა გამოიხსნა ბატონყმური მონობისაგან, რითაც საშუალება მისცა მათ ჩაბმულიყვნენ საერთო ეკონომიური ცხოვრების ფერხულში. პირადი თავისუფლების მიღებით გლეხს შესაძლებლობა მიეცა თავისუფლად გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა, რაც გადამწყვეტი ფაქტორი იყო კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებისათვის.

ამიერკავკასიაში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განვითარების პროცესში მყოფმა კაპიტალისტურმა მრეწველობამ მიიღო თავისუფალი მუშახელის დიდი არმია და გასაღების მზარდი ბაზარი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

რეფორმისშემდეგდროინდელ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიული მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე რუსეთიდან კაპიტალის შემოკრამ. როგორც ვ. ი. ლენინი წერს, „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰ ქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავის ფაბრიკებისათვის“[1].

საგლეხო რეფორმის შემდეგ კავკასიის ხელისუფლება აშკარად დაადგა განვითარებადი კაპიტალიზმის მხარდაჭერის პოლიტიკას. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ კავკასიის ხელისუფლებამ გაატარა ღონისძიებანი თბილისში არსებული ამქრული სისტემის გასაუქმებლად. თბილისის ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები თავისი რეგლამენტაციით კონსერვატორულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და ხელს უშლიდნენ ბურჟუაზიისათვის დამახასიათებელი თავისუფალი კონკურენციის გაძლიერებას. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელის შემშელელნი იყვნენ სავაჭრო ამქრები. ისინი კარს უხშობდნენ როგორც კავკასიის სხვა ქალაქებიდან, ასევე რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან თბილისში ნაწარმის შემოტანას.

კავკასიის ხელისუფლებამ მოიმიზეზა 1865 წლის ივნისში თბილისის მოქალაქეთა აჯანყებაში ამქრების მონაწილეობის ფაქტი და შეუდგა ამქართა ინსტიტუტის გაუქმებას. პირველ რიგში გადაწყდა ხელოსანთა ამქრების შეზღუდვა და მათი საქმიანობის დაყვანა „კანონიერ საფუძველზე“. რაც შეეხება ვაჭართა ამქრებს, ისინი ერთბაშად უნდა გაუქმებულიყვნენ, რადგან ეს აუცილებელი პირობა იყო აღებმიცემობის წარმატებით განვითარებისათვის და ცალკეული პირებისათვის ვაჭრობაში სრული დამოუკიდებლობის მიცემისათვის[2].

თბილისის ამქართა ინსტიტუტის მოშლით ხელისუფლებას სურდა, ერთი მხრივ, ქალაქის ბურჟუაზიასა და ამქრებს შო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

[2] Центральный Государственный исторический архив в Ленинграде (ЦГИАЛ), фонд 1968, 1866, опись 2, ед. хр. 112, л. 59—70.

რის წინააღმდეგობათა შენელება და, ამრიგად, მოსალოდნელი სოციალური გართულებების თავიდან აცილება, ხოლო, მეორე მხრივ, ხელშეწყობა რუსული კაპიტალისათვის, რათა მას ეკონომიური პოზიციები განემტკიცებინა ამიერკავკასიაში. კავკასიის ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა სავსებით პასუხობდა ცარიზმის მიზნებს — კოლონიებში სამხედროფეოდალური ჩაგვრის გაძლიერებასთან ერთად კაპიტალისტური ექსპანსიის გაფართოებას.

რეფორმისშემდგომ პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება და მსოფლიო საქონელბრუნვაში ამიერკავკასიის მტკიცედ ჩაბმის აუცილებლობა მოითხოვდა სარკინიგზო და გზატკეცილების ქსელის გაფართოებას. კავკასიის ხელისუფლებამ ამ მიმართულებითაც გადადგა სათანადო ნაბიჯები.

1867 წელს კავკასიის ხელისუფლება შეუდგა ამიერკავკასიაში რკინიგზების მშენებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1861 წელს მიღებული გეგმის განხორციელებას.

ამიერკავკასიაში რკინიგზების მშენებლობა შეუჩერებლად მიმდინარეობდა რეფორმისშემდგომ მთელ პერიოდში. 1867-1872 წლებში თბილისი—ფოთის რკინიგზის ხაზის მშენებლობის დამთავრებას მოჰყვა ახალი სარკინიგზო ხაზები: 1877 წელს რიონი—ქუთაისი, 1883 წელს ბაქო—სურახანი—საბუნჩი, თბილისი—ბაქო—სამტრედია—ბათუმი, 1887 წელს — ქუთაისი—ტყიბული, 1899 წელს — თბილისი—ალექსანდროპოლი—ყარსი და ა. შ. ისე რომ, 1900 წლისათვის კავკასიაში რკინიგზების ქსელის საერთო სიგრძემ, პეტროვსკი—გროზნო—ბესლანისა და პეტროვსკი—დერბენი—ბალაჯარის ხაზების ჩათვლით, 1632 კილომეტრს მიაღწია.

შესამჩნევად გამოცოცხლდა აგრეთვე გზატკეცილების მშენებლობაც. კავკასიის მეფისნაცვალმა 1868 წელს დაავალა გუბერნატორებს წარედგინათ მისთვის ცნობები გზატკეცილების მდგომარეობის შესახებ, ამასთან წამოეყენებინათ თავიანთი წინადადებანი მათი გაყვანა-შეკეთების თაობაზე. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა გუბერნიებიდან შემოსული წინადადებების განხილვა. კომისიის მუშაობის შედეგად 1871 წელს დამტკიცდა გეგმა კავკასიაში

გზატკეცილების მშენებლობის შესახებ. ამ გეგმის საფუძველზე შეკეთდა თბილისი—ერევნისა და კარაკლის—ალექსანდროპოლის გზები, გაყვანილ იქნა შუშა—ევლახისა და სხვა გზატკეცილები[1].

რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყვანამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში საშინაო და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას. ერთმანეთს დაუკავშირდა ამიერკავკასიის ცალკეული კუთხეები. ბაქო—ფოთის რკინიგზის ხაზმა ამიერკავკასიის ცენტრალური რაიონები დააკავშირა კასპიისა და შავ ზღვასთან. რკინიგზამ „გააადვილა მიმოსვლა, გაზარდა აღებ-მიცემობა, გამოაცოცხლა და განავითარა მხარის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება"[2].

რეფორმისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან, აგრეთვე თურქეთსა და სპარსეთთან. 1872 წლისათვის მარტო თბილისის გუბერნიაში შემოტანილი საზღვარგარეთული საქონლის საერთო ღირებულება 3 410 490 მანეთს შეადგენდა. სპარსეთთან და თურქეთთან ვაჭრობა წარმოებდა როგორც ზღვით, ისე ხმელეთითაც. ერევნის გუბერნიიდან თურქეთში გაჰქოხდათ პური, ქერი, ღვინო, არაყი, გაჰყავდათ წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ჯოგები, მარტო 1 წლის განმავლობაში, 1870 წლის ნოემბრიდან 1871 წლის ნოემბრამდე ერევნის გუბერნიიდან თურქეთში გაუყვანიათ 800-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 10 ათასამდე ცხვარი, 33 ათასამდე მანეთის საერთო ღირებულებით. ამავე დროის განმავლობაში თურქეთიდან შემოუზიდიათ 1 513 550 მანეთის სხვადასხვა საქონელი[3].

საგარეო და საშინაო ვაჭრობის სისტემატური ზრდის მაჩვენებელია ვაჭართა რაოდენობის ზრდა. მარტო 1872 წელს ქ. თბილისში ვაჭრობის უფლების მოწმობა აუღია 3 902 მოქალაქეს, რაც 599-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით.

---

1 О. К. Туманян, Экономическое развитие Армении, часть I, Ереван, 1954, стр. 86—87.

2 ოსუ „ᲛᲠᲝᲛᲔᲑᲘ", 1947, № 32, გვ. 27.

3 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 5, საქმე 2223, ფურც. 2—4.

ელიზავეტოპოლში 1874 წელს სავაჭრო მოწმობა აიღო 2025 კაცმა, რაც 371-ით აჭარბებდა 1872 წელს აღებულ ასეთსავე მოწმობების რაოდენობას.

რეფორმისშემდგომ საქართველოსა და ამიერკავკასიაში სწრაფად ვითარდებოდა საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობაც. გაჩნდნენ კაპიტალისტური საწარმოები, რომლებშიც ათეულობით დაქირავებული მუშა იყო ჩაბმული. ამ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია არა მარტო ამიერკავკასიის მაზრებსა და გუბერნიებში საღდებოდა, არამედ მხარის ფარგლებსაც სცილდებოდა და რუსეთის ბაზრებზე გადიოდა. აქაურ ნავთზე, მარგანეცზე, ღვინოზე და სხვა საქონელზე ევროპისა და აზიის ქვეყნების ბაზრებზეც დიდი მოთხოვნილება იყო.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ამიერკავკასიაში გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებიც. ოფიციალური ცნობებით, 1875 წლისათვის თბილისში უკვე მუშაობდა 1 საჯარო ბიბლიოთეკა, 2 ბიბლიოთეკა-სამკითხველო— სოლოდოვისა და ივანოვისა, წიგნის 8 მაღაზია და 5 ლითოგრაფია. იმავე წლისათვის ქუთაისში იყო 1 ბიბლიოთეკა, წიგნის 8 მაღაზია და 2 სტამბა[1].

70-იანი წლების დამდეგისათვის ქ. ბაქოსა და მის გუბერნიაში მუშაობდა 4 ბიბლიოთეკა (სამი ბაქოში და ერთი ყუბანში), 4 სტამბა და 1 ლითოგრაფია.

ამავე პერიოდისათვის თბილისში გამოდიოდა შემდეგი პერიოდული გამოცემები: „სასოფლო გაზეთი“, „დროება“, „კრებული“, „მნათობი“, „კავკაზი“, „მშაკი“, „მეღუ ჰაიასტან“, „არმიანსკი მირ“, „ზარია“, „პახარი“[2].

რეფორმისშემდგომი პერიოდის ამიერკავკასიაში, მართალია, მრეწველობა სათანადო ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ მისი საერთო დონე მაინც დაბალი იყო. ამიერკავკასია არ წარმოადგენდა სამრეწველო მხარეს. უფრო სოფლის მეურნეობა სჭარბობდა.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბატონყმობის

---

1 საქ. სსრ ცსა, ფონდი 5, საქ. 2751, ფურც. 22—33.

2 დოკუმენტში მოხსენებული „პახარი“, ეს არის ცნობილი ჟურნალის „გუთნის დედის“ რუსულად თარგმნილი სახელწოდება.

გაუქმების შემდეგ მცირე ნადელების ამარა დარჩენილი გლეხობა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გლეხს ოჯახის გამოკვებისათვის, სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო გადასახადებისათვის აღარ ჰყოფნიდა თავისი მიწის ნაკვეთიდან მიღებული მოსავალი. გლეხობის ერთი ნაწილი იძულებული იყო ადგილზე გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა. გაძლიერდა სოფლის დიფერენციაცია. ერთ პოლუსზე თავი მოიყარა სოფლის ბურჟუაზიამ, ანუ კულაკობამ, ხოლო მეორეზე ღარიბმა და საშუალო გლეხობამ. კულაკები სარგებლობდნენ ღარიბი გლეხობის შევიწროებული მდგომარეობით და იაფად იძენდნენ მათ მიწებს.

სოფლად დარჩენილი უმიწაწყლო გლეხი იძულებული ხდებოდა გაეყიდა თავისი სამუშაო ძალა და გადაქცეულიყო სოფლის დაქირავებულ მუშად. ისინი კი, რომელთაც სოფელი დატოვეს და ქალაქში წავიდნენ სამუშაოდ, კაპიტალისტების კლანჭებში მოექცნენ. თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქების სადგურებში მრავლად მოიყარეს თავი გაღატაკებულმა ადამიანებმა, რომლებიც იძულებული იყვნენ დღიური ლუკმისათვის კურტანი აეკიდებინათ და მის ზიდვაში სიმწრის ოფლი ეღვარათ. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ ადამიანებს თავმოყვარეობა დააკარგვინა და აიძულა არსებობისათვის ყოველგვარი სამუშაო შეესრულებინა. ქართველი გლეხობის ცხოვრებაში მომხდარი ეს ღრმა ცვლილება კარგად აქვს აღწერილი გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი წერეთელს ჟურნალ „კრებულში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში. „ოი დიდება შენთვის ღმერთო, — წერს იგი, — გურული და მეკურტნე, ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, — აი მისი საქმე, მუშაობა კურტანი და წელმოსაწყვეტი ბარგი გურულს ვინ აჰკიდა?“[1].

სოფლის კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად უმიწოდ დარჩენილ გლეხთა საშოვარზე წასვლას ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის ყველა კუთხეში. 1884 წელს ზანგეზურის მაზრიდან სამუშაოდ წავიდა 3 000 კაცი, ხოლო 90-იანი წლების

---

1 „კრებული“, 1873, № 3, გვ. 213.

დამდეგს დიდი კარაკლისიდან (ახლანდელი კიროვაკანი) 1903 კაცი[1].

ბამბაზე მოთხოვნილების ზრდამ სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლებში გამოიწვია შექმნა ფერმერული მეურნეობებისა, რომლებიც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ.

70-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში გამოჩნდნენ რუსეთის ბურჟუაზიის წარმომადგენლები. მათ აქ საკუთარი საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზების შექმნა დაიწყეს: მაგალითად, 80-იან წლებში რუსეთის საფეიქრო მრეწველობის მეფის კაპიტალისტ სავა მოროზოვის აგენტებმა ერევნის გუბერნიაში გახსნეს სპეციალური კანტორები და დაეპატრონნენ სომხეთის მთელი ბამბის პროდუქციას[2].

საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია ადგილმამულების ყიდვა-გაყიდვის გახშირება. კულაკები მიწებს იძენდნენ არა მარტო გაღატაკებული გლეხებისაგან, არამედ ვალში ჩავარდნილი თავადაზნაურებისაგანაც. 1879—1883 წლების განმავლობაში მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში მამულების ყიდვა-გაყიდვის 5 685 შემთხვევას ჰქონდა ადგილი. აქ გაიყიდა 10 025 დესეტინა მიწა. თბილისის გუბერნიაში ყიდვა-გაყიდვის 2477 შემთხვევა მოხდა, რის შედეგადაც 35 183 დესეტინა მიწა გაიყიდა[3].

70—80-იან წლებში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლებში კაპიტალისტური საწარმოო ძალების შეჭრის მიუხედავად, ბატონყმური ნაშთები მაინც არსებობდა. მაგალითად, 90-იანი წლების დამდეგისთვისაც კი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების „დროებით ვალდებულ“ გლეხთა 40,07% ისევ მემამულეებზე იყო დამოკიდებული; ხოლო სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხობის უმრავლესობა, რომლებსაც არ გააჩნდათ „ნადელების“ გამოსყიდვის შესაძ-

---

1 История Армянского народа, Ереван, 1956, стр. 135.

2 იქვე.

3 ს. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1945, გვ. 46.

ლებლობა, თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნახევრად ფეოდალურ დამოკიდებულებაში დარჩნენ[1].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში შექმნილი ასეთი როული სოციალურ-ეკონომიური ვითარება, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებდა რუსეთის კოლონიური ჩაგვრის უღელი, აიძულებდა აქაურ ხალხთა მასებს იარაღისათვის მოეკიდათ ხელი და ებრძოლათ ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

---

[1] История Азербайджана, т. I, Баку, 1960, стр. 146—147.

თავი V

მასობრივი ბრძოლის გაძლიერება და რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის დაწყება რეფორმისშემდგომ ამიერკავკასიაში

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გატარებულმა საგლეხო რეფორმაქ ვერ გაამართლა ხალხის მასების იმედები. ეკონომიურად გაძარცული გლეხი სამმაგ ექსპლოატაციას განიცდიდა: მას სტანჯავდნენ ბატონყმობის ძლიერი გადმონაშთები, სოფლის ბურჟუაზია-კულაკები, ვაჭარ-მევახშეები და ცარიზმის მექრთამე ჩინოვნიკები.

საგლეხო რეფორმის გამოცხადების პირველ ხანებში დროებით მინელდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ადრე მწვავე ხასიათი ჰქონდა. როგორც ცნობილია, რეფორმამდელ პერიოდში ამიერკავკასიის გუბერნიებიდან ყველაზე მძლავრი გლეხთა აჯანყებები ქუთაისის გუბერნიაში მოხდა. რეფორმის გამოცხადებამ კი აქ მნიშვნელოვნად შეასუსტა აჯანყების ტალღა. როგორც ქუთაისის გუბერნატორის 1866 წლის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაშია“ ნათქვამი, 1864 წელს გუბერნიაში ადგილი ჰქონდა მებატონეთა ქონების ძალით დატაცებას, ე. ი. მშრომელთა აქტიური გამოსვლების 174 შემთხვევას, 1865 წელს მათი რაოდენობა 30-მდე შემცირებულა, ხოლო 1866 წლისათვის 5 შემთხვევამდე დასულა[1].

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 308, ფურც. 34.

მაგრამ ცარიზმისათვის სასურველი ასეთი სიწყნარე დროებითი იყო. საგლეხო რეფორმის გამოცხადების შემდეგ ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა გლეხებმა მალე დაინახეს, რომ ისინი ხელისუფლებამ მოატყუა, რომ მათ მხოლოდ სახელი შეეცვალათ და ყმის ნაცვლად „მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები“ ეწოდათ. „რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს“[1]. გლეხობამ გადაწყვიტა თვითონვე მოევლო თავისი თავისათვის და „ნამდვილი თავისუფლების“ მოსაპოვებლად იარაღს მოჰკიდა ხელი. ამიერკავკასიის გუბერნიებს კვლავ ახალი სიძლიერით მოედო მშრომელი მასების მოძრაობის ტალღა.

ხელისუფლების მიერ მოტყუებული ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხები მტრულად განეწყვნენ რეფორმის მიმართ. ისე როგორც რუსეთში, ამიერკავკასიაშიც არ სჯეროდა გლეხობას მემამულეებისა და მომრიგებელი შუამავლებისა, რომლებიც „გარიგების სიგელების“ შედგენისას კვლავ ტოვებდნენ ბატონყმურ დამოკიდებულებას მიწათმფლობელსა და „გათავისუფლებულ“ გლეხებს შორის. ეს არ აკმაყოფილებდა გლეხობას, რომელსაც ნამდვილი თავისუფლების მიღება სურდა. გლეხები დიდი ხანია იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, ახლა კი, როდესაც აშკარად მოტყუებულნი დარჩნენ, კიდევ უფრო გააძლიერეს ურჩობა. გლეხები უარს ამბობდნენ გარიგების სიგელების მიღებაზე, იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს. ზოგჯერ იარაღსაც მიმართავდნენ და ჯანყდებოდნენ.

ბატონყმობის გაუქმების გამოცხადების შემდეგ გორის მაზრის სოფელ ახალქალაქში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლას, რომლის ჩასაქრობად ხელისუფლებას ჯარების გამოყვანა დასჭირდა[2].

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მსგავსად ამიერკავკასიის რიგ გუბერნიებშიც გამოჩნდნენ გლეხების წრიდან გამოსული

---

1 ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი, 1932, გვ. 177—179.

2 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954, გვ. 279.

პროპაგანდისტები, რომლებმაც თანასოფლელებს მოუწოდეს არ მიეღოთ მომრიგებელი შუამავლების მიერ შედგენილი „გარიგების სიგელები“, არ დაეთმოთ მიწები მემამულეებისათვის, უარი ეთქვათ ვალდებულებათა შესრულებაზე და ა. შ.

1866 წლის თებერვალში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში დაიწყო გარჩევა თბილისის გუბერნიის სოფ. იწრის მცხოვრებ არსენ ასლამაზაშვილის მეტად საინტერესო საქმისა. არსენ ასლამაზაშვილი, ანტონ პეტროვის მსგავსად, აგიტაციას ეწეოდა გლეხებში. საქმეში ნათქვამია, რომ არსენ ასლამაზაშვილი „ავრცელებდა სალხში ყალბ ხმებს საგლეხო რეფორმის ირგვლივ“, ამახინჯებდა დებულების აზრს, ურჩევდა გლეხობას, რომ არა თუ წასულიყვნენ რაიმე ნებაყოფლობით შეთანხმებაზე, არამედ უარი ეთქვათ ყოველგვარ ვალდებულებათა გადახდაზე, არავითარ შემთხვევაში არ მოეწერათ ხელი რაიმე ქაღალდზე, რადგანაც ამით გლეხები თავიანთ კისერზე ხელახლა დაიდებდნენ ბატონყმობის უღელს, რომ მეოთხედი და სხვა ამგვარი ვალდებულებანი გამოგონილია მემამულეთა და მათი მომხრეების მიერ და წიგნში, რომელიც მას ხელთა აქვს (იგულისხმება „დებულება“, ზ. შ.), არ სწერია ის, რასაც მომრიგებელი შუამავლები ლაპარაკობენ[1].

როგორც ვხედავთ, არსენ ასლამაზაშვილი 1861—62 წლებში რუსეთის სოფლებში მომუშავე გლეხი აგიტატორების მსგავსად მიუთითებდა გამოცხადებული დებულების სიყალბეზე და აღნიშნავდა, რომ მას აქვს სხვა წიგნი, ანუ „დებულება“, რომელშიც სიმართლე წერია ბატონყმობის გაუქმების შესახებ. როდესაც არსენ ასლამაზაშვილი სოფ. კერანის გლეხებში ასეთი აგიტაციის დროს დააპატიმრეს, იგი მიუბრუნდა შეკრებილ გლეხებს და კვლავ დაუნორჩილებლობისაკენ მოუწოდა. ის არწმუნებდა მათ, „რომ ხელმწიფე იმპერატორი ამა წლის ნოემბრის თვეში ყველას გაათავისუფლებს მებატონეების მიმართ საადგილმამულო დამოკიდებულებისაგან“[2].

---

[1] საქ. სსრ ცსა. ფ. 5, საქ. 227, ფურც. 5.

[2] იქვე, საქ. 227, ფურც. 6—8.

არსენ ასლამაზაშვილის აგიტაციამ თავისი შედეგი გამოიღო. გლეხები არ ემორჩილებოდნენ მიწათმომწყობებს, ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს „გარიგების სიგელების“ შედგენას და ა. შ. მართალია, ხელისუფლებამ შეძლო სოფ. კერანის გლეხთა მორჩილებაში მოყვანა, არსენ ასლამაზაშვილიც გადაასახლეს რუსეთში, მაგრამ აღნიშნულმა ფაქტმა მაინც დიდად შეაფიქრიანა კავკასიის ხელისუფლება. მათ მკაცრი ღონისძიებანი გაატარეს მომავალში ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად. ამის შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის სპეციალურ მიწერილობაში ვკითხულობთ: „მომავალი დროისათვის საჭიროა დასჯის სასწრაფო ღონისძიებების გატარება, რისი მიღწევაც არ ხერხდება გლეხთა წამქეზებლების ფორმალურად სასამართლო პასუხისგებაში მიცემით, ამიტომ დასჯის საუკეთესო საშუალება იქნება ის, რომ საეჭვო პირები განდევნილ იქნენ მათი საცხოვრებელი ადგილებიდან საგლეხო დებულების ცხოვრებაში გატარებისათვის საჭირო დროის მთელ პერიოდში“[1].

ხელისუფლების მიერ გატარებული ასეთი განსაკუთრებული ღონისძიებების მიუხედავად, გლეხებში რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაცია არ შეწყვეტილა. 1869 წლის ივნისში ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. ნანეიშვილებში აგიტაციას ეწეოდნენ გიორგი (გრიგოლა) გიორგაძე, ბასილა ვაჩეიშვილი, გაბილა ძნელაძე, ივანე მიქაბერიძე, ოტია და ჭიგინია მაღულარიები, მდიდარი ვაჩეიშვილი და ივანე კეშელავა. ამ აგიტატორების შთაგონებით, — ვკითხულობთ საარქივო დოკუმენტებში, — „გადასახადის გადახდაზე უარი თქვეს არა მარტო იმ გლეხებმა, რომლებიც დაბეგრილი არიან გადიდებული ვალდებულებებით, არამედ უარი სთქვა ყველამ, ვისაც დანიშნული აქვს გადასახადი საკარმიდამოზე 40 კაპიკიდან 3 მანეთამდე“[2].

აღსანიშნავია, რომ გლეხი გიორგი გიორგაძე გუბერნიის გლეხთა საკრებულოს სხდომაზეც კი გამოვიდა რეფორმის კრიტიკით. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, მან გამოხატა

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 227, ფურც. 8..

2 იქვე, ფ. 5, საქ. 1126, ფურც. 1.

რეფორმისადმი უპატივცემლობა და მისდამი სრული დაუმორჩილებლობის სულისკვეთება[1].

ჩამოთვლილი გლეხი აგიტატორებიდან ხელისუფლებამ ყველაზე საშიშ პირებად მიიჩნია გიორგი გიორგაძე და ბასილა ვაჩეიშვილი. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებაში ნათქვამია, რომ მათ საქმიანობას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა არა მარტო მაზრის, არამედ საერთოდ გუბერნიის „გლეხთა საქმეების მსვლელობაზე". გუბერნატორის შუამდგომლობის საფუძველზე კავკასიის მეფისნაცვალმა განკარგულება გასცა მათი დაპატიმრების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. ისინი ჩასვეს ქუთაისის ციხეში და მალე კავკასიიდან გასახლება და საპატიმრო ასეულში გამწესება მიუსაჯეს[2].

1865 წლის 26—28 ივნისს მესამე წოდების აჯანყებაჰ იფეთქა თბილისში. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ქალაქის წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, ქარგლები, შეგირდები, დღიური მუშები, სოფლებიდან საშოვარზე ჩამოსული გლეხები. ეს აჯანყება საქართველოში გატარებული საგლეხო რეფორმის უშუალო გამოძახილი იყო[3].

ქართველ მშრომელთა ბრძოლამ 70-იან წლებში კიდევ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო. გაძლიერდა გლეხთა მიერ მებატონეთა წინააღმდეგ საჩივრების შეტანა, ბეგარა-ვალდებულებებზე უარის თქმა, მემამულეთა მიწების მიტაცება და ა. შ. გლეხთა ბრძოლის ხსენებულ ფორმებთან ერთად ადგილი ჰქონდა თვალსაჩინო შეიარაღებულ აჯანყებებსაც. ასეთი იყო, მაგალითად, 1874—1876 წლების გლეხთა აჯანყებები სამეგრელოში, 1875—1876 წლების აჯანყებები სვანეთში და 1878 წლის მღელვარება სიღნაღის მაზრაში[4].

„გათავისუფლებული" გლეხობის გამოსვლები დაიწყო აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანში — ერევნის, ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიებში.

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 1126, ფურც. 2.

2 იქვე, ფურც. 9—10.

3 თბილისი 1500, საიუბილეო კრებული, თბ, 1958, გვ. 97—99.

4 გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნეში. თბ., 1933, გვ. 129—176.

სომეხი და აზერბაიჯანელი გლეხების გამოსვლა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ჰქონდა გლეხთა მარივ საჩივრებს ბეგების, აღალარების, მულკადორების, ტიულისტების წინააღმდეგ, უარის თქმას მიწათმფლობელთა სასარგებლოდ ვალდებულებების შესრულებაზე, მემამულეთა მიწების მითვისებას, კარმიდამოს გადაწვას, ტერორისტულ მოქმედებას და ა. შ. მოხდა მასობრივი ხასიათის შეიარაღებული აჯანყებებიც. გლეხთა გამოსვლები მიმართული იყო როგორც ყოფილი მებატონეების, ისე რეფორმისშემდგომ გაძლიერებული სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის წინააღმდეგ.

რეფორმისშემდგომ პერიოდში სომეხ გლეხთა გამოსვლებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ნოვობაიაზეთის მაზრის გლეხთა მღელვარება. იგი ჯერ კიდევ რეფორმამდე, 40-იან წლებში დაიწყო, ხოლო XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ახალი ძალით გაიშალა. მღელვარება მიმართული იყო აღალარების თვითნებობის წინააღმდეგ. გლეხთა შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა ისინი აღალართა დამოკიდებულებისაგან[1].

1872—1873 წლებში მძლავრი გაქანება მიიღო ეჩმიაძინის მაზრის სოფელ ჯანფადის გლეხთა გამოსვლამ მიწათმფლობელებისა და მომრიგებელი შუამავლების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დასახმარებლად პოლიციას მიმართა, მაინც ვერ მოახერხეს ჯოხებითა და ქვებით აღჭურვილი გლეხობის დამორჩილება. მათ სტვენითა და ყიჟინით დაიფრინეს მემამულეები და ხელისუფლების წარმომადგენლები. გლეხები არ ცნობდნენ „გარიგების სიგელებს“, უარს ამბობდნენ მულკადორებისათვის გადასახადების მიცემაზე[2].

1884 წელს შეუპოვარი ხასიათი მიიღო გლეხთა გამოსვლებმა ერევნის მაზრის სოფლებში — გედაკლუსა და და-

---

[1] Крестьянское движение в Армении в XIX веке, Ер., 1948, стр. 18.

[2] Известие АН Армянской ССР, 1957, № 9, стр. 72—73.

ლულარში. აქაურმა აზერბაიჯანელმა გლეხებმა უარი თქვეს მემამულეთა სასარგებლოდ ვალდებულებათა შესრულებაზე. გლეხებმა გადაჭრით განუცხადეს მომრიგებელ შუამავლებს, რომ „ისინი მზად არიან ჩასხდნენ საპატიმროებში და გადასახლებულ იქნან ციმბირში, მაგრამ მემამულეებს მაინც არაფერს გადაუხდიან“[1].

1876 წლის მარტში აზერბაიჯანელი გლეხობის ძლიერი აჯანყება მოხდა ეჩმიაძინის მაზრაში. იგი ჯერ ჩაბანკარის საზოგადოებაში დაიწყო და მალე სხვა სოფლებშიც გავრცელდა. აჯანყება მიმართული იყო ბატონყმური გადმონაშთებისა და ხელისუფლების მიერ გატარებული საგადასახადო ღონისძიებების წინააღმდეგ. ეჩმიაძინის მაზრის უფროსისადმი ერევნის გუბერნატორის მიერ 1876 წელს გაგზავნილი მიწერილობიდან ჩანს, რომ აქაურ სოფლებშიც გამოჩენილან ადამიანები, რომლებიც აზერბაიჯანელ გლეხებში ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ. ამიტომ გუბერნიის ხელისუფლებამ ეჩმიაძინის მაზრაში დაწყებული გლეხთა აჯანყება საშიში ხასიათის მოვლენად მიიჩნია. მუქარისა და დაყვავების გზით ხელისუფლებამ შეძლო მღელვარე გლეხების „დამშვიდება“, რის შემდეგაც ერევნის გუბერნატორმა დაავალა მაზრის უფროსს, „რომ აღეკვეთა ხალხში ისეთი ამაღელვებელი ხმების გავრცელება, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ შავ მასაზე... მიეღო უაღრესად ენერგიული ზომები იმათ მიმართ, ვინც ხელისუფლების საწინააღმდეგო უწესო და ყალბ ცნობებს ავრცელებდა“[2].

რეფორმისშემდგომ წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბაქოსა და ელიზავეტპოლის გუბერნიების გლეხთა ბრძოლა. ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, ამ გუბერნიებშიც გლეხთა უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იყო ხელისუფლებისა და ბეგი-მემამულეების მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის ბატონყმური ხასიათი, კერძოდ კი „გათავისუფლებული“ აზერბაიჯანელი გლეხობის მიწით უზრუნველყოფის

---

[1]Крестьянское движение в Армении в XIX веке, Ереван, 1948, стр. 18.

[2] ЦГИА Армянской ССР, ф. 38/102, ед. хр. 32, лл. 8—10, 12

საკითხში რეფორმისათვის დამახასიათებელი მანკიერება. ცარიზმის ერთგული ქოფაკი — ბაქოს გუბერნატორი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გლეხთა უკმაყოფილების მიზეზი მიწის საკითხის არასწორად გადაწყვეტაში მდგომარეობსო. ამის შესახებ გუბერნატორის 1877 წ. ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში იწვევს ჩვენს მიმართ უნდობლობას. უნდა ვხედავდეთ იმაში, რომ არადამაკმაყოფილებლადაა გადაწყვეტილი მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი... მიწების განაწილება ხასიათდება უკიდურესი აბნეულობით“[1].

აზერბაიჯანში გლეხთა მოძრაობის ფორმები ისეთივე იყო, როგორიც საქართველოსა და სომხეთში (უარის თქმა ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე, მემამულეთა კარმიდამოს გადაწვა, მკვლელობა და ა. შ.). ოფიციალური ცნობებით. 1870 წლის მანძილზე, ე. ი. აზერბაიჯანში საგლეხო რეფორმის გატარების პირველსავე წელს ბაქოს გუბერნიის მხოლოდ ყუბის მაზრაში 120 ბეგი და გაბატონებული კლასის სხვა წარმომადგენელი იქნა მოკლული[2].

70-იანი წლების დასასრულისათვის აჯანყების დროშა ააფრიალეს ყუბის მაზრის ს. კუშჩის გლეხებმა. აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ მეხბადი მამედ-ჰასან-ოღლი, მეშადი უსუბ-მურშიდ-ოღლი, ქერბალაი ქერიმ შახ-ყული-ოღლი და სხვ. ბეგებმა და გუბერნიის ხელისუფლებამ ეს აჯანყება ჩააბშეს, მისი ხელმძღვანელები კი დააპატიმრეს.

სერიოზული ხასიათი ჰქონდა ელიზავეტოპოლის მაზრის სოფ. ხილხინის გლეხთა გამოსვლას მემამულე-მულკადორების წინააღმდეგ. გლეხები მოითხოვდნენ მიწების დარიგებას და წყლით უზრუნველყოფას. ასევე თვალსაჩინო იყო იმავე მაზრის სოფლების — გიულისტანის, გიზილტაჯილის, ჯინის და ა. შ. გლეხთა მღელვარებანი.

1881 წელს გლეხთა ძლიერი გამოსვლა მოხდა ყაზახის მაზრის სოფელ ოქსიუზლიში, ხოლო 1888 წელს ელიზავეტოპოლის მაზრის სოფელ ყარაბულახში. 80-იან წლებში

---

1 История Азербайджана, т. 2, Баку, 1960, стр. 193.

2 იქვე.

ბეგ-მემამულეთა ჩაგვრის წინააღმდეგ გამოვიდნენ აგრეთვე შემახის მაზრის ს. გიურჯივანის, შუშის მაზრის სოფლების — ტუგისა და გარაჩინარის, ყაზახის მაზრის სოფ. ალიბეილის, ნახჩევანის მაზრის სოფლების — აბრაკუნისა და ბანანიარის გლეხები[1].

აზერბაიჯანში გავრცელებული იყო გლეხთა გამოსვლების განსაკუთრებული ფორმა — „ყაჩაღობა". ისე როგორც გურული „ფირალები", აზერბაიჯანელი „ყაჩაღებიც" იბრძოდნენ არსებული სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ ისინი მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერითა და მფარველობით სარგებლობდნენ. ყაჩაღთა მოძრაობამ მოიცვა ელიზავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიები, ნახიჩევანის მაზრა, ერევნის გუბერნია და ზაქათალის ოლქი. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აზერბაიჯანში მოქმედებდნენ ნაბის, დალის, იუსუფის, კამბარის, ქერიმ ეფენდისა და სხვა ყაჩაღთა ძლიერი რაზმები[2].

ყაჩაღთა თავდადებული ბრძოლა შიშის ზარს სცემდა ბეგებს და მნიშვნელოვნად უმსუბუქებდა მდგომარეობას სოციალურ-ეკონომიური უსამართლობით გატანჯულ აზერბაიჯანელ გლეხობას.

ამრიგად, რეფორმისშემდგომ პერიოდში შექმნილი სოციალურ-ეკონომიური ვითარების შედეგად მძიმე ექსპლოატაციაში ჩავარდნილი ამიერკავკასიის გლეხთა ფართო მასები შეუნელებლად იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად. 60—80-იან წლებში ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მშრომელების მიერ გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა რუსეთის საერთო მასობრივი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. უფრო მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რეფორმისშემდგომი პერიოდის რუსეთის იმპერიაში მომხდარ გლეხთა მოძრაობებს შორის ამიერკავკასიის გლეხთა მოძრაობა ყველაზე აქტიური იყო. ბუნებრივია, რომ გლეხთა მოძრაობის გაძლიერებას ამიერკავკასიაში უნდა წარმოეშვა და წარმოშვა კიდეც თავისი გლეხური იდეოლოგია.

---

[1] История Азербайджана, т. 2, Баку, 1960, стр. 194—195.

[2] იქვე, გვ 196.

ისე როგორც რუსეთში, ამიერკავკასიაშიც საგლეხო რეფორმის გატარებამ დასაბამი მისცა განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, ანუ რაზნოჩინულ ეტაპს.

60—70-იანი წლების ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა რაზნოჩინელმა ინტელიგენციამ თავის წმინდა მოვალეობად დაისახა ამიერკავკასიის მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის „მარჯვე გზის ამორჩევა". ამ „მარჯვე გზით" ისინი შეძლებდნენ „ეკონომიური კეთილი მდგომარეობის" მიღწევას[1].

ამიერკავკასიელი დემოკრატიული ინტელიგენციის აზრით, ხალხის მასებს საკუთარი ძალებით უნდა გადაეჭრათ ეკონომიური და პოლიტიკური საკითხები. მათი ყველაზე რადიკალური ნაწილი კი, მსგავსად ჩერნიშევსკისა, აღიარებდა, რომ მშრომელ ხალხს მხოლოდ „ნაჯახით", ე. ი. გლეხური რევოლუციის გზით შეეძლო ნამდვილი თავისუფლების მოპოვება.

ამრიგად, ამიერკავკასიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობა განაპირობა იმ სოციალურ-ეკონომიურმა ვითარებამ, რომელიც ქვეყნად შეიქმნა საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ. რეფორმის დაუმთავრებელმა ხასიათმა, ბატონყმური გადმონაშთების სიმრავლემ, მუშათა კლასის სუსტად განვითარებამ განსაზღვრა გლეხთა აქტიური როლი მასობრივ-რევოლუციურ მოძრაობაში.

60-იანი წლებისათვის რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან შედარებით ამიერკავკასია უფრო აგრარულ მხარეს წარმოადგენდა. აქ მეტად იგრძნობოდა წვრილ მწარმოებელთა კლასის სიმრავლე.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ წვრილბურჟუაზიული, გლეხური სოციალიზმის იდეოლოგიის — ხალხსნობის გავრცელებისათვის ამიერკავკასიაში სათანადო სოციალურ-ეკონომიური პირობები არსებობდა.

მართალია, ამიერკავკასიის ბარის რაიონებში თემური მიწათმფლობელობის ფორმები თითქმის აღარ არსებობდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა ჩვენში რევოლუციური

---

[1] ჟურნ. „მნათობი", 1870, № 1, გვ. 50.

დემოკრატიზმისათვის სოციალურ-ეკონომიური პირობების უქონლობას. თუ „ობშჩინა“ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მკრთალად გამოიყურებოდა, სამაგიეროდ აქაურ გლეხებში ძლიერი იყო ექსპლოატატორთა წინააღმდეგ კოლექტიური ბრძოლის განწყობილება, ურთიერთისადმი კოლექტიური დახმარების ჩვევები („ნადი“, „მამითადი“) და ა. შ., რაც იმის დამადასტურებელია, რომ წვრილბურჟუაზიული, გლეხური სოციალიზმის იდეის გავრცელებისათვის სოციალურ-ეკონომიურ ანუ ობიექტურ პირობებთან ერთად ამიერკავკასიაში არსებობდა სუბიექტური პირობებიც. ჩვენი აზრით, ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ‹.მაშია, რომ სწორედ გლეხთა „კომუნისტური ინსტინქტისადმი“ რწმენამ მისცა რევოლუციური შინაარსი უტოპიური სოციალიზმის რუსულ სახესხვაობას — ხალხოსნობას. რუსი ხალხოსნები უბრალოდ კი არ ოცნებობდნენ სოციალიზმზე, როგორც ეს ევროპის უტოპიური სოციალისტებისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ პრაქტიკულადაც იბრძოდნენ რევოლუციის გზით სოციალიზმის გამარჯვებისათვის. რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალად ხალხოსნებს გლეხობა მიაჩნდათ, რადგანაც ისინი, მათი რწმენით, ბუნებით კომუნისტები იყვნენ და ამიტომ თავიანთი კოლექტიური სულისკვეთებით მომავალი კომუნისტური საზოგადოების შექმნის ბირთვს წარმოადგენდნენ. ამაში იყო რევოლუციური ხალხოსნების სიძლიერეც და სისუსტეც. სიძლიერე იმ მხრივ, რომ სოციალური რევოლუციის გამარჯვების ძალად ხალხის მასები — გლეხობა მიაჩნდათ. სისუსტე კი იმაში მდგომარეობდა, რომ გულუბრყვილოდ სწამდათ გლეხური რევოლუციის გარდაუვალი გამარჯვება.

თავი VI

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა რუსეთში XIX საუკუნის 60-იან წლებში და მასში ამიერკავკასიელთა მონაწილეობა

1. ბატონყმობის დაცემისდროინდელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ამიერკავკასიელთა მონაწილეობა

60-იან წლებში რუს რაზნოჩინელთა რევოლუციურ მოძრაობაში ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ გამოქვეყნდა დოკუმენტთა კრებულები, მოგონებები და სხვა მასალები. ეს მასალები დიდად დაეხმარება იმ მკვლევრებს, რომლებიც ამიერკავკასიელ რევოლუციონერ რაზნოჩინელთა მოღვაწეობის ისტორიას სწავლობენ. ახლად მიკვლეულ საარქივო მასალებთან ერთად ისინი ნათლად აღადგენენ რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების ამიერკავკასიელი ახალგაზრდობის მონაწილეობის მთლიან სურათს.

60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ერთობლივი მონაწილეობით ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმა ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიაში. გარდა ამისა, მათ გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის დაწყება-

გავრცელების საქმეში. ამიერკავკასიელ ახალგაზრდებს მჭიდრო კავშირურთიერთობა ჰქონდათ ბატონყმობის დაცემის ეპოქის რევოლუციონერებთან და მათ იდეებზე აღზრდილ რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ლიდერებთან.

რუსეთში რაზნოჩინელთა რევოლუციური ბრძოლის გაფართოება დაკავშირებულია გერცენისა და ჩერნიშევსკის სახელებთან. ჩერნიშევსკიმ, „რომელმაც გერცენის შემდეგ ნაროდნიკული შეხედულებანი განავითარა“, „ღრმად და საუცხოოდ“ გაიგო „არსებული საზოგადოებრივი კლასების ანტაგონისტობა“ და შეძლო მკაცრი ცენზურის ქვეშ მოქცეულ პრესაშიც კი გამოეთქვა „წმინდა რევოლუციური იდეები“. ჩერნიშევსკის „საშინელ ბოროტებად“ მიაჩნდა ანტაგონისტური კლასებისა და მათი დამცველი მთავრობის არსებობა. მიუხედავად უტოპიური სოციალიზმისა, მან რეფორმისშემდეგდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის „შესანიშნავი ღრმა“ კრიტიკა მოგვცა[1]. ჩერნიშევსკის სწამდა, რომ რუსეთში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმის ვითარებაში აუტანელი იყო მშრომელი ხალხის, კერძოდ, გლეხობის მდგომარეობა, ამიტომ იგი ყველაფერს აკეთებდა გლეხთა აჯანყების მომზადება-დაწყებისათვის. მზად იყო პირადად მიეღო მონაწილეობა აჯანყებაში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ებრძოლა გლეხთა ინტერესების დასაცავად. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამდეგისათვის ჩერნიშევსკი ამბობდა, რომ სულ უფრო იზრდება „ხალხის უკმაყოფილება მთავრობის, გადასახადების, ჩინოვნიკებისა და მემამულეების წინააღმდეგ“ და გამოთქვამდა რწმენას, გლეხთა მღელვარებები შემდგომ უფრო გაძლიერდებაო. მისი აზრით, საკმარისი იყო რევოლუციის „ერთი ნაპერწკალი“, რათა გადაბუგულიყო რუსეთში არსებული უსამართლო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება. „ხოლო თუ აჯანყება დაიწყებოდა“, ჩერნიშევსკის შეუძლებლად მიაჩნდა „თავის შეკავება“ და მასში მონაწილეობის მიუღებლობა[2].

რევოლუციური ხალხოსნობის ფუძემდებლებს სახალხო აჯანყება მხოლოდ ველიკორუსული გუბერნიების გლეხთა

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 293.

2 Н. Г. Чернышевский, Полное собрание соч., том I, стр. 418—419.

გამოსვლების სახით არ ჰქონდათ წარმოდგენილი. როგორც ოგარიოვის ერთი ჩანაწერიდან ჩანს, იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საერთო გლეხურ რევოლუციაში განაპირა რაიონებისა და მათ შორის კავკასიის მშრომელთა ჩაბმასაც. ოგარიოვი აყენებდა რა ცარიზმის წინააღმდეგ პოლონელ მშრომელთა აჯანყების საკითხს, მიუთითებდა, რომ „კავკასიისა და ურალის მხარდაჭერის გარეშე იგი შეიძლება ძმათა ომად გადაიქცეს“[1]. ოგარიოვის აზრით, რაც იმავე დროს გერცენის, ბაკუნინისა და სხვა რუსი რევოლუციონერი ემიგრანტების აზრიც იყო, „კავკასიისა და ურალის“ აჯანყება პოლონელების გამოსვლას „სახალხო აჯანყებად აქცევდა“, რითაც აცილებული იქნებოდა პოლონელ და რუს ხალხებს შორის მოსალოდნელი ომი[2].

გერცენის, ოგარიოვის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ლავროვის, ბაკუნინის იდეები და პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობა გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ ახალგაზრდობაზე. ო. ვ. აპტეკმანი თავის მოგონებაში ხაზგასმით აღნიშნავს ჩერნიშევსკისა და „სოვრემენნიკის“ უდიდეს მნიშვნელობას რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის გარევოლუციონერების საქმეში. იგი წერს: „ჩვენ ვლაპარაკობთ „სოვრემენნიკის“ ლიტერატორთა ხელმძღვანელების ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ხალხოსნურ დოქტრინაზე... ცხოვრების ამ მასწავლებლებისაკენ ახალგაზრდობის დიდი ნაწილის მიზიდულობა განუსაზღვრელი იყო“... „სოვრემენნიკი“ პირდაპირ მოუწოდებდა ხალხში გასვლისაკენ და მიუთითებდა, რომ ხალხისაგან ბევრი სასარგებლო შეიძლებოდა გვესწავლა[3].

ახალგაზრდობა გაბედულად ეხმაურებოდა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და სხვა რევოლუციონერი დემოკრატების მოწოდებას.

---

1 ჟურნ. „ლიტერატურნოე ნასლედსტვო“, 1953, № 61, გვ. 59.

2 იქვე, გვ. 10.

3 О. В. Аптекман, Из истории революционного народничества, Ростов Н/Д., 1906, стр. 21.

60-იანი წლების დამდეგისათვის ძლიერდება პეტერბურგის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტობის რევოლუციური გამოსვლები. ეს გამოსვლები მნიშვნელოვნად ავსებდნენ რეფორმის მიერ მოტყუებული გლეხობის მზარდი მღელვარებით შექმნილ საერთო რევოლუციურ სიტუაციას. ამ დაძაბულ რევოლუციურ ვითარებას ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად ახასიათებს: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხობისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლის ღვრის საშუალებით ა ი ძ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ ი ვ „დებულების“ ქიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ა ს ე თ ი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლებელი იყო...“[1]

60-იანი წლების დამდეგიდან რევოლუციური მოძრაობა რუსეთში მთავრობისა და გაბატონებული კლასებისათვის სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებს.

უმაღლეს სასწავლებლებში იზრდება საიდუმლო რევოლუციური წრეების რიცხვი. ეწყობა ფარული შეკრებები, რომლებზეც კითხულობენ რევოლუციური შინაარსის ლიტერატურას, მსჯელობენ ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ამ საერთო რევოლუციურ მოძრაობაში რუს სტუდენტებთან ერთად თავი გამოიჩინეს დედაქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმაც.

XIX საუკუნის 50—60-იანი წლების მიჯნაზე პეტერბურ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 34—35.

ვის, მოსკოვისა და რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში არაერთი ქართველი, სომეხი და ამიერკავკასიის სხვა ეროვნების ახალგაზრდა სწავლობდა. მათზე დიდ გავლენას ახდენდა რუსი სტუდენტების სულ უფრო მზარდი რევოლუციური აღტყინება. 60-იანი წლების დამდეგისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ და ამიერკავკასიელ სტუდენტობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო სულისკვეთების გაღვივების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტუდენტთა მღელვარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ნიკო ნიკოლაძე. „იმ ხანებში, — გადმოგვცემს იგი, — ქართველი სტუდენტები, ცოტად თუ ბევრად, მოწყვეტილი თუ დაშორებული ვიყავით დანარჩენ სტუდენტობას, მაგრამ 1861 წლის ზაფხულს აღტყინებული სულისკვეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოგვეცა იმ ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, რომელთაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ რუს და განსაკუთრებით პოლონელ სტუდენტობასთან“[1].

60-იანი წლების დამდეგისათვის, პეტერბურგში მოსწავლე სხვა ეროვნების სტუდენტთა მსგავსად, ქართველმა და ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმაც დააარსეს ფარული სათვისტომო საზოგადოება, რომელსაც „ჰქონდა სალარო, ბიბლიოთეკა, ჰყავდა საამხანაგო სასამართლო და სხვ. იგი წესდების ძალით მოქმედებდა და მის საქმეებს კომიტეტი განაგებდა“[2].

ქართველ და ამიერკავკასიელ ახალგაზრდებზე ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეურ-რევოლუციურმა გავლენამ მნიშვნელოვნად განაპირობა შემდგომ წლებში ამიერკავკასიელ რაზნოჩინელთა რევოლუციურ-ხალხოსნური ბრძოლის სიმტკიცე. სავსებით მართალია მკვლევარი ი. სტეკლოვი, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ამ საკითხთან დაკავშირებით წერს: „კავკასიამ რომ ასეთი საპატიო ადგილი დაიკავა შემდგომი წლების რევოლუციურ მოძრაობაში ეს პირველ რიგში ჩერნიშევსკის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იქ სოციალიზმის მარცვალი პირველად მან დათესა“[3].

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1932, გვ. 94.

2 იქვე, გვ. 94.

3 ჟურნ. „ვესტნიკ კომაკადემიი“, 1928, № 3, გვ. 174.

ხელისუფლება ამჩნევდა, რომ რუს და არარუს სტუდენტებში რევოლუციური სულისკვეთება ძლიერდებოდა. ამიტომ იგი ხშირად ერეოდა უმაღლესი სასწავლებლების საქმეებში, ატარებდა მკაცრ ღონისძიებებს. ჯერ კიდევ 1859 წლის 6 მაისს „უმაღლესი ბრძანებით“ სტუდენტობა დაუქვემდებარეს პოლიციის მეთვალყურეობას. 1860 წლის 4 იანვრის „დამატებითი წესით“ კი პოლიციას ევალებოდა „სისტემატურად ეცნობებინა უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისათვის სტუდენტობის საქმიანობის შესახებ“; ხოლო იმისათვის, რომ პოლიციას გაადვილებოდა სტუდენტობისათვის თვალყურის დევნება ამ უკანასკნელთ ეკრძალებოდათ ქუჩაში „ფორმის გარეშე“ გამოსვლა.

სტუდენტობისათვის განსაკუთრებით მძიმე დარტყმას წარმოადგენდა 1861 წლის 31 მაისის ბრძანებულებით შემოღებული წესები. იგი სავსებით უსპობდა ახალგაზრდობას თავისუფალი თვითგანვითარების საშუალებას. სტუდენტებს ევალებოდათ ხელმძღვანელობისადმი უსიტყვო მორჩილება, ეკრძალებოდათ შეკრებების მოწყობა, განცხადებების შეტანა დეპუტატების საშუალებით, სწავლების მეთოდების გაკრიტიკება და ა. შ. ამ წესების მცირედი დარღვევისთვისაც კი სტუდენტი დაუყოვნებლივ გაირიცხებოდა სასწავლებლიდან[1].

ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერეს სტუდენტთა მღელვარება. აკრძალვის მიუხედავად, ახალი ძალით დაიწყო საპროტესტო შეკრებები, რომლებზედაც „იხილავდნენ თავიანთ საერთო საქმეებს“[2]. სტუდენტთა ეს შეკრებები მალე აშკარა მღელვარებაში გადაიზარდა. 1861 წლის შემოდგომა კი აღინიშნა რუსეთისათვის „აქამდე უცხო მოვლენით — ქუჩებში სტუდენტთა დემონსტრაციებით“[3].

სტუდენტი ახალგაზრდობის რევოლუციური სულისკვეთების ამაღლება მნიშვნელოვნად განაპირობა 60-იანი წლე-

---

1 А. И. Георгиевский, Материалы по истории студенческого движения в России, Лондон-СПБ, 1906, стр. 3—4.

2 Берви-Флеровский, Три политические системы, Лондон, 1897, стр. 136.

3 А. И. Георгиевский, Материалы ... стр. 4.

ბის დამდეგის ისეთმა რევოლუციური შინაარსის პროკლამაციებმა, როგორიც იყო „ველიკორუსი“, „ახალგაზრდა თაობას“ და სხვ. განსაკუთრებით დიდი იყო ამ უკანასკნელის გამარევოლუციონერებელი გავლენა. ეს პროკლამაცია არც ამიერკავკასიელი ახალგაზრდებისათვის იყო უცხო. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, რომ უნივერსიტეტში გავრცელებულმა პროკლამაციამ „ახალგაზრდა თაობას“, რომელიც რუსეთის ახალგაზრდობას მოუწოდებდა „ძველი თაობის დასამხობად“, მასზე უაღრესად გამარევოლუციონერებელი „გავლენა მოახდინა“[1].

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა 1861 წლის გამოსვლათა ორგანიზებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. გ. ჩერნიშევსკის პირად მითითებებს. პ. ლავროვთან ერთად იგი აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა მოძრაობაში. ლავროვი წერს, რომ სტუდენტთა გამოსვლები „მიმდინარეობდა ჩერნიშევსკისთან შეთანხმებით, მისი უშუალო მითითებებით“[2].

პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით ხვდებოდა სტუდენტთა დემონსტრაციებს. მაგალითად, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის შენობის წინ სტუდენტებთან ერთად შეკრებილი გარეშე ხალხის საყურადღებოდ პოლიციის უფროსმა დაიძახა „ბატონებო, ვინც ზედმეტი ხართ აქედან წადითო“, ხალხიდან დაიყვირეს: „პოლიციაა ზედმეტიო“.

12 ოქტომბერს ხელისუფლება შეუდგა პოლიციისა და ჯარის ნაწილების დახმარებით სტუდენტთა რბევა-დაპატიმრებას. „სტუდენტთა წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა მათრახი, თოფის კონდახები, ხიშტები“[3].

პეტერბურგის სტუდენტთა ამ მღელვარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და სომეხმა ახალგაზრდებმა. როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, მათ სპეციალური

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1932, გვ. 38.

2 „ლიტერატურნოე ნასლედსტვო“, 1933, № 7—8, გვ. 115.

3 Берви-Флеровский, Три политические системы, Лондон, 1897, стр. 140—141.

კრება მოუწვევიათ, რომელზეც განუხილავთ სტუდენტთა საერთო მღელვარებაში მონაწილეობის საკითხი. კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მისულან იმ მოსაზრებამდე, „რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებენ"[1].

ხელისუფლება მკაცრად გაუსწორდა პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილე ახალგაზრდებს. სხვადასხვა დროს დაპატიმრებულ იქნა 240-მდე სტუდენტი, რომელთა შორის არა ერთი ქართველი და სომეხი ახალგაზრდა იყო. რუს, პოლონელ და სხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმაც განიცადეს ხელისუფლების მხრივ დევნა-შევიწროება. ოფიციალური ცნობებისა და მოგონებების მიხედვით, სხვადასხვა ზომით დაისაჯა 19 ამიერკავკასიელი ახალგაზრდა. ამათგან ქართველი იყო 12, სომეხი 7. ესენი იყვნენ: ვასილ სავანელი, მიხვილ ავეტისოვი, ნიკო ნიკოლაძე, აბელ ჩოლოყაშვილი, დავით ღოღობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, პეტრე ალხაზიშვილი, კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ ჯავახიშვილი, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე შავერდოვი, ბესარიონ ღოღობერიძე, იაკობ ისარლოვი, ვასილ თუმანოვი, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი, იაგორ წერეთელი, ტ. ეჯუბოვი, აბელ და ნიკოლოზ შანშიანცები.

ცხადია, რომ მღელვარებაში მონაწილე ამიერკავკასიელ სტუდენტთა რიცხვი არ შეიძლება განისაზღვროს ხელისუფლების მიერ შედგენილი სიებით. მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

ამიერკავკასიელი ახალგაზრდები აქტიურად მოქმედებდნენ სტუდენტთა მღელვარების პერიოდში. თუნდაც ის რად ღირს, რომ ბ. ღოღობერიძე რევოლუციურ სტუდენტთა კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ნ. ი. უტინთან, ე. ბ. პეჩატკინთან და სხვებთან ერთად. ეს კომიტეტი, რომელიც შეიქმნა ნ. გ. ჩერნიშევსკის უშუალო ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით, მაორგანიზებელ გავლენას ახდენდა სტუ-

---

1 ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1932, გვ. 101.

დენტობაზე არა მარტო პეტერბურგში, არამედ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში და მათ შორის მოსკოვშიც[1].

პეტერბურგის სტუდენტთა აღნიშნული მღელვარების პერიოდში აქტიურობით გამოირჩეოდა აგრეთვე სტუდენტი ვასილ სავანელი. მისი ბინის გაჩხრეკისას ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა რამდენიმე საინტერესო წერილობითი მასალა, რომელიც დამატების სახით თან დაურთეს მღელვარებაში მონაწილე სტუდენტთა საქმეს. ამ მასალებიდან ყურადღებას იპყრობს ანონიმური თხოვნა რექტორის სახელზე, მოწოდება „ბატონ სტუდენტებს“ და „ცხელ-ცხელი ამბები“.

მოხსენებული სამი დოკუმენტის შინაარსიდან ნათლად დასტურდება, რომ მათი ავტორი საკმაოდ გამოწრთობილი რევოლუციონერი ყოფილა. იგი ილაშქრებს სახალხო განათლების მინისტრის — პუტიატინის მიერ უმაღლეს სასწავლებლებში დამყარებული მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ. სავანელი აღნიშნავს, რომ ამ რეჟიმის შედეგად უნივერსიტეტი სამეცნიერო-დაწესებულების მაგივრად ხელისუფლების „ერთგული შპიონების“ მოსამზადებელ სკოლადაა გადაქცეული. ვ. სავანელი პირდაპირ წერს, მეფის რუსეთში ახალგაზრდობის აღზრდის საქმე გაუნათლებელი ადამიანების ხელშია. „იმისათვის, რომ განათლების საქმეს უხელმძღვანელო თვითონ უნდა იყო განათლებული, პუტიატინი კი ღვთისმეტყველი უვიცი და დესპოტია“. ვ. სავანელი მკაცრად გმობს ცარიზმის „მუნდირიანი მოხელეების“ მოქმედებას, რომლებმაც პეტერბურგის ქუჩებში ნამდვილი „ომი აწარმოეს სტუდენტებთან“. მისი სიტყვით, ხელისუფლება შეგნებულად ცდილობს სტუდენტების დაშინებას იარაღით, რათა აიძულონ ისინი გახდნენ „კარგი ჩინოვნიკები“.

ვ. სავანელის „ქაღალდებში“ დაცული მასალებიდან ნათლად ჩანს ის რევოლუციური განწყობილება, რომლითაც აღვსილი იყვნენ ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდები პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების ისტორიულ დღეებში[2].

---

1 П. С. Ткаченко, Московское студенчество. М., 1958, стр. 21.

2 სავანელის „ქაღალდებში“ დაცული მასალები პირველად მოიხსენიეს თავიანთ ნაშრომებში ბ. რატიანმა და ვ. სიფრაშვილმა.

მართალია, პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის გამოსვლებში მონაწილე ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიდან, გარდა ნ. ნიკოლაძისა და დ. ღოღობერიძისა, სხვა არავინ გაპყოლია ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ ხალხოსნურ ხაზს, მაგრამ მღელვარების დღეებში რუსი სტუდენტების მხარდამხარ მათ ბრძოლას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიელი რაზნოჩინელი ახალგაზრდობის დემოკრატიული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. 1861 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობით მათ საფუძველი ჩაუყარეს ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპის დაწყებას.

ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს მოსკოველ სტუდენტთა 1861 წლის მღელვარებებშიც. მოსკოვში როგორც კი მიიღეს ცნობა პეტერბურგში მღელვარების დაწყების შესახებ, იქაურმა სტუდენტებმა მაშინვე თავი მოიყარეს მრავალრიცხოვან შეკრებაზე. აქ გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ „ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა არ მივიღოთ ჩვენი ძმების პეტერბურგელ სტუდენტთა მღელვარებაში, რადგანაც მათი და ჩვენი ინტერესები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული“[1].

საფიქრებელია, რომ მოსკოვის სტუდენტების მოქმედებას, ისევე როგორც პეტერბურგელებისას, ერთი და იგივე პიროვნება ხელმძღვანელობდა. ასეთი საერთო ხელმძღვანელი სწორედ ნ. გ. ჩერნიშევსკი უნდა ყოფილიყო. ცნობილი ფაქტია, რომ 1861 წელს ნ. გ. ჩერნიშევსკი ორჯერ იყო მოსკოვში. უეჭველია, იგი აქ „ხვდებოდა მოსკოვის რევოლუციურ სტუდენტებს“[2]. სწორედ საერთო ხელმძღვანელობის გავლენას უნდა მიეწეროს ის, რომ 12 ოქტომბერს, როდესაც პეტერბურგში გაიმართა სტუდენტთა დემონსტრაცია, იგივე განმეორდა მოსკოვშიც. აქ ტვერის მოედანზე შეკრებილ სტუდენტებს თავს დაესხა პოლიცია-ჟანდარმერია. დაიწყო

---

1 ЦГИА, ф. 109, 1 экспед., 1861, ед. хр. 372, ч. 1, л. 5.

2 П. С. Ткаченко, Московское студенчество, М., 1958, стр. 21.

ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც მოკლეს 3 სტუდენტი და მრავალი დაჭრეს[1].

მეტად საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ მოსკოვში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის დროს სტუდენტების დასახმარებლად გამოსულან ქალაქის მუშა-ხელოსნები. ამის შესახებ ჟანდარმერიის მიერ შედგენილ მასალებში ნათქვამია: „აქ აღწერილი უწესრიგობის (ლაპარაკია სტუდენტთა დემონსტრაციაზე — ზ. ზ.) შეწყვეტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ტვერის მოედანზე გამოცხადდა ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან მოსული მუშა-ხელოსნების დიდი ბრბო, რათა დაეხსნათ სტუდენტობა, მაგრამ, რადგანაც ყველაფერი დამთავრებული იყო და ვეღარავინ ნახეს, მალე დაიშალნენ“[2].

მასალებიდან ირკვევა, რომ მოსკოვის სტუდენტთა აღნიშნულ მღელვარებაში მონაწილეობა მიუღიათ ამიერკავკასიელ, კერძოდ, სომეხ ახალგაზრდებს — სერგო თუმანიანს და ნიკოლოზ მინასარიანს. უნდა ვიფიქროთ, რომ სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილე ამიერკავკასიელთა რიცხვი მეტი იქნებოდა, მაგრამ მათი გვარები არ მოხვედრილა ჟანდარმერიის მიერ შედგენილ საქმეებში. ყოველ შემთხვევაში მონაკვლევ მასალებში სხვა გვარები არ გვხვდება. თუმანიანიცა და მინასარიანიც მოჰყვნენ სხვადასხვა დროს დაპატიმრებულ 300-მდე მოსკოველ სტუდენტს შორის. მათი საქმე დასრულდა 1862 წლის 6 თებერვალს გამოცემული „უმაღლესი ბრძანებით“. სხვა 60 სტუდენტთან ერთად ს. თუმანიანს გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილება, „რომ შემდგომი პოლიტიკური წესრიგის მცირედი დარღვევისთვისაც კი გადასახლებული იქნებოდა შორეულ ქალაქებში“. ასეთივე ღონისძიება იქნა გატარებული ნიკოლოზ მინასარიანის მიმართაც[3].

მართალია, ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულ სტუდენტებს შორის ქართველი ახალგაზრდების გვარები არ ჩანს, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოსკოვის სტუდენტთა გამოსვლებში, კერძოდ, ტვერის მოედანზე პოლიცი-

---

1 ЦГИАМ, ф. 109, 1 экспед., 1861, ед. хр. 372, ч. I, л. 54—55.

1 იქვე, л. 55.

3 იქვე, ფურც. 58.

ასთან მომხდარ შეტაკებაში, ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა. ამაზე ცნობა გვხვდება რევოლუციონერი ხალხოსნის ი. ხუდიაკოვის მოგონებაში. იგი თავისი მოგონების ერთ ადგილას, ეხება რა ტვერის მოედანზე მომხდარი შეტაკების ამბებს, აღწერს სტუდენტთა შეიარაღებას და აღნიშნავს, რომ მოედანზე სტუდენტების მთელი შეიარაღება შედგებოდა 54 ჯოხისა და 3 ხანჯლისაგან, რომელთაგან „ორი ქართველებისა იყო"[1]. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ხანჯლებით თვით პატრონები — ქართველები იბრძოდნენ ტვერის მოედანზე.

ამრიგად, 1861 წელს რუსეთის დედაქალაქებში მომხდარი სტუდენტთა მღელვარებები პირველ რევოლუციურ სკოლას წარმოადგენდა ამიერკავკასიელი ახალგაზრდებისათვის. აქედან მოყოლებული თითქმის არ წყდება რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მათი მონაწილეობა. რუსი ახალგაზრდების რევოლუციური ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად ამიერკავკასიელთა საქმიანობაც უფრო აქტიურ სახეს იღებს.

სტუდენტთა მღელვარებების ჩაქრობისა და მათი მონაწილე ახალგაზრდობის მკაცრად დასჯის შემდეგ ხელისუფლება შეუდგა რევოლუციური ცენტრის განადგურებას. „კოლოკოლის" გარშემო შემოკრებილი რუსი ემიგრანტები მეფის ოხრანკისათვის მიუწვდომელი იყვნენ. ჟანდარმერიამ მთელი თავისი ძალები წარმართა ნ. გ. ჩერნიშევსკისა და „სოვრემენნიკის" სხვა თანამშრომელთა წინააღმდეგ. რევოლუციური მოძრაობის ბელადის ფიზიკური მოსპობისათვის ცარიზმის ქოფაკები მხოლოდ საბაბს ეძებდნენ. გრაფი მურავიოვის (ჩამომხრჩობის) თავმჯდომარეობით შეიქმნა უმაღლესი საგამომძიებლო კომისია, რომელმაც ყალბი საბრალდებო „მასალები" შეთხზა ჩერნიშევსკზე. საგამომძიებლო კომისიის სახელზე „უცნობი პირის" მიერ შეტანილ იქნა განცხადება, რომელშიც ნ. გ. ჩერნიშევსკი დახასიათებული იყო როგორც სახელმწიფოსათვის უაღრესად საშიში პიროვნება. ამით დაიწყო ე. წ. „ჩერნიშევსკის საქმე". ამასობაში, 1862 წლის 27 ივნისს, დააკავეს საზღვარგარეთიდან მომავალი პავლე ვეტოშნიკოვი, რომელსაც ბაკუნინის, გერცენისა და

---

[1] ჟურნ. „ისტორიჩესკი ვესტნიკ", 1906, № 10, გვ. 58.

ოგარიოვის წერილები აღმოაჩნდა. ნ. ა. სერნო-სოლოვიოვიჩისადმი გამოგზავნილ წერილში ერთ ადგილას მოხსენებული იყო ჩერნიშევსკის გვარი, რაც საკმარისი აღმოჩნდა მისი დაპატიმრებისათვის[1].

1862 წლის 7 ივლისს დააპატიმრეს ნ. გ. ჩერნიშევსკი და ნ. სერნო-სოლოვიოვიჩი, ხოლო 14 ივლისს მ. ნალბანდიანი. დახურეს „სოვრემენნიკი“ და „რუსსკოე სლოვო“. დაიწყო რევოლუციურ ძალებზე რეაქციის შეტევა. ცარიზმი იმედოვნებდა, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის ცოცხლად დამარხვით ბოლოს მოუღებდა რევოლუციას.

ნ. გ. ჩერნიშევსკის სამოქალაქო სიკვდილით დასჯით ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ ეშაფოტიდან ჩამომავალ „სახელმწიფო დამნაშავეს“ სტუდენტმა ქალმა მიხაელისმა თაიგული ესროლა.

მ. ი. მიხაილოვის, ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულ სხვა რევოლუციონერთა ადგილი ახალმა ძალებმა დაიკავეს.

ამ პერიოდში რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე გამოსულ რუს ინტელიგენციას არც ამიერკავკასიელი ახალგაზრდები ჩამორჩნენ. ისინი მეტ-ნაკლები აქტიურობით მონაწილეობდნენ 1862—1866 წლებში შექმნილი რევოლუციური ორგანიზაციებისა და ცალკეული წრეების საქმიანობაში.

უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის მასალებში ჯერ კიდევ 1862 წლის შემოდგომიდან ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად საშიშ პირად მოიხსენიება სტუდენტი ღოღობერიძე, მიხეილ ცეიდლერთან, ნიკოლოზ ეგოროვთან, ალექსანდრე მიასოედოვთან და სხვებთან ერთად. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ღოღობერიძემ არაერთხელ გამოიჩინა თავი „ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებით“[2]. ღოღობერიძის გვარი შემდეგშიც არაერთხელ გვხვდება საგამომძიებლო კომისიის

---

[1] М. К. Лемке, Политические процессы М. Н. Михайлова, Д. И. Писарева и Н. Г. Чернышевского, СПБ, 1907, стр. 202—205.

[2] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 60, л. 1—2.

მასალებში, რომლებიც 1863—1864 წლებითაა დათარიღებული. იბადება კითხვა, რომელი ღოღობერიძე ჰყავდა მხედველობაში ხელისუფლებას? პ. რატიანის აზრით, 60-იანი წლების პირველ ნახევარში პეტერბურგში სხვადასხვა დროს მყოფი ოთხი ღოღობერიძიდან (ბესარიონი, ნიკოლოზი, დავითი, სიმონი) დოკუმენტში მოხსენიებული ღოღობერიძე ბესარიონ ლევანის ძე ღოღობერიძეა. შესაძლებელია ეს მოსაზრება სწორი იყოს. თუმცა, ჩვენი აზრით, არც ისაა გამორიცხული, რომ 1863 წლის შემოდგომის შემდეგ (ბ. ღოღობერიძის პეტერბურგიდან წასვლიდან) საგამომძიებლო კომისიის ან ჟანდარმების მიერ შედგენილ საბუთში მოხსენიებული ღოღობერიძე დავითი იყოს. ასეთი მოსაზრება უფრო დასაშვებია, რადგან ჩვენ მიერ მიკვლეულ ერთ-ერთ საბუთში, რომელიც 1864 წელსაა შედგენილი, ღოღობერიძის გვარი კვლავ სახელის გარეშეა მოხსენებული, მაგრამ მის შესახებ აქაც, ისევ როგორც ადრე შედგენილ საბუთებში, ნათქვამია „ჩერნიშევსკის, უტინის და სხვების“ ერთ-ერთი ახლო მეგობარი არისო.[1] 1864 წლისათვის კი ბესარიონ ღოღობერიძე უკვე წასული იყო პეტერბურგიდან. მაშასადამე, აღნიშნული სიტყვები დავით ღოღობერიძეს ეხება.

შესაძლებელია ისიც, რომ ზოგ საბუთში მოხსენიებული ღოღობერიძე ბესარიონი იყოს, ზოგშიც — დავითი. ასე მაგალითად, იქ, სადაც „ლიტერატურული ფონდის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ღოღობერიძეზეა საუბარი, უეჭველია, ჟანდარმებს მხედველობაში ბესარიონი ჰყავთ, ხოლო სხვა შემთხვევაში დავითი.

1863 წლისათვის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის არსებობდა ფარული რევოლუციური წრეები, რომლებიც მასალებში ურთიერთდახმარების სალაროდაა ნახსენები. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ სალაროს წევრად მიღების პირობებზე (საჭირო იყო 5 წევრის რეკომენდაცია), ნათელი გახდება, რომ აქ საქმე გვაქვს ფარულ რევოლუციურ საზოგადოებასთან. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ასეთი სალარო „რუსი სტუდენტებისათვის შექმნილი ჰქონდა უნივერსიტეტის თავისუ-

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 443, л. 4.

ფალ მსმენელს ოტოს, ხოლო კავკასიელებისათვის ღოღობერიძეს"[1]. სალაროს გარდა. კავკასიელებს ჰქონიათ ბიბლიოთეკაც. საზოგადოების წევრთა შეკრება ზოგჯერ ღოღობერიძის ბინაზეც ეწყობოდა. ამ წრეში გაერთიანებული რუსი და კავკასიელი სტუდენტების საქმიანობა საგამომძიებლო კომისიას საშიშად მიუჩნევია. მას შეეძლო სტუდენტთა ახალი გამოსვლების გამოწვევა. ამიტომ „სტუდენტთა მღელვარებების თავიდან აცილებისათვის" პროფილაქტიკური ზომების მისაღებად ხელისუფლებას გადაუწყვეტია ამ სტუდენტების შესახებ ეცნობებინა „სახალხო განათლების მინისტრისა და პეტერბურგის სამხედრო გუბერნატორისათვის"[2].

როგორც აღვნიშნეთ ბ. ღოღობერიძე იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ლიტერატურული ფონდისა (მეორე განყოფილება), რომელიც 1862 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ ჩერნიშევსკის დაპატიმრებამდე შეიქმნა უნივერსიტეტიდან გარიცხულ სტუდენტთათვის მატერიალური დახმარების მიზნით. მასში შევიდნენ: თავმჯდომარე — სენატორი ე. კოვალევსკი, წევრები: ნ. უტინი, ლ. პანტელევი, ე. პეჩატკინი, ბ. ღოღობერიძე, ნ. კორსინი, ჟუკი, მორავსკი, ბოგდანოვი, გულევიჩი, ა. სერნო-სოლოვიოვიჩი და იზბედსკი; კანდიდატები: ნ. ჩერნიშევსკი, ს. ლამანსკი, ფონ-დერფლიტი, ხოროშევსკი, გერდი და ოსტროვსკი[3].

რამდენადაც ბ. ღოღობერიძე ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ნ. უტინთან, ლ. პანტელევთან, პ. სპასკთან და საერთოდ ე. წ. „უტინის პარტიასთან", ხოლო ეს უკანასკნელი 1862 წლის მარტიდან რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის „ზემლია ი ვოლიას" შემადგენლობაში შევიდა[4], ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ ბ. ღოღობერიძე რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის „ზემლია ი ვოლიას" წევრიც იქნებოდა. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს აგრეთვე დავით

---

1 ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 121, л. 10.

2 იქვე, ფურც. 6, 110.

3 П. С. Ткаченко, Московское студенчество, М., 1958, стр. 259.

4 ბ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 157—160.

ღოღობერიძისა და გრიგოლ ჯავახიშვილის საქმიანობაც. მაგრამ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება რაიმე მასალა, რომ ისინი „ზემლია ი. ვოლიას“ წევრებად მივიჩნიოთ.

ახლა შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ამ პერიოდში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მსოფლმხედველობა. დადასტურებულია და სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ ბ. ღოღობერიძე, დ. ღოღობერიძე და სხვ. ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, ჩერნიშევსკის იდეებზე აღმოცენებულ რევოლუციურ-ხალხოსნურ საზოგადოებებში მონაწილეობდნენ და ა. შ. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ახალგაზრდებისთვისაც დამახასიათებელი იქნებოდა რევოლუციურ-ხალხოსნური მიდგომა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემებისადმი. სხვათა შორის, ამ აზრს ადასტურებს ერთ-ერთი პეტერბურგელი აგენტის საყურადღებო მოხსენებაც. მასში ლაპარაკია ვინმე პლოტოვის სახლში „ნიჰილისტებისაგან შემდგარი კომუნის არსებობაზე“. აგენტის სიტყვით, „კომუნის“ კრებებზე თავს იყრიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც სომხებს ჰგვანან (იგულისხმება კავკასიელები — ზ. შ.). მათი ხელმძღვანელია „ჩერნიშევსკის და უტინის“ მეგობარი ღოღობერიძე. ამასთან, შეცდომით ღოღობერიძეს სომეხად აცხადებს[1].

„კომუნაში“ შემავალი კავკასიელი ახალგაზრდები აქ „ნიჰილისტებად“ არიან მოხსენებულნი, ხოლო, როგორც ცნობილია, „ნიჰილისტებს“ ხელისუფლება უწოდებდა ყველა იმ ახალგაზრდას, რომლებიც ჩერნიშევსკის მიმდევრები იყვნენ და რევოლუციურ-ხალხოსნურ პოზიციებზე იდგნენ.

60-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე გამოჩენილი რევოლუციონერი ხალხოსნები, მათ შორის დ. ღოღობერიძეც, მოწყვეტილი არ ყოფილან თავიანთ სამშობლოს. დ. ღოღობერიძე სისტემატურად იმყოფებოდა ამიერკავკასიაში არსებული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენების კურსში. მას მიმოწერა ჰქონდა ახლობლებსა და მეგობრებთან, რომლებიც

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, 1 экспед., 1869, ед. хр. 243, л. 4.

თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ. ამ წერილებში ლაპარაკია დედაქალაქში შექმნილი რევოლუციური ვითარების შესახებ და სხვ.

დ. ღოღობერიძის ეს წერილები დაცულია მესამე განყოფილების ფონდში. მათი შინაარსის დაწვრილებით გადმოცემას ჩვენ აღარ შევუდგებით, რადგან ეს უკვე გაკეთებული აქვთ პ. რატიანსა და ვ. სიფრაშვილს 1962 წელს გამოცემულ თავიანთ ნაშრომებში.

●

60-იანი წლების I ნახევარში რუსი ახალგაზრდების მიერ შექმნილ რევოლუციურ წრეებში ამიერკავკასიელთა მონაწილეობის საყურადღებო ფაქტს წარმოადგენს მათი დამოკიდებულება იშუტინ-კარაკოზოვის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრესთან.

იშუტინ-კარაკოზოვის წრე 1863—1866 წლებში არსებობდა. მას საფუძველი ჩაუყარა მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალმა მსმენელმა ნ. იშუტინმა. მართალია, ეს წრე ისტორიაში ერთიანი სახელწოდებით — „იშუტინელთა“ სახელითაა ცნობილი, მაგრამ თავისი შინაარსით იგი არ იყო ერთფეროვანი. ყველაზე რადიკალური იყვნენ ე. წ. „იპატოველები“ — იშუტინი, კარაკოზოვი, იურასოვი, ერმოლოვი, ზაგიბალოვი, სტრანდენი. უნდა ვიფიქროთ, რომ რევოლუციონერთა ამ დასს ეკუთვნოდა ვარლამ ჩერქეზიშვილიც, რადგანაც იგი იშუტინის ახლო მეგობარი იყო. უფრო ზომიერები იყვნენ „მალინელები“ და „სარატოველები“ (წარმოშობით სარატოვიდან): მალინინი, მოტკოვი, კოჩინი, ივანოვი, სობოლევი, ბორისოვი, ვოსკრესენსკი, პოლუმორდვინოვი და სხვ.[1].

იშუტინელთა წრე თანდათან გაფართოვდა. იგი გაერთიანდა ი. ხუდიაკოვის წრესთან, რომელიც პეტერბურგში არსებობდა.

იშუტინელები აგრძელებდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკის რევო

---

1 Б. Глинский, Революционный период русской истории, часть 2, СПБ, 1913, стр. 327.

ლუციურ ხაზს. ისინი ჩერნიშევსკის მიმდევარი რევოლუციონერი ხალხოსნები იყვნენ. სხვათა შორის, ამაზე მითითებულია იშუტინელთა აქტიური წევრის პ. ნიკოლაევის წერილში, რომელიც ჩეშიხინ-ვეტრინსკის აქვს მოტანილი ჩერნიშევსკისა და იშუტინელების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევასთან დაკავშირებით. მასში ვკითხულობთ: იშუტინელები არასიმპათიურად უყურებდნენ ყველა იმ რევოლუციონერს, რომლებმაც გადაუხვიეს ჩერნიშევსკის იდეებიდან[1]. მეორე იშუტინელი ვ. ჩერქეზიშვილიც მიუთითებს რომ იშუტინ-კარაკოზოველების „სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისი სავსებით ემთხვეოდა „ახალგაზრდა რუსეთი“ პროკლამაციაში წამოყენებულ დებულებებს“, რომ კარაკოზოველებს ჩერნიშევსკის დაპატიმრების შემდეგ კავშირი ჰქონდათ განახლებული „სოვრემენნიკის“ რედაქციის ტერორისტულ-ფრაქციასთან — გ. ელისეევთან და ვ. სლეპცოვთან[2].

საგამომძიებლო კომისიისადმი მიცემულ ჩვენებაში ვ. ჩერქეზიშვილმა პირდაპირ აღნიშნა, რომ „პირველი ცნება სოციალიზმზე“ მიიღო „ჩერნიშევსკის რომანის „რა ვაკეთოთ“ წაკითხვის შედეგად“.

იშუტინელთა საბრალდებო დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანმა „რა ვაკეთოთ“ „დამღუპველი გავლენა მოახდინა პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, წარმოშვა რა მათში საზოგადოების საწინააღმდეგო უგუნური იდეები“[3].

იშუტინელთა პროგრამაში პირველ პუნქტებად მართლაც იყო შეტანილი პირადად ნ. გ. ჩერნიშევსკისა და 60-იანი წლების დამდეგის პროკლამაციებში წამოყენებული შემდეგი პრინციპები:

ა) პროპაგანდის გაჩაღება სოფლის მოსახლეობაში იმის შესახებ, რომ მიწა წარმოადგენს მთელი ხალხის საკუთრებას.

ბ) გლეხობაში მღელვარების გამოწვევა მიწათმფლობელე-

---

1 Ем. Ярославский, Чернышевский Н. Г., М., 1928, стр. 176.

3 ჟურნ. „სიბირსკიე ზაპისკი“, 1917, № 3, გვ. 126.

3 Государственные преступления в России в XIX веке, т. I, М., 1953, стр. 265.

ბის, თავად-აზნაურობის და „საერთოდ ხელისუფლების წინააღმდეგ“ და ა. შ.[1].

1866 წლის 4 აპრილს ალექსანდრე მეორეს რევოლვერი ესროლა აქტიურმა იშუტინელმა დიმიტრი კარაკოზოვმა, რომელიც, ი. ხუდიაკოვის დახასიათებით, „ერთ-ერთი იმ იშვიათი ადამიანთაგანი იყო, რომლის სიტყვასაც წინ საქმე უსწრებდა“[2]. კარაკოზოვი ჩამოახრჩეს, ხოლო იშუტინელები თითქმის ყველანი დააპატიმრეს.

იშუტინ-კარაკოზოვის რევოლუციურ წრეში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი ხალხოსანი, შემდეგში ანარქისტი ვარლამ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი.

ვ. ჩერქეზიშვილი, როდესაც რუსეთში ჩავიდა და იქაურ რევოლუციურ ცხოვრებას გაეცნო, უყოყმანოდ ჩადგა 60-იანი წლების რევოლუციონერ-ხალხოსნების რიგებში. იგი 1864 წელს დაუახლოვდა იშუტინ-კარაკოზოვის წრის წევრებს — ა. ვოზნესენსკისა და დ. ივანოვს, მათი საშუალებით კი ნ. იშუტინს დაუკავშირდა და მისი უახლოესი თანამშრომელი გახდა. ვ. ჩერქეზიშვილი მიწვეულ იქნა მასწავლებლად იშუტინელთა მიერ მუსატოვსკის სახელზე დაარსებულ სკოლაში. ამ სკოლის მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდობიდან რევოლუციონერთა აღზრდა. ამიტომ მასწავლებლებად თვით იშუტინელები იყვნენ. ვ. ჩერქეზიშვილს დიდი ნდობა დაუმსახურებია ორგანიზაციის წევრებისა და პირადად ნ. იშუტინის მხრივ. იშუტინმა მას ორგანიზაციის პროგრამა წააკითხა, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი ორგანიზაციის წევრიც უნდა გამხდარიყო. თვით ვ. ჩერქეზიშვილის ჩანაწერებიდან, რომელიც კოლოსოვს პირადად ავტორისაგან მიუღია, აშკარად ჩანს, რომ ვ. ჩერქეზიშვილი იშუტინელთა პროპაგანდისტული საქმიანობის აქტიური თანამონაწილე იყო[3].

საგამომძიებლო კომისიის დასკვნისა და სასამართლო ძიების შედეგად 20 წლის ვარლამ ჩერქეზიშვილი ცნობილ იქნა

---

1 В. Бурцев, За сто лет, Лондон, 1897, стр. 86.

2 ჟურნ. „ისტორიჩესკი ვესტნიკ“, 1906, № 11, გვ. 416.

3 „სიბირსკიე ზაპისკი“, 1917, № 3, გვ. 126—127.

დამნაშავედ იმაში, რომ იცოდა და ხელისუფლებას არ აცნობა მუსატოვსკის სკოლაში „მავნე იდეების“ საჯარო პროპაგანდის შესახებ, პროპაგანდისა, რომელიც მოუწოდებდა ახალგაზრდებს უზენაესი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ. მან იცოდა არსებობა ფარული საზოგადოებისა, რომელიც „მიზნად ისახავდა კანონიერი ხელისუფლებისა და წესწყობილების დამხობას“[1].

ალექსანდრე მეორეზე თავდასხმის გამო შექმნილმა სპეციალურმა უმაღლესმა სასამართლომ სხვებთან ერთად ვ. ჩერქეზიშვილის საქმეც გაარჩია და მას 8 თვით პატიმრობა მიუსაჯა. 1867 წლის 7 იანვარს ვ. ჩერქეზიშვილს მიუყენეს 1866 წლის 28 ოქტომბრის მანიფესტი და იგი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს პეტერბურგის ციხიდან.[2]

კარაკოზოვის საქმესთან დაკავშირებით გაჩხრიკეს აგრეთვე პეტერბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებულ ხარლამპი სავანელის ბინა. ჟანდარმერია ფიქრობდა, რომ იგი იშუტინ-კარაკოზოვის წრის პეტერბურგის განყოფილების წევრი იყო. სავანელის ბინაზე ეგულებოდათ საიდუმლო საზოგადოების ბეჭედი და წევრთა სია. ჩხრეკისას ჟანდარმერიამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა, ამიტომ ხ. სავანელი დაპატიმრებასა და დასჯას გადაურჩა.[3]

1866 წლის 26 აპრილს მოსკოვში დააპატიმრეს პეტროვსკის აკადემიის სტუდენტი სომხურ-გრიგორიანული სარწმუნეობის ახალგაზრდა გრიგოლ იოსების ძე ჩერქეზოვი (ჩერქეზიანი).

გრ. ჩერქეზიანზე შედგენილი მასალებიდან ჩანს, რომ იგი შემთხვევით დაუპატიმრებიათ. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ პეტროვსკის აკადემიის სტუდენტთა საერთო რევოლუციურ განწყობილებასა და რუს რევოლუციონერებთან ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მჭიდრო კავშირურთიერთობის ფაქტებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არც იგი იქ-

---

1 Государственные преступления в России, т. I, стр. 263.

2 ЦГИАМ, ф. 109, 1 экспед., 1869, ед. хр. 100, часть 112, л. 9.

3 ვ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 191—192.

ნებოდა დარჩენილი იმ პერიოდში რუსეთში გაშლილ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გარეშე.

გრ. ჩერქეზიანმა მხოლოდ 2 დღე გაატარა ციხეში. 28 აპრილს ის განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან[1].

ჩვენს მიერ ახლად გამოვლინებული მასალებიდან ირკვევა, რომ იმავე 1866 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში ჟანდარმერია გაფაციცებით ეძებდა სამედიცინო ქირურგიული აკადემიის სტუდენტს ივანე ივანეს ძე ყანდაუროვს. დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის განკარგულებით იგი გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა. ხელისუფლება შეუდგა მისი საქმის მკაცრად გამოძიებას. საქმიდან ჩანს, რომ ი. ყანდაუროვს მთელი მაისი და ივნისი პატიმრობაში გაუტარებია[2]. ჟანდარმერია დაეჭვდა აგრეთვე სტუდენტ ყანდაუროვის მამის, „ნადვორნი-სოვეტნიკის" ივანე ყანდაუროვის კეთილსაიმედოობაშიც. იგი ქ. ეკატერინოსლავის სააქციო სამმართველოში მუშაობდა. 27 აპრილს იქ გაიგზავნა დეპეშა ი. ყანდაუროვის გაჩხრეკა-დაპატიმრების თაობაზე. როგორც ჩანს, ეკატერინოსლავის ჟანდარმერიამ ან ვერ მიაგნო ი. ყანდაუროვის ბინას, ანდა სხვა მიზეზების გამო დააგვიანა მისი დროულად დაპატიმრება. ამიტომ პეტერბურგიდან იქ განმეორებით გაიგზავნა დაშიფრული დეპეშა. ამჯერად ი. ყანდაუროვი დაუყოვნებლივ იქნა გაჩხრეკილი და დაპატიმრებული, მაგრამ ბრალდებისათვის დიდად მნიშვნელოვანი არაფერი აღმოაჩნდა. საეჭვო შინაარსის ქაღალდები მაინც იპოვეს, რომლებიც დაუყოვნებლივ გადააგზავნეს პეტერბურგში[3].

კარაკოზოვის გასროლის შემდეგ ჟანდარმერიას გაუჩხრეკია სამედიცინო ქირურგიული აკადემიის სტუდენტი გრიგოლ მეღვინეები. საქმეში რომელიღაც „კოლეჟსკი ასესორის" მოხსენებითი ბარათია, სადაც ნათქვამია, რომ მას წაუკითხეს მეღვინეების ბინიდან წაღებული წერილები და „მათში მთავრობის საწინააღმდეგო არაფერია და მხოლოდ საოჯახო საქმეებზეა" ლაპარაკიო[4].

---

1 ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 259, Л. 1—3.

2 იქვე, хр. 341, л. 1.

3 იქვე, хр. 363, л. 1—2.

4 იქვე, хр. 212, л. 1.

იმავე 1866 წლის გაზაფხულზე იშუტინელთა საქმესთან დაკავშირებით უმაღლეს საგამომძიებლო კომისიაში დაიწყო აზერბაიჯანელი ინჟინრის პეტრე მუსტაფაევისა და თბილისელი ნიკოლოზ კალინინის საქმეთა გამოძიება. მუსტაფაევს „არაკეთილსაიმედოობაში“ ედებოდა ბრალი. იგი თითქმის სამი თვე იმყოფებოდა პატიმრობაში. მაგრამ საკმაო რაოდენობით საბრალდებო მასალების შეუგროვებლობის გამო საგამომძიებლო კომისია იძულებული გახდა იმავე წლის მაისის ბოლოს პ. მუსტაფაევი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა[1]. კალინინის შემდგომი ბედის შესახებ კი მასალებში ცნობები არ მოიპოვება.

იშუტინ-კარაკოზოვის საქმეზე დაპატიმრებულ ახალგაზრდებიდან ფრიად საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა იაკობ ისარლოვი, რომელიც ჯერ კიდევ 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისათვის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. კარაკოზოვის გასროლის შემდეგ ჟანდარმერია შეუდგა ი. ისარლოვის ძებნას. როგორც ჩანს, პეტერბურგ-მოსკოვში დაწყებული დაპატიმრების დროს ი. ისარლოვს დედაქალაქებში გაჩერება სახიფათოდ მიუჩნევია და ადრევე გასცლია იქაურ დაძაბულ ატმოსფეროს. იგი კიევში წასულა. 1866 წლის სექტემბერში მაინც მიაგნეს მის კვალს. 16 სექტემბერს იგი დააკავეს ვილნოს სამხედრო ოლქის დინობურგის ვაგზალზე და დაუყოვნებლივ გადაგზავნეს უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის განკარგულებაში. ი. ისარლოვს დაპატიმრებისას აღმოაჩნდა 1861 წლის სტუდენტთა მღელვარების მონაწილეთა ერთი ჯგუფის სურათი, რომელიც კრონშტადტის ციხეში იყო გადაღებული, აგრეთვე გერცენისა და ოგარიოვის სურათები[2].

საარქივო მასალების მიხედვით, ი. ისარლოვი იშუტინელთა რევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დედაქალაქებში დაწყებული დაპატიმრებების დროს იგი სხვისი საბუთით არალეგალურად გასულა დედაქალაქიდან და პერი-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, ед. хр. 187, л. 6.

[2] იქვე, хр. 259, л. 2—4.

ფერიისათვის შეუფარებია თავი. ამასთან, მუდამ თან ატარებდა გერცენისა და ოგარიოვის სურათებს[1].

იშუტინელები კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გერცენის, ჩერნიშევსკის, ოგარიოვის და სხვ. რევოლუციურ-ხალხოსნურ ხაზს აგრძელებდნენ.

ხელისუფლების მიერ კანონგარეშედ გამოცხადებული გერცენისა და ოგარიოვის სურათების ტარების სურვილი მხოლოდ მათ უერთგულეს თანამებრძოლს შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგან ეს ისევე სარისკო საქმე იყო, როგორც ფანატიკოს მუსლიმანთა შორის ქრისტეს ხატის ტარება.

საგამომძიებლო კომისიამ ვერ დაადასტურა ი. ისარლოვის პირდაპირი კავშირი იშუტინ-კარაკოზოვის ორგანიზაციასთან. კომისიისათვის მიცემულ ჩვენებებში ისარლოვი უაღრესად ზომიერ პასუხებს იძლეოდა. როგორც ჩანს, მას წინასწარ ჰქონდა მდგომარეობა აწონილ-დაწონილი და სათანადო პასუხებიც მომზადებული. იგი გადაჭრით უარყოფდა იშუტინელებთან ყოველგვარი კავშირის ფაქტს. სხვებს კი მისი გვარი არ დაუსახელებიათ. როგორც ცნობილია, იშუტინელები თავიანთ ამხანაგთაგან არავის არ ასახელებდნენ, თუკი ხელისუფლება სხვა წყაროებით ვერ შეიტყობდა მათ ვინაობას[2].

ისარლოვმა საპყრობილეში გაატარა 16 სექტემბრიდან ნოემბრის დამდეგამდე. 1866 წლის 4 ნოემბერს საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა: „იაკობ პეტრეს ძე ისარლოვი, 27 წლის, ქუთაისის გუბერნიის აზნაური, დაბადებული ქალაქ თბილისში, სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების, უცოლო“, გათავისუფლდეს სასამართლო პასუხისმგებლობიდან მასალების სიმცირის გამო, ამასთან, მიეცეს „სასტიკი გაფრთხილება, რომ მომავალში აღარ იმოგზაუროს სხვისი საბუთით“.

ი. ისარლოვის განთავისუფლება სასამართლო პასუხისმგებლობიდან არ ლაპარაკობს იმაზე, რომ იგი იშუტინელი

---

1 ЦГИАМ ,ф. 95, оп. I, ед. хр. 296, л. 396.

2 ჟურნ. „ისტორიჩესკი ვესტნიკ“, 1906, № 10, გვ. 35—36; № 11, გვ. 397—423.

არ იყო. ცნობილია, რომ ხელისუფლება ყოველთვის ვერ ახერხებდა იშუტინელთა საქმიანობაში ჩაწვდომას, რის შედეგადაც ბევრი მათგანი გადაურჩა ცარიზმის დევნას. ასე მაგალითად, გამოჩენილი რევოლუციონერი ს. გ. ნეჩაევიც ეკუთვნოდა იშუტინ-კარაკოზოვის წრეს, მაგრამ პასუხისგებას გადაურჩა, მას არ შეხებია 1866 წლის პროცესი.

იმავე 1866 წლის გაზაფხულზე უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ დაიწყო ამიერკავკასიელი სტუდენტების — სიმონ წერეთლის, იოსებ ანანოვის, ივანე ანდრონიკაშვილის, თბილისელი ანდრია და ალექსანდრე კუზმინების და სხვ. საქმის კვლევა-ძიება. გამოძიებამ დაადასტურა, რომ მათ ჰქონდათ საიდუმლო სალარო, ბიბლიოთეკა, მიმოწერისათვის იყენებდნენ საიდუმლო ანბანს და ა. შ.[1].

როგორც მასალებიდან ჩანს, ამიერკავკასიელთა ამ წრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თავიდანვე ყოფილა სტუდენტი ი. ანანიანი. იგი იყო წრის არალეგარული ბიბლიოთეკის გამგე. მისი გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1866 წ. 1 აპრილს) ეს საქმე გაუგრძელებია სტუდენტ სიმონ წერეთელს.

ამიერკავკასიელ სტუდენტთა ეს საიდუმლო წრე განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობაში ყოფილა რუს და პოლონელ რევოლუციონერთა იმ ჯგუფთან, რომელშიც შედიოდნენ ი. შაპეცკი, ა. პრავოშინსკი, ლუჩინცევი, ვილიამოვიჩი, ნიკოლსკი, პეტრუნკევიჩი, გალოპოლსკი და ა. შ.

საგამომძიებლო კომისიამ პირველად რუს-პოლონელ რევოლუციონერთა ჯგუფი დააპატიმრა, რაც ამიერკავკასიელი ახალგაზრდებისათვის გამაფრთხილებელი ნიშანი იყო. როგორც ჩანს, ჟანდარმერიის ვიზიტის მოლოდინში მათ მოასწრეს საეჭვო წიგნებისა და სხვა მასალების თავიანთი ბინებიდან გატანა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ მათ ბინებზე ჩატარებული „მოულოდნელი ჩხრეკისას“ „ოხრანკის“ აგენტებმა საქმისათვის „საჭირო“ საბუთები ვერ ნახეს. საგამომძიებლო

---

1 პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 193—209.

კომისია ბევრს ეცადა, რომ ს. წერეთლისათვის რაიმე ხელმოსაკიდებელი წამოეცდევინებინა, მაგრამ ამაოდ. იგი ძალზე თავშეკავებულად პასუხობდა.

საგამომძიებლო კომისიამ ეს ამიერკავკასიელი ახალგაზრდები ვერც იშუტინ-კარაკოზოვის საქმესთან დაკავშირებით მისცა პასუხისგებაში — მამხილებელი მასალები არ გააჩნდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ი. ისარლოვის, პ. მუსტაფაევის, ი. ყანდაუროვისა და სხვ. მსგავსად ს. წერეთელი, ი. ანდრონიკაშვილი და სხვ. გაათავისუფლეს.

როდესაც ლაპარაკია 1862—1866 წლებში რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან ამიერკავკასიელი ახალგაზრდების დამოკიდებულების შესახებ, გვერდს ვერ ავუვლით ვასილ ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილს. 1862 წელს იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში. გადასახლებაში მყოფ რევოლუციონერებთან მ. ი. მიხაილოვთან და ვ. ა. ობრუჩევთან ახლო ურთიერთობისათვის. ვ. ანდრონიკაშვილს, რომელიც 1862 წელს ტობოლის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა, მოუნახულებია ტობოლის ციხეში გადმოგზავნილი მიხაილოვი და ობრუჩევი. შემდეგ მათთან მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია. ისინი 2—3-ჯერ სადილზეც კი მიუწვევია თავის ოჯახში[1]. ვ. ანდრონიკაშვილის მოთხოვნით მიხაილოვსა და ობრუჩევს ახსნეს ბორკილები და შედარებით სუფთა კამერებში მოათავსეს, თანაც პოლიციელის თანხლებით ქალაქში გასვლის უფლება დართეს. ვ. ანდრონიკაშვილის ასეთი ნაბიჯი პეტერბურგში მიიღეს როგორც პროტესტი ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების წინააღმდეგ.

ვ. ანდრონიკაშვილი შემდეგშიც განაგრძობდა ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებას. ამიტომ 1865 წელს იგი მისცეს სენატის სასამართლოში, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა მისი ადმინისტრაციული წესით დასჯა[2].

ამრიგად, 1862—1866 წლების რუსეთის რევოლუციურ

---

1 „კოლოკოლი", 1963, ფურც. 169.

2 Деятели революционного движения в России, т. I, вып. 2, стр. 18.

წრეებში მონაწილეობისათვის პოლიცია-ჟანდარმერიამ არა-კეთილსაიმედოდ მიიჩნია 17 ამიერკავკასიელი ახალგაზრდა-მათ შორის იყვნენ როგორც აქტიური რევოლუციონერები, ასევე საერთოდ პოლიტიკურად საეჭვოდ მიჩნეულებიც, რომ-ლებსაც ბრალდებები ვერ დაუმტკიცდათ. ეროვნული კუთვნი-ლების მიხედვით, ამ 17 ახალგაზრდიდან ქართველი იყო 8 (ვ. ჩერქეზიშვილი, ხ. სავანელი, გ. მეღვინევი, ს. წერეთელი, დ. ღოღობერიძე, ბ. ღოღობერიძე, ი. ანდრონიკაშვილი და ვ. ანდრონიკაშვილი), სომეხი — 3 (ი. ისარლოვი, ი. ანანოვი, გ. ჩერქეზიანი), ბერძენი 2 (ყანდაუროვები), რუსი — 3 (კუზ-მინები და ნ. კალინინი), აზერბაიჯანელი — 1 (პ. მუსტაფაევი)-რა თქმა უნდა, ეს სია არ შეიძლება სრული იყოს. შესაძლე-ბელია, იგი გაიზარდოს მომავალი კვლევა-ძიების შედეგად.

2. 60-იანი წლების მეორე ნახევრის რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და ამიერკავკასიელი ახალგაზრდები

60-იანი წლების პირველ ნახევარში ხელისუფლებამ შე-ძლო სტუდენტთა მღელვარებების ჩახშობა და რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციების განადგურება. რევოლუციო-ნერებთან ორთაბრძოლაში ცარიზმი გამარჯვებული გამოვიდა-ქვეყნად „თეთრი ტერორი“ გაბატონდა.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ზეიმი ნაადრევი იყო-რუსეთის რევოლუციური ინტელიგენცია იარაღის დაყრას არ-აპირებდა.

ჩერნიშევსკის მიერ აღმართული რევოლუციური ბრძოლის-დროშა, რომელიც დროებით გათელა ქვეყნად გაბატონებულ-მა „თეთრმა ტერორმა“, კვლავ აფრიალდა. იგი ხელში აიტა-ცეს მ. ბაკუნინმა, პ. ლავროვმა, ნ. მიხაილოვსკიმ, პ. ტკაჩევ-მა, ს. ნეჩაევმა და სხვა გამოჩენილმა რუსმა რევოლუციონერ-მა რაზნოჩინელებმა — „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა-შტურმანებმა“[1].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.

კვლავ ჩაღდება სტუდენტთა მღელვარებანი, იქმნება ფარული რევოლუციური წრეები. დემოკრატიული ახალგაზრდობა ფართოდ იყენებს „ზემლია ი ვოლიას“, იშუტინ-კარაკოზოველთა ორგანიზაციასა და სტუდენტთა წრეებში მიღებულ გამოცდილებას.

1868 წლის თებერვალში ჟანდარმერიამ აღმოაჩინა და გაანადგურა წინა წლებში მოსკოვსა და პეტერბურგში ჩამოყალიბებული რევოლუციური წრე „რუბლევოე ობშჩესტვო“[1]. მისი ორგანიზატორები იყვნენ ფელიქს ვოლხოვსკი და გერმანე ლოპატინი. წრის მიზანი იყო ისტორიულ და საზოგადოებრივ საკითხებზე ლექციების საშუალებით გლეხთა მასებთან დაახლოება, მათი ეკონომიური მდგომარეობის შესწავლა, იმის გამორკვევა გასჭრიდა თუ არა გლეხობაში რევოლუციური პროპაგანდა.

„რუბლევოე ობშჩესტვოს“ არსებობის წლებშივე ვ. ჩერქეზიშვილისა და დ. ვოსკრესენსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი რევოლუციური ორგანიზაცია „სმორგონის აკადემიის“ სახელწოდებით, ისტორიულ ლიტერატურაში იგი „რევოლუციურ კომუნადაც“ მოიხსენიება, რაც იმით აიხსნება, რომ ორგანიზაციის წევრები კომუნის პრინციპებით ცხოვრობდნენ. მათ „საერთო სალაროში შეჰქონდათ მთელი თავიანთი ფულადი შემოსავალი როგორი გზითაც არ უნდა ჰქონოდათ იგი მიღებული“[2].

1868 წლის თებერვალში ჟანდარმერიის მიერ „რუბლევოე ობშჩესტვოსათვის“ მიყენებულ დარტყმებს „სმორგონის აკადემია“ გადაურჩა და კიდევ ერთ წელიწადს განაგრძობდა არსებობას. „სმორგონის აკადემია“ მრავალრიცხოვანი ფარული ორგანიზაცია იყო და თავისი საქმიანობით შემაერთებელ რგოლს წარმოადგენდა იშუტინ-კარაკოზოვისა და ნეჩაეველთა ორგანიზაციებს შორის. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მას სათავეში ედგა ყოფილი იშუტინელი და შემდეგში აქტიური

---

1 სახელწოდება „რუბლევოე ობშჩესტვო“ მიიღო იმის გამო, რომ მისი ყოველი წევრი ვალდებული იყო თვეში ერთი მანეთი საწევრო შეეტანა.

2 Б. П. Козьмин, Из истории революционной мысли в эпоху «Белого террора», М., 1929, стр. 138.

ნეჩა

გამოეყენებინა ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის, თავის მხრივ კი საზღვარგარეთელმა რევოლუციონერებმა გამოაგზავნეს „ნაროდნოე დელოსა“ და „სოვრემენნოსტის“ ნომრები[1].

ვ. ჩერქეზიშვილის ეს ცნობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო რუს ემიგრანტ-რევოლუციონერებთან მის კავშირურთიერთობაზე, არამედ იმ პერიოდში საზღვარგარეთ მყოფ ნ. ნიკოლაძესთან ურთიერთობის შესახებაც. საქმე იმაშია, რომ მ. ელპიდინი ჩერნიშევსკის თხზულებებს სცემდა ნ. ნიკოლაძესთან ერთად, ხოლო „სოვრემენნოსტს“ უშუალოდ ნიკოლაძე რედაქტორობდა. ამიტომ შეუძლებელია ვ. ჩერქეზიშვილისაგან გამოგზავნილი 40 მანეთის მიღების ან მისთვის „სოვრემენნოსტის“ ნომრების გაგზავნის ფაქტები ნ. ნიკოლაძეს არ სცოდნოდა.

„სმორგონის აკადემია“ თავის ხელმძღვანელებიანად ძირითადად შეუერთდა 1868/69 წლებში შექმნილ ნეჩაეველთა რევოლუციურ-ხალხოსნურ ორგანიზაციას. პირადად ვ. ჩერქეზიშვილი აქტიური ნეჩაეველი გახდა და მათთან ერთად დაისაჯა კიდეც.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მთავრობის რეაქცია გაძლიერდა. ხელისუფლება ცდილობდა მკაცრი ღონისძიებებით ჩაეხშო დემოკრატიული სტუდენტობის თავისუფალი ხმა. 1866 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია განათლების მინისტრის ი. დელინოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა არსებული საუნივერსიტეტო წესდების გადასინჯვა მისი „განმტკიცების“ მიზნით. კომისიის დასკვნის საფუძველზე მინისტრთა საბჭომ 1867 წლის 20 მაისს გამოსცა ახალი „დებულება“. იგი აძლიერებდა პოლიტიკურ მეთვალყურეობას სტუდენტებზე, კრძალავდა ყოველგვარ შეკრებებს, კონცერტებისა და სპექტაკლების გამართვას, კოლექტიურად წიგნების

---

1 Б. П. Козьмин, Революционное подполье в эпоху «Белого террора», М., 1922, стр. 117—119.

კითხვას და ა. შ. 1866 წლის 21 აგვისტოს „უმაღლესი ბრძანებით“ 20%-ით მცირდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში პოლონელ სტუდენტთა რიცხვი. ხელისუფლებას ისინი მიაჩნდა „კრამოლის“ გავრცელების მთავარ მიზეზად[1].

ხელისუფლების დარტყმებს რუსმა, პოლონელმა, ქართველმა, სომეხმა და სხვა ეროვნებათა სტუდენტებმა მძლავრი კონტრშეტევით უპასუხეს. 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარად იგრძნობოდა სტუდენტი ახალგაზრდობის რევოლუციური თვითშეგნების ამაღლება. სტუდენტობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდის სკოლას ფარული წრეები და მღელვარებები წარმოადგენდნენ.

60-იანი წლების მეორე ნახევარში რუსი და პოლონელი ახალგაზრდობის მსგავსად ამიერკავკასიელმა სტუდენტებმაც შექმნეს ფარული სათვისტომო რევოლუციური საზოგადოებები. ასეთ საზოგადოებებს ჰქონდათ არალეგარული ბიბლიოთეკა, ურთიერთდახმარების სალარო და ა. შ.

ერთ-ერთი ასეთი პირველი ფარული საზოგადოება იყო სტუდენტ ნიკოლოზ ყიფიანის ხელმძღვანელობით პეტერბურგში დაარსებული რევოლუციური წრე. მასში შედიოდნენ: თვით ნიკოლოზ ყიფიანი, ყოფილი იშუტინელი ვარლამ ჩერქეზიშვილი, დავით აბდუშელიშვილი, სერგეი მესხი, კონსტანტინე ალიხანოვი, ნიკოლოზ კანანოვი, ისააკიანი და სხვ.[2].

ამიერკავკასიელ სტუდენტთა ამ წრეში ქართველებსა და სომხებს გარდა რუსები და სხვა ეროვნების ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: სპირიდონ სიმონოვიჩი, კონსტანტინე გრივნაკი, სიმონ პოლიტარეკი, გაბრიელ რაზუმოვსკი, დე მონფორი, ჩაკოვიჩი, კოლუბინი და ა. შ. გარდა ამისა, კავკასიელთა წრის ცალკეული წევრები დაკავშირებული იყვნენ რუსი და პოლონელი ახალგაზრდების წრესთან, რომელშიც შედიოდნენ ი. პენკოვსკი, ეკატერინე სოლოდოვნიკოვა.

---

[1] А. И. Георгиевский, Материалы по истории студенческого движения в России. Лондон — СПБ, 1906, стр. 5.

[2] ნ. ყიფიანის რევოლუციური საქმიანობის დახასიათება მოცემული აქვს მკვლევარ პ. რატიანს, მაგრამ მას ნ. ყიფიანი რევოლუციონერ-ხალხოსნად კი არ მიაჩნია, არამედ თერგდალეულად.

ვ. სუფშინსკი, ა. კონდრატიევი და სხვ. ეს კავშირი იმდენად მტკიცე იყო, რომ უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ, მაგალითად, ნ. ყიფიანი რუსი ახალგაზრდების წრის წევრად მიიჩნია, მათ სიაში შეიყვანა და მათთან ერთად დასაჯა[1].

ამიერკავკასიელ სტუდენტთა აღნიშნული წრე ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების კავკასიელი ახალგაზრდების რევოლუციური თანამეგობრობის შესანიშნავ სკოლას წარმოადგენდა. ისინი რუსი, პოლონელი და სხვა ეროვნების რევოლუციონერთა მხარდამხარ იბრძოდნენ თვითმპყრობელურ რუსეთში არსებული საძულველი რეჟიმის დამხობისა და ქვეყნად სოციალური სამართლიანობის დამყარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ყიფიანს რევოლუციური საქმიანობისათვის სერიოზული ბრალდება ჰქონდა წაყენებული, იგი იოლად გადაურჩა სასჯელს. უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ მხედველობაში „მიღებულ იქნა“ ნ. ყიფიანის ახალგაზრდობა, რომ სალაროში მისი მოღვაწეობა არ ისახავდა რაიმე „დანაშაულებრივ მიზანს“ და ა. შ. ამიტომ იგი გაკიცხულ იქნეს კომისიის წევრების თანდასწრებით, ამასთან, მიეცეს გაფრთხილება, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს რაიმე „კანონსაწინააღმდეგო მოქმედება“[2].

ნ. ყიფიანი სასჯელს ისე იოლად იმიტომაც გადაურჩა, რომ მის მამასთან — დიმიტრი ყიფიანთან იმპერატორი ალექსანდრე მეორე და კავკასიის მეფისნაცვალი კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. კომისია, უეჭველია, ანგარიშს გაუწევდა ამ გარემოებას და დ. ყიფიანის შვილს სასჯელს შეუმსუბუქებდა[3].

რუსეთში მყოფი ამიერკავკასიელი სტუდენტების რევოლუციურ წრეებზე როცა ვლაპარაკობთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 1866 წლისათვის ნოვორო-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 341, л. 441.

[2] Б. П. Козьмин, Революционное подполье... стр. 24.

[1] ვ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, გვ. 250.

სიის (ოდესის) უნივერსიტეტშიც არსებულა ამიერკავკასიელი სტუდენტების ფარული წრე.

ოდესის ჟანდარმთა შტაბსოფიცერი 1866 წლის 20 დეკემბერს საიდუმლო მოხსენებას უგზავნის მესამე განყოფილების უფროსს. ამ მოხსენების შინაარსიდან ჩანს, რომ იგი წარმოადგენს მესამე განყოფილებიდან 1866 წლის 9 ნოემბერს გაგზავნილი მიწერილობის პასუხს. მოხსენებაში ლაპარაკია ნოვოროსიის უნივერსიტეტში პოლონელი და სხვა „ინოროდეცი" სტუდენტების რაოდენობასა და მოქმედებაზე.

მოხსენებაში დაწვრილებითაა დახასიათებული ნოვოროსიის უნივერსიტეტში მოსწავლე პოლონელი სტუდენტების ქცევა, ამასთან, მითითებულია, რომ ერთი შეხედვით ისინი თითქმის სხვებისაგან განცალკევებულ ცხოვრებას ეწევიან, სინამდვილეში სხვა ეროვნების სტუდენტებთან ახლო და ფარული ურთიერთობა აქვთო. „მათთან ერთად, — ნათქვამია მოხსენებაში, — ისინი ადგენენ კიდეც განსაკუთრებულ წრეებს, ხშირად იკრიბებიან ხან ერთთან, ხან მეორესთან, გვერდს არ უვლიან მსჯელობას თავისუფლების საკითხზე, მღერიან თავიანთ ეროვნულ ენაზე და სხვა". შემდეგ ვკითხულობთ, რომ „გასულ წელს აქაური უნივერსიტეტის სტუდენტები ყველანი... გაიყვნენ ეროვნებათა მიხედვით, შეადგინეს რა განსაკუთრებული წრეები, ირჩევდნენ თავიანთ მამასახლისებს, აწარმოებდნენ ფულადი სახსრების შეგროვებას ურთიერთდამხმარე სალაროების მოსაწყობად და სხვა"[1].

როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ნოვოროსიის უნივერსიტეტის სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებს პირველ ხანებში საერთო კორპორაცია ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ დანაწილებულან ეროვნებათა მიხედვით და პეტერბურგის სტუდენტთა მსგავსად სათვისტომო საზოგადოებები ჩამოუყალიბებიათ.

ერთიანი საზოგადოების ასეთი გაყოფა გამოწვეული უნდა ყოფილიყო საერთო საზოგადოებაში სხვადასხვა ეროვნების სტუდენტთა რიცხვის გაზრდით. გაყოფა საჭირო იყო აგრეთვე პოლიციისათვის თვალის ასახვევად და ორგანიზაციის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამ გაყოფის შედეგად პო-

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 363, л. 2—3.

ლიციას ეგონებოდა, რომ სტუდენტთა კორპორაცია დაიშალაო, სინამდვილეში კი იგი ცალკეული სათვისტომო უჯრედების სახით განაგრძობდა არსებობას. ხელისუფლების ერთი მათგანისათვის კიდეც რომ მიეგნო, ეს არ გამოიწვევდა სხვების ჩავარდნას. სტუდენტთა ასეთი ტაქტიკური ნაბიჯი ცოტა გვიან ჟანდარმერიისთვისაც გახდა ცნობილი. ეს ჩანს ჟანდარმთა შტაბსოფიცრის მოხსენებითი ბარათიდან. მასში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს თითქოს შეწყდა სტუდენტთა შეკრებები, ბოლო მოეღო მათ ორგანიზაციას. მაგრამ ასე არ მომხდარა, სინამდვილეში „ამ საზოგადოებათა წევრები მხოლოდ მიყუჩდნენ. მათი მოქმედება უფრო ფრთხილი გახდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. იგივე ერთად თავშეყრა, იგივე მამასახლისები, იგივე ფულადი თანხების შეგროვება, როგორც ლაპარაკობენ, ახლაც ხდება, მხოლოდ მეტად მალულად“[1].

უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად ასეთი სათვისტომო საზოგადოება იქ მოსწავლე ამიერკავკასიელ სტუდენტებსაც ექნებოდათ.

ასეთი მოსაზრების დაშვების უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: მოხსენებისათვის ჟანდარმებს დაურთავთ 1866—67 სასწავლო წელს ნოვოროსიის უნივერსიტეტში მოსწავლე არაკეთილსაიმედო სტუდენტთა სია. მასში ჩამოთვლილ სტუდენტებს შორის მოხსენებული არიან ამიერკავკასიელებიც. ესენი არიან: ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები — ივანე ერისთავი (მათემატიკის სპეციალობით), ფილიპე დათეშიძე, ევგენი ლაზარევი (ბუნებისმეტყველების სპეციალობით); იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი — მოსე ტერ-აკოფოვი, ფიზიკა-მათემატიკის თავისუფალი მსმენელები — თომა მაჭავარიანი, ალექსანდრე წერეთელი, დავით ერისთავი, იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელები — თარხან მოურავი და ზაქარია ერისთავი, სულ 9 კაცი, აქედან 7 ქართველი და 2 სომეხი[2].

პოლიტიკურად არასაიმედოთა სიაში ქართველი და სომეხი

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 363, л. 3—4.

[2] იქვე, л. 9—10—11, 14, 18.

სტუდენტების შეყვანა, ამასთან ამ სიის დართვა ჟანდარმთა შტაბსოფიცრის მოხსენებისათვის, ჩვენი აზრით, იმით უნ- და აიხსნას, რომ სხვების მსგავსად მათაც ექნებოდათ ფარუ- ლი საზოგადოება. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ როგორც ადრე არსებული „ინოროდცთა“ საერთო წრის გამონაყოფი, მათი წრე დაკავშირებული იქნებოდა პოლონელ, ასევე რუს, უკ- რაინელ და სხვა ეროვნების სტუდენტთა ფარულ საზოგადო- ებასთან.

●

1868—69 და 1870 წლებში რუსეთის დედაქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ძლიერმა მღელვარე- ბებმა იფეთქა, რამაც ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა. ჟანდარმერია და უმაღლესი საგამომძიებლო კომისია ჩააფიქ- რა იმ გარემოებამ, რომ 60-იანი წლების დასასრულის სტუ- დენტთა მღელვარებებში აშკარად იგრძნობოდა რევოლუციი- ური ორგანიზაციის ხელი. სტუდენტთა მღელვარებების დაწ- ყებისთანავე პეტერბურგში გამოჩნდა პროკლამაცია „საზო- გადოებას“, რომელიც ნეჩაეველთა ორგანიზაციის ხელმძღვა- ნელების მიერ იყო შედგენილი და დაბეჭდილი იმავე ორგანი- ზაციის წევრის დემენტიევის ბინაზე არსებულ საიდუმლო სტამბაში. ამ პროკლამაციაში გატარებული იყო აზრი, რომ „სტუდენტთა საქმე მთელი საზოგადოებრიობის საქმეს წარ- მოადგენსო“[1]. პროკლამაციაში სასტიკი პროტესტი იყო გა- მოთქმული უმაღლეს სასწავლებლებში გაბატონებული სუ- ლისშემხუთველი რეჟიმის გამო. „ჩვენი პროტესტი, — ვკით- ხულობთ მასში, — მტკიცეა და ერთსულოვანი, ჩვენ უწინა- რეს ყოვლისა მზადა ვართ გამოვიხრჩვეთ გადასახლებასა და ციხის ბნელ ნესტიან ჯურღმულებში, ვიდრე ვიხრჩობოდეთ და ზნეობრივად ვიმახინჯებდეთ თავს ასეთ აკადემიებსა და უნივერსიტეტებში“[2].

ნეჩაეველთა რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაციის

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1866, ед. хр. 34, л. 5.

[2] იქვე, 1869 хр. 115, часть 1, л. 2.

ხელმძღვანელობით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სტუდენტთა მღელვარებები ამჯერად აყენებდნენ არა მარტო მკაცრი საუნივერსიტეტო წესდების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, არამედ ისეთ პოლიტიკურ მოთხოვნებს, როგორიცაა ქალთა ემანსიპაციისა და მუშათა საკითხები. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გამლილიყო სტუდენტთა სააგიტაციო მუშაობაც.

იმ მიზნით, რომ სტუდენტთა გამოსვლებს საყოველთაო ხასიათი ჰქონოდა, პეტერბურგიდან დაიგზავნა დეპუტაციები რუსეთის სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში: მოსკოვში, ყაზანში, ხარკოვში, კიევში და დერპტში. აღნიშნულ ქალაქებში ამას მოჰყვა სერიოზული სამზადისის გაშლა მღელვარებათა დაწყებისათვის[1]. რუსეთის ქალაქებში, პირველ რიგში კი პეტერბურგსა და მოსკოვში, ბევრი სტუდენტი იქნა დაპატიმრებული და დასჯილი. სწორედ ამ პერიოდის სტუდენტთა მღელვარებების ირგვლივ ჩატარებულმა გამოძიებამ დააჩქარა ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის აღმოჩენაც.

1868—69 წლების სტუდენტთა მღელვარებებში სხვა ეროვნების ახალგაზრდებთან ერთად ამიერკავკასიელებიც მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველი და სომეხი ახალგაზრდების ერთი ნაწილი სტუდენტთა გამოსვლების უბრალო მონაწილენი კი არა, მათი აქტიური ხელმძღვანელებიც ყოფილან. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ პეტერბურგის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა 59 კაცისაგან შემდგარ „წარმომადგენლობაში", რომელმაც წერილობითი პროტესტი შეიტანა ხელისუფლების სახელზე და მოითხოვა არსებული მძიმე საუნივერსიტეტო წესების შეცვლა, ს. ნეჩაევთან, ვ. დებაგორია-მოკრიევიჩთან და სხვებთან ერთად შედიოდნენ კავკასიელი ახალგაზრდებიც. ესენი იყვნენ: ა. სარაჯიშვილი, ვ. შავერდოვი, არღუთინსკი, ე. იოსელიანი, ხაჩატუროვი (ყველანი უნივერსიტეტიდან), ე. ავეტისოვი (აკადემიიდან) სულ 6 კაცი[2].

გამოძიების პერიოდში გამოირკვა, რომ ჩამოთვლილ ქარ-

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1866, ед. хр. 363, л. 10.

[2] იქვე, 1869, ед. хр. 115, часть 113, л. 27.

თველ და სომეხ ახალგაზრდებს გარდა, „სტუდენტთა მღელვარებების მთავარი მონაწილეები“ ყოფილან აგრეთვე კავკასიელი სტუდენტები; სტეფანე ზარაფოვი, პავლე იზმაილოვი, კონსტანტინე შჩერბაკი და ნიკოლოზ ყიფიანი. როდესაც საუნივერსიტეტო სასამართლოზე ირჩეოდა ქართველი, სომეხი და კავკასიელი სტუდენტების საკითხი, მათ ქედი არ მოუხრიათ ცარიზმის მოხელეთა წინაშე და პატიება არ უთხოვიათ. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ: „საუნივერსიტეტო სასამართლოზე მათ აღიარეს, რომ ისინი სრული შეგნებით მონაწილეობდნენ იმ უწესრიგობაში, ამიტომ არავითარ სინანულს არ გამოთქვამენ, პირიქით, განაცხადეს, რომ მომავალშიც არ იტყვიან უარს სტუდენტთა შეკრებებში მონაწილეობაზე“[1].

ჩვენს მიერ გამოვლინებულ ახალ საარქივო მასალებში სულ მოხსენებულია 15 ამიერკავკასიელი ახალგაზრდა, რომლებიც პეტერბურგის სტუდენტთა 1868—69 წლების მღელვარებებში მეტ-ნაკლები აქტიურობით მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ: ე. ავეტისოვი, არღუთინსკი, კ. ბაქრაძე, ფ. ბებურიშვილი, ს. ზარაფოვი, პ. იზმაილოვი, ე. იოსელიანი, ლ. მღებრიშვილი, ი. ორბელიანი, ალ. სარაჯიშვილი, დიმ. სულხანიშვილი, ნ. ყიფიანი, ვ. შავერდოვი, კ. შჩერბაკი და ხაჩატუროვი. ეროვნებათა მიხედვით 9 კაცი იყო ქართველი, 5 სომეხი და 1 რუსი. ამათგან ყველაზე მკაცრად ზარაფოვი, ყიფიანი, სულხანიშვილი და შავერდოვი დასაჯეს. ისინი გარიცხეს უნივერსიტეტიდან, გადაასახლეს სამშობლოში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ, აუკრძალეს საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა და საერთოდ მოუსპეს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლება. რაც შეეხება დანარჩენებს, მართალია, ისინიც ასევე დასაჯეს, მაგრამ მათ სხვა სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლება დაუტოვეს[2].

1868—69 წლების სტუდენტთა მღელვარებებში ამიერკავკასიელთა მონაწილეობის ფაქტს ადგილი ჰქონდა მოსკოვის

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1866, ед. хр. 363, л. 10.
[2] საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქმე 1157, ფურც. 15.

უნივერსიტეტშიც. აქაურ სტუდენტთა გამოსვლებთან დაკავშირებით დასჯილ ახალგაზრდებს შორის საარქივო მასალებში მოიხსენიება თბილისელი ვასილ სემიბრატოვი. „უმაღლესი ბრძანებით“ იგი გარიცხეს სასწავლებლიდან და პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ გადაასახლეს თბილისის გუბერნიაში.

მართალია, 1868—69 წლების სტუდენტთა მღელვარებები ხელისუფლებამ ჩაახშო, მაგრამ ამით არ შეწყვეტილა რევოლუციურად განწყობილი რუსი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდების გამოსვლები. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგანაც ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს 1868—69 წლების სტუდენტთა რევოლუციური მღელვარებანი, კვლავ უცვლელი რჩებოდა. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდვა.

1869 წლის 8 ივნისს ხელისუფლებამ გამოსცა ახალი საუნივერსიტეტო წესები, რომლითაც სტუდენტებს თითქმის ეკრძალებოდათ ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლა. განსაკუთრებული ნებართვით სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადასული სტუდენტებისათვის კი შემოღებულ იქნა გამოცდების განმეორებით ჩაბარება. სტუდენტი ვალდებული იყო გადასვლის ყველა შემთხვევაში ზუსტი ცნობები წარედგინა გადასვლის მიზეზებისა და კეთილსაიმედოობის შესახებ. საუნივერსიტეტო ქალაქიდან უნებართვოდ გასვლისათვის სტუდენტი ირიცხებოდა სასწავლებლიდან, შემცირდა სტიპენდიებისა და დახმარებების რაოდენობა, სტიპენდია და დახმარება მხოლოდ „კარგი ყოფაქცევის“ სტუდენტებს მიეცემოდათ. უმაღლეს სასწავლებელში ახალგაზრდების მიღებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა იმას, თუ როგორი ყოფაქცევის იყო იგი საშუალო სასწავლებელში, სულ მცირედი დანაშაულისთვისაც სტუდენტს დაუყოვნებლივ ეხსნებოდა სტიპენდია, ანდა ირიცხებოდა უნივერსიტეტიდან[1].

ახალი წესდებით უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის სა-

---

1 А. И. Георгиевский, Материалы по истории студенческого движения в России, Лондон — СПБ, 1906, стр. 7—8.

შუალება ესპობოდათ რაზნოჩინელ ახალგაზრდებს, რომლებიც ძირითადად სტიპენდიებითა და დახმარებებით ცხოვრობდნენ.

ასეთი მკაცრი ღონისძიებების გატარების მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც ვერ მიაღწია სასურველ შედეგს — რუსეთის სტუდენტ ახალგაზრდობაში ვერ გაანელა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი.

1870 წელს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ახალი ძალით იფეთქა სტუდენტთა „არეულობამ". სტუდენტებს მხარში ამოუდგნენ მოწინავე პროფესორ-მასწავლებლები: ენგელგარტი, ლაჩინოვი, თარხნიშვილი და სხვ., რომლებსაც ქვეყნისათვის სამარცხვინოდ მიაჩნდათ უმაღლეს სასწავლებლებში გაძლიერებული პოლიციური რეჟიმის შემოღება.

ამჯერად პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარებების ცენტრს სამიწათმოქმედო ინსტიტუტი და სამედიცინო ქირურგიული აკადემია წარმოადგენდა. ამ სასწავლებლებში ჯერ კიდევ 1869 წლიდან ეწყობოდა საიდუმლო შეკრებები, მაგრამ მათ არ ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი. 1870 წლის შემოდგომაზე ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ერთმანეთს დაუკავშირდნენ და ერთობლივად იწყეს შეკრებების მოწყობა. სტუდენტთა საქმიანობა თვალსაჩინოდ გაფართოვდა 1870 წლის ოქტომბრის ბოლოდან, როდესაც სამხრეთიდან პეტერბურგში დაბრუნდა ყოფილი იშუტინელი: ფარული საზოგადოება „ჯოჯოხეთის" მონაწილე, ვ. ჩერქეზიშვილის რევოლუციური ორგანიზაციის „სმორგონის აკადემიის" წევრი სერგეევსკი. მისი ინიციატივით 26 ოქტომბერს შედგა სამედიცინო ქირურგიული აკადემიისა და სამიწათმოქმედო ინსტიტუტების სტუდენტთა გაერთიანებული შეკრება, რომელშიც რამდენიმე ასეულმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ საღამო-შეკრებები სისტემატურად ეწყობოდა როგორც ცალკე, ასევე გაერთიანებული სახით[1].

რუსი სტუდენტების ასეთი საღამო-შეკრებები, რომლებიც ფარულად ეწყობოდა, ამიერკავკასიელი ახალგაზრდებისათვის რევოლუციური აღზრდის შესანიშნავ სკოლას წარმოადგენდა.

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 434, часть 1, л. 1—3.

ამ საღამოებზე დიდი ადგილი ეთმობოდა რევოლუციური ლიტერატურის კითხვას. როგორც საგამომძიებლო კომისიის დასკვნაშია ნათქვამი, ამ საღამოების ყველაზე მნიშვნელოვან მხარეს მისი განსაკუთრებული მნიშვნელობისა და მიმართულების თვალსაზრისით წარმოადგენდა სტატიების კითხვა და ისეთი საკითხების გარჩევა, რომელთაც განსაკუთრებით პოლიტიკური და სოციალური ხასიათი ჰქონდათ. სხვათა შორის, საღამოებზე წაკითხულ იქნა ცნობილი გერმანელი სოციალ-დემოკრატის ლასალის სტატიები: „მუშათა პროგრამა“ და „კონსტიტუციის არსი“; „მიმოხილვა შრომის ისტორიიდან“ — პისარევისა, „რუსული რეაქცია XVIII საუკუნეში“ — შამკოვისა, „პროგრესის ფასი“ — ლავროვისა, „ქალთა შრომაზე“, „მოღვაწეობაზე ერობებში“, „არტელების შესახებ“, „ასოციაციების სარგებლობისა და მათთვის უფასო კრედიტების მიცემის შესახებ“ და სხვ. წაკითხვას თან ახლდა კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ინსტიტუტის მოსწავლეები, არამედ გარეშე დამსწრე პირებიც, სახელდობრ: სამაზრო სკოლის მასწავლებელი პოპოვი, კლინიკურ ჰოსპიტალში მომუშავე თავადი თარხან-მოურავი.

ასეთი ხასიათის შეკრებები ეწყობოდა რუსი სტუდენტების — პრეობრეჟენსკისა და რასუდოვის, აგრეთვე თბილისელი კ. მელიქოვის ბინებზე[1].

შეკრებები, რომლებსაც ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა კავკასიელი ახალგაზრდები ესწრებოდნენ, სექტემბრის ბოლოდან დაწყებული ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებამდე თითქმის სისტემატურად ტარდებოდა. შეკრებები ძირითადად საღამოობით მიმდინარეობდა და რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ 8 საათზე დაწყებული შეკრება ღამის 4 საათზე ძლივს დამთავრებულა. შეკრებებზე დამსწრე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა 50-დან 150 კაცამდე აღწევდა. ასეთი შეკრებების ორგანიზაციისათვის არჩეული იყო 15 კაცისაგან

---

[1] ЦГИАМ ,ф. 95, оп. I, ед. хр. 434, часть I, л. 33, 13б.

შემდგარი კომისია, რომელშიც ორი კავკასიელი ახალგაზრდა — ალექსანდრე ბაქრაძე და იბრაჰიმ შანაევი შედიოდნენ[1].

პოლიცია-ჟანდარმერიამ გააძლიერა მეთვალყურეობა იმ კავკასიელ სტუდენტებზე, რომელთაც ფართო მონაწილეობა მიიღეს მღელვარებებში. ამის შედეგად, როდესაც საგამომძიებლო კომისიამ დააზუსტა პეტერბურგის სტუდენტთა 1870 წლის მღელვარებაში აქტიურ მონაწილეთა სია, გარდა მოხსენებული ი. თარხნიშვილის, ა. ბაქრაძის, ი. შანაევისა და კ. მელიქოვისა, მასში სხვებიც მოხვდნენ: ნიკოლოზ და ივანე ანდრონიკაშვილები წარმოშობით ორივე თელავის მაზრიდან, იაგორ ალექსანდრეს ძე კაჭკაჭოვი — სომეხი ქ. ყიზლარიდან, სერგეი აკოფის ძე ვართანიანცი — თბილისელი სომეხი, პეტრე მიხეილის ძე დაგაევი — თბილისიდან, ნიკოლოზ გრიგოლის ძე მჭედლიშვილი — თბილისელი მოსამსახურის ოჯახიდან, ალექსანდრე გრიგორის ძე არასიანოვი (უნდა იყოს არდასენოვი) — თერგის ოლქიდან, დიმიტრი ნიკოლოზის ძე სოხიევი — თერგის ოლქიდან, ნილი პეტრეს ძე ბაბაევი — სამარელი ვაჭრის შვილი, არტემ არაქელის ძე გონიევი (გონიანცი) — თბილისიდან (სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოებისა).

ი. თარხნიშვილისა და სხვების ჩათვლით საერთო სიაში 14 კავკასიელი ახალგაზრდა მოხვდა[2]. ამათგან ქართველი იყო 5, სომეხი — 5, აზერბაიჯანელი (მუსულმანი) — 1, ხოლო თბილისის გიმნაზიადამთავრებული დანარჩენი სამი ახალგაზრდის (დაგაევი, არდასენოვი, სოხიევი) ეროვნული კუთვნილების შესახებ მასალებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ გვარების მიხედვით ოსები უნდა იყვნენ.

პეტერბურგის სტუდენტთა 1870 წლის მღელვარებასთან დაკავშირებით ჟანდარმერიამ და უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ გაჩხრიკა 46 კაცი. აქედან საპატიმროში 22 კაცი ჩასვა. ამათ გარდა, დაკითხულ იქნა 52 ახალგაზრდა.

გამოძიების დამთავრების შემდეგ პასუხისგებაში მიცემულთათვის სასჯელის ზომათა შეფარდების შესახებ ვრცელი

---

[1] ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 434, часть I, л. 34.

[2] იქვე, ფურც. 248, 279.

დასკვნა წარედგინა იმპერატორ ალექსანდრე მეორეს, რომელმაც წაიკითხა იგი, შეიტანა ზოგიერთი შესწორებანი და დააწერა „აღსრულდეს ჩემი შესწორებით, დანარჩენებზე თანახმა ვარ“[1].

ამ რეზოლუციის მიხედვით, პეტერბურგის სტუდენტთა აღნიშნული მღელვარების საქმე ადმინისტრაციული წესით დასრულდა. რუს სტუდენტებთან ერთად ამიერკავკასიელებიც, კერძოდ, ალ. ბაქრაძე, ი. თარხნიშვილი და სხვ. დაუქვემდებარეს პოლიციის მკაცრ მეთვალყურეობას. ამასთან, სასტიკად გააფრთხილეს, რომ მსგავსი „უწესრიგობის“ განმეორების შემთხვევაში კანონის მთელი სისასტიკით იქნებოდნენ დასჯილნი.

1868—1869 წლების ზამთარში შეიქმნა ნეჩაეველთა ორგანიზაცია „ნაროდნაია რასპრავა“[2]. მისი ფუძემდებლები იყვნენ ს. ნეჩაევი და პ. ტკაჩევი. ნეჩაეველები იშუტინ-კარაკოზოველთა უშუალო მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ. ისინი მიზნად ისახავდნენ პეტერბურგ — მოსკოვის ახალგაზრდების პროპაგანდისტებად აღზრდას და მათი საშუალებით მუშაობის პერიფერიებში გადატანას. ნეჩაეველები, ისევე როგორც თავის დროზე იშუტინელები, გლეხთა რევოლუციის პოზიციებზე იდგნენ (ჩერნიშევსკიმ რომ დააყენა დღის წესრიგში). ორგანიზაციის საპროგრამო წერილში, რომელიც პ. ტკაჩევმა და ს. ნეჩაევმა შეიმუშავეს, პირდაპირაა ნათქვამი: ჩვენ გვინდა სახალხო გლეხური რევოლუციაო.

ნეჩაევის ორგანიზაციამ თავის დროზე გარკვეულად შეუწყო ხელი სტუდენტობასა და ხალხის მასებში რევოლუციური სულისკვეთების გაღრმავებას.

1868—1869 წლებში სტუდენტთა მღელვარებასთან დაკავშირებით ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ხელისუფლება და-

---

1 ЦГИАМ, ф. 95, ед. хр. 434, часть I, л. 23—50.

2 პირადად ს. გ. ნეჩაევი ავანტიურისტული ბუნების ადამიანი იყო. მაგრამ მისი პირადი უარყოფითი თვისებების მიუხედავად, 1868—1869 წწ. ნეჩაევ-ტკაჩევის მიერ შექმნილმა ორგანიზაციამ, რომელშიც მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, დადებითი როლი შეასრულა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

აყენა ნეჩაეველთა რევოლუციურ-ხალხისნური ორგანიზაციის კვალზე. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი. მართალია, ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარებით თვითონ ნეჩაევმა საზღვარგარეთ გაასწრო, მაგრამ მისი რევოლუციური ორგანიზაციის წევრები თითქმის ყველანი დააპატიმრეს. უმაღლესი საგამომძიებლო კომისია და ჟანდარმერია მკაცრად შეუდგნენ ნეჩაეველთა საქმის კვლევას. სხვებთან ერთად ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც დააპატიმრეს. კერძოდ, ყოფილი იშუტინელი, „რევოლუციური კომუნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 23 წლის ვარლამ ჩერქეზიშვილი, „გუბერნსკი სეკრეტარის“ შვილი, 23 წლის ჯავად იშხანოვი, თბილისის გიმნაზიის მუსლიმანური ღვთისმეტყველების მასწავლებლის შვილი, 21 წლის იბრაჰიმ რაჰიმოვი, მაიორის შვილი, 20 წლის ამიდ ჰაჯიბეკოვი, აზნაური იაკობ სარიბეკოვი (23 წლის), პოდპოლკოვნიკის შვილი ინდრის შანაევი (22 წლის), თბილისის გიმნაზიადამთავრებული თევდორე რიჰმანი (23 წლის, ზოგ საბუთებში მისი გვარი მოიხსენიება რიპმანად), სტეფანე მუტაფოვი (მუტაფიანი) ახალციხის მაზრიდან (22 წლის). ესენი მიცემული იყვნენ სასამართლო პასუხისგებაში და მათი საქმე სენატის განსაკუთრებულმა სამსჯავრომ განიხილა.

ჟანდარმერიისა და საგამომძიებლო კომისიის მასალებში, აგრეთვე სენატის განსაკუთრებული სამსჯავროს სხდომათა ოქმებში მრავალი ფაქტობრივი მასალაა დაცული, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დღევანდელ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ მკითხველებს ვუჩვენოთ, თუ როგორი თავდადებით იბრძოდნენ მათი სახელოვანი წინაპრები ყველასათვის საძულველი ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

ნეჩაევის რევოლუციურ-ხალხისნურ ორგანიზაციაში მონაწილე ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნეჩაეველთა ორგანიზაციაში ვ. ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის შესწავლის საკითხმა ადრევე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ასე მაგალითად, XIX ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში არსებული რევოლუციური წრეების ისტორიის შესწავ-

ლასთან დაკავშირებით „რევოლუციურ კომუნასა“ და ნეჩაევის ორგანიზაციაში ვ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობის საკითხს თავის დროზე შეეხო განსვენებული აკადემიკოსი ბ. პ. კოზმინი. მან არა ერთი ახალი საყურადღებო საარქივო მასალა გახადა მეცნიერული კვლევის საგნად. ნეჩაევის ორგანიზაციაში ვ. ჩერქეზიშვილის როლზე მიუთითებს პროფესორი შ. ლევინიც.

რიგი ახალი საარქივო მასალების საფუძველზე ნეჩაევის რევოლუციურ-ხალხოსნურ ორგანიზაციაში ვარლამ ჩერქეზიშვილის მონაწილეობის ამბები თავის დროზე ჩვენც გავაშუქეთ. უკანასკნელ წლებში ამ საკითხს შეეხნენ პ. რატიანი და ვ. სიფრაშვილი, მაგრამ მათ მიერ, განსაკუთრებით კი პ. რატიანის მიერ, რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში ვ. ჩერქეზიშვილის როლი არასწორადაა შეფასებული.

როგორც ოფიციალურ მასალებშია მითითებული, ვ. ჩერქეზიშვილი ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის „ნაროდნაია რასპრავას“ უბრალო მონაწილე კი არ ყოფილა, არამედ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. ვ. ჩერქეზიშვილი პირადად იცნობდა ს. ნეჩაევსა და პ. ტკაჩევს, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ვ. ჩერქეზიშვილი ნეჩაეველ ალექსანდრე კუზნეცოვის მეშვეობით 1869 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვებიდან ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში[1]. ვ. ჩერქეზიშვილი დაწვრილებით იცნობდა ნეჩაეველთა ორგანიზაციის — „ნაროდნაია რასპრავას“ პროგრამას და სავსებით იზიარებდა მასში წამოყენებულ იდეას „სახალხო გლეხური რევოლუციის შესახებ“. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ვ. ჩერქეზიშვილი შედიოდა ა. კუზნეცოვის წრეში, სადაც იგი ირიცხებოდა 52-ე ნომრად, ე. ი. წრის წევრებს შორის რიგით მეორე ნომერი იყო[2].

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1969, ед. хр. 115, часть 3, л. 11.

[2] ნეჩაეველთა წრეში წევრთა აღრიცხვა კონსპირაციის მიზნით ასეთნაირად ხდებოდა: წრის ხელმძღვანელის ნომერს უერთდებოდა რიგითი რიცხვები. მაგ. ა. კუზნეცოვი იყო № 5, ამას მიეწერებოდა ვ. ჩერქეზიშვილის, როგორც წრის წევრის, ნომერი 2 და გამოვიდოდა 52.

„ნაროდნაია რასპრავას“ მოსკოვის წრეში რომ შევიდა, ვ. ჩერქეზიშვილი უკანასკნელ კაპიკებსაც არ ზოგავდა რევოლუციური ორგანიზაციის საჭიროებისათვის. წრეში შესვლისთანავე ა. კუზნეცოვს 125 მანეთი გადასცა. იგი შემდეგშიც სისტემატურად ეხმარებოდა როგორც ცალკეულ რევოლუციონერებს, ისე მთლიანად ორგანიზაციას. ასე მაგალითად, ორგანიზაციის სალაროში მან შეიტანა საკმაოდ დიდი თანხა 200 მანეთი[1].

ვ. ჩერქეზიშვილმა ჟანდარმერიის კლანჭებისაგან იხსნა ს. ნეჩაევი და დაეხმარა საზღვარგარეთ გაქცევაში.

ს. ნეჩაევის საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ ვ. ჩერქეზიშვილი ფაქტიურად „ნაროდნაია რასპრავას“ ხელმძღვანელი გახდა. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ 1869 წლის 21 დეკემბერს ს. ნეჩაევმა კენისბერგიდან სწორედ ვ. ჩერქეზიშვილს გამოუგზავნა დაშიფრული დეპეშა, რომლითაც ატყობინებდა საზღვარზე მშვიდობიანად გადავედიო. ამასთან, მასვე გადმოუგზავნა „სია ტულის გუბერნიის გლეხებისა და სხვა პირებისა, რომლებიც მზად იყვნენ შეეთვისებინათ რევოლუციური იდეები“[2].

თავის მხრივ ე. ჩერქეზიშვილმა აქტიური ღონისძიებანი გაატარა საზღვარგარეთ მყოფ ს. ნეჩაევთან კავშირურთიერთობის დასამყარებლად და იქიდან სათანადო ინსტრუქციები მისაღებად. ამ მიზნით ვ. ჩერქეზიშვილს მოლაპარაკება ჰქონდა მოსკოვის წრის წევრებთან ალექსი დე-ტეილისთან და იულია ბობორეკოვასთან. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ვ. ჩერქეზიშვილმა აცნობა მათ ს. ნეჩაევის საზღვარგარეთ გაქცევის ამბავი და ამასთან ერთად „ბობორეკოვას ქალს ვადასცა ოგარიოვის მისამართი ჟენევაში და შეუთანხმდა მას დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო იქ, ენახა ნეჩაევი და გადაეცა მისთვის წერილი“.[3] მართალია, ჩვენთვის ცნობილი არაა ამ წერილის შინაარსი, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვ-

---

1 ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1965, ед. хр. 34, л. 27.

2 იქვე, 1866, ед. хр. 34, л. 27.

3 Государственные преступления в России в XIX веке, т. I, М., 1953, стр. 195.

ნელობა არცა აქვს. მთავარი, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ისაა, რომ ნეჩაევის გაქცევის შემდეგ მხოლოდ ვ. ჩერქეზიშვილი ზრუნავდა საზღვარგარეთ მყოფ რევოლუციონერებთან კავშირის დამყარებაზე და ამისათვის სათანადო მითითებებს აძლევდა ორგანიზაციის სხვა წევრებს.

თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვ. ჩერქეზიშვილი ნეჩაევის ორგანიზაციაში, ამას მოწმობენ შემდეგი ფაქტებიც: „ნაროდნაია რასპრავაში" შესვლის დღიდანვე ვ. ჩერქეზიშვილმა თვალსაჩინო რევოლუციური პროპაგანდა გააჩაღა როგორც სტუდენტ ახალგაზრდობაში, ისე არსებული წყობილებით უკმაყოფილო სხვა პირებშიც. მაგალითად, 1869 წლის შემოდგომაზე, მოსკოველ სტუდენტთა მღელვარების პერიოდში, იგი ცდილობდა აგიტაციით სტუდენტებში გაეღვივებინა მთავრობის საწინააღმდეგო სულისკვეთება, დაეახლოვებინა ისინი რევოლუციურ ორგანიზაციასთან და ა. შ. როგორც თვით ვ. ჩერქეზიშვილის ჩვენებაშია ნათქვამი, ორგანიზაციის დავალებით „ის ესწრებოდა მოსკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტების ფარულ კრებებს". ერთ-ერთი ასეთი კრების დროს ვ. ჩერქეზიშვილმა სტუდენტებს წასაკითხად გადასცა რევოლუციური პროკლამაცია სახელწოდებით — „მტკიცედ შეკავშირებულებისაგან დაქსაქსულებს". სტუდენტებში გაწეული თავისი მუშაობის შესახებ იგი წერილობით ანგარიშს უდგენდა „ნაროდნაია რასპრავას" ცენტრს. ამის შესახებ ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ: „კასპარის ბინაში ჩატარებული კრებისა და სხვადასხვა პირებთან მისი უთანხმოების შესახებ კუზნეცოვის თხოვნით ვ. ჩერქეზიშვილმა გააკეთა წერილობითი განცხადება, რომელშიც ცალ-ცალკე გადმოსცა ბუტურლინის, სმირნოვის, პირამიდოვის, იშხანოვისა და პეტროვსკის[1] დახასიათებები, როგორც განათლებული ადამიანებისა, რომლებიც თანაუგრძნობენ ხალხის უბედურებას".[2]

---

[1] ესენი იყვნენ მოსკოველი სტუდენტები, რომლებიც თვით ვ. ჩერქეზიშვილმა ჩაბა ნეჩაეველთა ორგანიზაციაში.

[2] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, М., 1953, стр. 195.

ვ. ჩერქეზიშვილის რევოლუციური აგიტაციის შედეგად ნეჩაეველთა ორგანიზაციაში, გარდა ჩამოთვლილი სტუდენტებისა, შევიდნენ გარეშე პირებიც: ტექნიკოსი ივანე პაკონდე-მანი, პორუჩიკი ბობორეკოვი, ალექსი დე-ტეილისი, ვორონცოვი, იულია ბობორეკოვა და ვარვარა ალექსანდროვსკაია[1].

ისე როგორც „ნაროდნაია რასპრავას“ სხვა აქტიური წევრები, ვ. ჩერქეზიშვილიც ყველაფერს აკეთებდა სახალხო აჯანყებისათვის რევოლუციური კადრების მოსამზადებლად. აჯანყების დაწყება 1870 წლის გაზაფხულისათვის იყო გათვალისწინებული[2]. ნეჩაეველებს არ დასცალდათ ამის განხორციელება. 1869 წლის 28 დეკემბერს ღამით თავის ბინაზე მოსკოვში დააპატიმრეს ვ. ჩერქეზიშვილი. მისი საქმე გადაეცა უმაღლეს საგამომძიებლო კომისიას. ვ. ჩერქეზიშვილს ბრალად ედებოდა ის, რომ იგი იყო „ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი ფარული საზოგადოებისა, რომლის მიზანსაც არსებული მმართველობის სისტემის დამხობა“ შეადგენდა.[3]

გარდა ვ. ჩერქეზიშვილისა, სენატის განსაკუთრებული სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც (ჯავად იშხანოვი, იბრაჰიმ რაჰიმოვი, სტეფანე მუტაფოვი, ამიდ ჰაჯიბეკოვი, იაკობ სარიბეკოვი, ინდრის შანაევი და თევდორე რიჰმანი). ესენი ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის წევრები იყვნენ და აქტიურად ასრულებდნენ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დავალებებს. აღსანიშნავია, რომ ჯავად იშხანოვი და თევდორე რიჰმანი „ნაროდნაია რასპრავას“ მხოლოდ რიგითი წევრები კი არ იყვნენ, არამედ ცნობილი რევოლუციონერების ბელიაევის, პრიჟოვის, უსპენსკის, კუზნეცოვისა და სხვათა მსგავსად ცალკე ნეჩაევურ

---

1 ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1869, ед. хр. 115, часть 3, л. 259; фонд 112, 1869, ед. хр. 491, л. 395—403.

2 ЦГИАМ, фонд 109, Секретный Архив (СА), оп. I, ед. хр. 342, л. 8.

3 ЦГИАМ, ф. 112, 1869, ед. хр. 491, л. 305.

წრეებს ედგნენ სათავეში. ამ წრეებში ძირითადად კავკასიელები იყვნენ გაერთიანებულნი[1].

კომისიის მიერ წინასწარი გამოძიებისა და სამსჯავრო სხდომის მსვლელობაში ჩატარებული დაკითხვების შედეგად დადასტურდა, რომ ჯავად იშხანოვი ეკუთვნოდა „ნაროდნაია რასპრავას“ წრეების ხელმძღვანელთა რიცხვს. იგი რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდა სტუდენტ ახალგაზრდობაში და მათ ორგანიზაციაში აბამდა. მან თავის გარშემო შემოიკრიბა ი. რაჰიმოვი, ა. ჰაჯიბეკოვი, ი. სარიბეკოვი, ი. შანაევი, მეანე ქალი ოლღა ვეშნიაკოვა და სხვ., შექმნა ნეჩაევური წრე რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში[2].

დაკითხვისას მიცემულ ჩვენებებში ჯ. იშხანოვი პირდაპირ პასუხებს არ იძლეოდა და სასამართლოსათვის თვალის ახვევას ცდილობდა. ერთ-ერთ დაკითხვაზე იშხანოვმა განაცხადა, რომ მან თავისი ამხანაგებისაგან... „თუმცა შეადგინა წრე... მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სტუდენტები დაახლოებოდნენ ერთმანეთს და გაეზიარებინათ ერთმანეთის ჭირ-ვარამი“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იშხანოვმა უარყო მის მიერ შედგენილი წრის რევოლუციურობა. ეს ბუნებრივიცაა: ჯ. იშხანოვს არავითარი სურვილი არ ექნებოდა, რომ თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები გადასახლებაში გაეტარებინა. როგორც ცნობილია, ნ. ჩერნიშევსკი წინააღმდეგი იყო სასამართლოზე გულახდილობის გამოჩენისა, რათა რევოლუციონერს თვითონ არ ჩაეგდო თავი ხელისუფლების კლანჭებში. მიუხედავად იმისა, რომ ჯ. იშხანოვმა კონსპირაციულობა გამოიჩინა, ცარიზმის მოხელეებმა მაინც შეძლეს მისი წრის ნამდვილ შინაარსში გარკვევა. წრის სხვა წევრების დაკითხვის შედეგად სასამართლომ დაამტკიცა, რომ ჯ. იშხანოვის წრის მიზანი მხოლოდ სტუდენტი ახალგაზრდობის ურთიერთდაახლოებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ მისი მთავარი „ამოცანა იყო დაბალი კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება პოლიტიკური გადატრიალებისა და

---

[1] ЦГИАМ, ф. 112, 1869, ед. хр. 491, л. 119—120.

[2] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, М., 1953, стр. 205.

საყოველთაო თანასწორობის დამყარების გზით". ამ „საზოგადოების იდეალს წარმოადგენდა რევოლუციის მოხდენა და გაჭირვებაში მყოფი ხალხის მხარში ამოდგომა".

ჯ. იშხანოვის წრის მუშაობის განხილვისას ერთ მეტად საყურადღებო გარემოებას ვხედებით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისთვისაც. საქმე შემდეგშია: როგორც ახალი საარქივო მასალებიდან ირკვევა, იშხანოვის წრეს სათანადო ნაბიჯი გადაუდგამს საიდუმლო სტამბის დასაარსებლად. დოკუმენტში ნათქვამია, რომ წრის აქტიურმა წევრებმა იბრაჰიმ რაჰიმოვმა (ამიდ ჰაჯიბეკოვთან ერთად) „რომელიღაც ბატონისაგან" მიიღო „სტამბის შრიფტი, რომელიც დამალა უნივერსიტეტის ლაბორატორიაში". ჩხრეკის დროს იქ „მართლაც იქნა ნაპოვნი ექვს გირვანქამდე შრიფტი".

იმავე საბუთებში სხვა ასეთი საყურადღებო ცნობაცაა: იშხანოვის წრეში უმსჯელიათ ქალაქის არსენალში დაცულ თოფ-იარაღზე და იმის შესახებ, თუ „რა გზით შეიძლებოდა ამ იარაღის ხელში ჩაგდება"[1].

„ნაროდნაია რასპრავას" თვალსაჩინო წევრები იყვნენ თევდორე რიჰმანი და სტეფანე მუტაფოვი. 1869 წლის სექტემბრის დამდეგს კუზნეცოვის წრის შეკრებაზე, რომელიც აკადემიის სტუდენტის ივანოვის ბინაზე მოეწყო, თ. რიჰმანი გაეცნო პირადად ს. ნეჩაევს. ნეჩაევი შეკრებას „ივანე პეტროვიჩის" სახელით ესწრებოდა. თ. რიჰმანმა თანხმობა განუცხადა მას „ნაროდნაია რასპრავას" რიგებში შესვლაზე. ნეჩაევის, დოლგოვისა და კუზნეცოვის რეკომენდაციით რიჰმანი მიღებულ იქნა პრიჟოვის წრეში. იბადება კითხვა: რატომ შეიყვანეს რიჰმანი მაინცდამაინც პრიჟოვის წრეში და არა კუზნეცოვის წრეში, რომლის სხდომასაც ის ესწრებოდა? საქმე იმაში იყო, რომ კუზნეცოვის წრის რევოლუციური მუშაობის ობიექტს სტუდენტი ახალგაზრდობა წარმოადგენდა, პრიჟოვის წრისას კი „ხალხის მასები", ხოლო თ. რიჰმანს ჯერ კიდევ აკადემიის ლაბორატორიაში მუშაობის დროს კავშირი ჰქონდა

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1969, ед. хр. 115, часть 4, л. 34.

ᲘᲥ მომსახურე დაბალ პერსონალთან — გლეხთა წარმომადგენლებთან.[1] მაშასადამე, ს. ნეჩაევის შეხედულებით, „დაბალ ფენებში“ მუშაობის გამოცდილების მქონე თ. რიჰმანი სწორედ პრიჟოვის წრის შესაფერისი წევრი იქნებოდა. ამის შესახებ საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ: „რიჰმანის შესვლა პრიჟოვის წრეში, რომლის სპეციალურ მიზანს ხალხთან უშუალო კავშირის დამყარება შეადგენდა, მოხდა იმის გამო, რომ რიჰმანი სანამ ნეჩაევს გაიცნობდა, მუშაობდა ზოგიერთ მის ნაცნობ გლეხებთან. ამ გარემოებას, რაც ცნობილი გახდა ნეჩაევისათვის, შედეგად მოჰყვა ის, რომ კომიტეტის გადაწყვეტილებით რიჰმანი ჩამოაცილეს პირველ (კუზნეცოვის — ზ. შ.) წრეს და შეიყვანეს პრიჟოვის წრეში ხალხში სამოქმედოდ“[2].

ვ. ჩერქეზიშვილთან ერთად თ. რიჰმანმა რევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობაში ჩაება რუსი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდები.

თ. რიჰმანის მიერ რევოლუციურ ორგანიზაციაში ახალგაზრდობის მიზიდვა შემდეგ ვითარებაში მომხდარა: 1869 წლის შემოდგომაზე მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორ პოლუნინის ცნობილ საქმესთან დაკავშირებით ამავე ფაკულტეტის სტუდენტის ს. მუტაფოვის ბინაზე გაიმართა სტუდენტთა ერთ-ერთი ჩვეულებრივი ფარული შეკრება.

პრიჟოვის დავალებით თ. რიჰმანი გამოცხადდა შეკრების მონაწილეებთან. ა. კუზნეცოვის წრიდან აქ მოვიდა ვ. ჩერქეზიშვილი. როგორც რიჰმანს, ჩერქეზიშვილსაც თავის წრის ხელმძღვანელისაგან დავალებული ჰქონდა რევოლუციურ ორგანიზაციაში სტუდენტობის გადმობირება. ისინი ჯერ ფრთხილად მოქმედებდნენ და სტუდენტების წინაშე თავს არ ააშკარავებდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც შეკრებილი სტუდენტები მუტაფოვის ბინიდან, რომელიც ალბათ კონსპირაციული არ იყო, სხდომის გასაგრძელებლად მამონტოვის სასტუმროს

---

1 ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1869, ед. хр. 115, часть 3, л. 198.

2 Государственные преступления в России в XIX веке, т. I, вып. I, М., 1953, стр. 192.

მყუდრო ნომერში გადასულან, რიჰმანს ჩამოუგდია სტუდენტებთან ლაპარაკი „ფარული ორგანიზაციის არსებობის შესახებ, რომლის მიზანსაც რევოლუციის მოხდენა შეადგენდა“. ვ. ჩერქეზიშვილს კი მათთვის გაუცვნია რევოლუციური პროკლამაცია „მტკიცედ შეკავშირებულებისაგან — დაქსაქსულებს“[1]. სათანადო გასაუბრების შემდეგ თ. რიჰმანსა და ვ. ჩერქეზიშვილს შეკრებილთათვის მიუციათ რევოლუციურ ორგანიზაციაში შესვლის წინადადება. როგორც დოკუმენტებშია ნათქვამი, პირადად რიჰმანს წინადადება მიუცია პირამიდოვისათვის შესულიყო ფარულ ორგანიზაციაში და როცა თანხმობა მიუღია, ასეთივე წინადადებით მიუმართავს იშხანოვისა და მუტაფოვისათვის[2].

რიჰმანის აქტიური რევოლუციური საქმიანობა ამით არ შემოფარგლულა. როგორც მასალებიდან ჩანს, უკვე ნოემბრის დამდეგისათვის ს. მუტაფოვთან, ნ. პირამიდოვთან და სხვებთან ერთად მას შეუქმნია პრიჟოვის წრის ფილიალი ცალკე წრის სახით. თუ რატომ მოხდა ეს გამოყოფა, ამის შესახებ მასალებში არაფერია ნათქვამი. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება იმან გამოიწვია, რომ ხალხის მასებში რევოლუციური პროპაგანდის გაწევა, რაც ორგანიზაციის პროგრამით 1869 წლის ოქტომბრისათვის იყო გათვალისწინებული, სხვადასხვა გარემოებათა გამო არ მოხერხდა. სამაგიეროდ ამ დროისათვის სერიოზული ხასიათი მიიღო სტუდენტთა მღელვარებამ. უეჭველია, ნეჩაეველთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ განიხილა ეს გარემოება და მიიღო გადაწყვეტილება პრიჟოვის წრის წევრთა ხარჯზე სტუდენტებში მომუშავე ჯგუფების გაზრდის შესახებ.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ თ. რიჰმანის მიერ ახლად შექმნილი წრის პირველი დამფუძნებელი სხდომების მუშაობაში მონაწილეობა მიუღია ორგანიზაციის

---

[1] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, стр. 192—193.

[2] ჯ. იშხანოვს თვითონ ჰქონდა ჩამოყალიბებული ნეჩაევური წრე, რაც ალბათ რიჰმანისათვის ცნობილი არ იყო, თორემ აღარ შესთავაზებდა პრიჟოვის წრეში შესვლას.

მთავარი „კომიტეტის“ რწმუნებულს, რომელსაც შეკრებილთა წინაშე სათანადო წერილობითი საბუთი („ბლანკი“) წაუკითხავს. ამის შესახებ სასამართლოს დასკვნაში ვკითხულობთ: „ნოემბრის დასაწყისს მოეწყო მისი (რიჰმანის—ზ. შ.) წრის კრება, რომელზედაც წაიკითხეს საზოგადოების წესდება და მოახდინეს წრის წევრებად პიროვნებათა შერჩევა, რიჰმანის წრე შეიკრიბა 4-ჯერ თუ 5-ჯერ. რამდენიმე კრებას დაესწრო „ალექსანდრე ვასილის ძე“, როგორც კომიტეტის რწმუნებული. მან შემოსვლისას წაიკითხა „ბლანკი“, რომელიც დაათვალიერა ყველამ და შემდეგ კი დაწვეს. ამ კრებებზევე წამოყენებულ იქნა წინადადება შეეგროვებინათ ფული და შემოეღოთ საიდუმლო ანბანი, მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ შესრულებულა. წრის საქმიანობის შესახებ რიჰმანმა შეადგინა 3 ანგარიში, რომელიც გადაეცა პრიეოვს“[1].

ეჭვს გარეშეა, რომ ეს „ბლანკი“, რომელიც წაიკითხვისთანავე დაწვეს, სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა „კომიტეტის“ განკარგულება პრიეოვის წრიდან ცალკე ფილიალის სახით თ. რიჰმანის წრის გამოყოფის შესახებ.

მასალებში აღნიშნულია, რომ თ. რიჰმანთან ერთად ამ წრის აქტიური მოღვაწე გამხდარა ს. მუტაფოვი, რომლის ბინაზეც მიმდინარეობდა სტუდენტთა ფარული შეკრებები. ს. მუტაფოვი ენერგიულად მონაწილეობდა „წრის შეკრებაში“, საუბებით იზიარებდა ფარული საზოგადოების იდეას „რევოლუციის მოხდენის“ შესახებ, იცნობდა „ორგანიზაციის წყობას“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წრეში თ. რიჰმანის, ს. მუტაფოვისა და სხვა რევოლუციონერთა საქმიანობის სურათს ჟანდარმთა ცნობები და სენატის სამსჯავრო სხდომის მასალები მთელი სრულყოფით ვერ წარმოგვიდგენენ. საქმე იმაშია, რომ დასახელებული რევოლუციონერები ყოველმხრივ ფარავდნენ თავიანთი საქმიანობის კვალს. ისინი ძლიერ მოფიქრებულ და წინასწარ აწონ-დაწონილ პასუხებს იძლეოდნენ დაკითხვებზე. მაგალითად, თ. რიჰმანი თავის ერთ-ერთ მორიგ, არც

---

[1] Государственные преступления в России в XIX веке, т. I. стр. 193.

თუ ისე ვრცელ ჩვენებას დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე აძლევდა და, მიუხედავად ამისა, ჟანდარმერიისათვის სასურველი პასუხი არც ერთ კითხვაზე არ გაუცია. ამის შესახებ ჟანდარმთა შეფი თავის დადგენილებაში მიუთითებდა: რიჰმანის ჩვენება არ გამოირჩევა „სრული გულწრფელობით“, ამიტომ აუცილებლად საჭიროებს „სასამართლო სხდომაზე ჩატარებული დამატებითი გამოძიებით შევსებას“[1]

ახალი მასალებიდან ნათელი ხდება, რომ ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის ცალკეულ წრეებში ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მუშაობა მრავალფეროვანი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ვ. ჩერქეზიშვილი უშუალოდ ა. კუზნეცოვის წრეში მუშაობდა, რომლის მიზანსაც სტუდენტი ახალგაზრდობისაგან პროპაგანდისტთა რევოლუციური კადრების მომზადება შეადგენდა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ ამ წრის წევრები, და მათ შორის ვ. ჩერქეზიშვილიც, ნ. გ. ჩერნიშევსკისა და 60-იანი წლების დამდეგის რევოლუციურ-პროკლამაციების, კერძოდ, პროკლამაცია „ახალგაზრდა თაობის“ — ტაქტიკურ ხაზს აგრძელებდნენ. რაც შეეხება ჯ. იშხანოვის წრეს, რომელიც ძირითადად ამიერკავკასიელი სტუდენტებისაგან შედგებოდა, ტაქტიკური თვალსაზრისით აქტიური რევოლუციური მოქმედებისაკენ იხრებოდა. როგორც აღვნიშნეთ, წრეში მსჯელობდნენ იარაღის საწყობების ხელში ჩაგდებისა და რევოლუციონერთა შეიარაღების შესახებ, ხოლო, როგორც ცნობილია, რევოლუციონერთა შეიარაღებული ჯგუფების შექმნას, ხელისუფლებაზე იერიშის მიტანას, ან ბლეხთა „ბუნტების“ გამოწვევას ბაკუნინ-ტკაჩევის მოწოდებები ითვალისწინებდნენ. თუ ამ მოსაზრებიდან გამოვალთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იშხანოველები ბაკუნინ-ტკაჩევის შეხედულებათა გავლენას განიცდიდნენ.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ რიჰმანი და ს. მუტაფოვი თავიდანვე პრიჟოვის ფარულ წრეში შევიდნენ. ამ წრის მთავარი მიზანი ხალხის მასებში რევოლუციური პროპაგანდის თანდათანობით გავრცელება იყო. ასეთ თვალსაზრისზე კი ლავროვი იდგა. ეს გვაფიქრებინებს, რომ პრიჟოვის წრის წევრები, მათ

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1809, ед. хр. 115, ч. 3, л. 199.

შორის რიჰმანი და მუტაფოვიც, ლავრისტული ხაზის გამტარებელნი უნდა ყოფილიყვნენ.

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი ტაქტიკური თავისებურებისა, „ნაროდნაია რასპრავას“ ყველა წრე და, მაშასადამე, მათში შესული ყველა ამიერკავკასიელი ახალგაზრდაც პრინციპში აგრძელებდნენ გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციურ-ხალხოსნურ ხაზს, ემხრობოდნენ „სახალხო გლეხურ რევოლუციას“. მათი შეხედულებით, რევოლუციას მშრომელთა კისრიდან უნდა მოეშორებინა „მოზეიმე, მუქთახორათა უმცირესობა“, რათა „გლეხკაცობას ღრმად და დაუბრკოლებლად ჩაესუნთქა თავისუფლების ჰაერი“[1].

„ნაროდნაია რასპრავაში“ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების მუშაობა ჟანდარმერიას მხედველობიდან არ გამოპარვია. რუს რევოლუციონერებთან ერთად ხელისუფლება მათ დაპატიმრებასაც შეუდგა. როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი პირველთაგანი ვ. ჩერქეზიშვილი დააპატიმრეს. ამას მოჰყვა სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდების ჩხრეკა-დაპატიმრებანი. ეს პროცესი თითქმის 1870 წლის ზაფხულამდე გაგრძელდა. ცხადია, რომ რუსი ახალგაზრდებისა და განსაკუთრებით ვ. ჩერქეზიშვილის დაპატიმრებისთანავე სხვა ამიერკავკასიელი რევოლუციონერი ახალგაზრდები საგულდაგულოდ გაწმენდდნენ თავიანთ ბინებს ყოველგვარი აკრძალული ლიტერატურისა და სხვა მამხილებელი მასალებისაგან. ამიტომ მათ ბინებში ჩატარებული „მოულოდნელი ჩხრეკის“ მიუხედავად, ჟანდარმებმა ხელჩასავლები ვერაფერი ნახეს. ამიტომ ჟანდარმებმა ვერ გაბედეს გაჩხრეკისთანავე ყველა მათგანის დაპატიმრება და უმრავლესობა თავისუფლად დატოვეს დაპატიმრებისათვის საჭირო საბუთების მოპოვების მოლოდინში.

კვლევა-ძიების პერიოდში ჟანდარმერიამ მართლაც შეძლო საკმაო რაოდენობის საბრალდებო მასალების დაგროვება და

---

[1] Б. Глинский, Революционный период русской истории, ч. 2, стр. 411—412.

ამის შემდეგ შეუდგა იმ სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების დაპატიმრებას, რომლებიც დროებით თავისუფლად იყვნენ დატოვებული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი არ დალოდებია, თუ როდის ინებებდა ხელისუფლება ციხეებში მათ ჩასმას და სამშობლოში გაპარულა. მაშინ უმაღლესი პოლიციის უფროსმა სათანადო გუბერნიებში დაგზავნა განკარგულებანი იქ ჩასული ახალგაზრდების დასაპატიმრებლად. თბილისში მიაკვლიეს ამიდ ჰაჯიბეკოვს. იგი დააპატიმრეს და დაუყოვნებლივ გადაგზავნეს პეტერბურგში. როგორც პეტერბურგის ციხის კომენდანტის ბრძანებიდან ჩანს, პეტერბურგში ჩაყვანილი ჰაჯიბეკოვი 1870 წლის 9 ივნისს ჩაუსვამთ ეკატერინეს კურტინის[1] ცალკე კამერაში. მასალებში ზუსტად არ არის მითითებული, თუ სად და როდის დააპატიმრეს დანარჩენი ამიერკავკასიელი ახალგაზრდები, მაგრამ აღნიშნულია, რომ იმავე დღეს ა. ჰაჯიბეკოვის გვერდით ცალკე კაზემატში ჩაუსვამთ სტეფანე მუტაფოვიც. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისიც ა. ჰაჯიბეკოვთან ერთად იქნებოდა ჩამოყვანილი თბილისიდან. 11 ივნისს კი, როგორც პეტერბურგის ციხის კომენდანტის ბრძანებიდან ჩანს, ცალკე კაზემატებში ჩაუსვამთ იბრაგიმ რაჰიმოვი და ინდრის შანაევი. ციხის კომენდანტის მიერ შედგენილი სიიდან ირკვევა, რომ იმავე დღეს ცალკე კაზემატში მოუთავსებიათ იაკობ სარიბეკოვიც. რაც შეეხება ჯ. იშხანოვს და თ. რიჰმანს, ისინი, ისევე როგორც ჩერქეზიშვილი, გაჩხრეკისთანავე დააპატიმრეს და გასამართლებამდე, ე. ი. 1871 წლის აგვისტომდე, პატიმრობაში იყვნენ.

„ნაროდნაია რასპრავას“ საქმეზე დაპატიმრებულთა გამოძიება 1871 წლის იანვრის ბოლოს დამთავრდა. პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვი ბევრი იყო (87 ახალგაზრდა, რომელთაგანაც 63 ციხეში იჯდა). ამიტომ პეტერბურგის სასამართლო პალატის გადაწყვეტილებით 12 ჯგუფად დაყოფილი პოლიტიკური დამნაშავეების საქმე თანამიმდევრობით უნდა განხილულიყო მთელი ზაფხულის განმავლობაში, რადგან მეთორმეტე ჯგუფში შეყვანილი 2 პატიმრიდან (ვ. სობეშჩინსკი,

---

1 კურტინი იყო ორი ბასტიონის შემაერთებელ კედელში მოწყობილი საპატიმრო ოთახი.

ვ. ლიხუტინი) ერთი გარდაიცვალა (ლიხუტინი), ამიტომ მეორე (სობეშჩინსკი) სხვა ჯგუფს შეუერთდა და საბოლოოდ პასუხისგებაში მყოფნი 11 ჯგუფად გაასამართლეს[1].

1871 წლის 1 ივლისს შედგა პეტერბურგის სასამართლო პალატის პირველი სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 11 რევოლუციონერის საქმე (პ. უსპერსკი, ა. კუზნეცოვი, პ. ტკაჩევი, ა. დემენტიევა და სხვ.).

იმავე წლის 11 ივლისს სენატორ ა. ს. ლიუბიმოვის თავმჯდომარეობით დაიწყო მორიგი სხდომა. ამჯერად განხილულ იქნა 33 რევოლუციონერის საქმე. მათ შორის იყვნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები — ჩერქეზიშვილი, იშხანოვი, რაჰიმოვი, ჰაჯიბეკოვი, სარიბეკოვი, შანაევი, რიჰმანი და მუტაფოვი. ბრალდებულებს გამოუყვეს დამცველები. ს. მუტაფოვს იცავდა სპასოვიჩი, რომელმაც 70-იან წლებში „50-თა“ პროცესზე გამოიჩინა თავი ამიერკავკასიელ რევოლუციონერთა დაცვით. ვ. ჩერქეზიშვილის დამცველი იყო ადვოკატი ტანაევი, რიჰმანისა და შანაევისა ორდინი, იშხანოვისა — ურუსოვი და ა. შ.

საბრალდებო აქტითა და სამსჯავრო სხდომაზე ჩატარებული გამოძიების შედეგად, ამიერკავკასიელი ახალგაზრდებისადმი წაყენებული ბრალდება ინდივიდუალურად იქნა დაფორმულებული.

თ ე ო დ ო რ ე რ ი ჰ მ ა ნ ი გაეცნო ნეჩაევს 1869 წლის სექტემბერში. ირიცხებოდა მოსკოვში ჩამოყალიბებული პირველი წრის წევრად. შემდეგ გადაყვანილ იქნა პრიჟოვის წრეში, რომლის საქმიანობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამ წრეს ჰქონდა ერთი მიზანი: უახლოესი კავშირის დამყარება საზოგადოების დაბალ კლასთან, რათა მასში გაავრცელებინა ის იდეები, რომლებიც საფუძვლად ედო ფარულ საზოგადოებას, კერძოდ, „პოლიტიკური გადატრიალების მოხდენა რევოლუციის გზით“, სახელმწიფოში არსებული მთავრობის დამხობა და წესწყობილების შეცვლა.

ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი იყო საზოგადოების ერთ-ერთი

---

[1] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, стр. 159, 226.

ენერგიული წევრი. საზოგადოების სასარგებლოდ მას სალაროში შეჰქონდა ფული, დაეხმარა საზოგადოების ორგანიზატორ ნეჩაევს საზღვარგარეთ წასვლაში. ჩერქეზიშვილი ავრცელებდა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს და ცალკეულ პიროვნებებს ურჩევდა ჩარიცხულიყვნენ საზოგადოების წევრებად. ის აწყობდა თავშესაფრებს იმ პირთათვის, ვინც საზოგადოების წევრებად ირიცხებოდნენ; დადიოდა პეტერბურგსა და ტულაში იმ პირებთან კავშირის დასამყარებლად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოების საქმიანობაში.

ჩერქეზიშვილის ამგვარი მოქმედება, რაც მიმართული იყო საზოგადოება „ნაროდნაია რასპრავას“ ფარული მიზნების განხორციელებისაკენ. არავითარ ეჭვს არ ტოვებს იმაში რომ იგი ეკუთვნოდა შეთქმულთა საზოგადოებას, რომელიც შედგენილი იყო ზემოხსენებული მიზნით („ჩამოაგდოს მთავრობა და შეცვალოს მმართველობის არსებული წყობილება“).

სტეფანე მუტაფოვი „ეკუთვნოდა ფარულ საზოგადოებას“, რომლის მიზანი იყო „რევოლუციის მოხდენა“.

ჯავად იშხანოვს ბრალად ედებოდა სტუდენტი ახალგაზრდებისაგან ფარული წრის ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავდა დაბალი კლასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და საყოველთაო თანასწორობის დამყარებას „პოლიტიკური გადატრიალების გზით“.

იბრაგიმ რაჰმოვს, ამიდ ჰაჯიბეკოვს, იაკობ სარიბეკოვს, ინდრის შანაევს ბრალად ედებოდათ იმაში, რომ შედიოდნენ იშხანოვის წრეში, „მონაწილეობდნენ კრებებში, სადაც მათ გაიცნეს ორგანიზაციის წესდება“, მონაწილეობდნენ „იარაღის ხელში ჩაგდების თაობაზე“ მსჯელობაში, სავსებით იზიარებდნენ საზოგადოების მიზნებს „მთავრობის დამხობისა და მმართველობის არსებული წესების შეცვლის შესახებ“[1].

1871 წლის 6 აგვისტოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი. ყველაზე მკაცრად დასაჯეს ვ. ჩერქეზიშვილი, რომელიც

---

[1] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, стр. 205—206.

უკვე 18 თვეზე მეტ ხანს იჯდა წინასწარპატიმრობაში. განაჩენით ვ. ჩერქეზიშვილს ჩამოერთვა თავადის წოდება, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სამოქალაქო უფლებები და გადასახლებულ იქნა ტომსკის გუბერნიაში. გარდა ამისა, მას ერთ-ნახევარი წლის ვადით სავსებით ეკრძალებოდა მიჩენილი საცხოვრებელი ადგილიდან წასვლა. მართალია, ამ ვადის გასვლის შემდეგ შეეძლო გუბერნიის ფარგლებიდან გასვლა, მაგრამ 5 წლის განმავლობაში მაინც ტომსკის ოლქში უნდა ეცხოვრა.

ერთ-ნახევარი წლის წინასწარი პატიმრობის სასჯელში ჩათვლის შემდეგ, დამატებით მიესაჯათ პატიმრობა: თ. რიჰმანს — 1 წლით, ჯავად იშხანოვს — 4 თვით, ს. მუტაფოვს — 2 თვით. ამის გარდა, ისინი განაჩენის მიხედვით, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ 5 წლის განმავლობაში.

იბრაგიმ რაჰიმოვს ჩაეთვალა გამოძიების მსვლელობაში 1 წელზე მეტ ხანს ციხეში ყოფნა, დამატებით კი 3 კვირის პატიმრობა მიესაჯა. ამ სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

ა. ჰაჯიბეკოვს, ი. სარიბეკოვს, ი. შანაევს, სასჯელად აკმარეს 1 წლის წინასწარი პატიმრობა და ცნობილ იქნენ „სასამართლოს მიერ განთავისუფლებულად“[1].

ერთი შეხედვით, განაჩენი თითქოს მკაცრი არ იყო. სინამდვილეში კი ცარიზმის პირობებში არ არსებობდა მძიმე და მსუბუქი სასჯელი. პოლიტიკურ საქმეზე გასამართლებული პირები, მიუხედავად სასჯელის ზომისა, მთელი სიცოცხლის მანძილზე მძიმედ იყვნენ დასჯილნი. ხელისუფლებას სრული უფლება ჰქონდა სასჯელმოხდილი ან სასამართლოსაგან სავსებით განთავისუფლებული პირები დაუყოვნებლივ გადაესახლებინა ციმბირში ადმინისტრაციული წესით, გაეგრძელებინა მათთვის გადასახლების ვადა და პოლიციური მეთვალყურეობა, თვითნებურად გაეტარებინა დისკრიმინაციის ყველა ზომა, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევდა. ცარიზმის მო-

---

[1] Государственные преступления в России в XIX веке, т. I, стр. 110.

ხელეებმა არ დააყოვნეს ასეთი უფლებების ფართოდ გამოყენება ნეჩაეველთა საქმეში ჩართული ამიერკავკასიელების მიმართაც. მაგალითად, ჯავად იშხანოვი, გაათავისუფლეს თუ არა პატიმრობიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის 1872 წლის 26 ივნისის განკარგულებით მაშინვე გადაასახლეს საცხოვრებლად ვიატკის გუბერნიაში. „განთავისუფლებული“ ჰაჯიბეკოვი, სარიბეკოვი და შანაევი კი სახალხო განათლების მინისტრის 1871 წლის 23 აგვისტოს ბრძანებით გარიცხეს უმაღლესი სასწავლებლიდან, მომავალში სწავლის გაგრძელებისა და მასწავლებლად მუშაობის უფლებების აკრძალვით. ამასთან, ისინი გაასახლეს დედაქალაქებიდან და დაუქვემდებარეს პოლიციის მკაცრ მეთვალყურეობას. მსგავსი ადმინისტრაციული ზომები იქნა გატარებული სხვების მიმართაც[1].

რაც შეეხება ვარლამ ჩერქეზიშვილს, მან კარგად იცოდა, რომ მისი რევოლუციური წარსულის გამო მეფის რუსეთში ვეღარასდროს დაიხსნიდა თავს ციხე-გადასახლებებისაგან. ამიტომ საზღვარგარეთ გაპარვა და რუს ემიგრანტებთან დაკავშირება გადაწყვიტა, რაც განახორციელა კიდეც. 1876 წლის ზამთარში მან მოახერხა გადასახლებიდან გამოქცევა და საზღვარზე მშვიდობით გადასვლა. მთელი თავისი სიცოცხლე მან საზღვარგარეთ გაატარა როგორც რევოლუციონერმა ემიგრანტმა.

ჩამოთვლილთა გარდა, ნეჩაევის ფარული რევოლუციური ორგანიზაციის საქმეზე დაკითხეს სხვა ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც, რომლებიც საბრალდებო მასალების სიმცირის გამო სასამართლო პასუხისგებაში არ მიუციათ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანი გამოძიების პერიოდში დიდხანს იჯდა ციხეში.

1869 წლის 2 დეკემბერს გაჩხრეკილ იქნა სტუდენტი სტეფანე ამირხანოვი, რომელიც ნარვის მხარის საპატიმროში ჩასვეს. იმავე თვეში გაჩხრეკილ და დაკითხულ იქნა სტუდენტი ტალაატ ხალილოვი.

1869 წლის შემოდგომაზე უმაღლესი საგამომძიებლო კო-

---

[1] ЦГИАМ, ф. 109, I экспед., 1869, ед. хр. 115, ч. 14, л. I, 29, 172.

მისიის განკარგულებით გაჩხრეკილ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტდამთავრებული, სამართლის კანდიდატი მიხეილ ტერ-ავეტისოვი (28 წლის).

მის შესახებ ნეჩაეველთა ორგანიზაციის სხდომის ოქმებში, რომლებიც გაჩხრეკისას რევოლუციონერ უსპენსკის აღმოუჩინეს, ნათქვამი იყო: „ტერ-ავეტისოვი არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფარული საზოგადოების საქმიანობაში“.

გარდა ამისა, ტერ-ავეტისოვის გვარი, როგორც ნეჩაეველთა თანამგრძნობისა, დასახელებულია ს. მუტაფოვის დაკითხვის ოქმებშიც. გამოძიების მსვლელობაში მ. ტერ-ავეტისოვი შეიტანეს იმ პირთა სიაში, რომელთაც ბრალად ედებოდათ „მონაწილეობა შეთქმულებაში, რომლის მიზანი იყო რუსეთში არსებული წესწყობილების დამხობა“. ტერ-ავეტისოვს ხანგრძლივი პატიმრობა არ ასცდებოდა, მაგრამ მოსკოვიდან გაქცევით უშველა თავს. მისი დაპატიმრება, რომ გადაწყვეტილი საქმე ყოფილა, ამაზე მიუთითებს კომისიის მიერ გვარის შეტანა დასაპატიმრებელთა სიაში, მაგრამ მისი სახელის გასწვრივ წერია: „არაა მოსკოვში — წასულია ქალაქიდან“[1].

1869 წლის 8 დეკემბერს ჟანდარმერიამ მოსკოვში გაჩხრიკა სტუდენტ სერონ არუთინოვის ბინა[2]. იგი ცხოვრობდა იმავე სახლში, რომელშიც ვ. ჩერქეზიშვილი.

ჟანდარმერია ეჭვობდა, რომ არუთინოვი ვ. ჩერქეზიშვილის თანამებრძოლი იყო, თუმცა ამის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა.

მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, ვ. ჩერქეზიშვილის მჭიდრო კავშირურთიერთობას იმ პერიოდში პეტერბურგ-მოსკოვში მყოფ ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა ეროვნების ახალგაზრდებთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ჟანდარმერიის ეჭვები არ შეიძლება უსაფუძვლო ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ვ. ჩერქეზიშვილი და არუთინოვი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ჩხრეკისას ს. არუთინოვს ვერ უპოვეს სა-

---

1 ЦГИАМ, ф. 95, оп. I, ед. хр. 434, ч. 2, л. 104, 112.

2 იქვე, 1869, ед. хр. 115, часть 1, л. 197.

ბრალდებო მასალები. იგი დაპატიმრებას გადაურჩა, მაგრამ პოლიციის მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს.

ნეჩაეველთა საქმესთან დაკავშირებით უმაღლესი საგამომძიებლო კომისიის მიერ გამოძახებულ იქნა სტუდენტთა მღელვარების აქტიური მონაწილე ალექსანდრე ბაქრაძე. კომისიას აინტერესებდა გაერკვია, თუ რა როლს ასრულებდა იგი ნეჩაეველებისა და სტუდენტთა „არეულობის“ ურთიერთობაში: ალ. ბაქრაძე თავის ჩვენებაში მეტად ფრთხილ პასუხებს იძლეოდა. ამიტომ კომისიამ ვერ შეძლო მის დასაპატიმრებლად საჭირო მასალების შეგროვება[1].

იმავე 1869 წლის შემოდგომაზე მესამე განყოფილება შეუდგა მასალების შეგროვებას 150-ე ქვეითი პოლკის პოდპოლკოვნიკ არსენ გასპარის ძე ლომიძეზე. ჟანდარმებს ეჭვი ჰქონდათ ლომიძის „არაკეთილსაიმედოობაში“. ფიქრობდნენ, რომ იგი ნეჩაეველებთან იყო დაკავშირებული. „ოხრანკის“ აგენტებმა, მრავალი ცდის მიუხედავად, ვერ მოახერხეს ლომიძეზე საკმაო რაოდენობით საბრალდებო მასალების შეგროვება და იგი დაპატიმრებას გადაურჩა.

ნეჩაეველთა საქმეზე დაბარებული იყვნენ აგრეთვე ძმები ევლაპი და ივანე ამეტისტოვები. მათ ბრალი ედებოდათ იმაში, რომ ახლო ნაცნობობა ჰქონდათ ნეჩაევთან და დაეხმარნენ ნეჩაეველ ორლოვსკის რუსეთიდან გაქცევაში.

მართალია, ამეტისტოვების ეროვნების დადგენა არ მოხერხდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელია, რომ „ამეტისტოვი“ კანცელარიის ჩინოვნიკთა მიერ დამახინჯებული სომხური გვარი „ავეტისოვი“ იყოს.[2]

ამრიგად, ნეჩაეველთა საქმესთან დაკავშირებით დაკითხული ან სასამართლო პასუხისგებაში მიცემული იყო კავკასიური წარმოშობის 16 ახალგაზრდა. მათ შორის: 3 ქართველი (ჩერქეზიშვილი, ბაქრაძე, ლომიძე), 7 სომეხი (იშხანოვი, მუტაფოვი, ამირხანოვი, ტერ-ავეტისოვი, ე. და ი. ავეტისოვები, არუთინოვი) და 4 აზერბაიჯანელი (რაჰიმოვი, ხალილოვი, ჰაჯიბეკოვი, სარიბეკოვი). რაც შეეხება თბილისის გიმნაზიადამ-

---

1 ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, ед., хр. 434, ч. 2, л. 122.

2 ЦГИАМ, ф. 109, 1 экспед., 1866, ед. хр. 34, л. 53.

თავრებულ რიჰმანსა და შანაევს, მათი ეროვნული კუთვნილება დასაზუსტებელია.

მოტანილი საარქივო, მემუარული და სხვა სახის მასალებიდან ირკვევა, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში მოქმედი რევოლუციური წრეების საქმიანობასა და სტუდენტთა რევოლუციურ მღელვარებებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ეროვნების 102-მა ამიერკავკასიელმა ახალგაზრდამ. ამათ უნდა დავუმატოთ მკვლევარ ს. არეშიანის მიერ ახალი საარქივო მასალებით გამოვლინებული თორმეტი სომეხი სტუდენტი, რომელთა ერთი ნაწილი 1867 წელს გამოსულა მოსკოვის ლაზარევის სომხური სამასწავლებლო ინსტიტუტის რეაქციონერი პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ნაწილს მონაწილეობა მიუღია 60-იან წლებში მომხდარ რუს სტუდენტთა სხვადასხვა მღელვარებაში. ესენი იყვნენ: ძმები ვასილ და სტეფანე ალიხანოვები, მიხეილ მარქაროვი, ალექსანდრე ოგანესიანცი, ვასილ ეჯუბოვი, ანატოლ ერემოვი, ძმები ნიკოლოზ და ივანე ოგანოვები, გრიგორ ტერ-მიკირტიჩიანი, ალექსანდრე შაევრდოვი, ავეტიკ ტამამშევი და არშაკ ნახაპეტოვი.

60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ამ 114 ამიერკავკასიელი ახალგაზრდიდან ქართველი იყო 50-ზე მეტი, სომეხი — 46, ხოლო აზერბაიჯანელი — 6. დანარჩენები კი ამიერკავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებებს ეკუთვნოდნენ.

მოწინავე რუსი ინტელიგენციის მხარდამხარ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების რევოლუციური მუშაობა არც მომდევნო წლებში შეწყვეტილა. მათი ასეთი ერთობლივი ბრძოლა გრძელდებოდა 70-იან წლებსა და შემდეგ პერიოდშიც, ხოლო პროლეტარული პარტიის შექმნის შემდეგ იგი ახალი ძალით გაიშალა.

თავი VII

ფარული რევოლუციური წრეების შექმნა და რევოლუციურ-ხალხოსნური პროპაგანდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგს

1. ფარული რევოლუციური წრეები თბილისში 60-იან წლებში

60-იან წლებში რუსეთში მოსწავლე ამიერკავკასიელ ახალგაზრდებს არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი სამშობლოსთან. მათ მიმოწერა ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნებულ თავიანთ ამხანაგებთან და მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. ამავე პერიოდში სხვადასხვა მიზეზით ბევრი მოწინავე ახალგაზრდა დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. მათ დიდი ამაგი მიუძღვით ამიერკავკასიაში რევოლუციური იდეების გავრცელებასა და რევოლუციური წრეების შექმნაში.

ცხადია, რუსეთიდან დაბრუნებული ყველა ამიერკავკასიელი ახალგაზრდა, ანდა ისინი, რომლებიც პეტერბურგსა და მოსკოვში იმყოფებოდნენ და იქიდან ამყარებდნენ ურთიერთობას სამშობლოსთან, არ იყვნენ ტიპიური რევოლუციური ხალხოსნები. როგორც აღვნიშნეთ, რაზნოჩინული მოძრაობის ეტაპზე ამიერკავკასიაში სხვადასხვა იდეური მიმდინარეობა არსებობდა (განმანათლებლობა, ხალხოსნობა და ა. შ.).

60-იანი წლების ამიერკავკასიელ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილი მეტ-ნაკლებად იზიარებდა ხალხოსნურ შეხედუ-

ლებებს. ისინი თავიანთი მოღვაწეობის ამა თუ იმ ეტაპზე აღნიშნულ შეხედულებათა თვალსაჩინო პროპაგანდასაც ეწეოდნენ. ამით გარკვეულ გავლენას ახდენდნენ მასობრივი მოძრაობის გაძლიერებაზე, მოსწავლე ახალგაზრდობის ახალი იდეებით აღზრდაზე და ა. შ. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციურ-ხალხოსნური წრეების ჩამოყალიბება და სოციალური თავისუფლებისათვის მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის გაღვივება.

ამიერკავკასიის მოწინავე საზოგადოებრიობისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ხალხოსნობა გარედან თავს მოხვეულ იდეურ მიმდინარეობას როდი წარმოადგენდა. იგი ისევე კანონზომიერი საზოგადოებრივ-რევოლუციური იდეოლოგია იყო მაშინდელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის, როგორც რუსული ხალხოსნობა რეფორმისშემდეგდროინდელი რუსეთისათვის. როდესაც ლაპარაკია რეფორმისშემდეგდროინდელ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხალხოსნური იდეების გავრცელებაზე, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებსა და სტუდენტთა რევოლუციურ მღელვარებებში ამიერკავკასიელი ახალგაზრდების მონაწილეობა 60-იანი წლების ამიერკავკასიაში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის არსებობაზეც მიუთითებს. თუ ამას გავითვალისწინებთ, არ შეიძლება სადავოდ იქნეს მიჩნეული, რომ ხალხოსნობა ამიერკავკასიაში 60-იანი წლების დამდეგიდანვე იწყება.

მიუხედავად ამისა, 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში რევოლუციურ-რაზნოჩინულ მოძრაობაზე მსჯელობა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ შევეხებით ამიერკავკასიაში რევოლუციური წრეების არსებობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით გვსურს მკითხველის ყურადღება რამდენიმე გარემოებაზე შევაჩეროთ: ჯერ ერთი, ამიერკავკასიაში ხალხოსნური მოძრაობის გავრცელების სათავეს ამიერკავკასიის ცენტრი — თბილისი წარმოადგენდა, ამიტომ თბილისელ რევოლუციონერებზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს არა მარტო საქართველო,

არამედ საერთოდ ამიერკავკასიაში არსებული ვითარება; მეორეც, 60-იანი წლების თითქმის ყველა ამიერკავკასიელი პროგრესული საზოგადო მოღვაწე, მიუხედავად იმისა, ბოლომდე დარჩნენ ისინი ხალხოსანთა რიგებში თუ არა, მეტ-ნაკლებად განიცდიდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავლენას, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ამიერკავკასიაში, როგორც აგრარულ მხარეში, ხალხოსნობამ თავიდანვე ნაყოფიერი სოციალურ-ეკონომიური ნიადაგი პოვა. სწორედ ამან განაპირობა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ხანგრძლივი არსებობა. მესამეც, მართალია, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საგლეხო რეფორმა რუსეთთან შედარებით გვიან გატარდა, მაგრამ აქაური რაზნოჩინელების რევოლუციური მოძრაობა უფრო ადრე დაიწყო. იგი ქრონოლოგიურად თითქმის ემთხვევა რაზნოჩინული ანუ ხალხოსნური მოძრაობის დაწყებას რუსეთის სინამდვილეში. ამის ნათელი დადასტურებაა არა მარტო ის, რომ რუსეთის რევოლუციურ-ხალ.. ხოსნურ მოძრაობაში ამიერკავკასიელი ახალგაზრდები მისი დაწყებიდანვე მონაწილეობდნენ, არამედ ისიც, რომ თბილისის მოწინავე საზოგადოებრიობაში ადრევე იჭრება რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები; ფარული რევოლუციური წრეები აქ 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგიდან იქმნება.

ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს თბილისში შექმნილა რაზნოჩინელი ახალგაზრდების ფარული წრე.

ამ წრის მოღვაწეობის ისტორია თავის დროზე ფილიპე მახარაძემ გააშუქა. წრეში გაერთიანებული ყოფილან დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, ი. ინდუაშვილი და სხვ.ისინი სისტემატურად იკრიბებოდნენ და გამოჩენილი რუსი მოღვაწეების ნაშრომებს კითხულობდნენ. წრის სხდომებზე ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ, სოციალურ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ფ. მახარაძის სიტყვით, „სურამის ციხის“ შექმნაზე თვალსაჩინო გავლენა სწორედ ამ წრეში მსჯელობას მოუხდენია.

წრის წევრები მხოლოდ შეკრებებითა და წიგნების კითხვით არ კმაყოფილდებოდნენ. მათ გლეხობაში მოწინავე აზ-

რების შეტანაც უცდიათ. ამ მხრივ აღსანიშნავია დ. ჭონქაძის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები. „ყოველ ზაფხულს, — წერს ამის შესახებ ფ. მახარაძე, — როცა დანიელს სამსახური ნებას აძლევდა, ის დადიოდა თავის სამშობლო სოფელში, მიქონდა იქ სხვადასხვა წიგნები, რომლებსაც უკითხავდა გლეხკაცებს და ამით სურდა გაეღვიძებინა მათში წერა-კითხვის შესწავლის სურვილი“[1].

მეტად თვალსაჩინო მოვლენა იყო დანიელ ჭონქაძის მიერ „სურამის ციხის“ შექმნა. მან ახალგაზრდობაზე უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა. ანტონ ფურცელაძის გადმოცემით, „ეს წიგნი ახალგაზრდა მოსწავლეთ თითქმის დაიზეპირეს“[2].

მუქთახორა ქართველმა მებატონეებმა „სურამის ციხეში“ თავიანთი თავი როგორც სარკეში ისე დაინახეს, ამიტომ ავტორის მოკლა განიზრახეს.

დანიელ ჭონქაძის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, მისი წრე დაიშალა. ყოველ შემთხვევაში, შემდეგში ამ წრის არსებობის შესახებ რაიმე ცნობა არ მოიპოვება.

60-იანი წლების დამდეგისათვის, კერძოდ, 1860—1862 წლებში თბილისში იქმნება მოწინავე რაზნოჩინელი ახალგაზრდობის ახალი წრე, რომლის შექმნა ქართული რევოლუციური ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგის ანტონ ფურცელაძის სახელთანაა დაკავშირებული.

1911 წელს გაზეთ „ზაკავკასკაია რეჩის“ 16—17 სექტემბრის ნომრებში (№№ 256, 257) დაბეჭდილია ა. ფურცელაძის მეტად საყურადღებო მოგონება, რომელშიც დაწვრილებითაა ლაპარაკი თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის აღნიშნული წრის შესახებ. ერთი შეხედვით, ეს მოგონება თითქოს მხოლოდ ვ. თულაშვილის ცხოვრების აღწერას ეძღვნება, მაგრამ ავტორი დასაწყისშივე სცილდება ვიწრო ბიოგრაფიულ ჩარჩოებს და ვრცლად მოგვითხრობს 60-იანი წლების თბილისის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ა. ფურცელაძის მოგონებიდან ჩანს, რომ თბილისის მოწი-

---

1 ფ. მახარაძე, დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, თბ., 1939, გვ. 22.

2 „ცისკარი“, 1863, № 1.

ნავე ახალგაზრდობის წრე თავისი შემადგენლობით მრავალეროვანი იყო. მასში შევიდნენ ქართველი, სომეხი და რუსი რაზნოჩინელი მოსწავლე ახალგაზრდები: ანტონ ფურცელაძე. ლევან ჯანდიერი, ვასილ მაჩაბელი, კონსტანტინე ივანოვი, გიორგი პაიჭაძე, სარქისოვი, აივაზოვი, მამულოვი და სხვ. ამ წრესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აგრეთვე უფროსი თაობის წარმომადგენლებს: ვახტანგ თულაშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ნიკოლოზ ყიფიანს და სხვ. ისინი ეხმარებოდნენ ახალგაზრდებს სპექტაკლების მომზადებაში, დადგმებისათვის სათანადო შენობის შოვნაში და ა. შ. რა თქმა უნდა, წრესთან მათ ასეთ ურთიერთობას არაფერი ჰქონდა საერთო სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მოსწავლე ახალგაზრდობის მსჯელობასთან.

ა. ფურცელაძის წრეს საფუძველი ჩაეყარა 1860—1861 წლებში. პირველ ხანებში წრეში ა. ფურცელაძესთან ერთად მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა სემინარიელი და მოხელე შედიოდა. თვითგანვითარების მიზნით ისინი კითხულობდნენ დიდძალ ლიტერატურას. ამ წრეს თანდათან დაუკავშირდნენ სემინარიისა და გიმნაზიის ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლის გარეშე ლიტერატურით იყვნენ დაინტერესებულნი. წრის წევრთა საქმიანობა თანდათან გაფართოვდა. მათ რეგულარულად იწყეს შეკრება. ამ შეკრებებზე კითხულობდნენ რადიკალური შინაარსის როგორც რუსულ, ისე საზღვარგარეთულ ლიტერატურას. — „ჩვენ,—იგონებს ა. ფურცელაძე,—კვირაში ერთხელ და ყველა უქმე დღეებში ვაწყობდით ლიტერატურულ კითხვებს, ვკითხულობდით რეფერატებს და სხვ. რუსეთის გონებრივ ცენტრში გაღვიძებული ახალი ცხოვრების გავლენა გაკვრით შეეხო ჩვენს წრესაც. კრებებზე ჩვენ ვკითხულობდით ჟურნალებს, გაზეთებს, წიგნებს ახალი მიმართულების შინაარსისა. ჩვენ ხელში გვივარდებოდა აგრეთვე საზღვარგარეთული გამოცემებიც“[1].

მოსამზადებელი მუშაობის დროს წრის წევრთა წინაშე არა ერთი პრაქტიკული საკითხი წამოიჭრა. ასე მაგალითად, წრის წევრებმა გადაწყვიტეს უფრო დაახლოებოდნენ გიმნა-

---

[1] გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1911, № 256.

ზიისა და სემინარიის მოსწავლეებს, რათა მათი ძალები, რომელიც ერთმანეთში უაზრო ქიშპობასა და ჩხუბში იხარჯებოდა, „წარემართათ უფრო სასარგებლო საქმეზე და ხელი შეეწყოთ მათი გონებრივი განვითარების, გრძნობათა გაკეთილშობილების, მოქალაქეობრივი მოვალეობებისა და შეგნების ამაღლებისათვის“[1].

გიმნაზიისა და სემინარიის მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით წრის წევრებს გადაუწყვეტიათ დრამატული ჯგუფის შექმნა. ამ საქმეში მათთვის დიდი დახმარება გაუწევია ვ. თულაშვილს.

ამ მიმართულებით წრის მუშაობას მალე თვალსაჩინო შედეგი გამოუღია. ეს წრე სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდათა ინტერნაციონალურ ოჯახად გადაქცეულა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი წევრების ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ამ წრის ინტერნაციონალური შემადგენლობის შესახებ ა. ფურცელაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „დიახ! ყველა ჩვენგანი ერთად ეწეოდა მუშაობას. მართალია, ცენტრალურ ბირთვს ქართველი ახალგაზრდობა წარმოადგენდა, მაგრამ აქ იყვნენ რუსები, სომხები, პოლონელები და სხვები. ყველანი ვმუშაობდით საერთო საქმისათვის, გვწამდა, რომ იმპერიაში ცალკეული ეროვნებების განვითარება და პროგრესი საკეთილდღეო იქნება საერთო სამშობლოსი, ჩვენი რწმენით, ყოველ ერს, რაც უფრო დააგვიანებს იგი პროგრესულ განვითარებას, მით უფრო ცოტა ეყოლება ინტელიგენტური ძალები და, მაშასადამე, მით უფრო სუსტი იქნება თვით სახელმწიფოც. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სუსტმა ერებმა რაც შეიძლება მეტად დაძაბოს ძალები თავიანთი განვითარების დონისა და ხალხთა კეთილდღეობის ამაღლების მიზნით“[1].

ანტონ ფურცელაძის წრის ავტორიტეტი თანდათან გაიზარდა. გადიდდა მისი წევრების რაოდენობა, გაფართოვდა მუშაობა. ამ წრემ დიდი როლი შეასრულა ამიერკავკასიელ რევოლუციონერ-ხალხოსანთა კადრების აღზრდის საქმეში.

---

[1] გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩ“, 1911, № 256.

[2] იქვე.

სხვადასხვა დროს მისი წევრები ან თანამგრძნობნი იყვნენ: გამოჩენილი პედაგოგი და დემოკრატი ი. გოგებაშვილი, გერცენის ძველი მეგობარი ი. მამაცაშვილი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნ. ცხვედაძე, ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, გამოჩენილი რევოლუციონერი ხალხოსნები: ანნა დომბროვსკაია, ნ. ხუდადოვი, ლ. მღებრიშვილი, ს. ხოჯაევი, ი. ბაქრაძე, ნ. ლომოური, ელენე ბროძელი-ანტონოვსკაია, ელისაბედ ყაზბეგი, აგრეთვე დემოკრატიული შეხედულების ახალგაზრდები: ბაბო ხვედელიძე, დარია მამაცაშვილი, ვარვარა გასპაროვა, ეკატერინე ღვინიევა, ვარვარა ვაჩნაძე, ანატოლ ვიუჩინი, გ. იოსელიანი და სხვ.

ჩვენ არ მოგვეპოვება აღნიშნული წრის პროგრამა-წესდება ან კრებების ოქმები, არც ის ვიცით, წრეს ჰქონდა თუ არა ესენი შედგენილი. ერთი სიტყვით, ხელთ არა გვაქვს ისეთი უტყუარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უყოყმანოდ მოგვცემდა საშუალებას დაგვემტკიცებინა წრის რევოლუციურ-დემოკრატიული ბუნება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წრის ხელმძღვანელი იყო ქართველი ხალხოსნების იდეოლოგი ა. ფურცელაძე, ხოლო მის წევრებად სხვადასხვა ეროვნების რამდენიმე რევოლუციონერი ხალხოსანი ირიცხებოდა, არ შევცდებით თუ ამ წრეს რევოლუციურ-ხალხოსნურ წრედ მივიჩნევთ.

როგორც აღვნიშნეთ, ა. ფურცელაძის წრის წევრები 60-იანი წლების დამდეგისათვის კითხულობდნენ რუსულსა და საზღვარგარეთულ ისეთ გამოცემებს, რომლებსაც ახალი აზრები შეჰქონდათ თბილისელ მოსწავლე ახალგაზრდობაში.

საინტერესოა გაირკვეს, თუ საიდან და რა გზით შეეძლო მიეღოთ მათ ასეთი რევოლუციური შინაარსის ლიტერატურა? ერთი მხრივ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს წიგნები ამიერკავკასიაში პეტერბურგიდან შემოჰქონდათ. თუ ასეა, ამ საქმეში სათანადო როლს შეასრულებდნენ იქაურ უნივერსიტეტში მოსწავლე ამიერკავკასიელი ახალგაზრდები, მეორე მხრივ, სავარაუდოა რომ აკრძალული ლიტერატურა ჩვენში უშუალოდ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. ამ ვარაუდის დაშვების უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება: მასალებიდან ცნობილია, რომ 50—60-იანი წლების მიჯნაზე საზღვარგარე-

თიდან რევოლუციური ლიტერატურა სწორედ კავკასიის გზით შემოჰქონდათ. „ლონდონელი პროპაგანდისტების“ საზღვარგარეთელმა კომიტეტმა ეს საქმე უშუალოდ მ. ნალბანდიანს დაავალა. მისი დამხმარე იყო ბაკუნინის მიერ რეკომენდებული რევოლუციონერი ვორონოვი.

მ. ბაკუნინისა და მ. ნალბანდიანის იმ მიმოწერაში, რომელშიც ლაპარაკია კოსტანტინოპოლის გზით კავკასიაში აკრძალული ლიტერატურის შემოტანაზე, არაერთხელ მოიხსენიება თბილისი. სხვადასხვა დროს თბილისში იმოგზაურეს როგორც ნალბანდიანმა, ისე ვორონოვმა. საზღვარგარეთ გამგზავრების წინ კი თბილისის მოწინავე ინტელიგენციამ მ. ნალბანდიანს მხურვალე შეხვედრა მოუწყო. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ მ. ნალბანდიანი მჭიდრო კავშირურთიერთობაში ყოფილა თბილისელ რევოლუციონერ ახალგაზრდებთან.

ჩვენი აზრით, ის ახალგაზრდები, რომლებიც მ. ნალბანდიანს თბილისში ხვდებოდნენ, სწორედ თბილისის რაზნოჩინული რევოლუციური წრის წევრები იქნებოდნენ. ეს მოსაზრება მით უფრო სარწმუნოა, რომ თბილისის წრის წევრებს შორის არა ერთი სომეხი ახალგაზრდა იყო. მ. ნალბანდიანი კი 60-იანი წლების დამდეგისათვის სომეხი რაზნოჩინელი ინტელიგენციის მედროშე გახლდათ. როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ მცხოვრები სომეხი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ნალბანდიანს თავიანთ ხელმძღვანელად აღიარებდნენ. შეუძლებელია, თბილისელ რევოლუციონერ სომხებსა და ნალბანდიანს შორის კავშირი არ არსებულიყო.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ შემოტანილი ლიტერატურის ნაწილი თბილისში დარჩებოდა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის საზღვარგარეთული ახალი მიმართულების ლიტერატურა, რომელიც ა. ფურცელაძის სიტყვით, წრის წევრებს „ხელში უვარდებოდათ“ წასაკითხად.

ანტონ ფურცელაძის წრის პარალელურად, როგორც ამას ახალი საარქივო მასალები ადასტურებენ, თბილისში მოქმედებდა პოლონელი რევოლუციონერების არალეგალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ლეონიდ ზაგურსკი ედგა. ლ. ზაგურსკის „საეჭვო“ საქმიანობის შესახებ ჟანდარმერიამ მხოლოდ 1866 წლისათვის მიიღო ცნობები. ზაგურსკის ბრალად

ედებოდა საზღვარგარეთ, აგრეთვე უკრაინაში მოქმედ რევოლუციონერებთან კავშირურთიერთობა. ხელისუფლება მკაცრად შეუდგა გამოძიებას, მაგრამ ლ. ზაგურსკის პასუხისგებაში მისაცემად საჭირო მასალების შეგროვება ვერ შეძლო. ამიტომ საკმარისად მიიჩნიეს მისი ადმინისტრაციული წესით დასჯა. იგი პოლიციის მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს[1].

შესაძლებელია აგრეთვე, რომ ლ. ზაგურსკის ჯგუფსა და ა. ფურცელაძის რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეს ერთმანეთთან კავშირი ჰქონოდათ. საქმე იმაშია, რომ ა. ფურცელაძის წრეში სხვა ეროვნების ახალგაზრდებთან ერთად პოლონელებიც შედიოდნენ. გარდა ამისა, 1863 წელს აჯანყებული პოლონელების დასახმარებლად თბილისში ფულის შეგროვება დაიწყეს.

პროფ. ი. ხუციშვილის მიერ მიკვლეული ახალი მასალებიდან ცხადი ხდება, რომ თბილისის მოწინავე საზოგადოებას საკმაო რაოდენობით შეუგროვებია თანხა და ექიმ სობოლშჩიკოვის მეუღლის ხელით გადაუგზავნია ოდესაში, რათა იქიდან გადაეცათ პოლონეთში მოქმედი სახალხო პატრიოტული ცენტრის ხელმძღვანელობისათვის[2].

პოლონელი რევოლუციონერების დასახმარებლად თბილისში ფულის შეგროვების ინიციატორი აქ მცხოვრებ პოლონელებთან ერთად ა. ფურცელაძის წრეც იქნებოდა. ყოვლად შეუძლებელი და არალოგიკურია იმის დაშვებაც კი, რომ აჯანყებული პოლონელების დასახმარებლად თბილისში ფულის შეგროვება აქაური რევოლუციონერების გარეშე მომხდარიყო. ამ საქმეში ალბათ სათანადო წვლილი შეიტანეს რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ქართველმა სტუდენტებმაც ბ. ღოღობერიძის ხელმძღვანელობით.

ამრიგად, 60-იან წლებში თბილისში არსებული რევოლუციური წრეების წევრები, რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში მიმდინარე რევოლუციურ ბრძოლებში მონაწილე ამიერკავკასიელ ახალგაზრდებთან ერთად, ქართველი, სომეხი და აზერ-

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 59, ფურც. 5—6.

2 იხ. ი. ხუციშვილი, საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1959.

ბაიჯანელი ხალხების სოციალური და კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდნენ.

2. სომეხი ინტელიგენციის რევოლუციური მოძრაობა 60-იანი წლების დამლევსა და 70-იანი წლების დამდეგს

თბილისის მოწინავე ახალგაზრდობის მიერ ჩამოყალიბებულ რევოლუციურ წრეებში, როგორც ზევით დავინახეთ, ბევრი სომეხი ახალგაზრდა იყო გაერთიანებული.

თბილისის ფარულ რევოლუციურ წრეებში მონაწილეობის გარდა, სომეხი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებმა 1868 წელს სომხეთშიც, კერძოდ, ქ. ალექსანდროპოლში დააარსეს რევოლუციური ფარული ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდებოდა „კეთილი მიზნების საზოგადოება"[1]. მისი ფუძემდებელი მასწავლებელი არსენ კრიტიანცი იყო. ეს საზოგადოება გარეგნულად საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. თითქოს და მის მიზანს მხოლოდ ბიბლიოთეკის დაარსებლად წიგნების შეძენა შეადგენდა; სინამდვილეში კი რევოლუციურ წრეს წარმოადგენდა.

ეს იყო პირველი ფარული პოლიტიკური საზოგადოება სომხეთში, რომელიც შეიქმნა მიქაელ ნალბანდიანის მიერ შემუშავებული სომხური რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მოსახლეობაში პროპაგანდისათვის. თვითონ მისი წევრები თავს მ. ნალბანდიანის მიმდევრებად თვლიდნენ. ამ საზოგადოების ფუძემდებლები — ა. კრიტიანცი, პ. აიკაზუნი და სხვ. განიცდიდნენ მიქაელ ნალბანდიანის გავლენას. ვ. აიკაზუნი თავის მოგონებაში მოგვითხრობს, რომ საზოგადოების ხელმძღვანელებმა მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ოვანეს ესაიანის საშუალებით შეიძინეს მ. ნალბანდიანის შესანიშნავი ნაშრომი „მიწათმოქმედება როგორც საიმედო გზა", აგრეთვე მეფის ცენზურის მიერ აკრძალული სხვა წიგ-

---

1 ЦГИАЛ, ф. 1405, оп. 521, ед. хр. 392, л. 84

ნები და პერიოდული გამოცემები. ამ წიგნების წაკითხვა და გარჩევა საზოგადოების ფარულ შეკრებებზე ხდებოდა. შემდეგ საზოგადოების წევრები „ფიქრობდნენ და ეძებდნენ გზას, თუ რა საშუალებით შეიძლებოდა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება“[1].

ალექსანდროპოლის ფარული საზოგადოების წევრთა რაოდენობა 1868—1869 წლებში 43 კაცამდე აღწევდა. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ არსენ კრიტიანცი, ტეპროს აიკაზუნი, ალექსანდრე აფრიკიანი, ამბარცუმ ბალასანიანი, კარაპეტ ოგანჯანიანი, ჩიმიშხიანი, გორიანცი და სხვ.

ალექსანდროპოლის ფარულმა საზოგადოებამ 1870 წლისათვის შეწყვიტა თავისი საქმიანობა, ხოლო 1874—1875 წლებში კვლავ განაახლა.

საყურადღებო ფაქტია, რომ ალექსანდროპოლის ფარული საზოგადოების წევრთა აქტიური მოღვაწეობის პერიოდი სავსებით ემთხვევა ნეჩაეველთა მიერ რუსეთში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის გაშლის პერიოდს. როგორც აღვნიშნეთ, 1868—1869 წლებში პეტერბურგ-მოსკოვში არსებობდა ძლიერი რევოლუციურ-ხალხოსნური ორგანიზაცია ს. ნეჩაევისა და პ. ტკაჩევის ხელმძღვანელობით. ნეჩაევის რევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბმული იყვნენ ამიერკავკასიელი ახალგაზრდები. ამათგან სომეხ სტუდენტს ჯავად იშხანოვს ამიერკავკასიელებისაგან ცალკე ნეჩაევური წრეც კი ჰქონდა ჩამოყალიბებული, ხოლო პ. იზმაილოვი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პერიოდის სტუდენტთა მღელვარებებში, რისთვისაც ისინი ამიერკავკასიის გუბერნიებში გადმოასახლეს. იბადება კითხვა: ხომ არ იყო რაიმე კავშირი ნეჩაევის „ნაროდნაია რასპრავასა“ და ალექსანდროპოლში ა. კრიტიანცის მიერ დაარსებულ ფარულ ორგანიზაციას შორის? სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ორ ფარულ ორგანიზაციას შორის მართლაც არსებობდა რაიმე კავშირი მათი წევრების მეშვეობით.

---

[1] В. А. Парсамян. Из истории армянского освободительного движения, Ер., 1958, стр. 173—174.

ყოველ შემთხვევაში, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ა. კრიტიანცი 1868—1869 წლებში რუსეთის რევოლუციური მოვლენების საქმის კურსში იქნებოდა. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ფაქტიც: როდესაც რუსეთში ნეჩაეველთა ორგანიზაცია ჩავარდა, ალექსანდროპოლის ფარულმა ორგანიზაციამაც შეწყვიტა მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჟანდარმერიას არ შეუწუხებია, ხოლო 1874 წლისათვის, როდესაც რუსეთში ფართოდ გაიშალა რევოლუციონერ-ხალხოსანთა მოძრაობა — „ხალხში გასვლა“, ა. კრიტიანცის საზოგადოებამაც კვლავ გამოაცოცხლა თავისი საქმიანობა. არ გვგონია ეს ფაქტი მხოლოდ უბრალო დამთხვევა იყოს.

საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ 70-იანი წლების დამდეგისათვის თბილისშიც არსებობდა სომეხი ახალგაზრდობის ფარული საზოგადოება. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებული კონკრეტული მასალების მიკვლევა არ მოხერხდა და ამიტომ შესაძლებლობა არ გვაქვს ვიმსჯელოთ მისი ხელმძღვანელობის, ორგანიზაციული წყობის, პროგრამა-წესდებისა და სხვათა შესახებ, მაგრამ ასეთი საზოგადოება რომ მართლაც არსებობდა, ეს, ვგონებთ, უდავო ფაქტია. ეს არც ჟანდარმერიას გამორჩენია მხედველობიდან და პირველი ცნობების მიღებისთანავე გაფაციცებით შეუდგა გამოძიებას.

გამოძიების დაწყების ფორმალურ საფუძვლად შემდეგი ფაქტი იქცა: 1874 წლის გაზაფხულზე თბილისსა და ერევანში უცნობმა პირებმა იწყეს მ. ნალბანდიანის სურათების გავრცელება. ამ სურათებს ფოსტით უგზავნიდნენ სხვადასხვა პირებს. ამის შესახებ ერევნის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი მესამე განყოფილების უფროსსა და კავკასიის მეფისნაცვალს სპეციალურ მოხსენებით ბარათში სწერდა: „უკანასკნელ დროს თბილისიდან აქ (ერევანში) მოდიოდა ახალგაზრდა სომხების სახელზე სომეხი მწერლის ნალბანდიანის სურათები, ნალბანდიანისა, რომელიც ხელისუფლების საწინააღმდეგო თხზულებათა დაწერისათვის გადასახლებული იყო სარატოვის გუბერნიის ქალაქ კამიშონში, სადაც ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა. ნალბანდიანის სურათებზე იყო ბევრი წარწერა მის მიმართ საქებარი სიტყვებით. მაგალითად, „სამშობლოს მხსნელი“. ეს სურათები თბი-

ლისში უფასოდ ურიგდება ახალგაზრდობას. სურათებს ურიგებენ აგრეთვე სკოლებში სომეხ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აგრეთვე მათ, რომლებმაც დაამთავრეს სწავლის კურსი. მაგრამ ვინ არიგებს ამ სურათებს, ამის შესახებ ჯერ-ჯერობით ცნობები არ მაქვს"[1].

ამ ცნობის მიღებისთანავე კავკასიის მეფისნაცვალმა დაავალა თბილისისა და ერევნის გუბერნატორებს, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ გამოძიებას მ. ნალბანდიანის სურათების გამავრცელებელთა აღმოსაჩენად.

როგორც ჩანს, ასეთივე განკარგულება უნდა გაგზავნოდა ელიზავეტოპოლის გუბერნატორსაც. ამაზე მიუთითებს განკარგულების ასლზე მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფროსის პრიბილოვის მინაწერი „თუ კეთილს ინებებთ და მოიწონებთ, ვფიქრობ მივწერო აგრეთვე ელიზავეტოპოლის გუბერნატორსაც"[2]. ელიზავეტოპოლის გუბერნატორისათვის აღნიშნული განკარგულების გაგზავნა იმიტომ გახდებოდა საჭირო, რომ ალბათ იქაც ვრცელდებოდა მ. ნალბანდიანის სურათები.

პირველ რიგში შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ რომელ ფოტოსახელოსნოში იყო დაბეჭდილი აღნიშნული სურათები. გაჩხრიკეს თბილისის ფოტოგრაფიული სახელოსნოები, „რის შედეგადაც არტურ შახბაზიანის ფოტო სახელოსნოში აღმოაჩინეს ნეგატივი მ. ნალბანდიანის ორი გამოსახულებით"[3] დაკითხვისას შახბაზიანმა განაცხადა, რომ მ. ნალბანდიანის სურათის ნეგატივი მას მიუტანა „უცნობმა პირმა". მართალია, შახბაზიანის ფოტოსახელოსნოზე ჟანდარმერიამ მკაცრი მეთვალყურეობა დააწესა, მაგრამ „უცნობი პირის" აღმოჩენა მაინც ვერ შეძლო. უნდა ვიფიქროთ, რომ შახბაზიანის ფოტოსახელოსნოში ჩატარებული ჩხრეკა, იმ პირთათვის, რომლებიც მოსწავლე-ახალგაზრდობაში მ. ნალბანდიანის სურათებს ავრცელებდნენ, თავისებური გამაფრთხილებელი სიგნალი გახდებოდა, ამიტომ ისინი ყოველმხრივ შეეცდებოდნენ კვა-

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 3236, ფურც. 3.

2 იქვე, ფურც. 7—8.

3 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 3236, ფურც. 10.

ლის დაფარვას და, ბუნებრივია, ფოტოსახელოსნოშიც აღარ გამოჩნდებოდნენ.

თბილისელმა ჟანდარმებმა ამჯერად ვერ აღმოაჩინეს რაიმე ფარული ორგანიზაცია, მაგრამ ეს გარემოება არ გვაძლევს უფლებას უარვყოთ 70-იანი წლების I ნახევარში თბილისში სომეხი ახალგაზრდობის ფარული საზოგადოების არსებობის ფაქტი. ცხადია, მ. ნალბანდიანის სურათების გამრავლება, მათზე წარწერების გაკეთება და უფასოდ გავრცელება არ შეიძლება შემთხვევით პირს გაეკეთებინა. ამ საქმეში უთუოდ ურევია სათანადო ფარული წრის ხელი, წრისა, რომლის წევრებიც დაინტერესებული ყოფილან მოსწავლე ახალგაზრდობაში რევოლუციური და ეროვნული სულისკვეთების გაღვივებით. საქმე იმაშია, რომ მიქაელ ნალბანდიანის სახელი სომხეთის მოწინავე საზოგადოებრიობისათვის ცარიზმისა და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო იყო. ამიტომ მის სურათებს სომეხ ახალგაზრდობაზე შეეძლო ყოველგვარ პროკლამაციაზე მეტი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოეხდინა.

სომეხ ახალგაზრდობაში რევოლუციური სულისკვეთების ამაღლების პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა რუსეთის დედაქალაქებსა და ცენტრალურ გუბერნიებში რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის გაძლიერების პერიოდს. ეს იმას მოწმობს, რომ სომხეთში, ისე როგორც საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში, ამ პერიოდში გამოცოცხლებული რევოლუციური მოძრაობა რუსეთის რაზნოჩინელი ახალგაზრდობის რევოლუციური ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო და სოციალური რევოლუციის მოხდენის საერთო საქმეს ემსახურებოდა.

3. ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდა ამიერკავკასიის სოფლებში 60—70-იანი წლების დამდეგს

საარქივო მასალებში დაცულია მრავალი ცნობა, რომლებიც მიუთითებენ 60-იანი წლების დამდეგიდან ამიერკავკასიის სოფლებში ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგან-

დის გავრცელებაზე. დოკუმენტებში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა და ხელმწიფე იმპერატორის საწინააღმდეგო პროპაგანდას მხოლოდ იზდივიდუალური, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, უმაღლესი ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის რევოლუციური ძრვეები არც ამიერკავკასიას ტოვებდნენ უყურადღებოდ და სწორედ ისინი წარმართავდნენ იქაურ სოფლებში მომუშავე პროპაგანდისტთა საქმიანობას. ეს ნათლად ჩანს იმ მიწერილობიდან, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის საფუძველზე ერევნის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს მაზრების უფროსებისათვის 1863 წლის იანვარში დაუგზავნია. მასში ვკითხულობთ: „რამდენიმე ხანია საზღვარგარეთიდან რუსეთში შემოვიდა ორი ლითოგრაფირებული წერილი, რომლებიც ეკუთვნის რუსეთიდან განდევნილ ოგარიოვს. მათში არის მოწოდება მთავრობის წინააღმდეგ მოქმედების შესახებ". ამასთან ისინი შეიცავენ „აღმაშფოთებელ მოთხოვნებს". ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ავალებდა ადგილობრივ პოლიციას, „ყურადღებით გამოერკვია, ხომ არ გამოჩენილა ეს წერილები გუბერნიის რომელიმე კუთხეში:". იმ შემთხვევაში, თუ ამას ადგილი ექნებოდა, მაშინვე მიეღოთ, „მკაცრი ზომები, როგორც მათი აშკარა გამავრცელებლების, ისე გუბერნიის ფარგლებში შემომტანთა მიმართ"[1].

იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების ეჭვით 60-იანი წლების დამდეგისათვის ამიერკავკასიაში თვით ნ. გ. ჩერნიშევსკიც გამოჩენილა. ამაზე მიუთითებს ერევნის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტი. ამ დოკუმენტიდან, რომელიც 1861 წლის 30 დეკემბრითაა დათარიღებული, ჩანს, რომ ერევნის სამხედრო გუბერნატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარის საფუძველზე, ერევნის გუბერნიის ყველა საპოლიციო დაწესებულებას, მათ შორის ეჩმიაძინის პოლიციასაც, დაუგზავნა სპეციალური მიწერილობა. მასში აღნიშნულია: „იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატორ ნიკოლოზ ჩერნიშევსკისაგან მიიღებთ თხოვნას მის-

[1] ЦГИА Армянской ССР, ф. 102, оп. I, ед. хр. 19, ч. I, л. 2.

თვის საზღვარგარეთული პასპორტის მიცემის შესახებ. იგი მას არ მისცეთ და ეს საკითხი გადასაწყვეტად აცნობეთ გუბერნიის მმართველობას"[1].

უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება სპეციალურ ზომებს იღებდა, რათა 60-იანი წლების რუსეთის სტუდენტთა მღელვარებებში მონაწილეობისათვის ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ მოსწავლე-ახალგაზრდებს მოსპობოდათ საზღვარგარეთ წასვლის და, მაშასადამე, იქ მყოფ რუს ემიგრანტ რევოლუციონერებთან დაახლოების შესაძლებლობა. ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიაში რევოლუციური პროპაგანდის გავრცელების საქმეში რუსი რევოლუციონერები განსაკუთრებით საიმედო ძალად თვლიდნენ მთავრობის მიერ რეპრესირებულ სტუდენტებს; სწორედ მათგან არჩევდნენ ისინი საჭირო პროპაგანდისტებს. იმპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილების განსაკუთრებული მიწერილობიდან გამომდინარე, ერევნის სამხედრო გუბერნატორი 1863 წლის 7 ივლისს საიდუმლო ცირკულარით აფრთხილებდა ყველა მაზრის საპოლიციო სამმართველოებს: არ მიეცეთ საზღვარგარეთის პასპორტები იმ სტუდენტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ უწესრიგობაში. გუბერნატორის სიტყვით, პასპორტის გაცემაში გამონაკლისი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, „თუ ამაზე მიღებული იქნება უმაღლესი ხელისუფლების განსაკუთრებული ნებართვა"[2]. ცხადია, გუბერნატორის ამ მიწერილობაში ნაგულისხმები არიან ის ახალგაზრდები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1861 წლის სტუდენტთა გამოსვლებში.

უფრო ქმედითი ხასიათი რომ მიეცა საეჭვო პირების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, კავკასიის ხელისუფლებამ გაატარა სხვა სპეციალური ღონისძიებებიც. მაგალითად, კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით გაფართოვდა გუბერნიებისა და მაზრების უფროსთა უფლება-მოვალეობანი. ამის შესახებ განკარგულებაში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე სოფლის სა-

---

1 გაზ. „კომუნისტი" (ერევანი), 1943, № 149.

2 ЦГИА, Арм. ССР, ф. 102, оп. I, ед. хр. 19, ч. I, л. 13.

ზოგადოებაში მისი რომელიმე წევრის ინტრიგების გამო ადგილი ექნება უწესრიგობას, ან იმ შემთხვევაში, თუ ასეთ პირებს მფარველობას გაუწევენ არაკეთილსაიმედო ადამიანები, გუბერნიის უფროსებს უფლება ეძლევათ, მთავარი დამნაშავენი თავისი შეხედულებით გადაასახლონ გუბერნიის სხვა რომელიმე კუთხეში. ხოლო თუ მათი გადასახლება საჭიროა გუბერნიის გარეთ, ამისათვის გამოთხოვილ იქნეს მეფისნაცვლის ნებართვა".

უმაღლესი მთავრობის მიერ მიღებული ასეთი გამაფრთხილებელი ზომებისა და კავკასიის ხელისუფლების მხრივ გატარებული განსაკუთრებული ღონისძიებების მიუხედავად, პოლიტიკურად საეჭვო ადამიანების საქმიანობა არათუ ისპობა, არამედ უფრო აქტიურდება. გახშირდა უმაღლესი ხელისუფლებისა და კავკასიის ხელისუფალთა მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმის, მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა გაკრიტიკებას, გლეხობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციისა და სხვა შემთხვევები. აშკარად იგრძნობოდა, რომ საეჭვო ადამიანები არ ისვენებდნენ და ცარიზმის მოსელეებისა და გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ ფარულად მოქმედებდნენ.

1867 წელს სენაკის მაზრის სოფ. ჭალადიდის გლეხობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა დაბალი წოდებიდან გამოსული ნიკო გრიგოლია. იგი გლეხებს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ თავადაზნაურობას. ნ. გრიგოლიას მიერ წაქეზებულმა ჭალადიდელმა გლეხებმა აშკარა მღელვარება დაიწყეს. ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით მღელვარება ჩააქრეს სამხედრო ნაწილების დახმარებით, ხოლო ნიკო გრიგოლია შეიპყრეს და კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით ბაქოს გუბერნიაში გადაასახლეს[1].

60-იან წლებში გლეხობაში ექსპლოატატორული წყობილების საწინააღმდეგო იდეებს ავრცელებდა მღვდლის შვილი ანტონ ქიქოძე. იგი წარმოშობით ქუთაისის გუბერნიის სოფ. იანეთიდან იყო, მაგრამ თელავის მაზრის სოფ. ნაფარეულში

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 1302, ფურც. 1—2.

ცხოვრობდა და ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდა იმავე მაზრის სხვადასხვა სოფლის გლეხებს შორის[1].

საარქივო მასალების მიხედვით, რაზნოჩინელი ანტონ ქიქოძე პროფესიონალი პროპაგანდისტი ყოფილა. იგი ჯერ კიდევ 1866 წელს აქეზებდა თელავის მაზრის გლეხებს მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოუწოდებდა მათ არ დამორჩილებოდნენ ხელისუფლებას და მიწა და „ნამდვილი თავისუფლება" საკუთარი ძალებით მოეპოვებინათ. 1866 წელს ანტონ ქიქოძე დააპატიმრეს და 1868 წლამდე ციხეში ამყოფეს. საპატიმროდან განთავისუფლებისთანავე ა. ქიქოძე კვლავ შეუდგა „დანაშაულებრივ აგიტაციას". 1869 წლის გაზაფხულზე იგი მოუწოდებდა თელავის მაზრის დროებით ვალდებულ გლეხობას, „უარი ეთქვათ გარიგების სიგელებზე", დაერღვიათ ეგრეთწოდებული „კანონიერი ურთიერთობა მებატონესთან". ანტონ ქიქოძე მალე გადავიდა აშკარა „უწესრიგობის" გამოწვევაზე; დროებით „ვალდებულ გლეხებში ავრცელებს ხმას, რომ 9 წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით სავსებით გათავისუფლდებით ბატონყმური ურთიერთობისაგან და სარგებლობაში მყოფი მიწა საკუთრებაში დაგრჩებათ"[2].

ანტონ ქიქოძის ასეთი აგიტაცია მეტად საყურადღებო ფაქტია. ცნობილია, რომ რუსი რევოლუციონერები, კერძოდ, ნეჩაეველები სწორედ 9 წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით აპირებდნენ გლეხობაში უკმაყოფილების გაღვივებას და აჯანყების გამოწვევას. მესამე განყოფილების უფროსი თავის „სრულიად საიდუმლო" ცირკულარში, რომელიც 1869 წლის 3 ივლისს გამოუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს, სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებდა განსაკუთრებულ ყურადღებას. იგი წერდა, რომ რევოლუციონერ ახალგაზრდობას „გათვალისწინებული აქვს, იმოქმედოს აღმაშფოთებელი მიმართულებით და გამოიწვიოს მღელვარება უმთავრესად დაბალ ფენებში — ქარხნის მუშებსა და ყოფილ ყმა გლეხებს შორის. ვინაიდან მომავალ 1870 წელს

[1] საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 1082, ფურც. 21.
[2] იქვე, ფურც. 1—2.

სავალდებულო ურთიერთობა იმ გლეხებისა, რომლებიც გათავისუფლდენ ბატონყმობისაგან საბოლოოდ შეწყდება და ისინი გახდებიან მიწათმფლობელები, ამ ვითარებაში ზემოო აღნიშნულმა პროპაგანდამ შეიძლება განსაკუთრებით საშიში შედეგი გამოიღოს". ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ა. ქიქოძის მიერ გლეხობაში ზემოაღნიშნული აგიტაციის გაწევა არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენა იყოს.

მართალია, მასალებიდან არ ჩანს, იყო თუ არა რაიმე კავშირი ა. ქიქოძის პროპაგანდისტულ საქმიანობასა და 9 წლიანი ვადის გასვლასთან დაკავშირებით ხელისუფლების საწინააღმდეგო იმ პროპაგანდისტულ საქმიანობას შორის, რომლებსაც ნეჩაეველები ეწეოდნენ რუსეთის გლეხობაში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ 60-იანი წლების მეორე ნახევარში ნეჩაევის ორგანიზაციაში ქართველი და ამიერკავკასიელი ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის ფაქტებს, გამორიცხული არაა ასეთი კავშირის არსებობის შესაძლებლობა. ამ საკითხის დაზუსტება მომავლის საქმეა, ახლა კი შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ანტონ ქიქოძისათვის არ შეიძლება უცხო ყოფილიყო რუს რევოლუციონერ-რაზნოჩინელთა იდეები. ამაზე მიუთითებს ანტონ ქიქოძის შეუპოვრობაც. მიუხედავად პოლიციური დევნისა და დაპატიმრებისა, იგი მაინც განაგრძობდა „აღმაშფოთებელ პროპაგანდას". ამ მხრივ იგი ისევე იქცეოდა, როგორც რუსეთის გამოჩენილი რევოლუციონერები და მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილი. სწორედ რევოლუციონერი რაზნოჩინელები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების მიზანს ხელისუფლების მიერ მოტყუებული გლეხობის დაცვაში ხედავდნენ, უკან არ იხევდნენ ციხე-გადასახლებათა წინაშე და სასჯელის მოხდისთანავე ანახლებდნენ რევოლუციურ მუშაობას.

1869 წლის მარტის ბოლოს მომრიგებელი მოსამართლის თავადი ჯორჯაძის მოთხოვნით ანტონ ქიქოძე კვლავ დააპატიმრეს. იგი თბილისში ჩამოიყვანეს და როგორც საშიში პროპაგანდისტი მეტეხის ციხეში ჩასვეს. ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა ა. ქიქოძის მიერ თელავის მაზრის გლეხობაში „დანაშაულებრივი პროპაგანდის" ფაქტი. კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით გადაწყდა ა. ქიქოძის

ადმინისტრაციული წესით გასახლება და მის მიმართ პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის დაწესება. ეს გადაწყვეტილება 1869 წლის აპრილში მოიყვანეს სისრულეში. მას მხოლოდ 1876 წლის დეკემბერში მისცეს ნება დაბრუნებულიყო თელავის მაზრის სოფელ ნაფარეულში, სადაც მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა[1].

იმავე 1869 წლის ზაფხულში ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. ნანეიშვილისეულში ბატონყმობის გადმონაშთებისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა გლეხ პროპაგანდისტთა ჯგუფი.

აგიტატორთა აღნიშნულ ჯგუფში ხელმძღვანელი ადგილი ეკავათ გიორგი გიორგაძესა და ბასილა ვაჩეიშვილს. მათ საერთო წამქეზებელი ჰყოლიათ ივლიანე ერისთავის სახით. ჩვენს მიერ მიკვლეული მასალები ი. ერისთავზე ძუნწ ცნობებს შეიცავს. გ. გიორგაძე და ბ. ვაჩეიშვილი, რომლებიც გუბერნიის ხელისუფლებამ დააპატიმრა და ქუთაისის ციხეში ჩასვა, თავიანთ ჩვენებებში გვერდს უვლიდნენ ი. ერისთავის დასახელებას. არც სხვა გლეხები იყვნენ ამ მხრივ გულახდილნი. ამიტომ გამოძიებამ ი. ერისთავის მიმართ საკმაო რაოდენობის საბრალდებო მასალები ვერ შეაგროვა.

ჩვენი აზრით, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ი. ერისთავი რევოლუციურ-ხალხსნური ინტელიგენციის წარმომადგენელი იყო. გლეხებში მისი პროპაგანდა გარკვეულ რევოლუციურ მიზნებს ემსახურებოდა. სხვანაირად ძნელია ავსხნათ მისი მოქმედება. სავსებით გასაგებია ის გარემოება, რომ გლეხთა მღელვარებას სათავეში ედგნენ გ. გიორგაძე და ბ. ვაჩეიშვილი, ეს გლეხები თვითონ იყვნენ უკმაყოფილონი მძარცველური საგლეხო რეფორმით და მის შემდეგ შემორჩენილი ბატონყმური გადმონაშთებით. ამიტომ ეწეოდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას სოციალური და ეკონომიური ჩაგვრისაგან როგორც სხვა გლეხების, ასევე საკუთარი თავის განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამ მოტივით ვერ ავხსნით ი. ერისთავის საქციელს. იგი თავადი იყო, მაშასადამე, სოციალური ჩაგვრა მას არ ეხებოდა. თავისი წოდებრივი

---

[1] საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 1082, ფურც. 2, 21.

მდგომარეობიდან გამომდინარე, მას არც მეფის ხელისუფლებასთან უნდა ჰქონოდა რაიმე სადავო. ერთადერთი მიზეზი რაც მას „ხალხის მეგობრად" გახდიდა, ეს მისი პირადი რევოლუციური რწმენა უნდა ყოფილიყო. თავის დროზე ჩვენ დავასაბუთეთ, რომ 70-იან წლებში ოზურგეთელი ერისთავების გვარიდან საქართველოს რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის არა ერთი გამოჩენილი მოღვაწე გამოვიდა.

გამოძიების დამთავრების შემდეგ გ. გიორგაძე და ბ. ვაჩეიშვილი მიჩნეულ იქნენ ოზურგეთის მაზრის სოფელ ნანეიშვილისეულის გლეხთა მთავარ წამქეზებლებად და პროპაგანდისტებად. გადაწყდა მათი დასჯა ადმინისტრაციული წესით. ორივენი ბაქოს გუბერნიაში გადაასახლეს პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. პირველი — ერთი წლით, ხოლო მეორე — 6 თვით. რაც შეეხება ი. ერისთავს, იგი საპყრობილესა და გადასახლებას გადაურჩა, მაგრამ მისი პოლიტიკური კეთილსაიმედოობა ეჭვქვეშ იქნა დაყენებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ პატაკში წერდა: „თავად ივლიანე ერისთავს მაზრის უფროსის საშუალებით მიეცა სათანადო გაფრთხილება, რომ იგი სასტიკ პასუხისმგებლობაში მიეცემა, თუ შემდეგშიც იქნება შენიშნული მსგავს მოქმედებაში"[1].

1862 წელს კავკასიის ფარგლებიდან გასახლებულ იქნა ქართველ გრენადერთა პოლკის გადამდგარი კაპიტანი მანსურ არაბ ოღლი „მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმის გამო".

აღსანიშნავია, რომ მანსურ არაბ ოღლის არც შემდეგ შეუწყვეტია ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია. პეტერბურგში, ლიგოვოსა და სხვა ადგილებში ყოფნის პერიოდში იგი არა ერთხელ იქნა შენიშნული პოლიტიკურად საეჭვო მოქმედებაში. არაბ ოღლი კვლავ განაგრძობდა შეურაცხმყოფელი სიტყვების ხმარებას არა მარტო კავკასიის მეფისნაცვლის, არამედ თვით „ხელმწიფე იმპერატორის მიმართ"[2].

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 1157, ფურც. 2.

2 ЦГИАМ, ф. 109, III экспед., 1875, ед. хр. 229, л. I, 10—11.

საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ 1869 წელს ელიზავეტოპოლის გუბერნიიდან 6 წლით გადაუსახლებიათ და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გადაუციათ რაჰიმ მასუმბეგ ოღლი. მას ბრალად ედებოდა მოსახლეობაში ხელისუფლების საწინააღმდეგო „თავხედური აზრების“ გავრცელება. მართალია, კონკრეტულად არ ჩანს, თუ რაში გამოიხატებოდა მისი „თავხედობა“, მაგრამ უდავოა, რომ ეს უნდა ყოფილიყო პოლიტიკურად საეჭვო მოქმედება. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: როგორც მასალებიდან ჩანს, 70-იანი წლების შუა პერიოდისათვის გადასახლებაში მყოფ რაჰიმ მასუმბეგ ოღლის განცხადებით მიუმართავს მეფისნაცვლისთვის, რათა მისთვის მოეხსნათ პოლიციის ზედამხედველობა. ამასთან დაკავშირებით, მეფისნაცვალს სათანადო დასკვნა მოუთხოვია ელიზავეტოპოლის გუბერნატორისაგან. ეს უკანასკნელი კი დიდი მთავრისადმი წარდგენილ მოსაზრებაში შეუძლებლად მიიჩნევს რაჰიმ მასუმბეგ ოღლის პოლიციის ზედამხედველობისაგან განთავისუფლებას, რადგანაც „ამით მას სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცემა და ძველებურად დაიწყებს მოსახლეობაში შფოთისა და უწესრიგობის გამოწვევას“[1].

ცნობილია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ დასკვნას მაშინ აკეთებდნენ, როდესაც საქმე ეხებოდა პოლიტიკური დამნაშავის განთავისუფლებას პოლიციის მეთვალყურეობიდან, მაშასადამე, რაჰიმ მასუმბეგ ოღლიც პოლიტიკურ საქმეზე გადასახლებულად უნდა მივიჩნიოთ.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან აზერბაიჯანელ გლეხებს შორის ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდა გააჩაღა გამოჩენილმა აზერბაიჯანელმა რევოლუციონერ-ხალხოსანმა ჰასან ბეგ ზარდაბიმ[2].

გერცენის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-ხალხოსნურ იდეებზე აღზრდილმა ზარდაბიმ მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გადაწყვიტა მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მოეხმარა ჩამორჩენილობისა

---

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 5, საქ. 3729, ფურც. 3—4.

2 „მირ ისლამა“, 1914, № 2, გვ. 884.

და სიბნელისაგან მშობლიური მშრომელი ხალხის გამოხსნის საქმისათვის. მისი თანამედროვის, ნ. გ. ბაიზდარენკოს გადმოცემით, ხალხში „ჰასან-ბეგი მოქმედებდა ისე, როგორც მოქმედებდნენ ჩერნიშევსკის გმირები, იგი იქცეოდა ჩერნიშევსკის შრომის — „რა ვაკეთოთ?“ რეცეპტით“[1].

ზარდაბს დიდად აწუხებდა მდგომარეობა აზერბაიჯანელი მშრომელი გლეხობისა, რომელიც ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა — ერთი მხრივ, ბეგებისა და აღალარებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ცარიზმის მოხელეებისაგან. ამათ ემატებოდნენ მუსლიმანური რელიგიის მსახურნი, რომლებიც არა მარტო ქადაგებდნენ ქვეყნად გაბატონებული ექსპლოატაციის სამართლიანობას, არამედ თვითონვე წურბელასავით სწოვდნენ მშრომელებს სისხლის უკანასკნელ წვეთებს.

ხალხთან დაახლოების, მიწის საკითხში მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, 1866 წელს ზარდაბიმ მუშაობა დაიწყო თბილისის სამიწათმოქმედო პალატაში ერთ-ერთი კომისიის წევრად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მას ხშირად უხდებოდა ყოფნა აზერბაიჯანელი მოსახლეობით დასახლებულ სოფლებში, კერძოდ კი, ბორჩალოს მაზრაში. იგი ახლო კავშირს ამყარებდა გლეხობასთან და ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ბეგი-მემამულეებისა და ხელისუფლების ძალმომრეობისაგან მათ დაცვას.

მსგავსად 70-იანი წლების ზემლევოლელი პროპაგანდისტებისა, რომლებიც ხალხში გავიდნენ და კანონის ფარგლებში ეხმარებოდნენ რუს გლეხებს თავიანთი უფლებების დაცვაში, ზარდაბიც მჭიდროდ დაუკავშირდა აზერბაიჯანელ გლეხობას და ფარდას ხდიდა ბეგი-მემამულეებისა და ჩინოვნიკების თვალთმაქცობას. ბეგები სარგებლობდნენ ხალხის ჩამორჩენილობით და აშკარად ძარცვავდნენ მას. მემამულეებსა და გლეხებს შორის დავის დროს ზარდაბი ყოველთვის ამ უკანასკნელთა მხარეზე იდგა. ამიტომ იყო, რომ გაბატონებული კლასებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს იგი ჭირივით სძულდათ. ბეგი-მემამულეები ხშირად უჩიოდნენ ზარდაბის უმაღლეს ხელისუფლებაში. ისინი აცხადებდნენ, რომ

---

[1] გაზ. „ბაკინეც“, 1907, № 16.

ზარდაბი ჩვენს წინააღმდეგ გლეხობას აქეზებსო. მიუხედავად ამისა, ზარდაბის უკან არ დაუხევია და კვლავაც შეუპოვრად განაგრძობდა მშრომელთა ინტერესების დაცვას, გლეხობაში ბეგი-მემამულეებისა და ხელისუფლების საწინააღმდეგო სულისკვეთების გაღვივებას. ამიტომ თბილისის სამიწათმოქმედო პალატის უფროსმა ასეთი ულტიმატუმი წაუყენა მას: „ან ხელი აიღე უფროსებისათვის ჭკუის სწავლებასა და გლეხობის „გაფუჭებაზე" ან სამსახური დატოვეო"[1]. ზარდაბიმ გადაწყვიტა ხელი აეღო სახელმწიფო უწყებაში მუშაობაზე, დასახლებულიყო მშობლიურ სოფელში და მთლიანად ჩაბმულიყო ყოველმხრივ დაჩაგრული გლეხობის სამსახურში. ამის შესახებ მისი მეუღლე ხანიფა-ხანუმ მელიქოვა თავის მოგონებაში წერს: „ჰასან ბეგი თვითონ მივიდა იმის რწმენამდე, რომ ასე სამსახური შეუძლებელი იყო და მიატოვა იგი. „ჩემგან არ გამოვა ჩინოვნიკიო" — ამბობდა ზარდაბი"[2].

1867 წელს ჰასან-ბეგი წავიდა თავის მშობლიურ სოფელ ზარდაბში და იქ განაგრძო პროპაგანდისტული მუშაობა. ზარდაბი მტკიცედ დადგა დატანჯული აზერბაიჯანელი გლეხობის დაცვის სადარაჯოზე. მან გადაწყვიტა, კვლავ დაეწყო მუშაობა ისეთ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა დაჩაგრულ გლეხთა მფარველობა. 1867 წელსვე იგი იწყებს მუშაობას ბაქოს საგუბერნიო სამმართველოში ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო ქონების განყოფილებაში ჯერ მაგიდის უფროსად, ხოლო შემდეგ საქმის მწარმოებლად. ზარდაბი აქ კიდევ უფრო დაუახლოვდა უფროსებით უკმაყოფილო გლეხობას და დღენიადაგ მათ ინტერესებს იცავდა. იგი ვერ ითმენდა ჩინოვნიკების ბიუროკრატიულ მოქმედებას. მათი მიზეზით გლეხები იძულებულ იყვნენ თვეობით დარჩენილიყვნენ ქალაქში და დალოდებოდნენ პასუხს თავიანთ საქმეებზე. ზარდაბისა და გუბერნიის ხელისუფლებას შორის შეხლა-შემოხლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ამიტომ ბაქოს გუბერნატორი კოლიუბაკინი

---

[1] З. Б. Геющев, Мировоззрение Г. Б. Зардаби, Баку, 1962, стр. 43.

[2] Гейдар Гусейнов, Из истории общественной и философской мысли в Азербайджане XIX веке, Баку, 1958, стр. 498.

ორგანულად ვეღარ იტანდა ზარდაბის. იმავე ხანიფა-ხანუმის დამოწმებით, ზარდაბისთან შეხვედრისას „გუბერნატორი ცდილობდა, არ შეეხედა მისთვის, ბოლოს კი განუცხადა: ან ის, გუბერნატორი დარჩება სამსახურში თავის ადგილზე, ან ჰასან-ბეგი; ზარდაბიც იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური გუბერნიის სამმართველოში"[1].

საგუბერნიო სამმართველოში მუშაობის მიტოვების მიუხედავად, ზარდაბის ერთი წუთითაც არ უფიქრია ხელი აეღო მშრომელი ხალხის სამსახურზე. იგი არ ჰგავდა ლიბერალებს, რომლებიც თავიანთი ტყავის გადარჩენისათვის მზად იყვნენ პირველი მარცხისთანავე აეღოთ ხელი „რადიკალობაზე" და მორჩილად ჩამდგარიყვნენ გაბატონებული კლასებისა და ხელისუფლების სამსახურში. ზარდაბიმ ზურგი შეაქცია ყოველგვარ პატივმოყვარეობასაც. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მიატოვა საგუბერნიო სამმართველო, კვლავ გადაწყვიტა ისევ სახელმწიფო სამსახურში შესვლა, სადაც მეტი შესაძლებლობა ექნებოდა ყოფილიყო გლეხებთან ახლოს და პრაქტიკულად დახმარებოდა მათ. ამ პერიოდში მთავრობამ აზერბაიჯანში შემოიღო მომრიგებელი და საოლქო სასამართლოები. ზარდაბიმ დაინახა, რომ მათში თავს აფარებდნენ შემთხვევითი ადამიანები — აფერისტი თარჯიმნების, არაოფიციალური ვექილებისა და სხვათა სახით, რომლებიც ტყავს აძრობდნენ გლეხობას.

1868 წლის თებერვალში ზარდაბიმ მუშაობა დაიწყო ყუბის მომრიგებელი სასამართლოს მდივნად. ზარდაბი აქაც ყოველთვის მზად იყო გლეხთა დასახმარებლად. მან მალე გაიჩინა თანამოაზრენი, რომლებიც მასთან ერთად ეწეოდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობას. ზარდაბი და მისი თანამოაზრენი ფარდას ხდიდნენ ბეგი-მემამულეებისა და სასამართლო მოხელეების თვითნებობასა და თვალთმაქცობას. თავისი აგიტაციით იგი გლეხებს რაზმავდა ყველა ჯურის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. ზარდაბი ამ მხრივ ფრიად შენიღბულად მოქმედებდა, რის გამოც ოფიციალუ-

---

[1] З. Б. Геющев, Мировозрение Г. Б. Зардаби, Баку, 1962 г., стр. 43.

რად პასუხისგებაში მისი მიცემისათვის მასალების შეგროვებას ხელისუფლება ვერ ახერხებდა. ამიტომ გაბატონებულმა კლასებმა გადაწყვიტეს მისი თავიდან მოცილება მოკვლის გზით. 1868 წლის მარტში მათ კიდეც სცადეს ეს, მაგრამ ზარდაბის შემთხვევით ასცდა ტყვია. ამის შესახებ ხანიფა-ხანუმი გადმოგვცემს: „ღამით თავის კაბინეტში, ჰასან-ბეგს მუშაობის დროს, უცნობმა პირმა ფანჯრიდან ესროლა რევოლვერი. ტყვია ასცდა თავს ზემოთ ორი თითის დადების მანძილზე და კედელს მოხვდა"[1].

მიუხედავად იმისა, რომ მშრომელი ხალხის მტრები ჰ. ბ. ზარდაბის სასტიკად სდევნიდნენ, იგი მაინც განაგრძობდა მასებში მუშაობას. ამასთან, თანამშრომლობდა ბაქოში გამომავალ გაზეთ „ბაკინსკი ლისტოკში". ზარდაბი აქ ბეჭდავდა სტატიებსა და წერილებს, რომლებშიც ააშკარავებდა ბეგიმემამულეების, მუსულმანური რელიგიის მსახურების, ჩინოვნიკებისა და სხვა ექსპლოატატორთა მექრთამეობას, გაუმაძღარ ბუნებას, თვალთმაქცობას, ბიუროკრატიზმსა და ა. შ.

1866—68 წლებში ხალხში მუშაობის გამოცდილებამ ზარდაბის დაანახვა, რომ ქვეყნად გაბატონებული ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის მარტო საკუთარი ძალა და ენერგია არ კმაროდა. საჭირო იყო თანამოაზრეთა მეტი რაოდენობით შემოკრება. აზერბაიჯანის მოწინავე ინტელიგენციიდან ისეთი თანამებრძოლების აღზრდა, რომლებიც მზად იქნებოდნენ მთელი თავიანთი ენერგია და სიცოცხლეც ხალხის ინტერესებისათვის შეეწირათ. ზარდაბის ესმოდა, რომ აზერბაიჯანის პირობებში რევოლუციის საქმისათვის აუცილებელი იყო გლეხთა მასების განათლება-გათვითცნობიერება, მათი ძალების განთავისუფლება რელიგიის ფანატიზმის ბორკილებისაგან. ამ ამოცანის გადაჭრის შემდეგ შეიძლებოდა მათი დარაზმვა სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის საბრძოლველად.

თანამოაზრეთა აღზრდის მიზნით ზარდაბიმ გადაწყვიტა,

---

1 Гейдар Гусейнов, Из истории общественной и философской мысли в Азербайджане XIX веке, Баку, 1958, стр. 501.

რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მასწავლებლობა დაეწყო ბაქოს გიმნაზიაში. მართალია, იმ დროისათვის ბაქოს გიმნაზიაში, რელიგიური ფანატიზმის წყალობით, შაჰპადიანი მოსწავლენი ცოტანი იყვნენ, რადგანაც მუსულმანები გარუსების შიშით არ უშვებდნენ თავიანთ შვილებს „გიაურების“ სკოლაში, მაგრამ ზარდაბის იმედი ჰქონდა, რომ თანდათან შეძლებდა მუსულმანი ახალგაზრდების მეტი რაოდენობით მიზიდვას გიმნაზიაში და ახალი იდეების პროპაგანდისტებად მათ აღზრდას.

ზარდაბიმ ითხოვა მასწავლებლის ადგილი ბაქოს გიმნაზიაში, მაგრამ ხელისუფლება მას პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებად თვლიდა და ახალგაზრდობის აღმზრდელად მისი დანიშვნის წინააღმდეგ წავიდა. მეფის მოხელეები მის შესახებ ამბობდნენ, რომ „ის გიმნაზიაში მეცნიერებას კი არ შეასწავლის, არამედ მოსწავლეებს აამხედრებს უფროსების წინააღმდეგ, რასაც იგი არაერთგზის აკეთებდა, როდესაც სახელმწიფო სამსახურში იყო“[1].

ზარდაბის დაჟინებული თხოვნის შემდეგ ხელისუფლება, რომელსაც მასწავლებლად ზარდაბის დანიშვნის წინააღმდეგ იურიდიული საბუთი არ გააჩნდა, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო.

1869 წლის 18 ნოემბერს იგი ბუნებისმეტყველების მასწავლებლად იწყებს მუშაობას ბაქოს გიმნაზიაში.

მასწავლებლობის პერიოდში ზარდაბიმ ფართოდ გააჩაღა ახალგაზრდებს შორის მოწინავე იდეების პროპაგანდა. ბუნებისმეტყველების სწავლებისას იგი დარვინის მეცნიერულ მოძღვრებას ეყრდნობოდა. ზარდაბიმ თავის გარშემო შემოიკრიბა მოწინავე ახალგაზრდები ნ. ბ. ვეზიროვი, მ. პავლოვი, ელიაზაროვი და სხვ. მათგან შეუდგა ხალხის სასარგებლო საზოგადო მოღვაწეთა მომზადებას. მალე დაიმსახურა კიდეც მოსწავლე ახალგაზრდების დიდი სიყვარული. მისი ყოფილი მოსწავლის, აკადემიკოს მ. პავლოვის სიტყვით, ზარდაბი იყო „ერთი საყვარელი მასწავლებელთაგანი“, ამიტომ, როდესაც იგი აიძულეს სკოლა მიეტოვებინა, ახალგაზრდებმა მას სრუ-

---

[1] Гейдар Гуссейнов, Из истории..., стр. 502.

ლი სოლიდარობა გამოუცხადეს. მასთან ბინაზე მივიდა მოსწავლეთა ჯგუფი, „რათა გამოეხატა მადლობა და პატივისცემა მისი საინტერესო გაკვეთილებისათვის და გამოეცხადებინა თანაგრძნობა სახელმწიფო სამსახურიდან მისი დათხოვნის გამო“[1].

ზარდაბი გამუდმებით ზრუნავდა თავის მოსწავლეებზე, რომელთა დიდი ნაწილი მძიმე მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. იგი ცდილობდა გამოენახა მათთვის მატერიალური დახმარების საშუალებანი და ამით განათლების დასრულების შესაძლებლობა მიეცა. ამ მიზნით ზარდაბიმ გადაწყვიტა სპექტაკლების გამართვა მოსწავლეთა ძალებით. 1873 წელს ზარდაბიმ და მოსწავლე ნაჯაფ ბეგ ვაზიროვმა, შემდეგში ცნობილმა აზერბაიჯანელმა დრამატურგმა, აზერბაიჯანულ ენაზე დადგეს პირველი სპექტაკლი სახელწოდებით — „ლენქორანის სახანოს ვეზირი“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპექტაკლით ჩაეყარა საფუძველი აზერბაიჯანის ეროვნულ თეატრს. სპექტაკლი რამდენჯერმე იქნა განმეორებული. იმავე წელს დაიდგა მირზა-ფატალი ახუნდოვის კომედია „ჰაჯი ყარა“. როგორც მასალებშია მითითებული, „ამ სპექტაკლებიდან შემოსული თანხა მიდიოდა ბაქოს რეალური სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად“[2].

ზარდაბის აწუხებდა ღარიბ-ღატაკთა ბედი. იგი ეძებდა საშუალებებს, რათა მათთვისაც აღმოეჩინა მატერიალური დახმარება. ჯერ კიდევ 1872 წელს შეუდგა იგი საქველმოქმედო საზოგადოების შექმნას. წესდებაში საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ ვკითხულობთ: „იმის გამო, რომ ამიერკავკასიის მუსულმან მოსახლეობას შორის მეტად გაიზარდა მოთხოვნილება სწავლა-განათლებისადმი, რომ მუსულმანი მოსახლეობის მეტი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მოკლებულია სწავლის მიღების ყოველგვარ საშუალებას.... ამ მიზეზით ქ. ბაქოში არსდება საზოგადოება, რომლის მიზანია. დახმარება გაუწიოს ღარიბ მუსულმანებს.

---

1 М. А. Павлов, Воспоминание металлурга, 1943, стр. 32.

2 იქვე. გვ. 138.

რომლებსაც სურთ აღზარდონ თავიანთი ბავშვები მთავრობის სკოლებში"[1].

ამ საქველმოქმედო საზოგადოების შესაქმნელად ზარდაბის დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. ბეგი-მოხელეები და მუსულმანური რელიგიის ზედაფენები მის წამოწყებას მტრულად შეხვდნენ და, რაც უფრო სამწუხაროა, ზარდაბის ვერ უგებდნენ რელიგიური ფანატიზმის ტყვეობაში მყოფი დაბალი წოდების წარმომადგენლებიც. მაგრამ ზარდაბი სიძნელეებს არ ეპუებოდა. მას არ აშინებდა ფეოდალური ზედაფენების მტრული დამოკიდებულება, შეუგნებელი ადამიანების მხრივ დაცინვა და აბუჩად აგდება. იგი შეუპოვრად ეწეოდა აგიტაციას საქველმოქმედო საზოგადოების შექმნის სასარგებლოდ. დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებოდა, მაგრამ მაინც ახერხებდა საჭირო თანხის შეგროვებას. ამის შესახებ გაზეთ „კასპიის" ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „კეთილშობილმა მისიონერმა (იგულისხმება ზარდაბი — ზ. შ.), რომელიც კარგად იცნობს მის თანამედროვე საზოგადოებას, იცოდა, რომ ბევრიც ნაძალადევი თანაგრძნობით, ზოგიც აშკარად მტრობით და ზიზღით შეხვდებოდა მის წამოწყებას. ფეოდალური ზედაფენები, რომლებიც ყოველგვარ მთხოვნელს მათზე დაბალ პირებად თვლიან, ყოველმხრივ ამცირებდნენ ზარდაბსაც, მაგრამ ამის მიუხედავად, ზარდაბი, როგორც ნამდვილი ინტელიგენტი, გაბედულად წავიდა ამ ძნელი გზით. ადამიანების მხრივ უარის თქმაში, გულგრილ მიღებაში, ზიზღის გამომხატველ გაღიმებაში იგი თავის შეურაცხყოფას კი არ ხედავდა, არამედ თვითონვე ებრალებოდა ასეთი უვიცი ადამიანები, რადგანაც სწორედ ისინი იყვნენ უმეცრებისა და ცხოველური ეგოიზმის მსხვერპლნი"[2].

მართალია, საქველმოქმედო საზოგადოების დაარსების საქმე ცარიზმის მოხელეთა მიზეზით საბოლოოდ წარმატებით არ დაგვირგვინებულა, მაგრამ ამ წამოწყების თვით ფაქტსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მოწმობდა, თუ როგორი თავგამოდებით იცავდნენ ზარდაბი და მისი თანამოაზრენი ღარიბ-ღატაკთა ინტერესებს.

---

1 З. Б. Геюшев, Мировоззрение Г. Б. Зардаби, стр. 48.

2 გაზ. „კასპიი", 1912, № 269.

* *
*

როგორც მოტანილი მასალებიდან დავინახეთ, 60-იან წლებში ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდას ამიერკავკასიის ხალხის მასებში მეტ-ნაკლებად სერიოზული ხასიათი ჰქონდა. მართალია, თავისი გაქანებით იგი ვერ შეედრებოდა „ხალხში გასვლის“ პერიოდში არსებულ ვითარებას, მაგრამ მაინც მიუთითებდა იმაზე, რომ ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილ ახალგაზრდებს არც ამიერკავკასიაში ეძინათ. ისინი საკმაოდ ორგანიზებულად ეწეოდნენ მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას, რასაც სერიოზულად შეუშფოთებია კავკასიის ხელისუფლება. 1869 წლის 23 აგვისტოს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო სპეციალური მითითებებით აფრთხილებდა გუბერნიების უფროსებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ივ პირთათვის, „რომლებიც აქეზებენ გლეხებს დაუმორჩილებლობისა და უწესრიგობისაკენ“, ასეთ მოქმედებაში შემჩნეული პირები დაუყოვნებლივ გადაესახლებინათ და მათზე პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობა დაეწესებინათ.

ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებიც გაცნობილი იყვნენ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, ოგარიოვის, დობროლიუბოვის, ბაკუნინისა და სხვა მოღვაწეთა რევოლუციურ-ხალხსნურ იდეებს, თავის წმინდა მოვალეობად დაისახეს ამიერკავკასიის მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის „მარჯვე გზის ამორჩევა“, მარჯვე გზისა, რომლითაც მშრომელები შეძლებდნენ „კარგი ეკონომიური მდგომარეობის მიღწევას“.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ინტელიგენციის რადიკალურმა ნაწილმა, ჩერნიშევსკის მსგავსად, აღიარა, რომ მშრომელ ხალხს მხოლოდ „ნაჯახით“, ე. ი. გლეხთა რევოლუციის გზით შეეძლო ნამდვილი თავისუფლების მოპოვება.

რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება მთელი XIX საუკუნის განმავლობაში „ნიადაგ გავლენას ახდენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბედ-იღ-

ბალზე“, რის შედეგადაც საზოგადოებრივ-რევოლუციური მოძრაობის განვითარების თვალსაზრისით რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო.

მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის ხალხოსნობა არ წარმოადგენდა რუსული ხალხოსნობის ასლს; მას გააჩნდა რიგი თავისებურებანი, რაც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სპეციფიკურობის შედეგი იყო.

60—70-იან წლებში როგორც საქართველოში, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩამოყალიბდა ხალხოსნური მოძრაობის ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული სახესხვაობა.

60-იანი წლების დამდეგიდან რუსეთში რევოლუციურ ბრძოლას აჩაღებენ რევოლუციური ხალხოსნები — „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“. ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიელმა ახალგაზრდებმა. დადასტურებულია, რომ 1861 წელს პეტერბურგ-მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რევოლუციურ მღელვარებებსა და 1862—1866 წლების რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებში მეტ-ნაკლები აქტივობით მონაწილეობის მიღებისათვის, გარდა მიქაელ ნალბანდიანისა, რომელიც რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ცენტრის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, პასუხისგებაში მისცეს 38 ამიერკავკასიელი ახალგაზრდა, მათ შორის ქართველი იყო 20, სომეხი — 12, აზერბაიჯანელი — 1, ხოლო დანარჩენი ამიერკავკასიაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

1866 წლიდან რუსეთში თეთრი ტერორი მძვინვარებდა. რეაქციის თარეშმა არნახული ხასიათი მიიღო. მიუხედავად ამისა, ხალხის ინტერესთა დამცველი რევოლუციონერი ახალგაზრდობის ბრძოლა არ ნელდებოდა.

„თეთრი ტერორის“ პერიოდში რუს სტუდენტებთან ერთად გააფთრებულ რევოლუციურ ბრძოლას ეწევიან ამიერკავკასიელი ახალგაზრდებიც. ყოფილი იშუტინელი ვარლამ ჩერქეზიშვილი, დიმიტრი ვოსკრესენსკისთან ერთად, ქმნის ძლიერ არალეგალურ ორგანიზაციას — „რევოლუციურ კომუნას“. ბევრი ამიერკავკასიელი ახალგაზრდა მონაწილეობს ამ პერიოდის სტუდენტთა გამოსვლებსა და სხვადასხვა დროს

შექმნილ ფარულ რევოლუციურ-ხალხოსნურ წრეებში. „თეთრი ტერორის“ დროს საძულველი ცარიზმისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ რუსი რევოლუციური ინტელიგენციის მხარდამხარ 46 ამიერკავკასიელი ახალგაზრდა იბრძოდა. მათგან ქართველი იყო 26, სომეხი — 15, აზერბაიჯანელი — 1. ოთხი კაცი კი ამიერკავკასიის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები იყვნენ. ამიერკავკასიელ ახალგაზრდათა უმრავლესობა დაკავშირებული იყო თავიანთ მშობლიურ მხარესთან. ისინი აქ ხელს უწყობდნენ ახალი იდეების გავრცელებას და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას რევოლუციური სულისკვეთებით.

რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაში თვალსაჩინო მნიშვნელობა ჰქონდა 60-იანი წლების მიწურულში შექმნილ ნეჩაევ-ტკაჩევის რევოლუციურ-ხალხოსნურ ორგანიზაციას. იგი ცდილობდა ახალგაზრდობისაგან მებრძოლი კადრების აღზრდას და მათზე დაყრდნობით სახალხო, გლეხური რევოლუციის გაჩაღებას. ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის მუშაობაში ბევრმა ამიერკავკასიელმა ახალგაზრდამ მიიღო აქტიური მონაწილეობა. ზოგი მათგანი (ჩერქეზიშვილი, იშხანოვი, რიჰმანი) ცალკეულ ნეჩაევურ წრეებს ხელმძღვანელობდნენ და ორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობაში შედიოდნენ. რუს რევოლუციონერებთან ერთად ამიერკავკასიელებიც გადასცეს სასამართლო პასუხისგებაში, ანდა დასაჯეს ადმინისტრაციული წესით, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედონი. მასალებში, რომლებიც ნეჩაევის რევოლუციური ორგანიზაციის მიმართ ჩატარებული კვლევა-ძიებისა და სასამართლო პროცესების მსვლელობისასაა შედგენილი, 16 ამიერკავკასიელი ახალგაზრდის გვარია დასახელებული. ამათგან ქართველია 3, სომეხი — 4, აზერბაიჯანელი — 3, დანარჩენი 6 კი თბილისის გიმნაზიადამთავრებულია და ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან.

რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილე ამიერკავკასიელებს მტკიცედ სწამდათ, რომ რუსი ხალხისა და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის მიერ გატარებული „სოციალური რევოლუცია“ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ

მშრომელებსაც მოუტანდა როგორც სოციალურ-ეკონომიურ, ისე ეროვნულ თავისუფლებას.

რუსეთის რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილე ამიერკავკასიელი ახალგაზრდები ითვისებდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკისა და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერების მოწინავე შეხედულებებს. ხელს უწყობდნენ მათ გავრცელებას საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური თვალსაზრისით ნოყიერი ნიადაგი არსებობდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის.

60-იანი წლების დამდეგიდანვე თბილისში, ალექსანდროპოლსა და სხვაგან პირველი რევოლუციურ-რაზნოჩინული წრეები იქმნება.

60-იანი წლების დამლევს და 70-იანი წლების პირველ ნახევარში თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში ძლიერდება მოსწავლე ახალგაზრდობის რევოლუციური მღელვარება, იქმნება ფარული წრეები. მათში გაერთიანებული რაზნოჩინელი ახალგაზრდები რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ გლეხობაში არსებული წყობილების საწინააღმდეგო სულისკვეთების გაძლიერების მიზნით.

ამიერკავკასიელი რევოლუციური რაზნოჩინელების მოღვაწეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მათი სახით 60—70-იანი წლების რუს რევოლუციონერებს ქვეყნად გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის დამხობისათვის ბრძოლაში ღირსეული მოკავშირეები ჰყავდათ.

60-იანი და 70-იანი წლების დამდეგიდან ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რევოლუციონერების მთელ მოღვაწეობას წითელ ზოლად გასდევს ხალხთა მეგობრობის იდეა. ამიერკავკასიელი რაზნოჩინელი რევოლუციონერებისათვის უცხო იყო ნაციონალისტური ზრახვები. ისინი მთელი შეგნებით იბრძოდნენ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის მხარდამხარ და ამ ბრძოლაში ხედავდნენ ამიერკავკასიის მრავალეროვანი მშრომელი მასების ყოველგვარი ჩაგვრისაგან ხსნის გზას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3

თ ა ვ ი I

რუსეთისა და ამიერკავკასიის რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა 9

1. რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში რეფორმისშემდგომი რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლის საკითხი 9
2. საბჭოთა ისტორიოგრაფია ხალხოსნობის შესახებ . 27

თ ა ვ ი II.

მარქსიზმ-ლენინიზმი რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპის შესახებ 45

1. საკითხის დაყენება 45
2. „მემკვიდრეობის" საკითხი ლენინის ნაშრომებში . . 48
3. რევოლუციური ხალხოსნობისა და სოციალ-დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი . . 66

თ ა ვ ი III.

რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის ისტორიის შესწავლის მდგომარეობა ამიერკავკასიაში 76

1) ხალხოსნური მოძრაობის თავისებურებანი ამიერკავკასიაში 76
2. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის შეფასება ამიერკავკასიის ისტორიოგრაფიაში 87

თ ა ვ ი IV.

ამიერკავკასიაში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარების სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები . . . 109

1. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში და მისი შედეგები . 109
2. საგლეხო რეფორმა ამიერკავკასიაში 115
   ა) საკითხის ისტორიოგრაფიისათვის 115

ბ) საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის დაგვიანებით გატარების მიზეზები 117
გ) საგლეხო რეფორმის მომზადება და გატარება ამიერკავკასიაში 120
დ) საგლეხო რეფორმის შედეგები ამიერკავკასიაში . 131

თავი V.

მასობრივი ბრძოლის გაძლიერება და რევოლუციურ-რაზნოჩინული მოძრაობის დაწყება რეფორმისშემდგომ ამიერკავკასიაში . 139

თავი VI.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა რუსეთში XIX ს. 60-იან წლებში და მასში ამიერკავკასიელთა მონაწილეობა . . . 150
1. ბატონყმობის დაცემისდროინდელი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში ამეირკავკასიელთა მონაწილეობა . . 150
2. 60-იანი წლების მეორე ნახევრის რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და ამიერკავკასიელი ახალგაზრდები . . 175

თავი VII.

ფარული რევოლუციური წრეების შექმნა და რევოლუციურ-ხალხოსნური პროპაგანდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგს 211
1. ფარული რევოლუციური წრეები თბილისში 60-იან წლებში 211
2. სომეხი ინტელიგენციის რევოლუციური მოძრაობა 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დამდეგს . . 220
3. ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდა ამიერკავკასიის სოფლებში 60—70-იანი წლების დამდეგს . . . 234

რედაქტორი დ. იუკურიძე
მხატვარი ტ. შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი ნ. ლაფაჩი
ტექნიკური რედაქტორი ც. შველიძე
კორექტორი ლ. კალანდაძე
გამომშვები დ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 16/VIII-71 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 30/X-71 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32.
ნაბეჭდი თაბახი 13,02. სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,32.

უე 01878. ტირაჟი 1000. შეკვ. № 843.

ფასი 1 მან. 26 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარ პოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4.
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати